ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

საერთაშორისო ბიზნესის კათედრა

ქრისტინა ჯღანჯღავა

დისერტაცია

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზეგავლენა რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე (საქართველოს მაგალითზე)

ბიზნესის ადმინისტრირების
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
სრული პროფესორი თეიმურაზ შენგელია

თბილისი
2012

თემა: უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზეგავლენა რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე (საქართველოს მაგალითზე)

შესავალი გვ.3

თავი I. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

1.1. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ფორმები და საფუძვლები გვ.9

1.2. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე გვ.40

1.3. უცხოური ინვესტიციების განმსაზღვრელი ფაქტორები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში გვ.56

თავი II. საინვესტიციო პოლიტიკის განვითარების ინსტრუმენტები

2.1. საინვესტიციო პოლიტიკის როლი უცხოური კაპიტალის მოზიდვის პროცესში გვ.77

2.2. უცხოური პირდაპირი ინვესტიციები–წარმოების ინტერნაციონალიზაციის მასტიმულირებელი ფაქტორი გვ.97

2.3. რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ზეგავლენა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზრდაზე გვ.107

თავი III. ბიზნესსტრატეგიის მდგრადი განვითარება განვთარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის

3.1. ტექნოლოგიური ტრანსფერტი –მასპინძელი ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი გვ.117

3.2. უცხოური ფილიალების წვლილი მასპინძელი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში გვ.130

3.3. საქართველოს ბიზნესგარემოს ფორმირების პრობლემები და გაუმჯობესების შესაძლებლობები გვ.143

დასკვნები გვ.155

გამოყენებული ლიტერატურის სია გვ.162

დანართები გვ.172

შესავალი

თემის აქტუალობა: თანამედროვე ეტაპზე გლობალიზებულ მსოფლიო ეკონომიკაში, უცხოური პირდაპირი ინვესტიციები (უპი) ურთიერთდამოკიდებული ეროვნული ეკონომიკების ზრდის მამოძრავებელი ძალაა და მისი შესწავლა და ანალიზი აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. საერთაშორისო საინვესტიციო საქმიანობა გლობალური ბიზნესის მნიშვნელოვანი ფორმაა, რომლის დროსაც უცხოური კომპანიები აბანდებენ კაპიტალს სხვადასხვა ქვეყნებში. უცხოური პირდაპირი ინვესტიციები გვევლინება ლიბერალური, ღია ეკონომიკური სისტემის განუყოფელ ნაწილად და მისი განვითარების კატალიზატორად. ბოლო წლებში ჩამოყალიბებული ტენდენციის მიხედვით, მსოფლიო ქვეყნების ეროვნული ეკონომიკური სისტემა, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, მიმართულია ინვესტიციათა ნაკადების ზრდისკენ. ცხადია ისიც, რომ საქართველოს ეკონომიკის განვითარებისა და მოდერნიზაციისთვის აუცილებელია უპი-ების შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება და შესაბამისი გარემოს შექმნა, რაც განსაზღვრავს ამ პროცესის ეფექტიანობას. თანამედროვე სამეცნიერო-პრაქტიკულ ლიტერატურაში პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, ფართოდ განიხილება ის პრინციპები, რომელთა პრაქტიკაში გატარება ხელს შეუწყობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და ქვეყანაში ხელსაყრელ საინვესტიციო კლიმატის შექმნას.

აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის 80-იან წლებამდე მსოფლიო ეკონომიკაში უპი-ების მიმართ დომინირებდა სავსებით განსხვავებული რადიკალური მიდგომა, სადაც ინვესტიციათა რეციპიენტ ქვეყნებისთვის უპი-ების უარყოფით ზეგავლენაზე იყო ყურადღება გამახვილებული. აღნიშნულმა მიდგომამ ტრანსფორმაცია განიცადა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან, რადგანაც მსოფლიო ეკონომიკაში უპი-ების როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა. თანამედროვე ეტაპზე სავაჭრო პილიტიკის ლიბერალიზაციამ განაპირობა საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო წარმოების ზრდა. XX საუკუნის 80-იანი წლებიდან ტრანსეროვნული კორპორაციების (ტეკ) მიერ განხორციელებული უპი-ების უზარმაზარმა ნაკადებმა გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები ტექნოლოგიურ სფეროში, რამაც ხელი შეუწყო მსოფლიოში ვაჭრობისა და ინვესტიციათა

რეჟიმის ლიბერალიზაციას განსაკუთრებით ბაზრების პრივატიზაციის შედეგად. ამ მხრივ, გლობალიზაცია ქმნის შესაძლებლობებს რათა განვითარებადმა ქვეყნებმა ვაჭრობისა და ინვესტიციების დახმარებით მიაღწიონ სწრაფ ეკონომიკურ ზრდას. უცხოელი ინვესტორები უპი-ების მეშვეობით ეფექტიანად იყენებენ აქტივებსა და რესურსებს, ხოლო ინვესტიციათა რეციპიენტი ქვეყნები კი სარგებლობენ თანამედროვე ტექნოლოგიებით, ერთვებიან საერთაშორისო წარმოებასა და სავაჭრო ქსელებში.

ცალკეული თეორიული მოდელები (ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური, ენდოგენური და ინდუსტრიონალიზაციის თეორიები) ხაზს უსვამენ რეციპიენტი ქვეყნებისთვის უპი-ების დადებით ზეგავლენას ეკონომიკურ ზრდაზე, (მაგალითად: მწარმოებლურობის ზრდა, ტექნოლოგიების გადაცემა, ახალი პროცესების დანერგვა, მართვის პრაქტიკის გაუმჯობესება, "ნოუ-ჰაუს" ხელმისაწვდომობა, დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და ა.შ). ყველა აღნიშნული ფაქტორი მნთლიანობაში დადებითად ზემოქმედებს მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზაციასა და ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ემპირიული კვლევები ადასტურებენ უპი-სა და ეკონომიკურ ზრდას შორის არაერთგვაროვანი დამოკიდებულების არსებობას. მაგალითად ზალცის, სინგერისა და პრებიშის, აითკენისა და ჰარისონის [119,120,40] მიერ ჩატარებული ემპირიული კვლევებით დასტურდება უპი-ების ნეგატიური ზემოქმედება ეკონომიკურ ზრდაზე, რაც ეფუძნება არასრულყოფილი ეროვნული ბაზრების არსებობას. სხვა უარყოფითი ეკონომიკური შედეგები დაკავშირებულია ნაწილობრივ ადგილობრივ წარმოებათა გაკოტრებასთან, ტეკ-ების საბაზრო ძალაუფლების გაფართოებასა და ბაზირების ქვეყანაში მოგების რეპატრირებასთან. თუმცა, ეკონომიკურ ლიტერატურაში ემპირიული კვლევების უმეტესობა ადასტურებს უპი-ების დადებით ზეგავლენას მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. მაგალითად, კროსკას, ბენგოა&კალვოსა და სანჩეს რობლესის, ბორენშტეინისა და დე გრეგოლიო&ლის კვლევებმა [80,40,39] აღმოაჩინა უპი-ების დადებითი როლი მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, რომელიც სტიმულს აძლევს აღნიშნულ ქვეყნებში კაპიტალის დაგროვებას. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები

დაინტერესებულნი არიან მოიზიდონ უცხოურ ინვესტიციათა დიდი ნაკადები, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან მასტიმულირებელ ფაქტორს. აღნიშნული ქვეყნები ხასიათდებიან კაპიტალის დეფიციტით, არასაკმარისი შიდა დანაზოგი ვერ აფინანსებს შიდა საინვესტიციო მოთხოვნას, რაც უარყოფითად აისახება როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ინვესტიციებზე. თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს ეკონომიკისათვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ განვითარებას.

თანამედროვე სამეცნიერო-პრაქტიკულ ლიტერატურაში აქტიურად განიხილება ის პრინციპები, რომელთა პრაქტიკაში გატარება ხელს შეუწყობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და შექმნის ქვეყანაში ხელსაყრელ საინვესტიციო კლიმატს. რადგანაც უპი-ების ზეგავლენა განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე წარმოადგენს რთულ საკითხს და სამეცნიერო წრეებში იწვევს არაერთგვაროვან დამოკიდებულებას, ამიტომ, აუცილებელად მიგვაჩნია რეკომენდაციების შემუშავება იმ მიზნით, რომ მოხდეს რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკაზე უპი-ების დადებითი ზეგავლენის მაქსიმიზება და შესაბამისად ნეგატიური შედეგების შემცირება.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია ემპირიულ ეკონომიკურ კვლევაში ეკონომეტრიკული მეთოდის, კერძოდ, რეგრესული ანალიზის საფუძველზე უპი-ების ანალიზი და მათი ზეგავლენის დადგენა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის (მშპ) მაჩვენებელზე.

ამ მიზნობრივი ორიენტირიდან გამომდინარე დისერტაციის ძირითად **ამოცანებს წარმოადგენს**:

- უპი-ების ფორმების კლასიფიკაციის დადგენა და საქართველოში ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით მათი დაფუძნების შესაძლებლობების განსაზღვრა;
- უპი-ების როლისა და იმ ფაქტორების გამოკვლევა, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ქვეყანაში ინვესტიციური აქტივობის ზრდაზე;
- უცხოური კაპიტალის მოზიდვის პროცესში განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის საინვესტიციო პოლიტიკის როლის დადგენა;

- რეგრესული ანალიზის საფუძველზე 1997-2010 წწ-ში უპი-ების ზეგავლენის დადგენა საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე. ამ ანალიზის შედეგად პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება;
- საქართველოში არსებული ბიზნესგარემოს ანალიზი, პრობლემების გამოვლენა და სრულყოფის შესაძლებლობების დადგენა.

სადისერტაციო ნაშროის კვლევის საგანია უცხოური პირდაპირი ინვესტიციები და მათი ზეგავლენა რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

კვლევის ობიექტია საქართველოში არსებული ბიზნესგარემო და უცხოური ინვესტიციების როლი მისი გაუმჯობესების პროცესში.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები: ნაშრომის თეორიული საფუძვლია სოლოუს ნეოკლასიკური ეკონომიკური ზრდის თეორია, ენდოგენური ზრდის მოდელი და ჰიმერის ინდუსტრიალიზაციის თეორია. სადისერტაციო ნაშრომში ფართოდ გამოიყენება ქართული, რუსული და უცხოური ლიტერატურა.

კვლევის ინფორმაციული ბაზას წარმოადგენს UNCTAD-ის, WTO-ს, OECD-ს, მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მასალები, ასევე, ქართულ და უცხოურ პერიოდულ ლიტერატურაში გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, კვლევის პროცესში გამოყენებულია სტატისტიკური ანალიზის რეგრესული მოდელი, დაკვირვების მეთოდები. კვლევის მონაცემები გაანალიზებულია სტატისტიკური პროგრამით – Statistical Package for the Social Sciences (SPSS) .

კვლევის ძირითადი მეცნიერული სიახლეები:

- შემოთავაზებულია უპი-ების ფორმების დეტალური ანალიზი და გამოყოფილია საქართველოში განსაზღვრული ფორმის უპი-ების, კერძოდ "შერწყმა-შთანთქმის" როლი, როგორც ინვესტიციათა დაბანდების ეფექტიანი ხერხის, რომლის საფუძველია ქვეყანაში სწორი საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება;

- შემუშავებულია უპი-ების რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე ზეგავლენის დადგენის ეკონომეტრიკული მოდელი. ჩვენს მიერ შემოთავაზებული მოდელი მოიცავს სამ ცვლადს: უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებს, მთლიან შიგა პროდუქტსა და საგარეო ვაჭრობას. ცვლადებს შორის კავშირი წარმოდგენილია მათემატიკური განტოლების სახით და დადგენილია მათი ზეგავლენა მშპ-ზე.
- გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. ჩამოყალიბებულია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების განმსაზღვრელი დეტერმინანტები
- სქემატურად წარმოდგენილია უპი-ების აქტიური და პასიური პოლიტიკის ანალიზი. შემუშავებულია საინვესტიციო პოლიტიკის ინსტრუმენტების პრაქტიკული მოქმედება;
- საქართველოს ბიზნესგარემოს ანალიზის საფუძველზე, გამოვლენილია მასში არსებული პრობლემები, როგორც საკანონმდებლო-ნორმატიულ, ასევე ინსტიტუციურ დონეზე.

სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს უპი-ების როლისა და საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე მისი ზემოქმედების შეფასებაში. კვლევის შედეგები და დასკვნები შეიძლება გამოყენებულ იქნას ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ, სტრატეგიების განსაზღვრის და უპი-ების აქტიურ პოლიტიკის გატარების პროცესში. ნაშრომში განხილული საკითხების გამოყენება მიზანშეწონილია საერთაშორისო ბიზნესის სალექციო კურსში, ინვესტიციების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შესწავლისას.

ნაშრომის აპრობაცია: სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები აისახა დისერტანტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე წარდგენილ მოხსენებაში, სამეცნიერო-საჟურნალო პუბლიკაციებში, სამეცნიერო შრომების კრებულში, სამეცნიერო კოლოქვიუმები წარდგენილ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასევე თესალონიკის ალექსანდრეს

სახელობის ტექნოლოგიურ უნივესრსიტეტში, სადაც დისერტაციის ავტორი იმყოფებოდა დოქტორანტთა გაცვლითი პროგრამით.

ნაშრომის სტრუქტურა: დისერტაცია შედგება შესავლის, 3 თავის, 6 ქვეთავის, დასკვნებისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან, თან ერთვის დანართები (გაანგარიშებითი ცხრილები,, სქემები, დიაგრამები, გრაფიკები).

თავი 1. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველები

1.1. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ფორმები და საფუძვლები

“ინვესტიციის” კატეგორია წარმოსდგება ლათ. სიტყვა “Investire”-დან, რაც ნიშნავს შემოსვლას. ფეოდალიზმის ეპოქაში “ინვესტიტურას” უწოდებდნენ ვასალის გადაქცევას ფეოდის მფლობელად. ამავე სიტყვით აღნიშნავდნენ ეპისკოპოსების დანიშვნას, რომლებიც, ამავე დროს, მოსახლეობასთან ერთად იღებდნენ მმართველობისთვის საეკლესიო მიწებს და ასევე მათი გადასახადების უფლებას. დროთა განმავლობაში ტერმინი “ინვესტიცია” ახალი მნიშვნელობებით შეივსო და მისი გამოყენება დაიწყეს საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, მისი ერთ-ერთი მნიშვნელობა კი კაპიტალის ხანგრძლივი დაბანდებაა რაიმე საქმეში. ბიზნესთეორიებში ინვესტიციაარის საქმიანობა, სადაც მწარმოებელი ყიდულობს ფიზიკურ აქტივებს, მაგალითად, აქციებს ან წამოებისთვის საჭირო ტექნიკურ აღჭურვილობას, რაც გრძელვადიან პერიოდში ბიზნესს დაეხმარება, გახდეს რენტაბელური.[1]

დაბანდების ადგილის მიხედვით, ინვესტიციებს ყოფენ სამამულოდ და უცხოურად. სამამულო ინვესტიციები არის კაპიტალის დაბანდება მოცემული ქვეყნის რეზიდენტების მიერ, ხოლო უცხოურ ინვესტიციებს მიეკუთვნება უცხო ქვეყნის ინვესტორების მიერ კაპიტალის მეორე ქვეყანაში დაბანდება. თანამედროვე პერიოდში უცხოური ინვესტიციების დაბანდება მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროცესია, რომლის დროსაც უცხო სახელმწიფოები, კომპანიები და საწამოები ნერგავენ ინოვაციებს და ტექნოლოგიას მიმღები ქვეყნის საწაროებში. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა ვერ განვითარდება უცხოური ინვესტიციების გარეშე. განვითარებული ქვეყნების უმეტესობა საკუთარ სახსრებს აბანდებს სხვა ქვეყნების ეკონომიკაში, რომელთაც გარკვეული შემოსავლები გააჩნიათ და ავითარებენ მასპინძელი ქვეყნების ინდუსტრიას. კაპიტალის მიღებით კი მასპინძელი ქვეყანა იძენს შესაძლებლობას, განაახლოს და განავითაროს

[1] (http://www.pmgiinsurance.com/investments

ცალკეული ინდუსტრიის დარგები, გაზარდოს მწარმოებლურობა, აწარმოოს კონკურენტუნარიანი პროდუქცია და მომსახურება. უცხოურ ინვესტიციებს ახორციელებენ როგორც სახელმწიფო ორგანიზაციები, ასევე კერძო კომპანიები და საწარმოები, როგორც წესი, ასეთ ინვესტიციებს კერძო უცხოურ ინვესტიციებს უწოდებენ. უცხოური ინვესტიციები სახსრების დაბანდების მიხედვით იყოფა უცხოურ პირდაპირ და პორტფელურ ინვესტიციებად. უცხოური პირდაპირი ინვესტიციები, გრძელვადიანი ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკაში კაპიტალის ისეთი დაბანდებაა, რომლის დროსაც უცხოელი ინვესტორი რეზიდენტი ქვეყნის კომპანიაში იძენს კონტროლის უფლებას. ასეთი ტიპის ინვესტიციები მოიცავს საკმაოდ დიდი რაოდენობის თანხებს, რაც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკური სისტემის განვითარებაზე, ხოლო პორტფელური ინვესტიციები ფასიანი ქაღალდების შეძენაა, რომელიც ინვესტორს კაპიტალის ჩადების ობიექტზე კონტროლის უფლებას არ აძლევს. მათ ხშირად უწოდებენ ცხელ ფულს, რომელიც მიმღებ ქვეყანას ეკონომიკაში არასტაბილურობის პირველი ნიშნის გამოჩენისთანავე დაუყოვნებლივ ტოვებს, ამიტომ პორტფელური ინვესტიციები მოკლევადიანი ინვესტიციებია და კაპიტალის არასტაბილურ ნაკადებთან ასოცირდება.

პირდაპირ და პორტფელურ ინვესტიციათა შორის განსხვავება ვლინდება იმით, თუ რა ხარისხით აკონტროლებს ინვესტორი მის მიერ დაბანდებულ კაპიტალს. უპი-ებს განიხილავენ როგორც მაკრო, ასევე მიკრო გაგებითაც. მაკრო გაგებით, უპი-ები, ესაა კაპიტალის ნაკადები, რომელიც მიმღებ ქვეყანაში ქმნის აქციონერულ კაპიტალს და მასპინძელი ქვეყნის კორპორაციები ახორციელებენ მასზე კონტროლს, შესაბამისად, ასეთი ნაკადები გაიზომება საგადამხდელო ბალანსის მიხედვით. როდესაც განვიხილავთ უპი-ებს მიკრო გაგებით, ამ შემთხვევაში ყურადღება ექცევა ინვესტორის მოტივაციას და მის მიერ დაბანდებული ინვესტიციებით შექმნილი ფილიალების საქმიანობის შედეგებს მასპინძელი ქვეყნებისათვის. ეს შედეგები საბოლოოდ აისახება ვაჭრობაში, დასაქმებაში, წარმოებაში და ა.შ. და საგადამხდელო ბალანსში არ ჩაიწერება, რამდენადაც აღნიშნული შედეგები დაკავშირებულია ტეკ-ების მიერ სათავო ოფისისა და ფილიალების საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლის შესაძლებლობასთან (61.გვ.54).

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა (IMF) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განივთარების საერთაშორისო ორანიზაციის (OECD) განმარტებით, უპი-ები გამოხატავენ გრძელვადიანი ინტერესების შეძენას ერთი ქვეყნის რეზიდენტი საწარმოს მიერ (პირდაპირი ინვესტორი) მეორე ქვეყნის საწარმოში. გრძელვადიანი ინტერესების არსებობა გულისხმობს ხანგრძლივვადიანი საქმიანი ურთიერთობების დამყარებას ამ საწარმოებს შორის, ინვესტორი იძენს საწესდებო კაპიტალის 10% და იღებს უფლებას სერიოზული ზეგავლენა მოახდინოს კაპიტალის ჩადების ობიექტზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე (65,გვ.2).

თუმცა ყველა ქვეყანა არ ეთანხმება მოცემულ განმარტებას, მაგალითად, ჩინეთში უპი-ების განსაზღვრება ეფუძნება უცხოელების მიერ დაფინანსებულ კომპანიათა შესახებ მოპოვებულ ინფორმაციას, სადაც არარეზიდენტი საწამოები ფლობენ რეზიდენტი ფირმის საწესდებო კაპიტალის 25%-ზე მეტს, ხოლო მალაიზიაში პირდაპირ ინვესტორად განიხილება არარეზიდენტი საწარმო, რომელიც ფლობს მიმღები ქვეყნის კომპანიის საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტს (60,გვ.10). აშშ-ში უპი-ებად ფორმალურად აღიარებულია ყოველგვარი დაბანდება, თუ ინვესტორი განაგებს ან ღებულობს ფირმის საკუთრების 10%-ს. საგადამხდელო ბალანსის მკაცრი ბუღალტრული განსაზღვრით პირდაპირი ინვესტიციები არის ნებისმიერი ფინანსური ნაკადი ან კრედიტი, ან საზღვარგარეთულ საწარმოში საკუთრების შეძენა, რომელსაც მნიშვნელოვანწილად აკონტროლებენ მაინვესტირებელი, ანუ ე.წ. ბაზირების ქვეყნის რეზიდენტები (77,გვ.1).

ზემოთ წარმოდგენილი განმარტებები ცხადყობს, რომ უპი-ები, ესაა კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ერთ-ერთი ფორმა და თანამედროვე პერიოდში გვევლინება ეკონომიური გლობალიზაციის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად. ჩვენ აზრით, უპი-ები წარმოადგენს გლობალიზებული ეკონომიკური სისტემის დამახასიათებელ თავისებურებას, რომელიც მთლიანობაში გულისხმობს არარეზიდენტი კომპანიების მიერ კაპიტალდაბანდებას საწარმოებში, უძრავ ქონებასა და სხვა აქტივებში. მიუხედავად უპი-ების სხვადასხვა ქვეყნების მიერ თავისებური ინტერპრეტაციისა, ჩვენეული ხედვით, ამგვარი ინვესტიციების განხორციელების ძირითადი საფუძველია უმსხვილესი კომპანიების

ბიზნესსაქმიანობების სხვადასხვა ქვეყნებში ექსპანსია, გაფართოება და საბოლოოდ მოგების მიღება.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან მსოფლიო ეკონომიკაში უპი-ების როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა თანამედროვე ეტაპზე, სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაციამ განაპირობა საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო წარმოების ზრდა. XX საუკუნის 80-იანი წლებიდან ტეკ-ების მიერ განხორციელებული უპი-ების უზარმაზარმა ნაკადებმა გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები ტექნოლოგიურ სფეროში, განაპირობა ვაჭრობისა და ინვესტიციათა რეჟიმის ლიბერალიზაცია, ხელი შეუწყო ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით განვითრებად ქვეყნებში, ბაზრების პრივატიზაციას. ამ მხრივ, გლობალიზაცია ქმნის შესაძლებლობებს, განვითარებად ქვეყნებში მიაღწიონ სწრაფ ეკონომიკურ ზრდას ვაჭრობისა და ინვესტიციების დახმარებით. უცხოელი ინვესტორები უპი-ების მეშვეობით ეფექტიანად იყენებენ აქტივებსა და რესურსებს, ხოლო ინვესტიციათა რეციპიენტი ქვეყნები კი სარგებლობენ თანამედროვე ტექნოლოგიებით, ერთვებიან საერთაშორისო წარმოებასა და სავაჭრო ქსელებში. XX საუკუნის 80-იან წლებამდე მსოფლიო ეკონომიკაში დომინირებდა სავსებით განსხვავებული რადიკალური მოსაზრება უპი-ების მიმართ, რითაც ინვესტიციათა რეციპიენტი ქვეყნებისთვის უპი-ებით გამოწვეულ ისეთ უარყოფით ზეგავლენაზე იყო ყურადღება გამახვილებული, როგორიცაა:

– სამამულო ინვესტიციების გამოდევნა უცხოური ინვესტიციების მიერ, ხოლო ადგილობრივი ფირმებისა – უფრო კონკურენტუნარიანი უცხოური ტეკ-ების მიერ. თუმცა, ამ პროცესს ორი ურთიერთდაპირისპირებული შედეგი შეიძლება ახლდეს თან, ერთი მხრივ, ადგილობრივი ფირმები ვერ უწევენ კონკურენციას უცხოურ ტეკ-თა ფილიალებს, რამდენადაც ჯერ კიდევ იმყოფებიან სირთულეების წინაშე; მეორე მხრივ, აღნიშნულმა პროცესმა შესაძლოა, ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდა განაპირობოს;

– მასპინძელ ქვეყნებში კაპიტალის სიჭარბით განპირობებული ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ზრდა იწვევს სავაჭრო ბალანსის დეფიციტს და ამიცირებს ქვეყანაში პროდუქციის ექსპორტიორთა რაოდენობას;

– ადგილობრივი საწამოების გაფართოება ზრდის მოთხოვნას კაპიტალზე და პირიქით, ამცირებს მოთხოვნას შრომით რესურსებზე, რაც განაპირობებს ქვეყანაში უმუშევრობის ზრდას;

– უპი-ების მოდინებით ეკონომიკაში იზრდება ფულის მასა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ინფლაციური პროცესები და საპროცენტო განაკვეთების ზრდა;

– ტეკ-ები ტრანსფერტული ფასით არიდებენ თავს გადასახადების გადახდას, რასაც ვერ ახერხებენ ეროვნული კომპანიები, ეს კი, საბოლოოდ, მათ არაკონკურენტუნარიანობაში ვლინდება;

– ეროვნული ფირმების უცხოურ კომპანიებთან შედარებით ჩამორჩენას, განაპირობებს დუოპოლური (პარალელური) ეკონომიკის არსებობა:. ერთ მხარეს საქმიანობს წარმატებული საზღვარგარეთული ფირმები, ხოლო მეორე მხარეს სუსტად განვითარებული, არაკონკურენტუნარიანი ადგილობრივი კომპანიები;

– უცხოურმა ფირმამ შეიძლება მოიპოვოს დომინირებული მდგომარეობა, რითაც აბრკოლებს კონკურენციას შიდა ბაზარზე. ეკონომიკური ძალაუფლების მქონე კომპანიები მონოპოლიურ მდგომარეობას აძლიერებენ მიმდები ქვეყნის ბაზარზე და ახდენენ რესურსების ექსპლუატაციას გაცილებით იაფად;

– უცხოურ კაპიტალზე დამოკიდებულების ზრდამ შეიძლება ქვეყანაში სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები გამოიწვიოს, რამდენადაც უცხოური ინვესტიციების ზრდას თანდათან მივყავართ შედეგამდე, როდესაც უცხოელი ინვესტორები იღებენ არა მარტო ეკონომიკურ, არამედ მთელ რიგ პოლიტიკურ გადაწყვეტილებასაც, რაც არ შეესაბამება ქვეყნის მოსახლეობის ინტერესებს;

– რეციპიენტ ქვეყნებში უცხოელ ინვესტორთა ფატალური ზეგავლენის შედეგად არ წამოიშობა დადებითი საგარეო ეფექტი, რამდენადაც ადგილი აქვს რეპატრირებულ მოგებას. ტეკ-ს მიერ მიღებული მოგების ბაზირების ქვეყანაში რეპატრირების დროს, ეცემა მასპინძელი ქვეყნის სავალუტო კურსი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც ქვეყნებმა დამოუკიდებლობა მიიღეს, უპი-ებს და წარმოების საშუალებებზე უცხოელთა საკუთრებას ისინი განიხილავდნენ ნეოკოლონიალიზმის ახალ ფორმად და

კოლონიალიზმის გაგრძელებად. დამოუკიდებელი ქვეყნების მთავრობებმა მოახდინეს უცხოელთა საკუთრებაში არსებული დარგების ნაციონალიზაცია, რაც გულისხმობდა ფაბრიკა-ქარხნებისა და საწარმოების სახელმწიფო საკუთრებაში გადასვლას. ამ პერიოდის განმავლობაში განვითარებადი ქვეყნების უმეტესობა სიფრთხილით ეკიდებოდა უპი--ათა ნაკადებს. ტეკ-ების არსებობა ქვეყანაში მიიჩნეოდა, როგორც ეროვნული სუვერენიტეტის შესუსტება. უპი-თა დიდი ნაკადები მიმღები ქვეყნებისათვის საფრთხედ განიხილებოდა, რაც იწვევდა გიგანტური კომპანიების მიერ მასპინძელი ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ საქმეებში ჩარევის შიშს. აღნიშნული შიში განპირობებული იყო განვითარებადი ქვეყნების კოლონიური გამოცდილებით, გარდა ამისა, იმ მოსაზრებით, რომ უპი-ები წარმოადგენდა კოლონიალიზმისა და ექსპლუატაციის თანამედროვე ფორმას. ცხრ. 1.1-ში ნაჩვენებია უპი-ების შემავალი და გამავალი ნაკადები 1913-1995 წწ-ში, მოცემული ცხრილი ნათლად ასახავს, რომ მთელი XX საუკუნის განმავლობაში უპი-ათა ნაკადები მერყეობდა. ინვესტიციების ძირითადი მოცულობა მეორე მსოფლიო ომამდე ცირკულირებდა ევროპასა და ამერიკას შორის. 1918-1938 წწ-ში გაიხსნა ამერიკული კომპანიების – "ფორდი"-სა და "ჯენერალ მოტორსი"-ს პირველი ფილიალები ევროპაში, აგრეთვე ლათინურ ამერიკასა და აზიაში. 1950-1974 წწ-ში (კორეის ომიდან პირველ ნავთობის შოკამდე) საზღვარგარეთული ინვესტიციები აშშ-დან გამავალი ნაკადების მიმართულებით განისაზღვრებოდა. ამერიკელები, ტრადიციულად, ინვესტიციების სხვა სახეებთან შედარებით, უპირატესობას უპი-ებს ანიჭებდნენ ისეთ ინვესტორ სახელმწიფოებთან შედარებით, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ნავთობ-ექსპორტიორი ქვეყნები, რომლებიც იმ პერიოდში საზღვარგარეთ დაბანდების დიდ ნაწილს პორტფელური დაკრედიტებით ახორციელებდნენ.

ცხრილი 1.1

უპი-ების დინამიკა 1913-1971 წწ-ში

წლები	1913/14	1930	1950	1970/71
განვითარებული ქვეყნები	გამავალი ნაკადები უპი/მშპ (%)			
კანადა	6	25	6	7
საფრანგეთი	23	10		5
გერმანია	11	5		3
იაპონია	11	47		2
ნიდერლანდი	82	28		35
გაერთიანებული სამეფო	49	18	9	17
ამერიკა	7	8	4	8
განვითარებადი ქვეყნები	შემავალი ნაკადები პუი/მშპ(%)			
ლათინური ამერიკა	40	51	30	13
აზია				
აფრიკა				

წყარო: http://unctad.org/en/Docs/wir2005_en.pdf, UNCTAD,2005.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის გამოკვლევების მიხედვით, 1970-იანი წლებიდან დაწყებული კაპიტალის საერთაშორისო ნაკადებში პირდაპირი ინვესტიციების როლი უფრო იზრდება. 1980-იანი წლების დასაწყისისთვის მათი წილი შეადგენდა 15%--ს, 1990-იანი წლების დამდეგს - 30%-ს (73,გვ..6). 1980-იან წლებში უპი-ების ნაკადების უდიდესი ნაწილი მოემართებოდა ევროპიდან და აშშ-დან, ამავე პერიოდში პირდაპირი ინვესტიციების მოდინების მიხედვით მსოფლიოში პირველ ადგილზე აშშ გავიდა. 1980 წელს აშშ-ში წამყვანი პირდაპირი ინვესტორი იყო ნიდერლანდი, რომელსაც მოჰყვებოდა დიდი ბრიტანეთი, კანადა, გფრ, იაპონია რაც სწრაფად ზრდიდა აშშ-ში დაბანდების ტემპს. ნექოს ქვეყნების ინვესტორები ვერ ფლობდნენ აშშ-ში მნიშვნელოვან თანხებს უპი-ების სახით. 1978 წლიდან დაწყებული, ინვესტიციის მსხვილმა ნაკადებმა ჩინეთისკენ დაიწყო დინება, მეტწილად ერთობლივ საწარმოებში. პირველი განზოგადებული სტატისტიკური მონაცემები მსოფლიოს მთლიანი უპი-ების შესახებ 1970 წელს გაჩნდა, რომელმაც 13 მლრდ დოლარს მიაღწია. აქედან 60% მოდიოდა აშშ-ზე, ხოლო 91% კი ნაწილდებოდა

შემდეგ ქვეყნებზე – იაპონია, გფრ, საფრანგეთი, იტალია, დიდი ბრიტანეთი და კანადა.

უკვე XX საუკუნის 90-იან წლებში, კაპიტალდაბანდების სხვა ფორმებთან შედარებით, უპი-ები შედარებით სტაბილურ ინვესტიციათა ნაკადებს წარმოადგენდა, ამიტომ განვითარებადმა ქვეყნებმა აქტიურად დაიწყეს შიდა საინვესტიციო პოლიტიკის გატარება იმისათვის, რომ შეემცირებინათ შეზღუდვები უცხოურ კაპიტალზე და მაქსიმალურად გაეზარდათ მოგება ქვეყანაში უცხოელ ინვესტორთა არსებობით. 1990-იან წლებში იაპონია გახდა უპი-ების მნიშვნელოვანი წყარო, როცა მისმა ინვესტიციებმა შეაღწია აზიის განვითარებად ქვეყნებში. ბოლო 20 წლის განმავლობაში უცხოური ინვესტიციების უზარმაზარი ნაკადები მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის ნათელ მაგალითს წარმოადგენდა. 2000 წელს უპი-ებმა მიაღწია მაქსიმალურ მოცულობას – 1,3 ტრლნ დოლარს. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ეკონომიკური ზრდა განვითარებად ქვეყნებში გამოწვეული იყო მაღალი სასაქონლო ფასებით და საფონდო ბაზრების კარგი მაჩვენებლებით.

ცხრილი1.2

მსოფლიოს, განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების შემავალი და გამავალი უპი/მშპ (%)

წლები		1980	1985	1990	1995	2000
მსოფლიო	შემავალი	6.0	7.80	9.20	10.00	20.00
	გამავალი	5.40	6.20	8.40	9.90	19.60
განვითარებული ქვეყნები	შემავალი	4.80	6.20	8.10	8.90	17.10
	გამავალი	6.20	7.20	9.60	11.30	22.10
განვითარებადი ქვეყნები	შემავალი	10.20	13.90	13.00	15.30	30.90
	გამავალი	1.30	1.70	2.80	5.10	11.90

წყარო: http://unctad.org/en/docs/wir2002_en.pdf, WIR, 2002.

თუმცა 2008 წლის ბოლოს მდგომარეობა მკვეთრად შეცვალა გლობალურმა ფინანსურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა. ამავე წელს უპი-ათა ნაკადები შემცირდა 17%,-ით ხოლო 2009 წელს შესაბამისად – 35%-ით ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში განხორციელებული უპი-ები განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებში ასახულია ცხრ.1.2 ქვეყნების უმეტესობა, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნები, ამ პერიოდში უპი-ებს განიხილავს, როგორც ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მნიშვნელოვან ელემენტს და აქტიურად ერთვება უპი-ების კონკურენციაში.

2011 წელს უპი-ების პროცენტული მაჩვენებელი მშპ-თან მიმართებაში შემცირდა 25.3%-ით და შეადგინა გაცილებით ნაკლები, ვიდრე იყო 2002 წლის მაჩ.ვენებელი, აღნიშნული კლება განაპირობა დოლარის მაღალმა გაცვლითმა კურსმა და კონკურენტუნარიან სამუშაო ძალაზე დანახარჯების ზრდამ. უპი-ების კლასიფიკაციის მნიშვნელოვან ნიშნად გვევლინება მათი დაყოფა მიმართულების (როგორც აქტივების, ასევე პასივებისთვის), საინვესტიციო ინსტრუმენტების (აქციები, ობლიგაციები და ა.შ) და სექტორების მიხედვით. მიმართულების მიხედვით განასხვავებენ ბაზირებისა და მიმღები ქვეყნის უპი-ებს.

ცხრილი1.3

უპი-ების დინამიკა 2002-2011 წწ-ში

წლები		**2002**	**2003**	**2004**	**2005**	**2006**	**2007**	**2008**	**2009**	**2010**	**2011**
მსოფლიოში შემავალი უპი/მშპ(%)		22.1	23.6	24.3	23.6	25.6	25.9	26.5	27.4	28.3	29.0
განვითარებულ ქვეყნებში შემავალი უპი	**% of GDP**	20.6	22.2	23.0	22.3	24.9	25.6	26.4	27.8	29.2	30.4
	% of world total	71.7	72.5	72.0	69.5	69.7	69.3	68.9	68.6	68.4	68.2

განვითარებად ქვეყნებში შემავალი უპი ნაკადები	%of GDP	26.2	27.1	27.2	26.3	26.3	25.7	25.6	25.7	25.6	25.3
	% of world total	28.3	27.5	28.0	30.5	30.3	30.7	31.1	31.4	31.6	31.8

წყარო: http://www.unctad-docs.org/files/UNCTAD-WIR2011-Full-en.pdf,**WIR,2011.**

ნებისმიერი ტიპის დაფინასება განხორციელებული მშობელი კომპანიის მიერ არარეზიდენტ შვილობილ ფირმაში, განისაზღვრება, როგორც უცხოური პირდაპირი ინვესტიცია და პირიქით, არარეზიდენტ შვილობილი ან ასოცირებული კომპანიების, ასევე ფილიალების მხრიდან მიმართული ნებისმიერი დაფინანსება რეზიდენტ მშობელ ფირმებში განიხილება, როგორც უპი-ების შემცირება.

საინვესტიციო ინსტრუმენტების მიხედვით უპი-ების შემადგენლობაში შედის:

- კომპანიების მიერ უცხოეთში საკუთარი კაპიტალის დაბანდება: ფილიალების კაპიტალი და ასევე შვილობილი ან ასოცირებული კომპანიების აქციებში არსებული წილი;
- მოგების რეინვესტირება: პირდაპირი ინვესტორის წილი საწარმოს მოგებაში, რომელიც არ ნაწილდება დივიდენდების სახით და არ გადაირიცხება პირდაპირი ინვესტორის ანგარიშზე.
- კაპიტალის შიდაკორპორაციული გადარიცხვები: ის, როგორც წესი, ხორციელდება, ერთი მხრივ, პირდაპირ ინვესტორსა და მეორე მხრივ, შვილობილ ან ასოცირებულ კომპანიებს შორის, ასევე ფილიალებს შორის.

უპი-ების მიმღები საწარმო შეიძლება იყოს შვილობილი და ასოცირებული კომპანია ან ფილიალი. ეს კომპანიები მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი და ხასიათდებიან რთული სამართლებრივი სტრუქტურით. აღნიშნულის ნათლად გასაგებად განვიხილოთ შემდეგი მაგალითი, თუ საწარმო “A” ნაწილობრივ ფლობს საწარმო “B”-ს, რომელიც თავის მხრივ არის მფლობელი შვილობილი კომპანია “C”-სი, ამ უკანასკნელის არსებობა დამოკიდებულია კომპანია ”B”-ზე და არა “A”-ზე,

მაშინ შვილობილი კომპანია “C” არ განიხილება, როგორც “A” კომპანიის უცხოური პირდაპირი ინვესტორი.

თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაცია (OECD) შვილობილ და ასოცირებულ კომპანიებს და ფილიალებს განმარტავს შემდეგნაირად (102,გვ.52).

შვილობილი კომპანიები: კომპანია “X” განიხილება, როგორც “N” კომპანიის შვილობილი კომპანია, თუკი “N” კომპანია არის აქციათა ნახევარზე მეტი წილის მფლობელი და აქვს ძალაუფლება, დანიშნოს ან მოხსნას ადმინისტრაციული პერსონალი, გარდა ამისა, აქვს უფლება, მიიღოს მონაწილეობა აქციონერთა კენჭისყრაზე.

ასოცირებული კომპანიები: “R” კომპანია ითვლება “N” კომპანიის ასოცირებულ კომპანიად, თუკი “N” კომპანია და მისი შვილობილი კომპანიები ფლობენ 10%-დან 50%-მდე აქციათა წილს “R” კომპანიაში.

ფილიალები: პირდაპირი ინვესტიციების ფილიალები მიმღებ ქვეყანაში შეიძლება იყოს:

–უცხოელი ინვესტორის მუდმივი წარმომადგენელი;

–ერთობლივი საწარმო პირდაპირ უცხოელ ინვესტორსა და მესამე პირს შორის;

–მიწები, ობიექტები (გარდა ობიექტებისა, რომელიც უცხოელთა საკუთრებაშია), უცხოელ რეზიდენტთა პირდაპირ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონება და ნივთები;

–მობილური აღჭურვილობა, როგორიცაა გემები, თვითმფრინავები, ნავთობისა და გაზის საბურღები, რომლებიც მოქმედებაშია მიმღებ ქვეყანაში მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში და აღიარებულია მასპინძელი ქვეყნის საგადასახადო ორგანოს მიერ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) გამოყოფს უპი-ების ოთხ ინსტიტუციურ სექტორს (იხ.ცხრ.1.4). ზოგიერთი ქვეყანა, მათ შორის ესპანეთი, უპი-ების მონაცემების გამოქვეყნებისას სარგებლობს მოცემული

სექტორული დაყოფით, ხოლო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) უპი-ებს განასხვავებს ეკონომიკური და სამრეწველო დარგების მიხედვით (იხ.ცხრ.1.4). აღნიშნული კლასიფიკაციის მიხედვით, რეზიდენტი ჰოლდინგური კომპანიების მიერ განხორციელებული უპი-ები დაყოფილია სამრეწველო დარგების მიხედვით. იმ შემთხვევაში, როცა მშობელი კომპანიის როლში გამოდის ბანკი მოცემული კრიტერიუმების თანახმად, უპი-ებს განახორციელებს არასაბანკო ჰოლდინგური კომპანიები (65,გვ.10).

დღეისათვის მსოფლიოს ყველა ქვეყანა ცდილობს, მოიზიდოს უპი-ები, რამდენადაც ისინი ასოცირდებიან ეკონომიკურ ზრდასა და პროგრესთან. უპი-ები ასრულებს მნიშვნელოვან და მზარდ როლს გლობალური ბიზნესის განვითარებაში. უზრუნველყოფს ადგილობრივ ფირმებს ახალი ბაზრებით და მარკეტინგული არხებით, იაფი წარმოების საშუალებებით, აძლევს ხელმისაწვდომობას ახალ ტექნოლოგიებზე, წარმოებასა და ფინანსებზე, ყოველივე აღნიშნული კი შესაბამისად ასტიმულირებს მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

ცხრილი 1.4

უპი-ების სექტორული დაყოფა

ინსტიტუციური სექტორი (IMF)	ეკონომიკური და ინდუსტრიული დარგები (OECD)
1.სავალუტო-საფინანსო დაწესებულებები	1.სოფლის მეურნეობა, ნადირობა, ტევზჭერა და მეტყევეობა
	2.სამთო და სამტეხლო მანქანები
	3.წარმოება
2.ბანკები	
	4.ელექტროენერგია,აირი,წყალი;
	5.მშენებლობა

3.გენერალური მთავრობა	6.საცალო და საბითუმო ვაჭრობა, რესტორნები და სასტუმროები
	7.ტრანსპორტი, შენახვა და კომუნიკაციები;
4. სხვა რეზიდენტი სექტორი	8.დაფინანსება,უძრავი ქონება და ბიზნეს მომსახურება
	9.საზოგადოებრივი, სოციალური და პირადი მომსახურება.

წყარო: Definitions of Foreign Direct Investment (FDI): a methodological note,2003,გვ.10.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებს უპი-ები ეხმარება, აქტიურად ჩაერთონ საერთაშორისო ბიზნესსაქმიანობაში.

მიმართულების მიხედვით უპი-ათა ნაკადებს ყოფენ შემავალ და გამავალ ნაკადებად. შემავალი უპი-ები გულისხმობს უცხოური კაპიტალის დაბანდებას ადგილობრივ რესურსებში. ასეთი ტიპის ნაკადებს ასტიმულირებს საგადამხდელო შეღავათები, სუბსიდიები, დაბალი საპროცენტო სესხები და გრანტები, თუმცა ამ შემთხვევაში გარკვეულწილად შეზღუდულია უცხოელი ინვესტორის საკუთრების უფლება. გამავალი უპი-ების დროს კი პირიქით, ადგილობრივი კაპიტალია დაბანდებული უცხოურ რესურსებში. გამავალი ინვესტიციების მასტიმულირებელ ფაქტორად მიჩნეულია სახელმწიფო დაზღვევა რისკების არსებობის შემთხვევაში, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი ბიზნესის სუბსიდირება გამავალი უპი-თვის შემაფერხებელ და არასასურველ ფაქტორად განიხილება, რამდენადაც ასეთ შემთხვევაში ინვესტორი უპირატესობას ანიჭებს, დააბანდოს კაპიტალი ადგილობრივ ბაზარზე, რაც ამცირებს გამავალი უპი-ების მოცულობას.

უპი-ები ასოცირდება არა მარტო ფინანსური კაპიტალის შემოდინებასთან ქვეყანაში, არამედ განიხილება, როგორც ინსტრუმენტი, რომელსაც მიმღებ ქვეყანაში შემოაქვს ცოდნა, მართვის თანამედროვე პრაქტიკა, პროდუქციის დიზაინი, ხარისხის მახასიათებლები, ბრენდი, პროდუქციის მარკეტინგის საერთაშორისო არხები და ა.შ. შესაბამისად, ხელს უწყობს მასპინძელი ქვეყნის გლობალური წარმოების ქსელში ინტეგრაციას, რომელიც, თავის მხრივ, წარმატებული საექსპორტო სტრატეგიის საფუძველს წარმოადგენს. უპი-ებით სარგებლობს არა მარტო ადგილობრივი წარმოება, არამედ მომხმარებლებიც, ის მასპინძელ ქვეყნას გადასცემს თანამედროვე

ტექნოლოგიებს, ქმნის გლობალურ მენეჯერულ უნარ-ჩვევებზე ხელმისაწვდომობას, ოპტიმალურად სარგებლობს ადამიანური შესაძლებლობებით და ბუნებრივი რესურსებით. ეხმარება დარგებს, საერთაშორისო დონეზე გახდეს კონკურენტუნარიანი, აფართოებს საექსპორტო ბაზრებს, უზრუნველყოფს პროდუქციის და მომსახურების საერთაშორისო ხარისხის ხელმისაწვდომობას და ზრდის სამუშაო ადგილებს. თუ გავითვალისწინებთ ყველა აღნიშნულ დადებით თვისებას ჩვენი აზრით, უპი-ები მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის, მათ შორის, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისათვის. გარკვეული პირობების გათვალისწინებით, ინვესტორისათვის უფრო მომგებიანია იაფი რესურსების გამო წარმოება საზღვარგარეთ განალაგოს ვიდრე აწარმოოს საქონელი და მომსახურება ბაზირების ქვეყანაში და იქიდან განახორციელოს ექსპორტი საგარეო ბაზრებზე. უცხოური ინვესტიციებისთვის მიმღები ქვეყნის მიმზიდველობა განისაზღვრება ბუნებრივი რესურსების სიუხვით, გარდა ამისა, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორებით, როგორიცაა, მაგალითად, ბაზრის ზომა და სტრუქტურა, ბაზრის ზრდის პერსპექტივები და განვითარების ხარისხი, კულტურული, სამართლებრივი, ინსტიტუციური გარემო და შიდა პოლიტიკა. საინვესტიციო პოლიტიკის შეფასებისას მნიშვნელოვანია განისაზღვროს ინვესტირება მოტივაციის მიხედვით. მოტივაციის მიხედვით კლასიფიკაციისას უპი-ებს საფუძვლად უდევს სამი ძირითადი მოტივი, ესენია: 1) ბუნებრივ რესურსებზე; 2) უცხოურ ბაზრებზე და 3) ეფექტიანობაზე ორიენტირებული მოტივი.

მოტივაციის მიხედვით უპი-ების ერთ-ერთ უძველეს ფორმას წარმოადგენს **ბუნებრივ რესურსებზე ორიენტირებული** უცხოური ინვესტიციები. XVII საუკუნეში, ისეთი კომპანიები, როგორიცაა "აღმოსავლთი ინდოეთის კომპანია", "კომპანია ვირჯინია" და "მასაჩუსეტსის კომპანია" ორიენტირებულნი იყვნენ, ნედლეული და მასალები სხვა ქვეყნებში მოეძიათ. 1984 წლამდე აშშ-დან და ბრიტანეთიდან გამავალი უპი-ების ერთი მესამედი მიმართული იყო ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციაზე. 1970 წლის დასაწყისიდან ქვეყნების უმეტესობამ აკრძალა უცხოელ ინვესტორთა შემოსვლა პირველად სექტორში, თუმცა თანამედროვე პერიოდში განვითარებადმა ქვეყნებმა გააუქმეს ბარიერები

აღნიშნულ სექტორში, რაც შესაძლებლობას აძლევს უცხოურ ფირმებს, რომელთა ბაზირების ქვეყანაში ბუნებრივი რესურსები მცირე რაოდენობითაა, მოიძიონ ნედლეული და მასალები ქვეყნებში, სადაც მოიპოვება შედარებით ჭარბი ბუნებრივი რესურსები. ჯ.დანინგი (63,გვ.50) გამოყოფს რესურსებზე ორიენტირებული უპი-ების 3 ძირითად სახეს: 1. რესურსებზე ორიენტირებული (როგორიცაა, ნედლეული და სოფლის მეურნეობის პროდუქტები); 2. იაფ და მოტივირებულ არაკვალიფიციურ ან ნახევრად კვალიფიციურ მუშახელზე ორიენტირებულ და 3. მენეჯმენტზე, მარკეტინგულ გამოცდილებასა და ორგანიზაციულ უნარ-ჩვევებზე ორიენტირებულ უპი-ებს.



,

სქემა: 1 უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოტივები

რესურსებზე ორიენტირებულ უპი-ებს არაერთგვაროვანი ზეგავლენა აქვს რეციპიენტი ქვეყნების ეკონომიკაზე. მაგალითად, ნავთობისა და მინერალების მოპოვება ხელს უწყობს მნიშვნელოვანი საექსპორტო მოგების მიღებას, მაგრამ ამასთანავე, გააჩნია შემდეგი შეზღუდულობა – სექტორების მიხედვით იძლევა მინიმალურ დამატებულ ღირებულებას მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკისთვის. იმ შემთხვევაში, როდესაც ამგვარი უპი-ები მიმართულია სოფლის მეურნეობის დარგებზე ან თევზჭერაზე, ამან

შეიძლება გამოიწვიოს ვაჭრობის ზრდა და კავშირი მიმწოდებლებთან, ადგილობრივ და რეგიონულ სუპერმარკეტების ქსელებთან, რაც იწვევს ტექნოლოგიების გადაცემას. უამრავი საწარმო განვითარებადი ქვეყნებიდან ცდილობს, მოიძიოს ბუნებრივი რესურსები მთელი მსოფლოს მასშტაბით, როგრიცაა ნავთობი, მინერალები, სხვა ნედლეული და მასალები. ბუნებრივ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გარდა, ტეკ–ები ხელს უწყობს ადგილობრივ საწარმოებს, მოახდინონ წარმოების ინერნაციონალიზაცია მსოფლიო ბაზარზე. მაგალითად, 2008 წელს ბრაზილიურმა სამთო მწარმოებელმა კომპანია "ვალემ" შეიძინა უმსხვილესი ნიკელის მომპოვებელი და გადამამუშავებელი კანადური კომპანია "ინკო", რაც აფართოებს საწარმოს საქმიანობას ჩრ. ამერიკაში, ხოლო 2010 წელს ინდურმა ნავთობგადამამუშავებელმა კომპანია "რელიანს ინდუსტრი ლთდ"-მა 3.5 მილიარდ დოლარად შეიძინა ფიქალისგან წარმოებული ბუნებრივი გაზის აქტივები ამერიკული კომპანია "ატლას ენერჯიდან". აღნიშნული გარიგებით ინდური კომპანია უპირატესობას ფლობს თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებაში, იმისათვის, რომ მოიპოვოს ფიქალისგან წარმოებული გაზი, რომელიც არის ახალი, უფრო ეფექტიანი საწვავი წიაღისეული, სხვა ხელმისაწვდომ საწვავ საშუალებებთან შედარებით[2]

უცხოურ ბაზრებზე ორიენტირებული უპი-ების ერთ-ერთი მიზანია თავი აარიდო საიმპორტო ბარიერებს, დისკრიმინაციულ სამთავრობო პოლიტიკას და მაღალ სატრანსპორტო დანახარჯებს. ასეთი ტიპის უპი-ებს იზიდავს მიმღები ქვეყნის მასშტაბი და ზრდის პერსპექტივა. XX საუკუნის 60-70-იან წლებში ქვეყნების უმეტესობა ახორციელებდა იმპორტშემცვლელ პოლიტიკას, ამავე პერიოდში უცხოური ფირმებისთვის უპირატესი მოტივი იყო, განეხორციელებინათ ინვესტიცია განვითარებადი ქვეყნების წარმოების სექტორში, რამაც ომის შემდგომ პერიოდში ზეგავლენა მოახდინა და ხელი შეუწყო ევროპაში ამერიკული ინვესტიციების ზრდას გადამამუშავებელ სფეროში. ბოლო დროს რეგიონული დაჯგუფებების ინტერგაციამ სტიმული მისცა ინვესტიციების მნიშვნელოვან ზრდას, რაც

[2]http://businesstoday.intoday.in/story/reliance-industries-extends-offer-to-buy-majority-stake-in-atlas-energy/1/12894.html)

აძლევს მათ საშუალებას, მოემსახუროს გადიდებულ ბაზრებს. უცხოურ ბაზრებზე ორიენტირებულ უპი-ებს გააჩნია დადებითი შედეგი მასპინძელი ქვეყნების ეკონომიკისთვის, რაც გამოიხატება მოწინავე ტექნოლოგიების გადაცემით, განსაკუთრებით მომსახურების სფეროში (მაგალითად, ორგანიზაციული და მართვის უნარი, გამოცდილება მომსახურების სფეროში, ბაზრის ცოდნა). აღნიშნულის ტრანსფერტი შეიძლება განხორციელდეს პირდაპირ – ტრენინგების ან არაპირდაპირ – დემონსტრირების გზით. მაგალითად, ბითუმად და საცალოდ მოვაჭრე უცხოური კომპანიის ფილიალებმა, როგორიცაა "ქარეფორ" და "ვოლ-მარტი," წარადგინეს ახალი საინფორმაციო პროცესების მართვის, ფასებისადმი მიდგომის, მარკეტინგის და მერჩანდაიზინგის თანამედროვე მეთოდები განვითარებადი ქვეყნების ბაზრებზე (120,გვ.59). კონკურენციის ზრდა ბაზარზე ადგილობრივ ბითუმად და საცალოდ მოვაჭრეებს აძლევს ბიძგს დანერგონ ახალი მეთოდები, გააუმჯობესონ მწარმოებლურობა და მოამზადონ მუშახელი. ინოვაციათა დანერგვა, ხარისხის, ფასების და ეფექტიანობის გაუმჯობესება, სავაჭრო ბარიერების შემცირება ხელს უწყობს დადებითი შედეგების მიღწევას განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში. საწარმოების ინტერნაციონალიზაცია დიდადაა დამოკიდებული იმ ქვეყნებისა და რეგიონების ბიზნესგარემოსა და პოლიტიკაზე, სადაც ფირმა ახორციელებს ძირითად საქმიანობას. საწარმოები განვითარებადი ქვეყნებიდან მუდმივად სწავლობენ მათ შესაძლებლობებს უცხოურ ბაზარზე იმისათვის, რომ გააფართოვონ მათი საქმიანობ,. რაც, თავის მხრივ, ეხმარება კომპანიებს, შეამცირონ რისკი, რომელიც დაკავშირებულია შეზღუდულ ბაზარზე საქმიანობასთან. სავაჭრო ლიბერალიზაციამ გაზარდა კონკურენცია და შეამცირა მოგება შიდა ბაზრებზე, მისცა მათ საქმიანობის საშუალება გაფართოებულ ბაზრებზე. თანამედროვე პერიოდში ბევრი საწარმო განვითარებადი ქვეყნებიდან, აქტიურად შედის განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე. ისინი იძენენ კომპანიებს, რომელთაც უკვე გააჩნიათ წარმატებული ბრენდი, რაც აძლევს მათ საშუალებას, მიაღწიონ მასშტაბის ეკონომიას. მაგალითად, 2007 წელს მექსიკურმა ცემენტის მწარმოებელმა კომპანია "ცემექსმა" შეიძინა აქციათა საკონტროლო პაკეტი 14.7 მილიარდ დოლარად ავსტრალიური კომპანია "რინკერ გრუფისგან". ამით "ცემექსმა" გააფართოვა მისი

საქმიანობა ავსტრალიასა და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში. უცხოურ ბაზარზე ორიენტირებული უპი-ების სხვა მაგალითებს წარმოადგენს ჩინური კომპანია "ტსლ"-ს მიერ ფრანგული კომპანიის "ტომპსონის" შეძენა, რომელიც ტელევიზორებისა და პერსონალური კომპიუტერების მწარმოებელი კომპანიაა[3]

ეფექტიანობაზე ორიენტირებული უპი-ები ძირითადად ხორციელდება განვითარებულ ქვეყნებს შორის, რომელთა ბაზრები მჭიდროდაა ინტეგრირებული (მაგალითად, ევროკავშირი). ასეთი ტიპის ინვესტიცია სარგებლობს ოფშორინგით, ეფექტიანობაზე ორიენტირებული უპი-ების მაგალითს წარმოადგენს საკრედიტო ბარათების მწარმოებელი კომპანიის "ტიტანიუმის" მიერ სატელეფონო ცენტრის გახსნა ინდოეთში, რათა მოემსახუროს ამერიკელ მომხმარებელს.[4] აღნიშნული სახის ინვესტიციას იზიდავს მიმღები ქვეყნის იაფი სამუშაო ძალა და ბუნებრივი რესურსები. ხელფასების ზრდამ განვითარებულ ქვეყნებში იძულებული გახადა ტეკ-ები, გადაეტანათ მათი შრომატევადი წარმოება განვითარებად ქვეყნებში, სადაც სამუშაო ძალა შედარებით იაფი იყო. ბოლო პერიოდში ხელფასების ზრდამ აზიის ზოგიერთ ქვეყანაში ეფექტიანობაზე ორიენტირებულ უპი-ებს უბიძგა მოეხდინათ ორიენტაცია სხვა დაბალი ხელფასის მქონე აზიის ქვეყნებზე მაგალითად, როგორიცაა ჩინეთი (131, გვ..10).

ეფექტიანობაზე ორიენტირებული უპი-ების შედარებით რთულ ფორმას განვითარებადი ქვეყნებისთვის წარმოადგენს აუთსორსინგი, რომელიც ეფუძნება ცოდნასა და მაღალ მწარმოებლურობას, ვიდრე იაფ სამუშაო ძალას. ასეთი ტიპის უპი-ები ძირითადად კონცენტრირებულია ინდუსტრიულ ქვეყნებზე. ამერიკული ტეკ-ები სარგებლობენ ასეთი ტიპის ინვესტიციებით, რომელსაც ძირითადად მიმართავენ ისეთ დარგებში როგორიცაა ავტომობილების წარმოება, ელექტრონიკა და პერსონალური კომპიუტერები. აუთსორსინგის ეს ფორმა წარმოადგენს ორიგინალურ ტექნოლოგიურ აღჭურვილობას, სადაც განვითარებადი ქვეყნის ფირმა ამარაგებს ტეკ-ებს საბოლოო პროდუქციით და სარგებლობს მათი ბრენდის სახელით. დღეისათვის არსებული ბიზნესგარემო ხასითდება გაზრდილი კონკურენციით, კორპორაციები ცდილობენ, თავისი ბიზნესი

[3] http://article.wn.com/view/2012/07/12/CEMEX_Completes_Global_Integration_of_New_Business_Platform/
[4] http://www.hdfcbank.com/personal/product/productdetails/titanium-credit-card/gts8miqc

უფრო ეფექტიანად მართონ, გაზარდონ მწარმოებლურობა და მოახდინონ საქმიანობის ინტერგრირება ვერტიკალურად ან ჰორიზონტალურად. განვითარებადი ქვეყნების ფირმები ცდილობენ, ხელახლა შეაფასონ მათი შიდა საქმიანობები და როლი გლობალური ღირებულებების შექმნის პროცესში. ისინი ახდენენ ინვესტირებას განვითარებულ ბაზრებზე, რათა მიაღწიონ ეფექტიანობას მათი მიმდინარე საქმიანობის ინტეგრირების გზით, გარდა ამისა, მოახდინონ პროდუქციის ადაპტირება საერთაშორისო სტანდარტებთან. ეფექტიანობაზე ორიენტირებული უპი-ების ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს 2006 წელს ინდური ფოლადის მწარმოებელი "ტატა სტილ" კომპანიის მიერ ბრიტანული კომპანიის "კორუს სტილის" შეძენა, რომელიც აწარმოებდა ფოლადს ავტომობილებსა და ავიაკოსმოსური წარმოებისთვის. აღნიშნული შეძენით ინდური კომპანია მსოფლიოში სიდიდით მეხუთე ფოლადის მწარმოებელი გახდა, რამაც შესაძლებლობა მისცა ინდურ კონგლომერატს, ჰქონდეს ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი "კორუს"-ის სადისტრიბუციო ქსელისადმი ხელმისაწვდომობა. მეორე მაგალითს წარმოადგენს ბრაზილიური თვითმფრინავების მწარმოებელი კომპანიის "ემბრაერ"-ის მიერ პორტუგალიური კომპანია "ოგმა"-ს შეძენა, რომელიც ახორციელებს თვითმფრინავების ტექნიკურ სარემონტო მომსახურებას, რის შედეგადაც კომპანიებმა გაამყარეს თავისი საქმიანობა ამ დარგში (78,გვ.242).

ცხრილი 1.5

უპი-ების მოტივი და მიმღები ქვეყნის დამახასითებელი ნიშნები

უპი მოტივი	მიმღები ქვეყნის მახასიათებლები
ბუნებრივ რესურსებზე ორიენტირებული	ნედლეული, პირველადი საქონელი
უცხოურ ბაზრებზე	1.ბაზრის ზომა და შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე.; 2.ბაზრის ზრდა 3.ხელმისაწვდომობა რეგიონურ და მესამე ქვეყნის ბაზრებზე;

ორიენტირებული	4.მომხმარებელთა გემოვნება კონკრეტულ ბაზრებზე; 5.სტრატეგიული მომხმარებლების სიახლოვე 6.ბაზრის სტრუქტურა (კონცენტრაცია, ფასების სტრუქტურა).
ეფექტიანობაზე ორიენტირებული	1.იაფი არაკვალიფიციური მუშახელი; 2.კვალიფიციური სამუშაო ძალა; 3.ხარჯები (სატრანსპორტო და საკომუნიკაციო მასპინძელი ქვეყნებიდან) ხარჯები შუალედურ პროდუქციაზე 4.რეგიონული ინტეგრაციული დაჯგუფებების წევრობა

წყარო: Nathan Associates, based on UNCTAD, *World Investment Report 2012*, გვ. 85.

ეფექტიანობაზე ორიენტირებული ინვესტიცია მიმღებ ქვეყანას წარუდგენს წარმოების ახალ ტექნოლოგიას და ამით ზრდის მასპინძელი ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობას, გარდა ამისა, მენეჯერულ გამოცდილებას. უქმნის რეციპიენტ ქვეყანას ხარისხის, საიმედოობის კარგ რეპუტაციას. უზრუნველყოფს მიმღები ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდას შუალედური პროდუქციის ხარჯების შემცირებით, რაც ახალისებს პროდუქციის ექსპორტს, საბანკო საქმეს, დაზღვევას, ბიზნესს, ტრანსპორტს, ელექტროენერგიას და ტელეკომუნიკაციებს.

ამ მხრივ, ინვესტორთა მოტივაცია საქართველოში ძირითადად კონცენტრირებულია იაფ სამუშაო ძალის, ელექტროენერგიის გამოყენებასა და ნედლეულის მოპოვებისკენ, რასაც ადასტურებს ინვესტორთა საქართველოს ნავთობ და გაზსადენებით დაინტერესება და კაპიტალდაბანდებები ამ სფეროში. მაგალითად, ინგლისურმა კომპანია "ბრითიშ პეტროლიუმმა" და მისმა პარტნიორებმა საქართველოს 3 ნავთობსადენის და გაზსადენის რეაბილიტაცია–მშენებლობაში დააბანდეს 5 მილიარდი დოლარი. 2005 წელს დასრულდა "ბაქო-თბილისი–ჯეიჰანის" მილსადენის მშენებლობა, რომელზეც დაიხარჯა 4 მლრდ დოლარი. ქვეყანას, მისი რესურსებიდან გამომდინარე, იმის პოტენციალი გააჩნია, რომ მიმზიდველი ადგილი გახდეს საინვესტიციო პროექტების განხორციელებისათვის.

გამოყოფენ უპი-ების სხვადასხვა ფორმებს, ესენია:

–გრინფილდი (მწვანე ველის);

–ბრაუნფილდი;

–“შერწყმა” და “შთანთქმა”;

–ჰორიზონტალური;

–ვერტიკალური;

–ერთობლივი საწარმოები.

გრინფილდ ანუ “მწვანე ველის” ინვესტიცია არის უპი-ების ფორმა, რომლის დროსაც, ინვესტიციები მიემართება საზღვარგარეთ ახალი საწარმოების შექმნის ან უკვე არსებული ობიექტების გაფართოებისკენ. გრინფილდ ინვესტიციებს ახორციელებენ მსხვილი ტეკ-ები, რომლებიც შედიან განვითარებადი ქვეყნების ბაზრებზე და იწყებენ იქ ქარხნებისა და მაღაზიების მშენებლობას. მიმღებ ქვეყანაში იქმნება გრძელვადიანი სამუშაო ადგილები. სუსტად განვითარებული ქვეყნები სთავაზობენ დაბალ საგადასახადო განაკვეთს, სუბსიდიებსა და სხვა სახის შეღავათებს, რითაც სტიმულს აძლევენ ქვეყანაში გრინფილდ ინვესტიციების გამოჩენას ერთი მხრივ, აღნიშნული ამცირებს ეროვნული მთავრობის საგადასახადო შემოსავლებს, თუმცა, მეორე მხრივ, ამ ქმედებით სახელმწიფო ხელს უწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. ქვეყანა იღებს ცოდნას, გამოცდილებასა და ტექნოლოგიას, რაც, საბოლოოდ, განაპირობებს ეროვნულ ეკონომიკაში კვალიფიციური კადრების ზრდას. თუმცა აღსანიშნავია უპი-ების აღნიშული ფორმის ნაკლოვანება, ტეკ-ები ხშირად გამოდევნიან ბაზრიდან ადგილობრივ წარმოებას, რამდენადაც ისინი აწარმოებენ საქონელსა და მომსახურებას უფრო იაფად, ხოლო ადგილობრივი ფირმები ვერ უწევენ კონკურენციას, რასაც თან სდევს მათი ბაზრიდან გასვლა. გარდა ამისა, წარმოებიდან მიღებული მოგებით მასპინძელი ქვეყანა ვერ სარგებლობს, რამდენადაც ეს მოგება გაედინება ტეკ-ს ბაზირების ქვეყნებში, ანუ ადგილი აქვს მოგების რეპატრირებას.

ცხრილ 1.6-ში წარმოდგენილია მსოფლიოში 10 უმსხვილესი გრინფილდ ინვესტიციათა გარიგება, წარმოებული 10 უმსხვილესი ტეკ-მიერ.

ცხრილი 1.6

უმსხვილესი გრინფილდ ინვესტიციათა გარიგებები

კომპანიის ბაზირების ქვეყანა	მაინვესტირებელი კომპანია	ინვესტიციათა დაბანდების დარგები	მიმღები ქვეყანა	ინვესტიციათა მოცულობა (მლნ)	წლები
არაბთა გაერთიანებული ემირატები	**Emaar Properties PJSC**	**Real estate**	პაკისტანი	**18 725**	2010
მალაიზია	**Petroliam Nasional Berhad**	**Coal, oil and natural gas,Real estate**	ავსტრალია	**16 000**	2010
არაბთა გაერთიანებული ემირატები	**Dubai Holding LLC**	**Coal, oil and natural gas**	ტუნისი	**14 000**	2010
კუვეიტი	**Kuwait Petroleum Corporation**	**Coal, oil and natural gas**	ჩინეთი	**9 000**	2010
ინდოეთი	**Indian Oil Corporation Ltd**	**Coal, oil and natural gas**	თურქეთი	**6 000**	2011
ჩინეთი	**China National Petroleum Corporation**	**Coal, oil and natural gas**	კუბა	**5 800**	2010
ჩინეთი	**China State Construction Engineering Corporation**	**Coal, oil and natural gas**	ნიგერია	**5 740**	2010
არაბთა გაერთიანებული ემირატები	**International Petroleum Investment Company PJSC**	**Coal, oil and natural gas**	მაროკო	**5 000**	2009
საფრანგეთი	**GDF Suez SA**	**Coal, oil and natural gas**	კამერუნი	**5 000**	2011
საფრანგეთი	**AREVA Group**	**Alternative/renewable energy**	აშშ	**4 700**	2011

წყარო: UNCTAD,Greenfield investment database, 2011 გვ..205

ბრაუნფილდ ინვესტიცია - გულისხმობს ადრე აშენებული ქარხნის ან სხვა დაწესებულების შეძენას იმისათვის, რომ ის სხვა საქმიანობისთვის იქნეს გამოყენებული. მაგალითად, თუ ჩაქუჩების მწარმოებელი კომპანია შეიძენს სახრახნისების მწარმოებელ კომპანიას ჩაქუჩების წარმოების გასაფართოებლად, ეს ბრაუნფილს ინვესტიციის ნათელი მაგალითი იქნება.

"შერწყმა" და "შთანთქმა" უპი-ების ერთ-ერთი ფორმაა, რომლის მეშვეობითაც ორი ან მეტი კომპანიის აქტივები და ვალდებულებები ერთიანდება და წარმოიქმნება ერთი ბიზნესსუბიექტი. გაერთიანების შემდეგ კომპანიები აღარ წარმოადგენენ დამოუკიდებელ ეკონომიკურ ერთეულებს. ერთი ფირმის აქტივები და ვალდებულებები გადაეცემა მეორეს. შერწყმა შეიძლება მოხდეს თანაბარი ზომის და საბაზრო ძალაუფლების მქონე კომპანიებს შორის, ამგვარ გარიგებას ძირითადად აქვს მეგობრული ხასიათი. მაგალითად, კომპანიებმა "დრაიმლერ ბენზმა" და "ქრის ლერმა" შეწყვიტეს საქმიანობა, როდესაც გადაწყდა ფირმათა შერწყმა და მათ ადგილას დაფუძნდა ახალი კომპანია "დრაიმლერქრისლერი"[5]

შთანთქმა გულისხმობს უფრო დიდი სუბიექტის მიერ შედარებით მცირე ზომის კომპანიის შეერთებას, ასეთი ტიპის გარიგებას ძირითადად მტრული ხასიათი აქვს. საქართველოს კანონმდებლობით შერწყმაში იგულისხმება იურიდიული პირის რეორგანიზაცია, რომლის დროსაც თითოეული მათგანის უფლებები და მოვალეობები გადადის ახლად შექმნილ იურიდიულ პირზე გადასაცემი აქტის შესაბამისად. შერწყმის გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს. ერთი საწარმო უერთდება მეორეს თუ ორი საწარმო ერთიანდება ერთ ახალ საწარმოდ. შერწყმის ფორმა, რომელიც გულისხმობს, რომ მშთანთქმელი კომპანია იურიდიულ პირად რჩება, ხოლო შთანთქმული - უქმდება; ამასთან, პირველს მთელ ქონებას, ვალდებულებებს, ვალებს გადასცემს. ასეთი ოპერაციის შედეგად შთანთქმული კომპანია თავის აქტივს მშთანთქმელი კომპანიის წმინდა

[5] (http://www.theautochannel.com/news/press/date/19980507/press012154.html

აქტივების რაოდენობით ზრდის, ხოლო მის აქციონერებს თითოეულის წილობრივი მონაწილეობის პროპორციულად, ახალი აქტივების შეძენის უფლება ეძლევათ. უმეტესად შთანთქმა იძულებით მიმდინარეობს.

დღეისათვის მოწინავე დარგებში ტექნოლოგიური ცვლილებები სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, რასაც ფირმები აგრესიული შთანთქმებით პასუხობენ. “Cisco” და “Microsof”, მაგალითად შთანთქმებს იმის უზრუნველსაყოფად იყენებენ, რომ კონკურენტ ფირმებში დანერგილი ინოვაციების და ტექნოლოგიური ცვლილებების ფონზე შეძლონ კონკურენტული უპირატესობის შენარჩუნება, აქციების ან აქტივების შესყიდვის შემთხვევაში [6] მეორე ფირმის წილის შესაძენად. განსხვავება უპი-ების ამ ორ ფორმას შორის იმაში მდგომარეობს, თუ რამდენად “მეგობრულია” ფირმათშორისი გარიგება. თუ სამიზნე კომპანიას არ სურს იყოს შესყიდული მეორე ფირმის მიერ, ასეთი სახის გარიგება განიხილება, როგორც “შთანთქმა”, სხვა სიტყვებით, ორ ცნებას შორის განსხვავება დამოკიდებულია თუ როგორ მიიღებენ სამიზნე კომპანიის დირექტორები, თანამშრომლები და აქციათა მფლობელები აღნიშნულ გარიგებას. ორი ფირმის მმართველი. რომლებიც შეთანხმდებიან, გაერთიანდნენ კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე, ასეთი სახის გარიგება მიიჩნევა როგორც შერწყმა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი – როგორც “შთანთქმა”. შერწყმები და შთანთქმები ყველაზე აქტიურად მიმდინარეობს კომპიუტერული და პროგრამული უზრუნველყოფის, ფარმაცევტულ, საავტომობილო, ელექტრონიკის, ფინანსურ და საბანკო მომსახურების, ტელეკომუნიკაციების, საბროკერო, საინვესტიციო, კვების მრეწველობის სფეროებში.

უპი-ების ორივე ფორმა – “შერწყმა” და შთანთქმა” და გრინფილდ ინვესტიციები ინვესტიციათა მასპინძელ ქვეყანას დამატებით ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფს. ძირითადი განსხვავება უპი-ების ამ ორ ფორმას შორის შემდეგია – გრინფილდ ინვესტიცები უცხო ქვეყნებში აშენებენ ახალ საწარმოებს, ხოლო შერწყმა-შთანთქმა გულისხმობს ადგილობრივი კომპანიების აქტივების გადაცემას უცხოელი ინვესტორის მფლობელობაში.

განვიხილოთ ინვესტიციათა რეციპიენტი ქვეყნებისთვის “შერწყმა-შთანთქმ-ის”, როგორც ბიზნესის განვითარების სტრატეგიის უპირატესობები:

[6] http://www.cisco.com/web/partners/pr67/pr41/partners_strategic_alliance_.html)

- ფირმათა "შერწყმა-შთანთქმ-ის" გარიგებები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნაში პრივატიზაციის და წამოების რესტრუქტურიზაციის პროცესში. უპი-ების აღნიშნული ფორმა შეიძლება იყოს ერთადერთი ალტერნატივე გაკოტრების პირას მყოფ ფირმათა სავალუტო რესურსებით უზრუნველყოფაში;
- "შერწყმა-შთანთქმ-ის" გარიგებები ზრდის მიმღები ქვეყნის წარმოების კონცენტრაციას, ამცირებს და აღმოფხვრის კონკურენციას ადგილობრივ ბაზარზე, თუმცა იცავს ფირმებს, რომლებიც გაკოტრების შედეგად შესაძლოა გამქრალიყვნენ;
- მიზნების სწრაფად მიღწევის შესაძლებლობა და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი აქტივების, მათ შორის არამატერიალურის, სწრაფად მოპოვება;
- გრძელვადიან პერიოდში ფირმათა "შერწყმა-შთანთქმ"-ის გარიგებები ქმნის სამუშაო ადგილებს იმ შემთხვევაში, თუ სამიზნე კომპანია გაძლიერდა და წარმოების მოცულობა გაზარდა;
- როდესაც ადგილობრივი ფირმა შეზღუდულია გაზარდოს საქონლის წარმოება, "შერწყმა–შთანთქმა"-ს თან სდევს ტექნოლოგიების და გამოცდილების გადაცემა, რაც ხელს შეუწყობს სამიზნე კომპანიას, განავითაროს საქმიანობა და გაზარდოს წარმოების მოცულობა;
- ბაზრის გაზრდილი წილის მოპოვებაბა;
- მასშტაბის ეკონომია და სინერგიული ეფექტის მიღწევა.

ბიზნესლიტერატურაში [102,106,107] არსებობს ავტორთა შეხედულებები და ემპირიულ კვლევათა შედეგები, თუ უპი-ების რომელი ფორმა – გრინფილდ ინვესტიციები თუ "შერწყმა-შთანთქმის" გარიგებებია განვითარებადი ქვეყნებისთვის სარგებლის მომტანი. ნანდას თანახმად [102,გვ.37], გრინფილდ ინვესტიციები მიმღები განვითარებადი ქვეყნებისთვის შედარებით მომგებიანია "შერწყმა-შთანთქმის" გარიგებებთან შედარებით, რამდენადაც ამგვარი ინვესტიციები ხელს უწყობს ახალი ბიზნესის დაწყებას, რომელიც მასპინძელ ქვეყნებში უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას, თუმცა, ამავდროულად აღნიშნავს, რომ ზოგიერთი გრინფილდ ინვესტიცია ორიენტირებულია მხოლოდ ინვესტორის მოგების მაქსიმიზაციისკენ, რაც შეეხება "შერწყმა-შთანთქმის" გარიგებებს, მათი

ძირითადი ფუნქციაა ხელი შეუწყოს დიდ ორგანიზაციათა განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, რომლებიც განიცდიან კაპიტალისა და ნოუ-ჰაუს დეფიციტს. ნანდა მიიჩნევს, რომ ჩინეთი ხასიათდება ინვესტიციათა მკაცრი რეგულირებით ინდოეთთან შედარებით და სწრაფად იღებს გადაწყვეტილებებს ინვესტიციათა პროექტების მიღებისა და უარყოფის შესახებ. აღნიშნული ფაქტი, ნანდას თანახმად, წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზს, რამაც ჩინეთი უფრო წარმატებული ქვეყანა გახადა, ვიდრე ინდოეთი [7]

განვიხილოთ 2007-2011 წწ-ში 10 უმსხვილესი ტეკ მიერ განხორციელებული შერწყმა-შთანთქმის გარიგებები (იხ.ცხრ.1.7).

ცხრილი 1.7

უმსხვილესი "შერწყმა-შთანთქმის" გარიგებები

მყიდველი კომპანია	შეძენილი კომპანია	შეძენილი დარგები	მოცულობა
EDF (United Kingdom)	British Energy Group PLC	Electric services	73
Japan Tobacco Inc (United Kingdom)	Gallaher Group PLC	Cigarettes	100
SABIC (United States)	GE Plastics	Plastics materials and synthetic resins	100
Sinopec Group (Switzerland)	Addax Petroleum Corp	Crude petroleum and natural gas	100
Sinopec Group (Brazil)	Repsol YPF Brasil SA	Crude petroleum and natural gas	40
Dubai World (united kingdom)	Peninsular & Oriental Steam Navigation Co	Deep sea foreign transportation of freight	100
EDF (united kingdom)	British Energy Group PLC	Electric services	26
Swisscom AG (Swiss Confederation) (Italy)	FASTWEB SpA	Information retrieval services	82

[7] http://smalallah.com/2010/09/19/greenfield-investment-or-merger-and-acquisition/)

EDF (United states)	**Constellation Energy Nuclear Group LLC**	**Electric services**	**50**
PSA Corp Ltd (Ministry of Finance) (Hong Kong, China)	**Hutchison Port Holdings Ltd**	**Marine cargo handling**	**20**

წყარო: UNCTAD, cross-border M&A database (www.unctad.org/fdistatistics), 2011.

ცხრილი ნათლად ასახავს, რომ 2007-2011 წწ-ში "შერწყმა-შთანთქმ"-ის გარიგებების დიდი ნაწილი, ძირითადად განვითარებულ ქვეყნებში განხორციელდა. აღნიშნულმა ინვესტიციებმა მოიცვა შემდეგი დარგები: ელექტრო-ტექნიკური მომსახურება, საზღვაო გადაზიდვები, ნავთობი, ბუნებრივი აირი, პლასტმასები, სინთეზური ფისები, სიგარეტი, ინფორმაციული მომსახურეობა და სხვა. გლობალურ ბაზრებზე გადარჩენისთვის ბრძოლაა ის ფაქტორი, რომელიც განაპირობებს შერწყმისა და შთანთქმის ტალღის გაძლიერებას

ჰორიზონტალური ინვესტიციები უპი-ების ისეთი ფორმაა, როდესაც ტეკ-მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული ინვესტიციები მიემართება იმავე დარგში, რომელშიც საქმიანობს კომპანია ბაზირების ქვეყანაში. ტეკ-ები ერთი და იმავე სახის საქონელსა და მომსახურებას სხვადასხვა ქვეყნის რამდენიმე საწარმოში აწარმოებენ და თითოეული საწარმო უზრუნველყოფს ადგილობრივ ბაზარს ეროვნული წარმოებით. ჰორიზონტალური უპი-ები ეფუძნება ორი ძირითადი ფაქტორის არსებობას: დადებითი სავაჭრო დანახარჯებისა და ფირმათა დონეზე მასშტაბის ეკონომიას. აღნიშნული სახის ინვესტიციების ძირითადი მიზანია თავიდან აიცილოს სატრანსპორტო დანახარჯები და მიიღოს იოლი წვდომა საგარეო ბაზრებზე. ჰორიზონტალური უპი-ები შეიძლება დახასიათდეს, ერთი მხრივ, დანახარჯების გათანაბრების და მეორე მხრივ, სარგებლიანობის მიღების თვალსაზრისით. უცხოური საწარმოს დაარსება ინვესტიციათა მიმღებ ქვეყანაში დაკავშირებულია დამატებით დანახარჯებთან. არსებობს ორი სახის წარმოების დანახარჯი – მუდმივი და ცვალებადი, რომელიც თავის მხრივ, დამოკიდებულია შემდეგ ორ ძირითად ფაქტორზე – ტექნოლოგიასა და საქონლის ფასზე. მასშტაბის ეკონომიის არსებობა ფირმის დონეზე ზრდის დანახარჯს, რომელიც,

განპირობებულია უცხოური საწარმოს შექმნით, მეორე მხრივ, ფირმა იღებს ეკონომიას საექსპორტო პროდუქციის წარმოებიდან ადგილობრივ წარმოებაზე გადასვლით. კომპანიის დამატებითი სარგებელი დაკავშირებულია ბაზრის სიახლოვესთან მაგალითად, თუ საქონლის მიწოდების დროს წარმოიშობა დანაკლისი, მოცემულ შემთხვევაში ახლოს მდებარე ბაზარი უფრო ადვილად რეაგირებს დანაკლისზე და დროულად მიაწვდის ფირმას პროდუქციას. ამდენად, როდესაც მოგება გადააჭარბებს ხარჯებს, ტეკ-ები განახორციელებენ ჰორიზონტალურ უპი-ებს.

ვერტიკალური ინვესტიციები არის უპი-ების ისეთი ფორმა, როდესაც ტეკ-ები წარმოების პროცესს ყოფენ რამდენიმე ეტაპად, განათავსებენ ფილიალებსსხვადასხვა ქვეყანაში, რომლებიც უზრუნველყოფენ საზღვარგარეთ წარმოების შიდა პროცესს. ვერტიკალური უპი-ების თეორიულ მოდელს საფუძვლად უდევს განსხვავება ქვეყნებს შორის წარმოების ფაქტორთა მოცულობაში. აღნიშნულ მოდელს საფუძველი ჩაუყარა ჰელფენმა და კრუგმანმა (69,გვ.13), თავდაპირველად გამოკვლევები მიმართული იყო კომპანიების საქმიანობის საზღვარგარეთ გაფართოებისკენ, რადგანაც არსებობდა განსხვავება წარმოების ფაქტორთა მოცულობაში. ჰელფენმა პირველმა ახსნა, რომ ტეკ-ები წარმოებიდან ეკონომიას იღებენ ვერტიკალურად ინტეგრირებული წარმოების არსებობით, რომელიც გამოყოფს მაღალკვალიფიციური მუშახელის საქმიანობას დაბალი კვალიფიკაციის მქონე მუშახელის საწარმოო საქმიანობისაგან. აღნიშნული საქმიანობები განსხვავდება ერთმანეთისგან წარმოების ფაქტორთა ინტენსიურობით და შესაძლებელია, ისინი დაიყოს გეოგრაფიულად. ჰელფმენის მოდელი არ ითვალისწინებს ტარიფებისა და სატრანსპორტო დანახარჯების არსებობას, ფირმას შეუძლია მხოლოდ ერთი საწარმო გახსნას საზღვარგარეთ. მოდელის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს წარმოების ფაქტორთა ფასების გათანაბრება, რომლის თანახმად, თუ წარმოების ფაქტორთა მოცულობაში განსხვავება დიდი არ არის, მაშინ საქონლით ვაჭრობა შეძლებს, ქვეყნებს შორის გაათანაბროს წარმოების ფაქტორთა ფასები, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, მაგალითად, თუ ერთი ქვეყანა ფლობს მაღალ კვალიფიციურ მუშახელს და, ამასთან კაპიტალის არცთუ ისე ჭარბ მოცულობას, ასეთ შემთხვევაში

ვაჭრობა ვერ შეძლებს მოცემულ ქვეყანაში წარმოების ფაქტორთა ფასების გათანაბრებას, ხოლო ფირმებისათვის ასეთ დროს მომგებიანია, გაანაწილოს საქმიანობა საზღვარგარეთ. მაგალითად, გად

უპი-ები ეძიებს დისტრიბუტორებს კონკრეტულ ბაზარზე, ვთქვათ ამერიკულ საავტომობილო ფირმას სურს, გაყიდოს ავტომობილები იაპონურ ბაზარზე. თუ იაპონელ დილერთა უმეტესობა ეწინააღმდეგება უცხოური ბრენდის გავრცელებას ქვეყანაში, ასეთ დროს ამერკული სავტომობილო ფირმა მიზნის მისაღწევად ქმნის იაპონიაში საკუთარ სადისრიბუციო ქსელს.

ერთობლივი საწარმო უპი-ების განხორციელების ერთ-ერთ ფორმაა, რომლის დროსაც ორი ან მეტი კომპანია იწყებს ბიზნეს საქმიანობას და თანხმდება, გაინაწილონ მოგება და ზარალი. ასეთი კომპანიების დაარსება დიდი ხნის განმავლობაში საგარეო ბაზარზე შესვლის მეტად პოპულარული ხერხი იყო. ერთობლივ კომპანიებში საკუთრება 50/50-ზე ნაწილდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მას ჰყავს ორი მფლობელი, რომლებიც ფირმის 50-50 პროცენტს ფლობენ. ერთობლივი საწარმოს უპირატესობაა პარტნიორისაგან შეძენილი გამოცდილება და რისკებთან დაკავშირებული დანახარჯების განაწილება, ხოლო ძირითადი ნაკლოვანებაა ლიცენზირების შემთხვევაში საკუთარ ტექნოლოგიებზე სრული კონტროლის დაკარგვა.

უპი-ების თითოეული ფორმა მნიშვნელოვან როლს ასულებს მიმღები ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში, ზრდის რეციპიენტი ქვეყნის კონკურენტუნარიანობას, ხელს უწყობს დასაქმებას და ამცირებს მასპინძელ ქვეყანაში სოციალურ უთანასწორობას.

ჩვენი აზრით, საქართველოში გრინფილდ ინვესტიციების (რომელიც მოიცავს ახალი საწარმოს მართვის მეთოდების დაფუძნებას) განხორციელება ხელს შეუწყობს ახალი ბიზნესის განვითარების შესაძლებლობას, თუმცა საწარმოთა მშენებლობა ნულიდან საკმაოდ სარისკო საქმეა ისეთ ქვეყანაში, რომელიც ჯერ კიდევ დიდი გამოწვევების წინაშე დგას. დღეისათვის ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციები ძირითადად "შერწყმა-შთანთქმის" გარიგებებით დგება (იხ.ცხრლ.1.8),

ცხრილი 1.8

შერწყმა-შთანთქმის” და გრინფილდ ინვესტიციები საქართველოში (2005-2011)წწ

წლები	შერწყმა-შთანთქმის გარიგებები	გრინფილდ ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)
2005	5	*
2006	7	*
2007	9	*
2008	4	2
2009	-1	3
2010	3	3
2011	-	1

წყარო: World investment report 2011;Non-Equity Modes of International production and Development, p.202

თუმცა ამ უკანასკნელის მაგალითები საქართველოს ბაზარზე ძალიან ცოტაა, ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ კომპანიათა “შერწყმა-შთანთქმის” პროცესი რთული და მრავალმიშვნელოვანია საქართველოში არსებული საწარმოებისთვის, რომლებიც ფინანსებისა და ნოუ-ჰაუს დეფიციტს განიცდიან, აღნიშნულ ინვესტიციათა გარიგებების ზრდა ხელს შეუწყობს მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვას, საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ზრდას და, საბოლოო ანგარიშით, იქნება ინვესტიციათა დაბანდების ეფექტიანი ხერხი. ყოველივე აღნიშნულის საფუძველს ქვეყნისათვის წარმოადგენს სწორი საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება, რომელსაც დეტალურად განვიხილავთ დისერტაციის მეორე თავში.

1.2. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე

დღეისათვის მსოფლიოს ყველა ქვეყანა ცდილობს მოიზიდოს უპი-ები, რამდენადაც ის ასოცირდება ეკონომიკურ ზრდასა და პროგრესთან. ცნობილი შვედი ეკონომისტის მ. ბლომსტორმის თანახმად, უპი-ები განვითარებად ქვეყნებს აძლევს საშუალებას, იოლად დაეუფლონ თანამედროვე ტექნოლოგიებს, რაც, თავის მხრივ, აძლიერებს ადგილობრივი ფირმების შესაძლებლობებსა და უნარს, აწარმოონ მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქცია. სწორედ ახალ ტექნოლოგიათა მიღებაა ძირითადი მიზანი, რის გამოც ქვეყნები აქტიურად ცდლიობენ მოიზიდონ უცხოური პირდაპირი ინვესტიციები (52,გვ.250). ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი რ. ქეივსი აღნიშნავს, რომ მიმღები ქვეყნის ეკონომიკისთვის დადებით ეფექტთა შორის აღსანიშნავია მწარმოებლურობის ზრდა, ტექნოლოგიებისა და ნოუ-ჰაუს გადაცემა, ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა, დასაქმებული პერსონალის მომზადება და წარმოების საერთაშორისო ქსელების წარმოშობა (60,გვ..88). ამერიკელი ეკონომისტების მიულერისა და გოიჩის მოსაზრებით, მასპინძელი ქვეყანა უპი-ების დახმარებით ზრდის შრომის მწარმოებლურობას და დასაქმებას, სტიმულს აძლევს ინოვაციების დანერგვას და ხელს უწყობს მდგრად ეკონომიკურ ზრდას (97,გვ.405).

განვიხილოთ მიმღები ქვეყნისათვის უპი-ების დადებითი შედეგები:

– **ტექნოლოგია და ნოუ-ჰაუ.** ფართო გაგებით, ტექნოლოგია ნიშნავს მართვის პრაქტიკის, წარმოების მეთოდებისა და კოდიფიცირებული ნოუ-ჰაუს გადაცემას, რითაც ფირმა ქმნის ახალ პროდუქტს. ტექნოლოგიათა გადაცემა მნიშვნელოვანი არხია, რომლის მეშვეობითაც უპი-ები ქმნის პოზიტიურ გარე ფაქტორს მიმღებ განვითარებად ქვეყანაში. ტეკ-ები მასპინძელ ქვეყანებში ნერგავენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, რომლის მეშვეობითაც ადგილობრივი ფირმები ზრდიან მწარმოებლურობას, იქმნება ახალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ინოვაციები, ყოველივე ეს ასტიმულირებს ეკონომიკურ ზრდას. გარდა ამისა, ტეკ-ებს მსოფლიოში

მაღალკვალიფიციურ კადრებზე მიუწვდებათ ხელი, რომლებიც ფლობენ თანამედროვე უნარ-ჩვევებს, ცოდნასა და გამოცდილებას, რაც გადაეცემა უცხოურ ფილიალებს სპეციალური მოსამზადებელი კურსების შექმნით;

– ხელმისაწვდომობა საქონელსა და მომსახურეობაზე. ფირმები, რომლებიც აბანდებენ კაპიტალს საზღვარგარეთ, უზრუნველყოფენ დაბანდების ქვეყანას საქონლითა და მომსახურებით. უპი-ები დაბანდებით ასტიმულირებენ პროდუქციის დივერსიფიკაციას ახალ ბიზნესპროექტებში, ამით მცირდება დამოკიდებულება ადგილობრივ ბაზრებზე, რომელიც ხასიათდება პროდუქციის ვიწრო ასორტიმენტით, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ვაჭრობის განვითარებას. ტეკ-ები დადებითად ზემოქმედებენ საქონლისა და მომსახურების ექსპორტზე, ხელს უწყობენ ინვესტიციათა რეციპიენტ ქვეყნებში წარმოებას, გავიდნენ შიდა ბაზრიდან საგარეო ბაზრებზე (133,გვ.61).

– **ადგილობრივი მონოპოლიების ძალაუფლების შეზღუდვა**. უპი-ებს შეუძლიათ შეცვალონ არაეფექტიანი, მაგრამ მონოპოლიური ძალაუფლების მქონე ადგილობრივი ფირმები უფრო ეფექტიანი უცხოური კომპანიებით და ამით გაზარდონ მომხმარებელთა კეთილდღეობა. თუ მასპინძელი ქვეყნის კონკრეტულ დარგში დომინირებს ერთი ან რამდენიმე ფირმა. უცხოური კომპანიების შემოსვლის შემდეგ ადგილობრივ ფირმებს უჩნდებათ მძლავრი კონკურენტები. ეს ხელს უწყობს მოცემულ დარგში შემოსავლების ზრდასა და ფასების შემცირებას. ამრიგად, საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობა განიხილება, როგორც ერთგვარი ანტიმონოპოლიური პოლიტიკა;

–ეკონომიკური ზრდა და დასაქმება. როდესაც უცხოური ფირმა მიმღებ ქვეყანასთან დაკავშირებულია გრძელვადიანი ვალდებულებებით, მას შეუძლია, მოცემული ქვეყანა უზრუნველყოს სტაბილური დასაქმებით. სამუშაო ადგილების შექმნა უპი-ების დადებითი შედეგია, რამდენადაც ქვეყანა ხდება უფრო პროდუქტიული და შესაბამისად იზრდება მისი კონკურენტუნარიანობა. საბოლოო ანგარიშით, უპი-ები ხელს უწყობს დასაქმების ზრდას მასპინძელ ქვეყნებში. დადებითად ზემოქმედებს ადგილობრივ ფირმებში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, როგორც ტრენინგებით, ასევე მოწინავე ტექნოლოგიათა გადაცემით.

დღეისათვის პრაქტიკულად ყველა ქვეყნის მთავრობაა დაინტერესებული მოიზიდოს უპი-ები, რამდენადაც ის პოზიტიურად ზემოქმედებს მთლიანი შიგა

პროდუქტზე (მშპ) ახალი ტექნოლოგიების დანერგვით, რომლის როლიც ფასდაუდებელია ეკონომიკის ბაზის განვითარებაში ადამიან-კაპიტალის ზრდით, თანამედროვე მენეჯერული ჩვევების პრაქტიკაში დანერგვით, უფრო ზოგადად კი, უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან მასტიმულირებელ ფაქტორს თუ მასპინძელ ქვეყანაში ხორციელდება ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა. ამ კონცეფციით, უპი-ები, ეკონომიკური ზრდა და ექსპორტი ურთიერთდაკავშირებული ცნებებია. აღნიშნული მოსაზრება აქტუალურია განსაკუთრებით მცირე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, რომლებიც ხასიათდებიან შეზღუდული შიდა ბაზრებით. პირდაპირი ინვესტიციების დადებითი საგარეო ეფექტიანობა დაკავშირებულია ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვასთან, ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკის განვითარებაში, პირველ რიგში, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, ხოლო მეორე მხრივ, მცირემასშტაბიან ეკონომიკებში (ტერიტორიულ-დემოგრაფიული და ბუნებრივი რესურსების მაჩვენებლით). მცირე, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ინვესტიციათა მოზიდვა დაკავშირებულია სიძნელეებთან, მაგალითად, ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის პროცესებთან. საშუალო და მსხვილი გარდამავალი ეკონომიკები ხასიათდებიან შედარებით მეტი ეკონომიკური რესურსებით და შესწევთ უნარი, დამოუკიდებლად განახორციელონ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, საკუთარი ძალისხმევით გაუწიონ კონკურენცია უცხოელ კონკურენტებს, იყვნენ კონკურენტუნარიანი მსოფლიო ბაზარზე, დაიცვან მათი ინტერესები საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში, ტექნოლოგიური და საგანმანათლებლო ბაზებით განავითარონ უახლესი ტექნოლოგიები და შექმნან ეროვნული ინოვაციური პროექტები.

თეორიულად, უპი-ების შემოდინება ქვეყანაში დადებითად ზემოქმედებს მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. სხვადასხვა ეკონომიკური ზრდის თეორიები სხვადასხვანაირად განმარტავს უპი-ების როლს მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკურ თეორიაში სოლოუმ განმარტა, რომ დანაზოგისა და მოსახლეობის ზრდის ტემპი (აღნიშნულ მოდელში მოსახლეობის და დანაზოგის ზრდის ტემპი წარმოადგენს ეგზოგენურ ფაქტორს) განსაზღვრავს მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლების სტაბილურ დონეს. სოლოუს თანახმად,

ქვეყნები ერთმანეთისგან განსხვავდებიან დანაზოგებისა და მოსახლეობის ზრდის ტემპით, ამიტომ ისინი აღწევენ შემოსავლების სხვადასხვა დონეს. ნეოკლასიკურ მოდელში, თუ ქვეყანა ხასიათდება მაღალი შიდა დანაზოგით, ეს ხელს უწყობს ქვეყნის გამდიდრებას და პირიქით, მოსახლეობის მაღალი ზრდის ტემპი უფრო აღარიბებს ეკონომიკას. აღნიშნული თეორიის თანახმად, უპი-ები დადებითად ზემოქმედებს მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე და ზრდის სოციალურ კეთილდღეობას, რამდენადაც უცხოელ ინვესტორებს შემოაქვთ კაპიტალი მიმღებ ქვეყანაში. კაპიტალის ნაკადები და მოგების რეინვესტირება გაზრდის მთლიან შიდა დანაზოგს და სამთავრობო შემოსავლებს. სოლოუ ამტკიცებდა, რომ კაპიტალის ფორმირება ხელს უწყობს შრომის მწარმოებლურობას ინვესტიციათა ზრდის დინამიურ პროცესში. ის განიხილავს ეკონომიკას, რომელიც აწარმოებს ერთგვაროვან პროდუქციას კაპიტალის და შრომის გამოყენებით. ნეოკლასიკურ თეორიაში, მოკლევდიან პერიოდში, რომლისთვისაც დამახასიათებელია შემცირებული შემოსავლები ფიზიკურ კაპიტალზე და ეგზოგენური ტექნოლოგიური ცვლილებები, უპი-ები ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. თუმცა ის განიხილება ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელ ძალად თუ უპი-ები ტექნოლოგიებზე ზემოქმედებენ მუდმივად და პოზიტიურად (118,გვ.75).

ენდოგენური ზრდის მოდელში (ეკონომიკური ზრდის ახალი თეორია) უპი-ები სტიმულს აძლევს მიმღები ქვეყნის პროდუქციის წარმოების პროცესში ახალი ტექნოლოგიების დანერგვას. უპი-ები, რომელთა მეშვეობით ქვეყანას გადაეცემა მოწინავე ტექნოლოგიები, ანაზღაურებს ფიზიკურ კაპიტალზე შემცირებულ მოგებას და ხელს უწყობს ეკონომიკის ზრდის შენარჩუნებას გრძელვადიანი ზრდის ტრაექტორიაზე. ნეოკლასიკური ზრდის მოდელისგან განსხვავებით, ენდოგენური ზრდის მოდელში უპი-ები უზრუნველყოფენ გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებით სხვადასხვა ტრენინგების მეშვეობით და უნარ-ჩვევების შეძენით (43,გვ..25). მართვის თანამედროვე პრაქტიკის და ორგანიზაციული მექანიზმების დანერგვით, მეცნიერულ-ტექნიკური სამუშაოების ხელშეწყობით უპი-ები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში. მეცნიერულ-ტექნიკური კვლევები,

რომელთაც აფინანსებენ ტეკ-ები ხელს უწყობს გრძელვადიან პერიოდში მასპინძელი ქვეყნის ადამიან-კაპიტალის განვითარებას (120,გვ.100).

ჰიმერის მიერ წარმოდგენილ ინდუსტრიალიზაციის თეორიაში უპი-ები გაცილებით მეტია ვიდრე უბრალოდ კაპიტალის გადაცემის პროცესი, უცხოური ინვესტიციების მეშვეობით აქტივები იცვლება საერთაშორისო დონეზე. ჰიმერის თანახმად, უპი-ებს მიმღებ ქვეყანაში შემოაქვს "კაპიტალის პაკეტი" ეს უკანასკნელი კომბინირებულად მოიცავს: კაპიტალს, მენეჯმენტს და მოწინავე ტექნოლოგიებს. უპი-ები უზრუნველყოფს რესურსების, მათ შორის მენეჯერული უნარების, მარკეტინგის, ნოუ-ჰაუს გადაცემას. ყველა ზემოთ აღნიშნული ფაქტორი ინდუსტრიალიზაციის თეორიის თანახმად, ხელს უწყობს მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას (76,გვ.11).

ეკონომიკურ ლიტერატურაში ემპირიული კვლევები ადასტურებს უპი-სა და ეკონომიკურ ზრდას შორის არაერთგვაროვანი დამოკიდებულების არსებობას. თუმცა უპი-ათა თეორიული მოდელები ხაზს უსვამს რეციპიენტი ქვეყნებისთვის უპი-ების დადებით ზეგავლენას (მაგალითად: მწარმოებლურობის ზრდა, ტექნოლოგიების გადაცემა, ახალი პროცესების დანერგვა, მართვის პრაქტიკის გაუმჯობესება, ნოუ-ჰაუს ხელმისაწვდომობა, დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და ა.შ. ყველა აღნიშნული ფაქტორი მთლიანობაში დადებითად ზემოქმედებს მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზაციაზე და ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

ს. ზალცის მიერ 1970-1980 წწ-ში ჩატარებული ემპირიული კვლევა, რომელიც მიმართული იყო, გამოეკვლია ურთიერთდამოკიდებულება უპი-სა და ეკონომიკურ ზრდას შორის მესამე სამყაროს ქვეყნებში, ადასტურებს ნეგატიური ურთიერთდამოკიდებულების არსებობას უპი-ასა და ეკონომიკურ ზრდას შორის. მისი მტკიცებით, მასპინძელი ქვეყნის შემოსვალების დონე განიცდის სტაგნაციას იმ შემთხვევაში, როდესაც უპი-ების განხორციელების შედეგად ადგილი აქვს მონოპოლიზაციას და ტრანსფერტულ ფასებს, რაც გამოიწვევს სამუშაო ძალის არასაკმარის გამოყენებას და შიდა მოხმარების მოთხოვნის ჩამორჩენას, საბოლლოდ კი ყოველივე ეს განაპირობებს ეკონომიკის სტაგნაციას (119,გვ.633).

სინგერ და პრებიში ამტკიცებდნენ, რომ მასპინძელი ქვეყნები იღებენ მცირე სარგებელს უპი-ების მოზიდვით, რამდენადაც მნიშვნელოვანი სარგებელი გაედინება ტეკ ბაზირების ქვეყნებში, მიუხედავად იმისა, რომ უპი-ების შედეგად მაღლდება ინვესტიციების მწარმოებლურობა, გარდა ამისა იზრდება მოხმარება მასპინძელ ქვეყანაში, თუმცა, მათი მოსაზრებით, წარმოების ფაქტორთა ფასების შეუსაბამობის და რესურსების არარაციონალურად გამოყენება განაპირობებს ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირებას (120,გვ.485)

აითკენისა და ჰარისონი (40,გვ.618) ხაზს უსვამენ ეროვნულ ეკონომიკაში უცხოურ ფირმათა უარყოფით ზეგავლენას ადგილობრივი კომპანიების მწარმოებლურობაში. კერძოდ, არსებობს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენა, რომელთა წმინდა ეკონომიკური შედეგი უარყოფითია: ერთი მხრივ, ეროვნული ფირმები სარგებლობენ ქვეყანაში უცხოური კომპანიების საქმიანობით: 1. ადამიან-კაპიტალის მეშვეობით გროვდება გამოცდილება უცხოურ ფირმებში, რაც განაპირობებს მათი ღირებულების ზრდას ადგილობრივ კომპანიათა შიგნით. 2. ეროვნულ ფირმებს უცხოურ კომპანიებთან აკავშირებს საქმიანი ურთიერთობები, მათგან იღებენ ტექნიკურ მხარდაჭერასა და ცოდნას. მეორე მხრივ, უცხოური ფილიალების არსებობა მასპინძელ ქვეყანაში ამცირებს შიდა კომპანიათა მწარმოებლურობას, განსაკუთრებით მოკლევადიან პერიოდში. საზღვარგარეთული ფირმები ხელს უწყობენ წარმოების ზრდას შედარებით დაბალი ზღვრული დანახარჯებით ეროვნულ ფირმებთან შედარებით. ორივე კომპანია საქონლის წარმოებით ემსახურება ადგილობრივ ბაზარს, ამასთან, ადგილობრივ ფირმათა წარმოებული პროდუქცია განიცდის უარყოფით ზეგავლენას და წარმოების შემცირებასთან ერთად მცირდება მათი მწარმოებლურობა. თუ აღნიშნული შედეგი საკმაოდ მაღალია, ტექნოლოგიათა და არამატერიალური აქტივების გადაცემის პირობებშიც კი, ეროვნულ ფირმათა მწარმოებლურობის შედეგი კვლავინდებურად უარყოფითია. ადგილობრივი პროდუქციის ფასი მატულობს, ხოლო მწარმოებლურობა მცირდება. საბოლოო ანგარიშით კი უპი-ები არ განაპირობებს ეკონომიკურ ზრდას.

შეხედულება, რომლის თანახმად უპი-ები უარყოფითად ზემოქმედებენ ეკონომიკურ ზრდაზე ეფუძნება არასრულყოფილი ეროვნული ბაზრების არსებობას. არასრულყოფილი ინდუსტრიული ბაზრები, იოლი წვდომა კაპიტალსა და საფონდო ბირჟებზე, უცხოელ ინვესტორს აძლევს საშუალებას ისარგებლოს ადგილობრივ ფირმებთან შედარებით მეტი უპირატესობით. სხვა უარყოფითი ეკონომიკური შედეგები დაკავშირებულია ნაწილობრივ ადგილობრივი წარმოებების გაკოტრებასთან, ტეკ-თა საბაზრო ძალაუფლების გაფართოებასა და ბაზირების ქვეყანაში მოგების რეპატრირებასთან. დღეისათვის ფართოდ განხილვის საგანს წარმოადგენს მტკიცება იმის შესახებ, წარმოადგენს თუ არა უპი-ები ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობ ფაქტორს ქვეყნებისთვის, რომლებიც ხასიათდებიან საკმარისად განვითარებული ეკონომიკური გარემოთი: 1. ქვეყნები, სადაც მოიპოვება კვალიფიციური კადრები და მოსახლეობის ერთ სულზე მშპ მაღალია, ადგილობრივი ფირმები უკეთ სარგებლობენ უცოხური კომპანიების მიერ გადაცემული ტექნოლოგიებით. 2. რაც უფრო ღიაა ქვეყნის ვაჭრობა მით ნაკლები შეზღუდვები წარმოიშობა საქონლის იმპორტზე, რითაც სარგებლობენ უცხოელი ინვესტორები. 3. კარგად განვითარებული ინსტიტუციური გარემო განაპირობებს ნოუ-ჰაუსა და ტექნოლოგიების გადაცემას უცხოური კომპანიების ფილიალებში. საბოლოოდ კი, სუსტად განვითარებული კაპიტალის ბაზრის მქონე ქვეყნები დადებითი შედეგებით სარგებლობენ მათ ეკონომიკაში უცხოელი ინვესტორის არსებობით.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ემპირიული კვლევების უმეტესობა ადასტურებს უპი-ების დადებით ზეგავლენას მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. მაგალითად, ლ. კროსკამ 1989-2000 წლებში გამოიკვლია 25 გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანა და მივიდა დასკვნამდე, რომ უპი სტიმულს აძლევს აღნიშნულ ქვეყნებში კაპიტალის დაგროვებას. კვლევის შედეგი ადასტურებს, რომ ეკონომიკური დაცემის პერიოდში პირდაპირმა ინვესტიციებმა ხელი შეუწყო გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკურ ზრდას. უპი-ების მოცულობის 1%-ით გადიდება განაპირობებს კაპიტალის ზრდას 0,7%-ით. ლ. კროსკამ აღნიშნა, რომ პირდაპირი ინვესტიციების როლი გაცილებით მნიშვნელოვანია კაპიტალის

დაგროვების პროცესში ვიდრე ამავე პროცესში კაპიტალის სხვა ფორმების ზეგავლენა. მაგალითად, აქციებისა და ობლიგაციების გამოშვება განაპირობებს კაპიტალის ზრდას 0,2%-ით, ადგილობრივი ბაზრების კრედიტები კი – 0,1%-ით, ხოლო საგარეო სესხები და სახელმწიფო სუბსიდიები მნიშვნელოვნად ვერ ზემოქმედებს კაპიტალის დაგროვებაზე (80,გვ.18).

ბენგოა&კალვოსა და სანჩეს რობლესის ემპირიული კვლევა, რომლებმაც გამოიკვლიეს ლათინური ამერიკის 18 ქვეყნა 1970-1999 წლებში, ადასტურებს, რომ უპი-ების ზეგავლენა დადებითად აისახა მოსახლეობის შემოსავლების ზრდაზე, რომელიც, თავის მხრივ დამოკიდებულია ქვეყნებში მინიმალური კაპიტალის ფონდების არსებობაზე, ეკონომიკურ სტაბილურობაზე, ადეკვატური ადამიან-კაპიტალის არსებობა და ინფლაციის დონეზე (46,გვ.120).

ბორენშტეინისა და დე გრეგოლიო&ლის კვლევამ აღმოაჩინა (69 განვითარებადი ქვეყანა 1970-1989 წლებში), რომ უპი-ების ზეგავლენა ეკონომიკურ ზრდაზე დამოკიდებულია მიმღებ ქვეყანაში ადამიან-კაპიტალის რაოდენობაზე: უცხოური ინვესტიციებით მიღებული შედეგი უარყოფითია ქვეყნებში, სადაც სამუშაო ძალა არაკვალიფიციურია. მათი კვალიფიკაციის ამაღლებასთან ერთად ინვესტიციათა ზეგავლენა ეკონომიკურ ზრდაზე დადებითია. მოწინავე ტექნოლოგიები, რომელთა შემოტანა ქვეყანაში უპი-ებით ხორციელდება, აუმჯობესებს ეკონომიკური ზრდის ტემპს მხოლოდ მაშინ, როდესაც ქვეყანაში საწარმოო სიმძლავრეების საკმარისი მოცულობაა. უპი-ები ძირითადად ორიენტირებულია ისეთ დარგებში, სადაც ტექნოლოგიური ინოვაციები განაპირობებს სამუშაო ძალის მიერ მინიმალური სამუშაო დროის ნორმის შესრულებას მაშინ, როდესაც შიდა ინვესტიციები მიემართება დარგებში, სადაც არ არის აღნიშული შეზღუდვა (45,გვ.135).

განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები დაინტერესებულნი არიან, მოიზიდონ უცხოურ ინვესტიციათა დიდი ნაკადები, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორს. აღნიშნული ქვეყნები ხასიათდებიან კაპიტალის დეფიციტით, არასაკმარისი შიდა დანაზოგი ვერ აფინანსებს შიდა საინვესტიციო მოთხოვნას, რაც უარყოფითად აისახება როგორც სახელმწიფო, ასევე

კერძო ინვესტიციებზე. თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ეკონომიკისათვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მნიშვნელოვანი პრიორიტეტი და სტაბილური ეკონომიკური ზრდის წინაპირობაა, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ განვითარებას. საქართველომ, ყოფილი სსრკ-ის ქვეყნებიდან, პირველმა განახორციელა ღია პოლიტიკა უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებით. XX ს-ის 90-იანი წლების შუა პერიოდიდან უცხოური კაპიტალის შემოდინებამ და მშპ-მა დაიწყო ზრდა. 2000 წელს მოხდა ლარის კურსის სტაბილიზება, ასევე წლიური უპი-ები გაიზარდა 242.5 მლნ აშშ დოლარამდე 1997 წელს და მიაღწია 265.3 მლნ დოლარს 1998 წელს (გრაფ.I).

უცხოური კაპიტალის ზრდა განაპირობა ძირითადად ბაქო-სუფსის ნავთობსადენსა და სუფსის ტერმინალზე განხორციელებულმა სამუშაოებმა. უპი-ების მცირე ნაკადი დაფიქსირდა 2003 წელს – 330.89 მლნ დოლარი. შემდგომ განხორციელდა გარკვეული რეფორმები საგადასახადო, საბაჟო, ფინანსურ სფეროებში და ინვესტიციათა ბაზარზე შემოსვლის ბარიერების მოხსნის მიმართულებით. გააქტიურდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების პრივატიზაციის პროცესი. შედეგად, ყველაზე დიდი ინვესტიციათა ნაკადები საქართველოს ეკონომიკაში დაფიქსირდა 2007 წელს – 2012.80 მლნ დოლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელს აღემატებოდა 19.8 %-ით. აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული, უცხოური ინვესტიცების შემოდინება შემცირდა დაახლოებით 10.1%-ით – 2008 წელს და შესაბამისად 8.4 %-ით – 2009 წელს. გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა და აგვისტოს ომის მოვლენებმა ქვეყანაში ეკონომიკური დეპრესია გამოიწვია, რამდენადაც ასეთ პირობებში რთულია, მოიპოვო უცხოელი ინვესტორების ნდობა. მაგალითად, კომპანიამ "ყაზმუნაიგაზ"-მა უარი თქვა 1 მლრდ დოლარის დაბანდებაზე საქართველოში. გარდა ამისა, ამერიკულმა კომპანიამ – "ქლეარ სტრიმ ჰოლდინგ"-მა გააუქმა შეთანხმება განეხორციელებინა ინვესტიცია და უზრუნველეყო ქვეყანა უკაბელო ინტერნეტით (105,გვ.10).



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; www.geostat.ge

გრაფიკი I უპი-ების დინამიკა საქართველოში 1997-2010წწ

საქართველოს ეკონომიკის ცალკეული დარგის მიხედვით, 2011 წელს ყველაზე მნიშვნელოვანი ოდენობით უპი-ების განხორციელდა დამამუშავებელ მრეწველობაში (18.4%), საფინანსო სექტორში (18.1%), ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში (13.3%), უძრავ ქონებაში (12.5%), მომსახურებაში (9.5%), სამთომოპოვებით მრეწველობაში (3.8%) და სხვა.

ცხრილი 1.9

საქართველოს ეკონომიკაში ძირითადი ინვესტორი ქვეყნები(2011წ).

ქვეყანა	მოცულობა (მლნ დოლარი)	წილი (%)
თურქეთი	77.4	7.9
ნიდერლანდი	213.4	21.8
კვიპროსი	59.0	7.2
დანია	99.9	10.2
დსთ ქვეყნები	119.7	12.2
საერთაშორისო ორგაანიზაციები	94.5	9.6
დანარჩენი ქვეყნები	**223.3**	**22.8**

წყარო:საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის მონაცემებით, ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკა 2005-2010 წწ-ში ამგვარია:

ცხრილი1.10

საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები 2005-2010 წწ (მლნ დოლარი)

	2005	2006	2007	2008	2009	2010
რეალური მშპ-ს დინამიკა %	9.6	9.4	12.4	2.1	-3.9	3.9
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	3353.00	4611.2	6444.3	7796.9	5633.9	6731.4
ექსპორტი	865.5	936.4	1232.1	1495.3	1133.6	1575.1
იმპორტი(მლნ აშშ დოლარი)	2487.5	3674.8	5212.2	6301.5	4500.2	5156.3
ინფლაცია	6.2	8.8	11.0	5.5	3.0	11.3
უპი	449.80	1190.40	2014.80	1564.00	658.40	14.50
მშპ	6.145	7.849	10 175	12 797	12 797	1 1 663.0
მშპ მოსახლეობის ერთ სულზე	1 479	1 779	2 315	2 920	2 920	2 629.0

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: **www.geostat.ge**

როგორც ცხრილიდან ჩანს, ბოლო წლების მანძილზე საქართველოს ეკონომიკა, ასე თუ ისე, სტაბილურად იზრდებოდა და რეალური ზრდის ყველაზე მაღალ მაჩვენებელს – 12.4%-ს 2007 წელს მიაღწია. რაც შეეხება ინფლაციას, ყველაზე მაღალი იყო 2010 წელს (11.3%) რაც ძირითადად სურსათზე ფასების მატებამ განაპირობა. ეს კი, თავის მხრივ, გვალვების, ხანძრების და სხვა ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგად მოსავლიანობის მკვეთრმა დაცემამ გამოიწვია. განხილულ პერიოდში მნიშვნელოვანი ზრდით ხასიათდებოდა საგარეო ვაჭრობა, რომლის ექსპორტის სტრუქტურაში ჭარბობდა ფეროშენადნობები, მსუბუქი ავტომობილები, შავი ლითონი, ოქრო, მინერალური სასუქები, ღვინო, სპილენძის მადანი და კონცენტრატები, სპირტიანი სასმელები, სპილენძის ჯართი და ა.შ. 2010 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, მსუბუქი ავტომობილების, მანგანუმისა და სხვა

საქონლის იმპორტი, თუმცა ექსპორტის მოცულობა კვლავაც 3-4-ჯერ ჩამორჩება იმპორტს. საქართველო წელიწადში მოიხმარს დაახლოებით 4 მლრდ დოლარით მეტს, ვიდრე აწარმოებს, რაც გამოწვეულია ექსპორტის მცირე მოცულობით, მისი არასახარბიელო სტრუქტურით, დიდი სავაჭრო დეფიციტით. საქართველოს მსოფლიო ვაჭრობაში მონაწილეობასთან დაკავშირებით, მთლიანობაში, დასკვნა მეტად არასახარბიელოა: ქვეყნის პოზიცია გლობალურ ვაჭრობაში ჯერ კიდვვ სუსტია და ვერ უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიანობას.

საერთაშორისო ვაჭრობა და უპი-ები განიხილება, როგორც ეკონომიკური ზრდისა და მსოფლიო ეკონომიკაში გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ინტეგრაციის ხელშემწყობი ფაქტორები. თანამედროვე ეტაპზე ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთოებების განვითარება და გაღრმავება მათი ეკონომიკური განვითარების ამაღლების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რასაც ნათლად ადასტურებს ევროკავშირის ქვეყნებს შორის მრავალწლიანი თანამშრომლობა და მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესების გაღმავების პროცესი (12,გვ.37). უპი-ები ხელს უწყობს მიმღები ქვეყნისეკონომიკურ ზრდას, ტექნოლოგიური ტრანსფერტების, ადამიან-კაპიტალის განვითარებით, საერთაშორისო ვაჭრობა და უპი-ები დადებითად ზემოქმედებენ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. აღნიშნული ზემოქმედება განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში, რამდენადაც მიმღები ქვეყნები ხასიათდებიან განსხვავებული მაკროეკონომიკური სტაბილურობით, ინფრასტრუქტურის განვითარების დონით, ადამიან-კაპიტალით და სავაჭრო რეჟიმებით.

დე მელომ უპი-ების მეშვეობით გადაცემული დამატებითი კაპიტალი გამოყო ამავე გზით გადაცემული ნოუ-ჰაუსაგან. პირველ შემთხვევაში უპი-ები ხელს უწყობს კაპიტალის დაგროვებას და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას მასპინძელ ქვეყნებში, მაგრამ, შეიძლება იქნეს მიღებული არასასურველი შედეგებიც. უცხოელი ინვესტორების მიერ მოწინვე ტექნოლოგიების გადაცემას თან ახლავს ტრადიციული ტექნოლოგიების მორალური ცვეთა, შიდა ინვესტორების უცხოელებით ჩანაცვლება და ეროვნული დანაზოგების შემცირება. ყოველივე აღნიშნულს შედეგად მოჰყვება ეკონომიკური ზრდის შენელება და პირიქით, უპი-ები, რომლის

მეშვეობით ქვეყნებს გადაეცემა ნოუ-ჰაუ, განაპირობებს რეციპიენტ ქვეყანაში ცოდნის დაგროვებას, რაც ასტიმულირებს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას. ამავე გზით ხორციელდება კონკურენციის გაძლიერება და სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლება. ეროვნულ ეკონომიკაში ცოდნისა და გამოცდილების არსებობა ამცირებს ინოვაციურ პროექტებზე გაწეულ ხარჯებს, რის შედეგადაც სწრაფია ეკონომიკურ პროგრესი (101,გვ.140).

მართალია, ეკონომიკურ ლიტერატურაში მიკროდონეზე ჩატარებული ემპირიული კვლევები არ ადასტურებს უპი-ებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის პოზიტიური კავშირის არსებობას, მაგრამ აღნიშნული კვლევების უმეტესობა უპი-ებს განიხილავს, როგორც ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ ფაქტორს. ჩვენ მიერ ჩატარებული რეგრესული ანალიზის მიზნად დავსახეთ იმის დადგენა, თუ როგორი ზეგავლენა მოახდინა უპი-ების შემოდინებამ საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე 1997-2010 წლებში. კვლევის პროცესში გამოყენებულმა ეკონომეტრიკულმა მეთოდმა მოიცვა შემდეგი კოეფიციენტები: მსაზღვრელი კოეფიციენტი R-კვადრატი, სტანდარტული ცდომილების კოეფიციენტი (Standard Error), T-სტატისტიკა და F-თანაფარდობის კოეფიციენტი. ჩვენი მოდელი მოიცავ სამ ცვლადს: უპი-ებს, მშპ-სა და საგარეო ვაჭრობა (სვ). ცვლადებს შორის კავშირი განტოლების სახით ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$\text{მშპ} = \beta 0 + \beta 1(\text{უპი}) + \beta 2(\text{სვ})$$
$$\beta 0>0\ ,\quad \beta 1>0,\ \beta 2>0,$$

სადაც β1, β2 კოეფიციენტები გვიჩვენებს მშპ-ზე, უპი-ებსა და საგარეო ვაჭრობაში განხორციელებული ცვლილებების ზემოქმედებას საქართველოში.

რეგრესული ანალიზის ძირითადი შედეგები გვიჩვენებს, რომ უპი-ები დადებითად ზემოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე. (იხ. დანართი 1)

რეგრესული ანალიზის შედეგი და ინტერპრეტაცია გამოისახება განტოლების სახით:

მშპ =1834.840 + 3.327(უპი) + 0.882(სვ)

კოეფიციენტი 3.327 გულისხმობს, რომ უპი-ების თითოეული ერთეულის ზრდით ნავარაუდევია მშპ ზრდა 3.327 ერთეულით. კოეფიციენტი მნიშვნელოვანია, რადგან მისი P- მნიშვნელობა არის 0.05 (0.000>0.005), მაშინ, როდესაც სხვა ცვლადები მუდმივია. სვ-ის ერთი ერთეულით ზრდა კი გამოიწვევს მშპ-ის 0.882 ერთეულით გადიდებას, მისი P-მნიშვნელობის კოეფიციენტი (0.000) ასევე მნიშვნელოვანია რამდენადაც ის ნაკლებია 0.05, როდესაც (უპი-უცვლელია). სტანდარტული B-კოეფიციენტი შეადგენს 0.542 და გვიჩვენებს, რომ უპი-ების გადიდება სტანდარტული დევიაციით (587.51 აშშ დოლარი), გამოიწვევს მშპ-ს ზრდას შესაბამისად 0.542 სტანდარტული დევიაციით. სტანდარტული გადახრა მშპ-თვის არის 3606.72 (იხ.ცხრ.1.7) რაც წარმოშობს ცვლილებას 1954.84 ოდენობით (0.542*3606.72). აქედან გამომდინარე ყოველ დახარჯულ 587.51 მლნ დოლარზე მშპ-ს დამატებით შეიძლება მიღებულ იქნეს 954.84 მლნ დოლარი. საგარეო ვაჭრობისთვის სტანდარტული β=0.591 გულისხმობს შემდეგს: თუ საგარეო ვაჭრობა გაიზრდება ერთი სტანდარტული დევიაციით, მაშინ მშპ გაიზრდება 0.591 სტანდარტული გადახრით. საგარეო ვაჭრობისთვის სტანდარტული გადახრა არის 2418.37, რაც მოიცავს ცვლილებას 1429.25 ოდენობით (0.591*2418.37). შესაბამისად, თუ საგარეო ვაჭრობის მოცულობა გაიზრდება 0.591 სტანდარტული გადახრით, მაშინ მშპ -ის დამატებით 1429.25 მლნ დოლარის მიღებაა მოსალოდნელი.

ამრიგად, ჩატარებული რეგრესული ანალიზით R-კვადრატი შეადგენს 0.933, რაც გულისხმობს, რომ დაახლოებით 93.3%-ის ცვალებადობა აიხსნება უპი-სა და მშპ-ს არსებული ცვლილებებით, მაშინ, როდესაც მხოლოდ 6.7%-ის ცვალებადობაა გამოწვეული სხვა ფაქტორთა ცვლილებებით, დაზუსტებული R–კვადრატი – 92.1% მიუთითებს უპი-ს, სვ-სა და მშპ-ს შორის მჭიდრო დამოკიდებულებაზე. საბოლოო ანგარიშით, რეგრესული ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ უპი-ების შემოსვლამ 1997-

2010 წწ-ში საქართველოში განაპირობა კაპიტალის ზრდა, ანუ ხელი შეუწყო კაპიტალის დაგროვებას, რამაც სტიმული მისცა და განაპირობა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდა, რომლის გარეშეც საქართველოში არსებული სიღარიბისა თუ სხვა პრობლემების დაძლევა შეუძლებელი იქნება. ქვეყანაში უპი-ები ძირითადად მიმართულია მომსახურების, კავშირგაბმულობასა და ტრანსპორტის სფეროებში, ამასთან, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტში არ არსებობს ადეკვატური ინფორმაცია საწარმოებში მოწინავე ტექნოლოგიებისა და უნარ-ჩვევების პარალელური რეჟიმით გავრცელების პოზიტიური ეფექტების შესახებ. მსოფლიო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ უპი-ების იმპორტი სასარგებლოა მაშინ, როდესაც ინვესტიციების შემოდინებით მასპინძელი ქვეყანა იძენს თანამედროვე მენეჯერულ ჩვევებსა და მოწინავე ტექნოლოგიებს. ჩვენი აზრით, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად და მოსახლეობის ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად, ჩვენი ქვეყანით, რომელიც ადგილობრივი ბაზრის არასაკმარისი ტევადობით ხასიათდება, უცხოელი ინვესტორების დაინტერესება უმნიშვნელოა, ასეთ შემთხვევაში ინვესტიციების მოზიდვა შესაძლებელია ქვეყანაში იაფი რესურსების არსებობით. ასეთ დროს გონივრული და მიზანშეწონილია უპი-ები დაბანდდეს ისეთ დარგებში, რომლებიც საექსპორტო პროდუქციის ფართომასშტაბიან წარმოებაზეა ორიენტირებული და შესაძლებელია ქვეყნის ფარგლებს გარეთ მისი მომგებიანი რეალიზაცია. უპი-ების დაბანდება პრიორიტეტულ დარგებში ხელს შეუწყობს მიმღები ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და ეკონომიკურ ზრდას. ამდენად, უპი-ების დაბანდების წახალისება ექსპორტზე ორიენტირებულ დარგებში ხელს უწყობს ქვეყანაში უცხოური ვალუტის ზრდას, რაც გრძელვადიან პერიოდში უზრუნველყოფს საგარეო ვაჭრობის ბალანსის დადებით სალდოს. საბოლოო ანგარიშით, უპი-ების განმახორციელებელი ტეკ-ები, რომელთა მიზანი მოგების მაქსიმიზაცაა, უპი-ებს აბანდებენ ყველაზე დინმიური და სტაბილური ეკონომიკის მქონე ქვეყნებში.

რეციპიენტ ქვეყნებში არსებული საწარმოო სიმძლავრეთა პოტენციალი ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია, რომლის მეშვეობითაც უპი-ები დადებითად ზემოქმედებს მასპინძელი ქვეყნის ეკონომკურ ზრდაზე. დღეისათვის საქართველოს ეკონომიკისათვის მეტად მნიშვნელოვანია ქვეყნის

საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება და დიდი ოდენობით უპი-ების ნაკადების მოზიდვა. ამ მხრივ გონივრულია უცხოურ ინვესტორთათვის საგადამხდელო პრივილეგიების დაწესება, განსაკუთრებით სპეციალური შეღავათების შეთავაზება იმ ინვესტორთათვის, რომლებიც კაპიტალს დააბანდებენ ექსპორტზე ორიენტირებულ დარგებში და ქვეყანაში ახალ სამუშაო ადგილებს შექმნიან. ამისათვის აუცილებელია უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგიაში თვალსაჩინო ცვლილებების განხორციელება ქვეყნისათვის მეტად მნიშვნელოვანია იმ მექანიზმების დახვეწა და სრულყოფა, რომელიც დაიცავს აქციონერთა უფლებებს. ამით პოტენციურ უცხოელ ინვესტორებს მიეცემათ მოტივი, კაპიტალდაბანდება განხორციელონ საქართველოს ეკონომიკაში.

1.3. უპი-ების განმსაზღვრელი ფაქტორები განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში

გლობალური წარმოებისა და მარკეტინგისადმი მზარდი ტენდენცია დიდ გავლენას ახდენს განვითარებადი ქვეყნების საინვესტიციო მიმზიდველობაზე. უპი-ები გლობალიზაციის პროცესის მამოძრავებელი ძალა და თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების განმსაზღვრელი ელემენტია. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან უპი-ების სწარაფი ზრდა განვითარებად ქვეყნებში ნათელს ხდის იმ გარემოებას, რომ ტეკ-ები აღნიშნულ ქვეყნებს უცხოური ინვესტიციებისთვის მომგებიან ადგილად განიხილავენ. უპი-ათა ნაკადები განაპირობებს მიმღები ქვეყნის კეთილდღეობის ზრდას ტექნოლოგიათა გადაცემით, სამუშაო ადგილების შექმნით, ექსპორტის მოცულობის გადიდებით, სახელმწიფო შემოსავლების გაუმჯობესებით. აღნიშნულ ფაქტორთა კომბინაციით იქმნება ძლიერი საგარეო ფაქტორი, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი ეკონომიკის ზრდისა და განვითარების პერსპექტივას. მასპინძელი ქვეყნების კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება შესაძლებელია ინვესტიციათა დაბანდებით ადამიან-კაპიტალში, სპეციალური პროფესიული ტრენინგები ზრდის დასაქმებულთა კვალიფიკაციას და სამუშაო ძალის შესაძლებლობას, შექმნას და მართოს ახალი ტექნოლოგიები. კაპიტალის დაბანდება ადამიანურ რესურსებში ხელს უწყობს მომავლის მრეწველობის დარგების განვითარებას, როგორიცაა, მაგალითად, ინფორმაციული ტექნოლოგიები და ბიოტექნოლოგია. აღნიშნული დარგები კი, თავის მხრივ, მოითხოვს უფრო მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობას. კვალიფიციური ადამიან-კაპიტალის შექმნის შესაძლებლობა მნიშვნელოვანი ფაქტორია ტრანსეროვნული კომპანიებისთვის გადაიტანონ ელექტრონული მსოფლიო კლასის მაღალტექნოლოგიური ქარხნების ფილიალები სხვადასხვა ქვეყნებში (135,გვ.20).

რ. ვერნონის პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის თეორიამ ახსნა ტეკ-ების საქმიანობის გადატანა საზღვარგარეთ. აღნიშნული თეორია დინამიური თეორიაა, რადგან დაკავშირებულია დროთა განმავლობაში ცვლილებებთან. თავდაპირველად ახალი პროდუქცია იწარმოება და იყიდება ადგილობრივ ბაზარზე და არ არის სტანდარტიზებული. მოთხოვნის ზრდასთან ერთად ხდება ადგილობრივი ბაზრის გაჯერება, ასევე საქონლის სტანდარტიზება

და ექსპორტირება საზღვარგარეთ. ფირმები იწყებენ ფილიალების გახსნას სხვა ქვეყნებში, სადაც წარმოების ხარჯები შედარებით დაბალია. როდესაც კონკურენცია მეტოქე ფირმების მხრიდან ინტენსიურია, საქონელი აღწევს სიმწიფეს. აქედან გამომდინარე, უპი-ები წარმოადგენს პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის ფაზას, რომელიც თან სდევს პროდუქციის სიმწიფის ეტაპს. უპი-ების ინტერნაციონალიზაციის თეორიის თანახმად, მომგებიანობის გასაზრდელად ზოგიერთი ბიზნესგარიგება უნდა განხორციელდეს ფირმის ფარგლებში და არა ფირმებს შორის, სწორედ ეს მიზეზი განაპირობებს ტეკ-ების არსებობას. აღნიშნული თეორია ტეკ-ების წარმოების ინტერნაციონალიზაციას არასრულყოფილი ბაზრების არსებობით ხსნის.

ძირითადად, ტექნოლოგია და ნოუ-ჰაუ შეიძლება გაიყიდოს ან იყოს ლიცენზირებული. თუმცა, ზოგჯერ არის ტექნოლოგიები, რომლებიც არ შეიძლება დაიწეროს ან გაიყიდოს სხვა პირებზე, რაც აიძულებს ტეკ-ს ტექნოლოგიების გაყიდვის ნაცვლად ფილიალები გახსნან საზღვარგარეთ. გარდა ამისა, მთელი რიგი სიძნელეები შეიძლება წარმოიშვას, როდესაც ერთი ფირმის პროდუქცია წარმოადგენს წარმოების საშუალებას მეორე ფირმისთვის, რომელიც მდებარეობს სხვა ქვეყანაში. მაგალითად, თუ თითოეულ მათგანს უკავია მონოპოლიური მდგომარეობა, ისინი შეიძლება შეეჯახონ კონფლიქტურ სიტუაციას, რამდენადაც წარმოების ფაქტორის მყიდველი ფირმა ცდილობს დაბალ ფასად შეიძინოს იგი, ხოლო მწარმოებელი კი შეეცდება გაზარდოს ფასი. აღნიშნული პრობლემის მოგვარება შესაძლებელია ფირმის ფარგლებში სხვადასხვა საქმიანობების ინტეგრაციით.

ჯ. დანინგმა განავითარა უპი-ების ეკლექტიკური თეორია, რომელიც ეფუძნება ფირმის საკუთრების და მიმღები ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის უპირატესობას, ასევე, ინტერნაციონალიზაციის პირობებს. უცხო ქვეყანაში საქმიანობა დაკავშირებულია ხარჯებთან, როგორიცაა არასაკმარისი ინფორმაცია ადგილობრივი ბაზრის შესახებ, კულტურული, სამართლებრივი და სხვა სახის ხარჯები. აქედან გამომდინარე, უცხოურ ფირმებს აქვთ გარკვეული უპირატესობა, რომ მოახდინონ ხარჯების კომპენსაცია. საკუთრების ფლობის უპირატესობა ფირმის სპეციფიკური უპირატესობაა, რაც ტეკ-ებს ძალაუფლებას აძლევს გაუწიონ კონკურენცია მეტოქე ფირმებს. საკუთრების ფლობის უპირატესობა მოიცავს ტექნოლოგიურ

და მენეჯერულ უპირატესობებს, უზრუნველყოფს ფინანსებზე იოლ წვდომას, მასშტაბის ეკონომიას და საქმიანობის კოორდინაციის შესაძლებლობას. საკუთრების უპირატესობის ფლობისგან განსხვავებით, გეოგრაფიული მდებარეობა წარმოადგენს ქვეყნის სპეციფიკურ უპირატესობას. ტეკ-ები დაინტერესებულნი არიან მიმღები ქვეყნის გეორგრაფიული მდებარეობით, რომ სრულად ისარგებლოს ფირმის სპეციფიკური უპირატესობებით. ეს გულისხმობს წვდომას სათანადო ინფრასტრუქტურაზე, იაფ ბუნებრივ რესურსებზე, პოლიტიკურ და მაკროეკონომიკურ სტაბილურობას. შედეგად, ინვესტიციათა მიმღები ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის უპირატესობა ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, რომელიც ზეგავლენას ახდენს ტეკ-ების გადაწყვეტილებებზე. ინტერნაციონალიზაცია არის ტეკ-ების უნარი, გაითავისოს გარკვეული საქმიანობა იმისათვის, რომ დაიცვას როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური აქტივები და შეინარჩუნოს კონკურენტული უპირატესობა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ტეკ-ებმა გაითვალისწინონ სამივე პირობა, სანამ ფილიალებს საზღვარგარეთ განათავსებენ.

აღსანიშნავია, რომ როგორც განვითარებულ, ასვე განვითარებად ქვეყნებში საწარმოები საქმიანობენ პროგრესულ, უფრო კონკურენტულ გარემო პირობებში, სადაც უწევთ არსებულ გამოწვევებთან დაპირისპირება, ყოველივე აღნიშნული განპირობებულია მიმდინარე სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილებებით. ადგილობრივ ფირმებს განვითარებისა და კონკურენტული უპირატესობების შენარჩუნებისთვის უწევთ უნარ-ჩვევებისა და საქმიანობის რესტრუქტურიზაციის მორგება მიმდინარე ტექნოლოგიურ ცვლილებებთან იმისათვის, რომ იყვნენ კონკურენტუნარიანი არა მარტო შიდა, არამედ საგარეო ბაზრებზეც. არსებობს უამრავი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას, მაგალითად, ეკონომიკის გახსნილობა, რესურსების არსებობა, ადამიან-კაპიტალის პოტენციალი და ტექნოლოგიური პროგრესი. რაც უფრო კონკურენტუნარიანია ეკონომიკა, მით უფრო დიდია საბაზრო კონკურენციაში მონაწილეობით მიღებული მოგება. ამ მხრივ, კონკურენტული გარემო წარმოადგენს წინაპირობას, უზრუნველყოს უპი-ების მნიშვნელოვანი შემოდინება რეციპიენტ ქვეყნებში.

უპი-ების განმსაზღვრელი ფაქტორები და ძირითადი მოტივები გლობალიზაციის განვითარების პროცესში თანდათან იცვლება. უპი-ების

სწარფი ზრდა განვითარებად ქვეყნებში გამოწვეულია ტეკ-ების გამოჩენით მომსახურების სექტორებში, გარდა რამდენიმე დარგისა, როგორიცაა, მაგალითად, მონაცემთა დამუშავებისა და პროგრამული უზრუნველყოფის სექტორები. უპი-ები აღნიშნულ სექტორში ემსახურება და ორიენტირებულია ძირითადად რეციპიენტი ქვეყნის ბაზრებზე და არ წარმოადგენს ექსპორტზე ან ეფექტიანობის ამაღლებაზე ორიენტირებულს. ეროვნული ბაზრების მიერ ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის განხორციელება, უპი-ების უზარმაზარი ნაკადების შემოდინება და ტექნოლოგიათა გადაცემის პროცესი ხელს უწყობს ტეკ-ებს, განსაზღვროს, თუ როგორ მოემსახუროს ხარისხიანად საერთაშორისო ბაზრებს, როგორ მიიღოს სრული წვდომა არამობილურ რესურსებზე და გააუმჯობესოს წარმოების სისტემის ეფექტიანობა. ტეკ-ები სულ უფრო მზარდად ახორციელებს ინტეგრაციის კომპლექსურ სტრატეგიებს მასპინძელ ქვეყნებში, მაგალითად, ეძებს ისეთ ქვეყნებს, სადაც შეძლებს მობილური აქტივების ეფექტიანად დაკავშირებას არამობილურ რესურსებთან, რომელთა მეშვეობითაც აწარმოებს საქონელსა და მომსახურებას.

უპი-ები ხელს უწყობს მასპინელი ქვეყნების ეროვნული ეკონომიკის ეფექტიან ინტეგრაციას გლობალურ ეკონომიკაში. აქედან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია მიმღებ ქვეყნებში უპი-ების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორების განსაზღვრა. უპი-ათა განმსაზღვრელი დეტერმინანტები ძირითადად ორ ჯგუფად იყოფა: მიწოდების და მოთხოვნის ფაქტორებად. საკუთრებისა და ინტერნაციონალიზაციის უპირატესობა განიხილება, როგორც უპი-ების მიწოდების დეტერმინანტები, ეს უკანასკნელი მოიცავს მასშტაბის ეკონომიას, პროდუქციის სასიცოცხლო ციკლს, არამატერიალურ აქტივებს და ინტერნაციონალიზაციას (108,გვ..480) მაშინ, როდესაც მასპინძელი ქვეყნების ადგილმდებარეობის უპირატესობა, მოიზიდოს მეტი უპი-ების ნაკადები, წარმოადგენს მოთხოვნის დეტერმინანტს. ზოგადად მოთხოვნის დეტერმინანტები კლასიფიცირდება 3 კატეგორიად:

1. უპი-ების საერთო პოლიტიკის სტრუქტურა;
2. ეკონომიკური დეტერმინანტები და
3. ბიზნესის ხელშეწყობა.

1. **საერთო პოლიტიკის სტრუქტურა** მოიცავს ისეთ არაერთგვაროვან ელემენტებს, როგორიცაა ეკონომიკურ-პოლიტიკური სტაბილურობა და

გახსნილობა. გარდა ამისა, რეგულაციებს, რომელიც არეგულირებს ტეკ-ების შესვლასა და საქმიანობას მიმღებ ქვეყნებში. აღნიშნული ელემენტები მნიშვნელოვანი მახასიათებლები და უპი-ების მასტიმულირებელი ფაქტორებია, თუმცა არასაკმარისი. მაგალითად, XX საუკუნის 80-იანი წლების შუა პერიოდიდან, განვითარებად ქვეყნებში განხორციელდა უპი-ების პოლიტიკის ლიბერალიზაცია, გარდა ამისა 90-იანი წლებიდან რიგმა განვითარებადმა ქვეყნებმა ხელი მოაწერეს უპი-ების ლიბერალურ დამოკიდებულებას და მათ სამართლებრივ დაცვას, თუმცა, მიუხედავად ამისა, განვითარებად ქვეყნებში ინვესტიციათა მოცულობა არ გაზრდილა. ტეკ-ები განიხილავენ ინვესტიციათა რეჟიმის შემსუბუქებას, როგორც გლობალიზაციის პროცესის ბუნებრივ შედეგს. გარდა ამისა, განვითარებადი ქვეყნებისათვის მეტად მნივნელოვანია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების პრივატიზება.

პრივატიზაციის პროცესი განვითარებად ქვეყნებში მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს 2 სახის სტრუქტურულ ცვლილებას, ერთი მხრივ, მნიშვნელოვნად ზრდის უპი-ების ხვედრით წილს მომსახურების სფეროში, ხოლო მეორე მხრივ, პრივატიზაციის შედეგად სტიმულირებული უპი-ების ნაკადები განიხილება სხვადასხვა ასპექტით, 1. უპი-ები, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო საწარმოების გაყიდვასთან, ვერ ახდენს გავლენას ინვესტიციების მთლიან მოცულობაზე, რამდენადაც ამ პროცესში განხორციელებული“შერწყმა-შთანთქმის” გარიგებები, გრინფილდ ინვესტიციებისგან განსხვავებით, მხოლოდ და მხოლოდ საკუთრების შეცვლაა და მისი ზეგავლენა ინვესტიციების საერთო მოცულობაზე დამოკიდებულია პრივატიზაციის შედეგად მიღებული სახელმწიფო შემოსავლების გამოყენებაზე. 2. უპი-ებთან დაკავშირებული პრივატიზაცია პრობლემურია კონკურენტული პოლიტიკის თვალსაზრისით. ბუნებრივი მონოპოლიის შემთხვევაში სახელმწიფო მონოპოლია ჩანაცვლებული იქნება კერძო მონოპოლიით (ეს ეხება შემთხვევას, როდესაც სახელმწიფოს აქტივებს იძენენ ადგილობრივი კერძო ინვესტორები). 3. პრივატიზაციის შედეგად განხორციელებული უპი-ები განიხილება, როგორც ერთჯერდი მოვლენა, თუმცა აღნიშნულ პროცესში დადებული კონტრაქტები ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს ინვესტიციების შემდგომ მოდინებას. კომპანიებში მესაკუთრის შეცვლა ძირითადად ასოცირდება პრივატიზებული ფირმების

რაციონალიზაციას და მოდერნიზაციასთან, რასაც განაპირობებს დამატებითი კაპიტალის მიღება. საბოლოო ანგარიშით კი პრივატიზაციის პროცესი ხელს უწყობს ქვეყნის შიგნით საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას, მაგალითად, ავალდებულებს მთავრობას, განახორციელოს ეკონომიკური რეფორმები.

1. **ეკონომიკური დეტერმინანტები.** უპი-ების ეკონომიკურ დეტერმინანტებს საფუძვლად უდევს უპი-ების განხორციელების პროცესში ინვესტორთა მოტივაცია (33,გვ.48). მოტივაციის მიხედვით, როგორც განვიხილეთ 1.1. თავში, გამოყოფენ უპი-ების 3 ძირითად ტიპს: რესურსებზე ორიენტირებულს, უცხოურ ბაზრებზე და ეფექტიანობაზე ორიენტირებულ უპი-ებს. რესურსებზე ორიენტირებული უპი-ები ხორციელდება მაშინ, როდესაც უცხოური ფირმის მიზანია, შეიძინოს ბუნებრივი რესურსები, როგორიცაა მაგალითად, ნედლეული, ნავთობი, ბუნებრივი გაზი და ა.შ. მასპინძელ ქვეყნებში, რომლებიც აღნიშნული რესურსების სიუხვით ხასიათდებიან, ტეკ-ები ინვესტიციებს ექსპორტზე ორიენტირებულ სექტორებში აბანდებენ, სადაც წარმოების ფაქტორთა ხარჯები შედარებით მცირეა. ექსპორტზე ორიენტირებული უპი-ების აღნიშნული ტიპი წარმოადგენს ვერტიკალურს, რამდენადაც მისი ძირითადი მიზანი და საფუძველია, გადააადგილოს წარმოების პროცესი დაბალი დანახარჯების მქონე მასპინძელ ქვეყნებში. უპი-ების მოცემული ტიპი წარმოადგენს ისტორიულად საკმაოდ მნიშვნელოვან ტიპს და თანამედროვე პერიოდშიც უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ძირითადი წყაროა ბევრი განვითარებადი ქვეყნისთვის.

2.

ცხრილი: 1.11

რეციპიენტ ქვეყნებში უპი-ების ძირითადი დეტერმინანტები

უპი-ების საერთო პოლიტიკის სტრუქტურა ***ეკონომიკურ-პოლიტიკური სტაბილურობა** ***ტეკ-ს საქმიანობის წესები** ***უპი-ის ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები** ***პრივატიზაციის პოლიტიკა** **ბიზნესის წარმოების ხელშეწყობა** ***ადმინისტრაციული პროცედურები** ***უპი-ს ხელშეწყობა (მაგ.,მომსახურების გამარტივება)** ***უპი-ს სტიმულები (სუბსიდია)** **ეკონომიკური დეტერმინანტები**		
1.რესურსებზე ორიენტირებული უპი	**2.უცხოურ ბაზრებზე ორიენტირებული უპი**	**3.ეფექტიანობაზე ორიენტირებული უპი**
***ნედლეული**	***ბაზრის ზომა**	***შრომის მწაროებლურობის ხარჯები**
***წარმოების დამატებითი ფაქტორები(შრომა)**	***ბაზრის ზრდა**	***კვალიფიციური სამუშაო ძალა**
***ფიზიკური ინფრასტრუქტურა**	***რეგიონული ინტეგრაცია**	***ბიზნესმომსახურება** ***სავაჭრო პოლიტიკა**

წყარო: http://unctad.org/en/docs/tdr1998_en.pdf, UNCTAD (a, 1998).

უცხოურ ბაზრებზე ორიენტირებული უპი-ების მიზანია, მოემსახუროს მასპინძელი ქვეყნის ადგილობრივ ბაზრებს, მათ ასევე უწოდებენ ჰორიზონტალურ უპი-ებს, რადგან ინვესტორი მიმღებ ქვეყნებში იმეორებს იმავე წარმოების პროცესს, რა საქმიანობასაც ეწევა ბაზირების ქვეყანაში. ჰორიზონტალურ უპი-ებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისტორიულად ასტიმულირებს მიმღები ქვეყნის ბაზრის მასშტაბი და ზრდის შესაძლებლობა. ინვესტორი სარგებლობს ბაზრის ზრდის შესაძლებლობებით, ადგილობრივად აწარმოებს იმპორტშემცვლელ საქონელს, უზრუნველყოფს და ემსახურება ეროვნულ ბაზრებს

წარმოებული პროდუქციით. იმპორტულ საქონელსა და მომსახურებაზე დაწესებული ტარიფები, სატრანსპორტო ხარჯები, სხვადასხვა სირთულეები მასპინძელი ქვეყნის ბაზარზე შესაღწევად ჰორიზონტალური უპი-ების მასტიმულირებელი ფაქტორებია.

ეფექტიანობაზე ორიენტირებული უპი-ები მოტივირებულია, შექმნას და გააძლიეროს არსებული კონკურენტუნარიანი გარემო რეციპიენტ ქვეყნებში მოქმედი ფირმებისთვის. შესაბამისად, კონკურენცია უპი-ების მოსაზიდად ეფუძნება მასპინძელ ქვეყნებში ინფრასტრუქტურის და მომსახურების არსებულ დონეს, ბიზნესის წარმოების სიმარტივეს და კვალიფიციური კადრების ხელმისაწვდომობას. ყოველივე აღნიშნული განაპირობებს გამოწვევებს განვითარებად ქვეყნებში, რაც მოიცავს ადამიან-კაპიტალის ფორმირებას, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის ბიზნესმომსახურებას როგორიცაა, მაგალითად, ეფექტიანი კომუნიკაციები და სისტემების განაწილება. მოცემული გამოწვევები მიმართულია შექმნას ისეთი აქტივები რომელიც უზრუნველყოფს კონკურენტული გარემოს შექმნას მიმღებ ქვეყნებში. თანამედროვე პერიოდში ის განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც ზღუდავენ წარმოების საშუალებებისა და შუალედური პროდუქციის იმპორტს ვერ მოახდენენ ინტეგრაციას და ტეკ-თა საერთაშორისო მარკეტინგის ქსელში ჩართვას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შეჯამებით, მიმღები ქვეყნებისთვის უპი-ების გამსაზღვრელი ფაქტორებია: დაბალი შრომის დანახარჯები, შიდა ბაზრის დიდი მოცულობა, ბუნებრივი რესურსების სიუხვე, სიახლოვე დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებთან. აღნიშნული ფაქტორების მქონე მასპინძელ ქვეყნებს შესაძლებლობა აქვთ, წარმატებით მოიზიდონ უპი-ების მეტი მოცულობა.

2.ბიზნესის ხელშეწყობა. რეციპიენტი ქვეყნის ბიზნესის გამარტივების ხელშემწყობი პროცედურებით ძირითადად ინვესტიციათა მოზიდვის სააგენტოები საქმიანობენ. აღნიშნული სააგენტოების მომსახურება მოიცავს კონსულტაციის გაწევას, აჩქარებს ინვესტიციათა ნებართვის მიღებისა და განხორციელების პროცესს. მასპინძელი ქვეყნის მთავრობები ახორციელებენ აქტიურ პოლიტიკას არა მარტო ინვესტიციათა ლიბერალიზაციის, არამედ ბიზნესის გამარტივების კუთხითაც, აძლევენ

საგადასახადო შეღავათებს და, გარდა ამისა, გამოყოფენ სუბსიდიებს, ასევე უზრუნველყოფს რითაც კონკურენციას უწევენ სხვა კონკურენტ ქვეყნებს, რომლებიც აქტიურად ცდილობენ უპი-ების მოზიდვას. სუბსიდიების გაცემით მთავრობა დისკრიმინაციას უწევს მცირე და ადგილობრივ ინვესტორებს, რომლებიც არ სარგებლობენ აღნიშნული სტიმულებით. ც. ომანის თანახმად (107,გვ73), სუბსიდიები, გაცემული უცხოელ ინვესტორთათვის საავტომობილო მრეწველობაშ 1980-იანი წლების დასაწყისში, თითო სამუშაო ადგილის შესაქმნელად გაიზარდა 20.000 -დან 200.000 დოლარამდე 1990-იან წლებში. ეკონომისტების მტკიცებით, დისკრეციული ფისკალური პოლიტიკა და ფინანსური სუბსიდიები უპი-ების მოზიდვის არაეფექტიანი მეთოდებია, ხოლო პოლიტიკოსების განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ დისკრეციული წახალისება არ წარმოადგენს უპი-ების განმსაზღვრელ დეტერმინანტს, ამგვარ წახალისებას შეუძლია გარკვეულწილად ზეგავლენა მოადინოს ინვესტორთა გადაწყვეტილებებზე. უცხოელ ინვესტორთა საინვესტიციო გადაწყვეტილებები მოიცავს ორ ძირითად ეტაპს: პირველ ეტაპზე ხდება ქვეყნის ადგილმდებარეობის განსაზღვრა და რეგიონში პოტენციური კანდიდატების შერჩევა, ამის შემდეგ კი უცხოელი ინვესტორის საბოლოო გადაწყვეტილებაზე ზეგავლენას ახდენს საგადასახადო და ფისკალური წახალისება.

ინვესტიციების შემოდინებას თან ახლავს თანამედროვე ტექნოლოგიების გადაცემა რეციპიენტ ქვეყნებისთვის. უცხოური კომპანიები ნერგავენ ნოუ-ჰაუს, აუმჯობესებენ თანამშრომლების კვალიფიკაციას, რომლებიც შემდეგ საქმდებიან ადგილობრივ ფირმებში; აძლევენ სტიმულს ადგილობრივ საწარმოებს, გააუმჯობესონ მენეჯერული შესაძლებლობები; ისარგებლონ ადგილობრივ ან საერთაშორისო ბაზრებზე უცხოური ფირმების ტექნიკით მარკეტინგის სფეროში; ტეკ-ების მეთოდების გადაცემა რეციპიენტი ქვეყნებისთვის უზრუნველყოფს ხარისხის კონტროლს, ადგილობრივი სადისტრიბუციო არხებისა და მომწოდებლების სტანდარტიზაციას. განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური განვითარება განაპირობა ძირითადად წარმოების მასშტაბის ზრდამ და კაპიტალის ინტენსივობამ. შესაბამისად, უცხოურ კომპანიებს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით მიმღებ ქვეყნებში კაპიტალტევადი წარმოების შექმნასა და განვითარებაში. უპი-

ების ერთ-ერთი დადებითი შედეგია ახალი პროდუქციის და მასპინძელი ქვეყნის მჭიდრო კავშირი მსოფლიო სავაჭრო სისტემასთან, რაც ხელს უწყობს მიმღები ქვეყნის ინტეგრაციას და საკუთარი ადგილის დამკვიდრებას მსოფლიო ბაზარზე. .მასპინძელ ქვეყნებში არსებულ უცხოურ კომპანიებში გაცილებით მაღალი ანაზღაურებაა, ვიდრე ეროვნულ ფირმებში. ეს აიხსნება იმ მიზეზით, რომ ტეკ-ები ადგილობრივ ფირმებთან შედარებით ძირითადად მაღალკვალიფიციურ სამუშაო ძალას ქირაობენ, რაც ზეგავლენას ახდენს ადგილობრივ კომპანიებში საშუალო ხელფასის დონის ამაღლებაზე იმ იშვიათ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეროვნულ და უცხოურ ფირმებში ხელფასებს შორის განსხვავება არ არსებობს.

უპი-ების განმსაზღვრელი მაკრო დონის დეტერმინანტები მოიცავს ნებისმიერი მასპინძელი ქვეყნის გარემო პირობებს, რომელიც ზეგავლენას ახდენს უცხოურ ინვესტიციათა ნაკადებზე, აღნიშნული დეტერმინანტებია:

- **ბაზრის მასშტაბი და პოტენციალი.** მასპინძელი ქვეყნის ბაზრის სიდიდე, რომლიც ასევე გამოხატავს მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ პირობებს და პოტენციურ მოთხოვნას, მნიშვნელოვანი ელემენტია უპი-ების განხორციელების პროცესში. რეციპიენტი ქვეყნის ბაზრის სიდიდე და პოტენციალი წარმოადგენს მნიშვნელოვან დეტერმინანტს საგარეო ბაზარზე ორიენტირებული უპი-ებისთვის. ყველა განვითარებული ქვეყანა არ ახდენს ფოკუსირებას, განახორციელოს რეგიონში უცხოურ ბაზარზე ორიენტირებული ინვესტიციები. მაგალითად, ამერიკის ინვესტიციები მექსიკაში წარმოადგენს ეფექტიანობაზე ორიენტირებულს, ხოლო გერმანიის მიერ განხორციელებული უპი-ები მექსიკაში ბაზარზე ორიენტირებულია. ინვესტორები, რომელნიც დაინტერესებულნი არიან ახალ ბაზრებში შესვლით, უპირატესობას ანიჭებენ დინამიურ ბაზრებს, რომლებიც ზრდის მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდებიან, მაგალითად, მოსახლეობის ერთ სულზე მაღალი მშპ-ით, რამდენადაც ასეთი ბაზრები, როგორც წესი, საქონელზე მაღალი მოთხოვნით ხასიათდება.
- **ბუნებრივი რესურსები**. ბუნებრივი რესურსები ისტორიულად უპი-ების ყველაზე მნიშვნელოვანი დეტერმინანტია. XIX საუკუნიდან

მეორე მსოფლიო ომამდე დაახლოებით მსოფლიო უპი-ების მარაგის 60% იყო დაბანდებული ბუნებრივ რესურსებში. მინერალური რესურსები, ევროპულ ინდუსტრიულ ქვეყნებში და ჩრდილოეთ ამერიკაში უპი-ების დაბანდების მნიშვნელოვანი წყაროა.

- **შრომის ხარჯები**. ინვესტიციებს განვითარებად ქვეყნებში საფუძვლად უდევს შრომითი ხარჯების დაზოგვა და წარმოების ნაწილის გადაადგილება დაბალი ხელფასის მქონე ქვეყნებში. ჰ. ბრაკონიერის თანახმად (50,გვ.460), ამერიკული ტეკ-ის გაყიდვების დაახლოებით 20% ეფუძნება ინვესტიციათა მიმღებ ქვეყნებში არსებულ დაბალ ხელფასსა და კვალიფიციური მუშახელის არსებობას. სულიმანმა და მოლიკმა (114,გვ.51) გამოიკვლიეს უპი-ების ნაკადები განვითარებად ქვეყნებში და დაასკვნეს, რომ უპი-ების მცირე ნაკადები აფრიკის ქვეყნებში განპირობებულია დაბალი კვალიფიკაციის მუშახელის არსებობით. ავტორებმა აღნიშნეს, რომ ადამიან-კაპიტალი წარმოადგენს უპი-ების განმსაზღვრელ დეტერმინანტს. საქართველოში შრომით ბაზარზე საკმაოდ მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალაა, მისი ღირებულება მნიშვნელოვნად დაბალია. ეს გარემოება ქმნის ხელსაყრელ შესაძლებლობებს უცხოელი ინვესტორებისთვის, მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სოციალურ პირობებში ჩამოყალიბებული შრომის ორგანიზაციის შედეგად მუშაკები შეჩვეულნი არიან მკაცრ ფორმალურ კონტროლს, ზუსტ რეგლამენტაციას, დაბალ ინიციატივას და სხვა ამ თვისებებით კი ისინი ნაკლებად იზიდავს უცხოელ ინვესტორს.

- **მასპინძელი ქვეყნის გახსნილობა და ორმხრივი სავაჭრო გამოცდილება.** ქვეყნები, რომლებიც ახორციელებენ ღია სავაჭრო პოლიტიკას, აქვთ ლიბერალური სავაჭრო რეჟიმები, ასევე ჩამოყალიბებული საერთაშორისო ურთიერთობები და წარმოადგენენ კონკურენტუნარიანებს მსოფლიო ბაზარზე. ყოველივე აღნიშნული, ქვეყანაში პოზიტიური გარემოს შექმნას უზრუნველყოფს უცხოელი ინვესტორებითვის. ინვესტორების მიზანია ინვესტიციები ისეთ ქვეყნებში დააბანდონ, სადაც კარგად ჩამოყალიბებული საგარეო

ურთიერთობები გააჩნიათ. ქვეყნებს შორის დადებული ორმხრივი შეთანხმებები თავისუფალ ვაჭრობაზე სტიმულს აძლევს უპი-ებს, კერძოდ, ეფექტიანობაზე ორიენტირებული უპი-ების გამოჩენას. ორმხრივი სავაჭრო შეთანხმებები უზრუნველყოფს წარმოების ნაწილის ან მთლიანად წარმოების პროცესის გადატანას დაბალი დანახარჯების მქონე ქვეყნებში.

საქართველოში მოქმედებს შედავათიანი სავაჭრო რეჟიმები:

- თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი – დსთ-ს ქვეყნებსა და თურქეთთან (2008 წლის 1 ნოემბრიდან)
- "უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი" (MFN) – მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებთან;
- პრეფერენციების განზოგადებული სისტემა (GSP) – აშშ-თან, კანადასთან, იაპონიასთან, შვეიცარიასა და ნორვეგიასთან;
- 2005 წლიდან საქართველომ ევროკავშირის 33 ქვეყანასთან გააფორმა ხელშეკრულება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ, ხოლო 32 ქვეყანასთან ინვესტიციების ურთიერთდაცვისა და წახალისების თაობაზე.

აღნიშნული სავაჭრო რეჟიმები ხელს შეუწყობს საქართველოს, ისარგებლოს მოცემული რეგიონების შიდა ბაზრით, რაც მნიშვნელოვანად გაზრდის ინვესტიციათა ნაკადებს ჩვენს ქვეყანაში..

- **განვითარების ოფიციალური დახმარება (ODA):** განვითარების ოფიციალური დახმარება წარმოადგენს მიმღებ ქვეყნებში ბიზნეს-საქმიანობის განვითარების ინდიკატორს. აქედან გამომდინარე, განვითარების ოფიციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯები ხელს უწყობს მასპინძელი ქვეყნების ფიზიკური ინფრასტრუქტურის განვითარებას და კარგი ურთიერთობების ჩამოყალიბებას საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ზრდის უცხოელ ინვესტორთა ნდობის ფაქტორს და მიმღები ქვეყნის მიმზიდველობას. იაპონიის განვითარების ოფიციალური დახმარება (ODA), საქართველოში იაპონიის თანამშრომლობის საერთაშორისო სააგენტო (JICA), რამდენიმე მიმართულებით ახორციელებს: საგრანტო დახმარებას

ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სფეროებისთვის (ენერგეტიკა, გზები, საავადმყოფოები და სოფლის მეურნეობა), შედავათიანი სესხები (ენერგეტიკა, ტრანსპორტი და ინფრასტრუქტურა), საგრანტო დახმარება ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის და ტექნიკური დახმარება (ქართველი სპეციალისტების მომზადება იაპონიაში და იაპონელი ექსპერტების მოვლინება საქართველოში ODA-ს ფარგლებში განხორციელდა ასევე უამრავი პროექტი აგრარულ, ჯანდაცვისა და განათლების სფეროებში.. აღნიშნული დახმარების ფარგლებში, ამჟამად იაპონიის მთავრობა მონაწილეობს საქართველოში მიმდინარე ორი მნიშვნელოვანი პროექტის დაფინანსებაში: აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტსა და მზის ელექტროენერგიის გამომუშავების სისტემის სუფთა ენერგიის მიღების პროექტში. აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში ინფრასტრუქტურისა და ბიზნესსაქმიანობის განვითარებას.

- **მაკროეკონომიკური ფაქტორები.:** გაცვლითი კურსი, ინფლაცია, საგარეო ვალი. მაკროეკონომიკური სტაბილურობა მოიცავს ინფლაციის დაბალ განაკვეთს, სტაბილურ სავალუტო კურსს და მცირე საგარეო ვალს. საგარეო ვალის ზრდა აუარესებს ქვეყნის კრედიტუნარიანობას, ქვეყანას ექმნება პრობლემები გადახდისუნარიანობასთან დაკავშირებით, გარდა ამისა, იწვევს ვალუტის დევალვაციას. სავალუტო კურსის არასტაბილურობა განაპირობებს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს და სხვა რისკ-ფაქტორებს. მაღალი და არასტაბილური ინფლაციის განაკვეთი ზრდის გაურკვევლობას ქვეყნის შიგნით და აქედან გამომდინარე, წარმოიშობა საინვესტიციო რისკები. 2011 წელს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ინფლაცია იყო. საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, 2011 წელს წლიური საშუალო ინფლაცია 8.5%-ს შეადგენდა, შედარებისთვის 2010 წლის მეორე ნახევრიდან ინფლაციის მაჩვენებელმა ზრდა დაიწყო და თითქმის მთელი 2011 წლის განმავლობაში ორნიშნა იყო. მაგალითად, 2011 წლის მაისში ინფლაციამ პიკს მიაღწია და გაუთანაბრდა 13%-იან მაჩვენებელს, ივნისში 10%-მდე შემცირდა, ივლისში 8%-მდე, ხოლო აგვისტოში 7.2%-მდე. ინფლაციის შემცირების საკითხი სწორედ ხელისუფლების

მიერ თანამიმდევრული და კოორინირებული ხარჯვითი პოლიტიკის და მონეტარული პოლიტიკის გატარებაზეა დამოკიდებული. თუ შენარჩუნდა ინფლაციის შემცირების ტენდენცია, დაბალი და პროგნოზირებადი ინფლაცია იქნება ერთ-ერთი ფაქტორი, რაც ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში უპი-ების აქტიურ შემოდინებას, თუმცა, ინფლაციის შემცირება საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ჯერ კიდევ არ არის საკმარისი პირობა ინვესტიციური აქტიურობისათვის, ამავდროულად აუცილებელია ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციის, საფონდო ბაზრის განვითარება. საქართველოს საგარეო ვალმა ყველაზე მაღალ მაჩვენებელს – 150%-ს 2010 წელს მიაღწია, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ შეძლო სახელმწიფო ვალის დონის მშპ-ის 60%-ზე ნაკლებ დონეზე შენარჩუნება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონცემების თანახმად, ქვეყნის მთლიანმა საგარეო ვალმა მშპ-ის 60%-ს გადააჭარბა 2010 წელს და 2011 წელს დაფიქსირდა – 57.5%-ი. საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს მიდგომა, რომ ზღვარი, რომლის ზემოთ საგარეო ვალის მოცულობის ზრდაც უკვე ეკონომიკურ ზრდას მნიშვნელოვნად აფერხებს, დაახლოებით მშპ-ის 50%-ია. ამ მხრივ საგარეო ვალის 2011 წლის მონაცემები, რომელიც აღემატება მშპ-ის 50%-ზე მეტს წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის და შესაბამისად უცხოური ეკონომიკური ინვესტიციების შემოსვლის შემაფერხებელ ფაქტორს და მნიშვნელოვანწილად ზრდის ქვეყნის ეკონომიკის დამოკიდებულების ხარისხს საგარეო ვალზე

- ფისკალური დეფიციტი. თუ მთავრობა ფისკალურ დეფიციტს აფინანსებს ბანკნოტების დამატებითი ბეჭვდით ან დაბეგვრით, აღნიშნული მეთოდები თანაბრად იწვევს ინფლაციურ პროცესებს და ამცირებს კაპიტალდაბანდებიდან მიღებულ რეალურ შემოსავალს. არდა ამისა, ბევრ განვითარებად ქვეყანაში მთავრობის გადაჭარბებული სესხები ამაღლებს საპროცენტო განაკვეთს და ზღუდავს ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობას კერძო სექტორში. მთავრობას სჭირდება, ექსპანსიონისტური ფისკალური პოლიტიკა განახორციელოს იმისათვის, რომ გაზარდოს სახელმწიფო ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში. ზოგადად კი, ფისკალური

დეფიციტის საერთო ზეგავლენა არაერთგვაროვანია. თუმცა თეორიული დებულებების თანახმად არსებობს ნეგატიური კავშირი ფისკალურ დეფიციტსა და უპი-ების შემოდინებას შორის.

- **გეოგრაფიული და კულტურული სიახლოვე.** FC&FIAS გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ უპი-ებზე განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებად ქვეყნებში გავლენას ახდენს გეოგრაფიული სიახლოვე. მაგალითად, მაშინ, როდესაც იაპონური კომპანიები ხსნიან ფილიალებს ჩინეთსა და აზიის ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში, დასავლეთ ევროპის მოწინავე ფირმებს, როგორც წესი, კომპანიის ფილიალები გადააქვთ აღ. ევროპაში[8] მაგალითად, ავსტრიამ უპი-ების დიდი წილი დააბანდა ცენტრალური ევროპის ქვეყნებში, ხოლო ესპანეთი გეოგრაფიული სიშორის გამო გახდა ეგრეთწოდებული "მძიმე" ინვესტორი ლათინური ამერიკის ქვეყნებისთვის. საქართველო მდებარეობს ევროპისა და აზიის გასაყარზე, შესაბამისად, თავისი სატრანსპორტო მაგისტრალებით ქვეყანა არის ის ხიდი, რომელიც აკავშირებს მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს რეგიონებს. ესენია: ევროპა, შავი ზღვის აუზის ქვეყნები, თურქეთი, კავკასიის რეგიონი. ამ ქვეყნებს შორის საქართველოზე გადის უმოკლესი გზა დასავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიას შორის ნავთობის, გაზის და სხვა ტვირთების გადასაზიდად. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი ორიენტირი უნდა გახდეს აღნიშნული რეგიონებიდან ტეკ-ების შემოყვანა, ერთობლივი კომპანიების შექმნა, რაც გაზრდის საქართველოში ინვესტიციების მოცულობას. ამ მხრივ საქართველოს, მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, გააჩნია პოტენციალი იყოს საინვესტიციო პროექტების განხორციელებისთვის მიმზიდველი ადგილი.

- **ინსტიტუციური ფაქტორები**. პოლიტიკური სისტემა და არსებული ინსტიტუტების ხარისხი, სხვადასხვა მიზეზთა საფუძველზე, უპი-ების საქმიანობის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი დეტერმინანტია,

[8] IFC and FIAS (1997). *IFC lessons of Experience 5, Foreign Direct Investment.* Washington D.C ,USA

განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში: ა) პოლიტიკური არასტაბილურობა მიუთითებს მასპინძელ ქვეყანაში შესაძლო ძალადობაზე, სამოქალაქო ომის საშიშროებაზე ან უბრალოდ სუსტი მთავრობის არსებობაზე, რაც შეაფერხებს უპი-ათა ნაკადებს; ბ) ქვეყნები განვითარებული დემოკრატიითა და პოლიტიკური პასუხისმგებლობით უზრუნველყოფენ საიმედო საკანონმდებლო ბაზას და შესაბამისად ასტიმულირებენ ქვეყანაში უპი-ების შემოდინებას, თუმცა მეორე მხრივ კი, ლისა და რეზნიკის (115,გვ.185) მტკიცებით, დემოკრატიული ქვეყნები ზღუდავენ ტეკ-ებს გააგრძელონ მონოპოლიური საქმიანობა, ასევე, ადგილობრივ მთავრობას – შესთავაზონ უცხოურ ინვესტიციებს სტიმულები, რამაც შესაძლოა განაპირობოს უპი-ების შემცირება; გ) აქტივების სუსტი სამართლებრივი დაცვა ფირმებს უქმნის აქტივების ჩამორთმევის საშიშროებას, რის შედეგადაც ნაკლებმოსალოდნელია განხორციელდეს კაპიტალდაბანდება; დ) კარგად ფუნქციონირებადი ბაზრებისთვის აუცილებელი ინსტიტუტების დაბალი დონე ზრდის ბიზნესის წარმოების დანახარჯებს, რაც საბოლოოდ ამცირებს უპი-ების აქტივობას;

- **ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ მოლაპარაკება**. XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყსიდან საგრძნობლად გაიზარდა მოლაპარაკებების რაოდენობა ორმაგი დაბეგვრის თავიდან ასაცილებლად. ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები მოიცავს ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავის მოგვარების საკითხებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მაგალითად, როგორიცაა, მსოფლიო ბანკი, და აღნიშნული მოლაპარაკებებით ამცირებს ექსპროპრიაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს[9]
- **ინფრასტრუქტურა**. ტეკ-ების ფილიალების განთავსება მასპინძელ ქვეყნებში რამდენიმე ასპექტში დამოკიდებულია ინფრასტრუქტურის განვითარების არსებულ დონეზე, რამდენადაც კომპანიის წარმოებული პროდუქციის ქვეყნიდან გატანა მოითხოვს კარგ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას. ტეკ-ები უპირატესობას ანიჭებენ

[9] WIR, 2005. World Investment Report 2005: Transnational Corporations and the Inter- nationalization of R&D. United Nations, New York and Geneva.

ქვეყნებს, რომლებიც ხასიათდებიან კარგად ფუნქციონირებადი ტელეკომუნიკაციებითა და განვითარებული ინტერნეტქსელებით. ტელეკომუნიკაციების სექტორი არის ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი სეგმენტი, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს მაკროეკონომიკური განვითარების პერსპექტივებზე. რევოლუციურმა ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა, რომლებიც განხორციელდა ტელეკომუნიკაციების სექტორში 90-იან წლებში და რომელსაც მოჰყვა ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესების გაღრმავება, მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია საქართველოს ტელეკომუნიკაციების სისტემის განვითარებაში. აღნიშნული მოიცავს შემდეგს:

- ტელეკომუნიკაციის სექტორის სტრუქტურული ტრანსფორმაციას;
- ლიბერალიზაციას;
- საკანონმდებლო ბაზის განვითარებას;
- სექტორში კონკურენციული გარემოს ჩამოყალიბებას;
- ახალიტელეკომუნიკაციური მომახურების და დაფარვის გაფართოებული ზონის შექმნას;
- მომსახურების გაფართოებას, დივერსიფიკაციასა და ხელმისაწვდომობას;
- საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის განვითარებას.

გარდაზემოაღნიშნული მაკროდონის ფაქტორებისა, მასპინძელი ქვეყნისთვის არსებობს უპი-ების განმსაზღვრელი სხვა დეტერმინანტები, როგორიცაა, მაგალითად, მიმღები ქვეყნის იმიჯი, ხელმისაწვდომობა საინვესტიციო ფონდებზე, მართვა, ადამიან-კაპიტალის განვითარება, ურბანიზაცია, თანამიმდევრული და სტაბილური მაკროეკონომიკური და დარგობრივი პოლიტიკა და ა.შ.

განვითარებად ქვეყნებში უპი-ების ორიენტაციამ გადაინაცვლა რესურსებსა და ბაზრებზე ორიენტირებულიდან ეფექტიანობზე ორიენტირებულისკენ. გლობალიზაციის პროცესის ზემოქმედებამ განაპირობა ტეკ-ის მიერ მათი წარმოების პროცესის გადატანა დაბალი დანახარჯების მქონე განვითარებად ქვეყნებში. მიუხედავად ამისა, ინდუსტრიულად განვითარებადი ქვეყნებისგან განსხვავებით, განვითარებად ქვეყნებში უპი-ები ჯერაც ძირითადად მიმართულია ბუნებრივი რესურსების

ექსპლუატაციისა და ეროვნული და რეგიონული ბაზრების ხელმისაწვდომობისკენ. მასპინძელი ქვეყნის მთავრობებმა აუცილებელია უზრუნველყონ მათ ეკონომიკაში არამობილური აქტივების ისეთი უნიკალური კომპლექტი, რომელიც შეესაბამება ეკონომიკური საქმიანობის იმ ტიპს, რომლის მოზიდვა და შენარჩუნება სურთ მათ ქვეყნის შიგნით.

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისიდან, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის, ასევე ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებმა აქტიურად დაიწყეს საბჭოთა ეკონომიკური წყობიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი. ც. ჯენსენმა (68,გვ.889) ხაზი გაუსვა ეფექტიანი უპი-ების პოლიტიკის გატარების მნიშვნელობას, რომელიც დამახასიათებელია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გარდამავალი პერიოდის სხვადასხვა ეტაპებისათვის. გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი დეტერმინანტი, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის მიმზიდველობას უცხოელი ინვესტორებისთვის, ლიბერალიზაცია და ეკონომიკის სტაბილიზაციაა. კერძოდ, საწყის ეტაპზე უცხოელი ინვესტორების მიერ აღქმული რისკი გაცილებით მაღალია, ამიტომ უპი-ების შემოსვლა მეტწილად დამოკიდებულია არსებულ ზოგად გარდამავალ გარემოზე. არსებობს უამრავი გაურკვეველი ორგანიზაციული საკითხი, როგორიცაა, მაგალითად, კერძო საკუთრების უფლებები და კანონის უზენაესობა, ამიტომ საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუტების მშენებლობა საწყისი გარდამავალი პერიოდის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია. გარდა ამისა, პოლიტიკური ფაქტორები, როგორიცაა ეკონომიკური რეფორმების განხორციელება, დიდ ზეგავლენას ახდენს უპი-ების შემოსვლაზე. ამიტომ, ეკონომისტების უმეტესობა თვლის, რომ სამართლებრივი განვითარება და ვაჭრობის ლიბერალიზაცია წარმოადგენს ინსტიტუციური მშენებლობის ძირითად ასპექტს.

გარდამავალი პერიოდის პირველ ეტაპზე, ჰიპერინფლაცია და უარყოფითი ეკონომიკური ზრდა ეკონომიკურ გარემოს არამიმზიდველს ხდის უცხოელი ინვესტორებისთვის. ამ ეტაპზე საკუთრების უფლება არ არის დაცული, ამიტომ სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციის პროცესი აღიქმება გარდამავალი პერიოდის ქვაკუთხედად, რამდენადაც ის ეხმარება, შექმნას საკუთრების უფლებებისა და კორპორაციული მართვის ეფექტიანი სისტემა. აღნიშნული რეფორმები აუმჯობესებს გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკურ

განვითარებას და ეხმარება გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მიღწევაში.

პრივატიზაციის პროცესი ხელს უწყობს ინდუსტრიული სტრუქტურის მშენებლობას და კონკურენციის წესებს ადგენს ბაზარზე. გარდამავალი პერიოდის პირველ ეტაპზე უპირატესი განმსაზღვრელი ფაქტორები, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის მიმზიდველობას, მოიცავს ინსტიტუციურ მშენებლობას და ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას. ხოლო გარდამავალი პერიოდის მეორე ეტაპზე უპი-ების შემოდინებაზე გავლენას ახდენს ეფექტიანი მარკეტინგის არსებობა, რომელიც ხაზს უსვამს ინვესტორებისათვის სპეციალურ საგადასახადო და სტრატეგიული სტიმულების შეთავაზებას თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში. გარდამავალი პერიოდის მესამე ეტაპი იწყება ევროკავშირის გაფართოებით, როდესაც ახალი წევრი ქვეყნები ევროკავშირთან მიერთებით უპი-ების ახალი ნაკადების გამოჩენას მოელიან. პირველ ორ ეტაპზე განხორციელებული რეფორმების გატარება მესამე ეტაპზე არ დაიშვება, რამდენადაც, გარდამავალი პერიოდის მესამე ეტაპზე, ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნები მზად უნდა იყვნენ კონკურენცია გაუწიონ უპი-ების მოსაზიდად ევროკავშირის წევრ განვითარებულ ქვეყნებს.

გარდამავალი პერიოდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს ქვეყნებისთვის წარმოადგენს ეკონომიკის ლიბერალიზაცია, ასევე ვაჭრობისა და საგარეო ინვესტიციების გზით ეროვნული ბაზრების გახსნა უცხოური საქონლისა და მომსახურებისთვის. უპი-ები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ იმ განსხვავებების დაფარვაში, რომელიც არსებობს ინვესტიციების მაღალ დონესა და შიდა დანაზოგის სიმცირეს შორის. გარდა ამისა, უცხოური ინვესტიციები უზრუნველყოფს ძირითადად ექსპორტ-იმპორტის გარე დაფინანსებას აქციების ფორმით და არ წარმოადგენს საგარეო ვალის დაგროვების საშუალებას,

საერთო პროგრესი გარდამავალ პროცესში, განსაკუთრებით ინსტიტუციური განვითარება, უპი-ათა შემოდინების ყველაზე მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია. ფართო გაგებით, ინსტიტუციური განვითარება გულისხმობს საზოგადოებაში სუფთა თამაშის წესების დაარსებას. ეს უკანასკნელი მოიცავს ნორმატიული და მარეგულირებელი სტრუქტურების და საქმიანობების შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში სტაბილურ

სოციალურ ქცევას. ყოფილი სოციალისტური ქვეყნებისათვის, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში განსაკუთრებით აუცილებელია საბაზრო ინსტიტუტების განვითარება. ეფექტიანი ბაზრები დამოკიდებულია აღნიშნულ მხარდამჭერ ინსტიტუტებზე, რომელთაც შეუძლიათ საბაზრო ეკონომიკის ფორმალური და არაფორმალური თამაშის წესების უზრუნველყოფა. აღნიშნული ინსტიტუციური დეტერმინანტები გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის წამოადგენს უცხოურ ინვესტიციათა მიმზიდველობის შეფასების კრიტერიუმს:

გარდამავალი ქვეყნებისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ცვლილება დაკავშირებულია საკუთრების ფორმის ცვლილებასთან. პრივატიზაციის პროცესი ხელს უწყობს მეწარმოებას, ავითარებს კონკურენტულ უპირატესობას და უცხოელ პარტნიორებთან ქმნის ხელსაყრელ გარემოს ორმხრივი ინვესტიციების განხორციელებისათვის. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში პოტენციური ინვესტორების გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მიმღები ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის ფაქტორს. აღნიშნულ ჯგუფში ერთიანდება ისეთ დეტერმინანტები, როგორიცაა:

1.1 **მიმღები ქვეყნის ბაზრის სიდიდე.** ერთ-ერთი მთავარი მოტივი ტეკ-თვის ახალ ბაზრებში შესვლაა. აქედან გამომდინარე, ბაზრის სიდიდე და მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობა, ასევე ბაზრის განვითარების დინამიკა, ტეკ-თვის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს.

1.2 აღნიშნულ ჯგუფში მეორე მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია **შრომის ხარჯები**. წარმოების პროცესის გადატანა შრომის დაბალი დანახარჯების მქონე გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ტეკ-თვის ინვესტიციათა განხორციელების პროცესში ერთ-ერთი გადამწყვეტი დეტერმინანტია. აღნიშნულის განმსაზღვრელი ინდიკატორია – შრომის ხარჯები

გარდამავალ ქვეყნებში დანახარჯები სამუშაო ძალაზე ჯერაც დაბალია დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, თუმცა გაცილებით მაღალია ვიდრე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, როგორიცაა, მაგალითად, სამხრეთ აზიის ქვეყნები. გარდამავალი ქვეყნების სიახლოვე დასავლეთ

ევროპის ქვეყნებთან ამცირებს სხვა სახის ხარჯებს, რაც დამატებით ასტიმულირებს უპი-ების შემოდინებას აღნიშნულ ქვეყნებში. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი წამახალისებელი ფაქტორია ბიზნესპარტნიორებს შორის მცირე განსხვავებები კულტურას, ენას, ფსიქოლოგიას და თუნდაც პოლიტიკურ სფეროში.

ამრიგად, ჩვენს მიერ გაანალიზებული უპი-ების განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორებს ორ ურთიერთდაკავშირებულ შედეგამდე მივყავართ:

1.1. ამჟამად ტეკ უფრო მეტად აფასებენ მიმღებ ქვეყნებს იქ განხორციელებული საინვესტიციო პოლიტიკის საფუძველზე, ვიდრე გასულ წლებში. აღნიშნული პოლიტიკის გატარება მოიცავს სასურველი საინვესტიციო კლიმატის შექმნას, კონკრეტულად კი იმ აქტივებისათვის სპეციფიკური ადგილმდებარეობის შექმნას, რომლითაც დაინტერესებულნი არიან ტეკ-ები;

1.2. უპი-ების განმსაზღვრელი ტრადიციული დეტერმინანტების მნიშვნელობა დღეისათვის თანდათან მცირდება. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დეტერმინანტები ჯერაც არსებობს, თუმცა გლობალიზაციის პროცესის განვითარებასთან ერთად, მათი მნიშვნელობა თანდათან მცირდება. უფრო კონკრეტულად კი უპი-ების ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული განმსაზღვრელი ფაქტორის, როგორიცაა ეროვნული ბაზრის მასშტაბის მნიშვნელობა საგრძნობლად შემცირდა. ამავდროულად, მასპინძელი ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარების ხარისხი, სასურველი ბიზნესგარემოს შექმნა და კვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობა წარმოადგენს უპი-ების მოზიდვის განმსაზღვრელ დეტერმინანტებს.

თავი II. საინვესტიციო პოლიტიკის განვითარების ინსტრუმენტები

2.1. საინვესტიციო პოლიტიკის როლი უცხოური კაპიტალის მოზიდვის პროცესში

თანამედროვე პერიოდში განვითარებადი ქვეყნები სულ უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი, უპი-ებთან მიმართებით აქტიური საინვესტიციო პოლიტიკა აატარონ. XX საუკუნის 90-იან წლებიდან, ქვეყნების უმეტესობამ აქტიურად დაიწყო უპი-ების რეჟიმის ლიბერალიზაცია, რამდენადაც უპი-ები ასოცირდება ეკონომიკის განვითარების პოზიტიურ შედეგებსა და სიღარიბის დონის შემცირებასთან. რეალურ პრაქტიკაში, უპი-ების მოზიდვის შესაძლებლობები და მათი მიღებით განპირობებული შედეგები განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. ლიბერალიზაციამ და თანამედროვე ტექნოლოგიურმა მიღწევებმა ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში უპი-ების ნაკადების ზრდა გამოიწვია. თუმცა ბევრმა ქვეყანამ, მიუხედავად ლიბერალური საინვესტიციო რეჟიმის არსებობისა, არცთუ წარმატებით შეძლო ინვესტიციათა მოზიდვა.

დღეისათვის ქვეყნები თითქმის იძულებულნი არიან, კარგახსნილნი იყვნენ უპი-თან მიმართებით, რამდენადაც თანამედროვე პირობებში ინდუსტრიული სიმძლავრეების მშენებლობა შეუძლებელია კარჩაკეტილ ეკონომიკაში, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ქვეყნებს ჰყავთ ისეთი ეფექტიანი მთავრობები, როგორიც მაგალითად კორეაშია. აღნიშნულ თავში განვიხილავთ, თუ როგორაა დაკავშირებული უცხოური ინვესტიციები ქვეყნის განვითარების სტრატეგიასთან. უცხოური კაპიტალის დაბანდების წინაპირობასა (წარმოების ფაქტორების სიუხვე, როგორიცაა სამუშაო ძალა, ბუნებრივი რესურსები და კაპიტალი, მცირე და დიდი ეკონომიკა და ა.შ.) და იდეოლოგიაზე დაყრდნობით (სახელმწიფო ჩარევის ხარისხი), უპი-ების პოლიტიკა განვითარების სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია. აუცილებელია სახელმწიფომ დაასაბუთოს, რომ უპი-ების გამოყენება უფრო ეფექტიანი საშუალებაა, ვიდრე სხვადასხვა სტრატეგიების განხორციელება. თუ სახელმწიფო აიღებს ორიენტაციას უპი-ებზე, ამ შემთხვევაში არსებობს მთელი რიგი შესაძლებლობები, რომლის მეშვეობითაც მიმღებ ქვეყანას შეუძლია უპი-სგან მიიღოს მაქსიმალური მოგება და მინიმალური დანახარჯები. არსებობს უპი-ების განხორციელების

მრავალფეროვანი სტრატეგიები, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს სახელმწიფო ჩარევის სხვადასხვა ხარისხ ინვესტიციებთან მიმართებაში. პირველ რიგში გათვალისწინებული უნდა იყოს ინვესტიციების განხორციელების პროცესში ინფორმაციული ჩავარდნა, საერთო ჯამში კი ორივე სახის ინვესტიცია, სამამულო და უცხოური, გაურკვევლობას განიცდის, მაგრამ უცხოელ ინვესტორებს, ბუნებრივია, გააჩნიათ არასაკმარისი ინფორმაცია მიმღები ქვეყნის შესახებ, ამიტომ ისინი უპირატესობას ანიჭებენ ლოდინს, სანამ ინვესტიციების დაბანდების ქვეყანას სხვა ინვესტორები არ გამოცდიან. მიმღები ქვეყნის საინვესტიციო პროცესის დასაჩქარებლად მასპინძელ ქვეყანას უხდება ამ პროცესში ჩარევა, რის შედეგადაც რეციპიენტ ქვეყანა სთავაზობს სუბსიდიებსა და სხვადასხვა სახის სტიმულებს, როგორიცაა ინფორმაცია პოტენციური ინვესტორებისთვის, მეორე მხრივ, პოლიტიკა უნდა იყოს მიმართული, განასხვავოს ინტერესები, რომელიც არსებობს მობილურ უცხოელ ინვესტორებსა და მიმღები ქვეყნის ეკონომიკას შორის. რეციპიენტ ქვეყანას შეუძლია ჩაერიოს ცოდნისა და ტექნოლოგიების ბაზრებში, სადაც საბაზრო წარუმატებლობა სავარაუდოა, ხოლო ტექნოლოგიური მექანიზმის დახვეწა და ბაზრის ცოდნა განვითარებას საჭიროებს. ს. ლალლა (81,გვ.10) 4 განსხვავებულ მიდგომას გამოყოფს:

1. ღია პასიური პოლიტიკა, შეზღუდული ინტერვენციითა და სამრეწველო პოლიტიკით;
2. .ღია პოლიტიკა, შერჩეული ინტერვენციით, მიწოდების გაუმჯობესების თვალსაზრისით;
3. უპი-ების სტრატეგიული ორიენტაცია;
4. შეზღუდული პოლიტიკა.

ტ. ალტენბურგის მტკიცებით (35,გვ.37), 1 და 4 მიდგომა არ არის საკმარისი ქვეყნის ტექნოლოგიური სწავლების შესაძლებლობების გამოსაყენებლად. უმეტესი დაბალშემოსავლიანი ქვეყნებისთვის ოპტიმალური პოლიტიკა გამოიხატება მეორე მიდგომაში და თუ ადგილობრივი შესაძლებლობები განვითარდა, უფრო სტრატეგიულმა და მიზნობრივმა პოლიტიკამ შეიძლება უკეთეს შედეგამდე მიგვიყვანოს. აღნიშნულს მივყავართ მნიშვნელოვან მომენტამდე, რომ არ არსებობს უპი-ს განხორციელების

საუკეთესო პრაქტიკა ან სხვა შესაძლო პოლიტიკის უნიკალური რეალიზება. უპი-ს სტრატეგიის განვითარება ნაწილობრივ ეფუძნება შემდეგ წინაპირობებს, როგორიცაა მაგალითად, დიდი ქვეყნის მცირე ადგილობრივი შესაძლებლობები და სუსტი სავაჭრო ინფრასტრუქტურა, ასეთ პირობებში ნაკლებსავარაუდოა ქვეყანამ მიიღოს მნიშვნელოვანი მოგება მაღალტექნოლოგიური უპი-ების მოზიდვით.

მცირე ქვეყანა, არასაკმარისი ბუნებრივი რესურსებით, მაგრამ დიდ ბაზართან სიახლოვის უპირატესობით, იღებს სარგებელს ექსპორტზე ორიენტირებული უპი-ების შემოდინებით. ეს უკანასკნელი მიდგომა მართებულია ისეთი მცირე ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ინვესტიციათა წახალისება ახალ, ექსპორტზე ორიენტირებულ დარგებში აამაღლებს ქვეყნის ეკონომიკურ კონკურენტუნარიანობას და შესაბამისად ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას. ამასთან, უკვე არსებულ, ტექნოლოგიურად ჩამორჩენილ დარგებში მათი წახალისება მიზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უპი-ების დაბანდებას მოჰყვება მათი ტექნოლოგიური განახლება და ექსპორტზე ორიენტაცია. მაგალითად, ქვეყნები, საკმარისი სამთავრობო რესურსებითა და ადგილობრივი შესაძლებლობებით, სარგებლობს უპი-ით უფრო სტრატეგიულად, მაგალითად, ავითარებს პირველადი მნიშვნელობის სექტორებს, ქმნის ინდუსტრიულ ზონებს, მაშინ, როდესაც აღნიშნული ფაქტორების დეფიციტი სხვა ქვეყნებში უზრუნველყოფს, პირველ რიგში ეკონომიკაში ადგილობრივი შესაძლებლობების განვითარებას.

უპი-ების გარკვეული პოლიტიკა ვარირებს დაბანდების სახეების მიხედვით. მაგალითად, თუ გრინფილდ ინვესტიციები ასტიმულირებს ბაზარზე კონკურენციას, "შერწყმა-შთანთქმის" გარიგებები ქმნის უფრო კონცენტრირებულ სექტორებს. ნებისმიერი ქვეყნისათვის კონკურენტული პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელება ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. როგორც კი ქვეყანა შეუდგება უპი-ების სტრატეგიის განვითარებას, ამ შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანია ყველა ტიპის ღია პოლიტიკის განხილვა. მაგალითად, თუ ქვეყანა გადაწყვეტს მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები ელექტრონიკის სფეროში, მხოლოდ ამ სექტორში გახსნილობა და ქვეყნის იმიჯის შექმნა ზოგადად არ წარმოადგენს საკმარის პირობას უპი-ების მოსაზიდად. გარდა ამისა, უნდა მოხდეს

ელექტრონული ფირმების საქმიანობის ორიენტაცია საზღვარგარეთ და ელექტრონულ ტეკ-ებთან დაკავშირება, გარდა ამისა, ხელფასების ზრდასთან ერთად, აუცილებელია განხორციელდეს უპი-ების სტიმულირება, რომელთა დაბანდება მიმართული იქნება ახალ ელექტრონულ ფირმებში. აღნიშნულ სტრატეგიებზე დაყრდნობით, აუცილებელია მთავრობამ განსაზღვროს უპი-ების განხორციელების პოლიტიკა. ზოგადად, მიმღები ქვეყნისათვის არსებობს უპი-ების მოზიდვის პასიური და აქტიური პოლიტიკა:

1.1. **უპი-ს მოზიდვის პასიური პოლიტიკა.** ასეთი ტიპის პოლიტიკის განხორციელებისას მთავრობები აქტიურად არ ეძიებენ უპი-ს ნაკადებს, მიუხედავად მათ ქვეყანაში ისეთი შეფარდებითი უპირატესობის არსებობისა, როგორიცაა გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობა, დაბალი შრომის დანახარჯები, საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ბაზა, რომელთა დახმარებითაც რეგულირდება უპი-ების ნაკადები.

1.2. **უპი-ების მოზიდვის აქტიური პოლიტიკა**. აქტიური პოლიტიკის განხორციელებისას, მიმღები ქვეყნები უპი-ების მოზიდვის პროცესში ძირითადად ეფუძნებიან არა მარტო მასპინძელ ქვეყანაში შეფარდებითი უპირატესობის არსებობას, არამედ გამჭვირვალე საკანონმდებლო ბაზას, მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, ინტელექტუალურ საკუთრებას, კერძო უცხოელი ინვესტორების დაცვას. სტრუქტურა აგებული უნდა იყოს ქვეყნის სტრატეგიული მიზნების შესაბამისად, რომელიც უკავშირდება მათი ეკონომიკის პოზიტიურ განვითარებას, მიღებულს უპი-ების გარკვეული ოდენობის შემოდინებით. აქტიური პოლიტიკა უკავშირდება უფრო პროდუქტიული ინვესტიციების მოზიდვას ვიდრე პორტფელური, სპეკულაციური ინვესტიციების ნაკადების შემოდინებას ქვეყანაში. ყოველივე ზემოაღნიშნული, რაც რეალურად ხდება საქართველოში, შეგვიძლია წარმოვადგინოთ სქემის სახით.

ინვესტიციების მოზიდვის პროცესში მეტად მნიშვნელოვანია მასპინძელი ქვეყნის შერჩეული სტრატეგია, რომელიც სთავაზობს პოტენციურ ინვესტორებს სხვადასხვა საინვესტიციო შესაძლებლობებს, რომელიც შეესაბამება იმ ტეკ-ების მოთხოვნებს, რომელებიც, საბოლოო ჯამში, გახდებიან მიმღები ქვეყნის პირდაპირი ინვესტორები. რეციპიენტ ქვეყანას

შესაძლოა დასჭირდეს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, შრომისა და საგადასახადო კანონმდებლობის დახვეწა, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება, ნედლეულისა და მომსახურების კვალიფიციური მიმწოდებლების ხელმისაწვდომობა,



სქემა 2

რომლებიც მოემსახურებიან ტეკ-ებს საქმიანობის პროცესში. უცხოელი ინვესტორების აღნიშნული მოთხოვნების გაანალიზება და გაგება განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს უპი-ების აქტიური პოლიტიკის შემუშავების პროცესში. ყოველივე აღნიშნული სინთეზში წარმოდგენილია სქემატურად (სქემა3).

აქტიური პოლიტიკის კონსტრუქციისთვის აუცილებელია მიმღები ქვეყნის მთავრობის მიერ გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება, იმისათვის, რომ განხორციელდეს სხვადასხვა სტრუქტურული რეფორმები და, აქედან გამომდინარე, ინვესტიციების მოსაზიდად გაუმჯობესდეს

მასპინძელი ქვეყნის კონკურენტუნარიანობა და მიმზიდველობა. აღსანიშნავია, რომ უპი-ები არ წარმოადგენს ეკონომიკურ განვითრებასა და ზრდასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტის ერთადერთ საშუალებას



სქემა 3

გარდა ამისა, ინვესტიციათა მიმღები ქვეყნისათვის მეტად მნიშვნელოვანია საერთაშორისო ვაჭრობაში ინტეგრირების პროცესი. ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყნაში "ვაშინგტონის კონსენსუსის"[10] მიღება ეხებოდა ისეთი პოლიტიკის გატარებას, რომლის დახმარებითაც ქვეყანაში მიიღწეოდა მაკროეკონომიკური სტაბილურობა. უპი-ების სტრატეგიების განვითარება ქვეყნებისათვის წარმოადგენს ერთ-ერთ საშუალებას, რომლითაც ისინი შეძლებენ, გაარღვიონ მშპ-ის ზრდის ციკლური ხასიათი და მათი ეკონომიკა მდგრადი განვითარების მიმართულებით დააყენონ.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გასაუმჯობესებლად ეკონომიკური პოლიტიკის გატარება საკმარისი პირობა არ არის, რომელიც გამოიწვევს სტაბილურობას და ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას. გარდა ამისა აუცილებელია ისეთი ღონისძიებების გატარება, რომელიც გააძლიერებს დემოკრატიას, დაამყარებს წესრიგს და შექმნის თანამიმდევრულ ინსტიტუციურ სტრუქტურას, რაც სინქრონულად დაკავშირებულია საერთაშორისო ვაჭრობის დინამიკასთან, ბაზარსა და პრაქტიკასთან.

[10] "ვაშინგტონის კონსენსუსი" შემუშავებული იყო ჯ.უილიამსის მიერ მე-20 საუკუნის 90-იან წლებში და მოიცავდა 10 სხვადასხვა პოლიტიკის გატარებას იმ ქვეყნების მიერ, რომელთაც სურდათ მიეღწიათ ეკონომიკის განვითარებისათვის. აღნიშნული პოლიტიკით დიდი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდნენ განვითარებად ქვეყნებში და ღებულობდნენ ფინანსურ სახსრებს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების კაპიტალის ბაზრიდან.

მთავრობებს თანამიმდევრული ინსტიტუციური სტრუქტურის შექმნისას გაორმაგებული მუშაობა უწევთ ისეთ სფეროებში, როგორიცაა პოლიტიკური გამჭვირვალობა, კორუფციის დაბალი დონე, ბიზნეს-გადაწყვეტილებების კანონმდებლობის მიღება, უფლებების დაცვა, რაც უცხოელ ინვესტორებს უქმნის პირობას, ნდობით განეწყონ და ზრდის უპი-ების მოზიდვის შანსებს. მოკლედ შევაჯამოთ სხვადასხვა პირობები, რომელიც განაპირობებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდას უპი-ების მოზიდვის თვალსაზრისით (იხ ცხრ.).

ცხრილი 2.1

კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი პირობები

შედარება	ეკონომიკის სტაბილურობა	ძლიერი ინსტიტუტები
•გეოგრაფიული მდებარეობა •ნედლეულის ხელმისაწვდომობა	• მშპ ზრდა • გადასახადების სტაბილურობა	გაძლიერება: დემოკრატიის კანონისა და წესრიგის

ჰ. ლოევერდაჰლის თანახმად (182, გვ.21), ინვესტიციების მასტიმულირებელი პოლიტიკის ინსტრუმენტები შეიძლება განხორციელდეს 4 ძირითად სფეროში: ორგანიზაციის, დაგროვების, შემსუბუქებისა და ინვესტიციათა მომსახურების სფეროში. აღნიშნული სფეროები მოიცავს ინსტრუმენტების გამოყენების რამდენიმე ეტაპს, ეფექტიანი ინტეგრირების გზით შეუწყონ ხელი ეფექტიანი უპი-ების მოზიდვას. ორგანიზაციის სფეროში გამოყოფენ სხვადასხვა პროცესების შემდეგ ეტაპებს: 1. ეროვნული პოლიტიკის დაარსებას, რომელიც მოითხოვს ქვეყნის შიდა სამინისტროს კოორდინაციას; 2. დასახული მიზნების განსაზღვრას; 3. გადაწყვეტილებების მიღებას ინვესტიციათა ხელშეწყობის შესახებ; 4. კონკურენტუნარიანი პოზიციის გამყარებას (სტრატეგიული მიმართულება და ეფექტიანი მარკეტინგი) და 5. სექტორში გათვლილი სტრატეგიის განხორციელებას. დაგროვების სფერო მოიცავს: 6. მარკეტინგს, რომელიც მიმართულია ინვესტორების ინფორმირებულობის ამაღლებისკენ და 7. კომპანიის ორიენტაციას. ინვესტიციათა შემსუბუქების პროცესში გამოყოფენ შემდეგ ეტაპებს: 8.

წინასწარი პროექტების მართვას, რომლის მიზანია საინვესტიციო წინადადებების კონვერტაცია და არსებული ინვესტიციების გამოკვლევა. და, ბოლოს, ინვესტიციათა მომსახურების სფერო შედგება ორი ეტაპისგან: 9. მომსახურების გაუმჯობესების 10. შეფასებისა და მონიტორინგისაგან.

ამგვარად, ჰ. ლოევერდაჰლი გამოყოფს მიმღები ქვეყნის მიერ უპი-ების სტიმულირების 10 სხვადასხვა ეტაპს, ადაპტირებულს ადგილობრივ გარემო პირობებთან. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ თითოეულმა ქვეყანამ უპი-ების ხელშეწყობის ათივე სტადია უნდა შეუსაბამოს საერთო ინდუსტრიულ მიზნებსა და ქვეყნის განვითარების ეტაპებს.

ფართო გაგებით, უპი-ს პოლიტიკის ინსტრუმენტები მოიცავს განვითარების 4 ძირითად სტადიას (136,გვ.37) უცხოურ ინვესტიციათა სტიმულირების პირველ სტადიაზე მნიშვნელოვანია ეკონომიკის გახსნილობა, მეორე ეტაპზე ქვეყნის შიგნით იქმნება საინვესტიციო საბჭო ან ინვესტიციათა ხელშემწყობი სააგენტოები. განვითარებადი ქვეყნების უმეტესობა ინვესტიციათა სტიმულირების პირველი სტადიიდან გადავიდა მეორე ეტაპზე, ხოლო მესამე ეტაპზე მიმღები ქვეყნის მიერ უკვე ხორციელდება ორიენტაცია კონკრეტული ინვესტიციების მოზიდვისკენ. ამ მხრივ საქართველომ გაიარა I და II სტადია და უნდა დაიწყოს III და IV სტადიის რეალიზება. საინვესტიციო სააგენტოები ვიწროდ ორიენტირებული სტრატეგიიდან გადადიან ექსპორტზე ორიენტირებულ უპი-ს მოზიდვისკენ, რათა გაზარდონ ინვესტიციათა ეფექტიანობა მიმღები ქვეყნებისთვის. მაგალითად, მიზნობრივი მიდგომა განვითარებად ქვეყნებს ეხმარება, მიღწეულ იქნეს განვითარების სტრატეგიული ამოცანები და რესურსების ეფექტიანი გამოყენება. უპი-ების სტიმულირების მეოთხე ფაზა ხასიათდება იმ განსხვავებების შემცირებით, რომელიც არსებობს სამამულო და უცხოური ინვესტიციების საქმიანობას შორის. კერძოდ, ზოგიერთი მთავრობა ქმნის სპეციალურ პოლიტიკურ სტრუქტურას უცხოელი ინვესტორებისათვის, თუმცა ტენდენცია მიმართულია, შეიქმნას ერთობლივი პოლიტიკა როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ინვესტორებისთვის. ამ გზით, სირთულეები, რომელიც დაკავშირებულია უპი-ების მოზიდვასთან უნდა გადაწყდეს ინფორმაციულ და კომუნიკაციურ ტექნოლოგიათა ინფრასტრუქტურის განვითარებით, ადამიანური და სოციალური კაპიტალის ფორმირებით,

გარდა ამისა, ეროვნულ ეკონომიკაში სტრატეგიული ადგილობრივი სექტორებისა და სუბსექტორების შექმნით.

ინდუსტრიულ განვითარებაზე დაყრდნობით, სხვადასხვა ქვეყნები პოლიტიკური გარემო პირობების სხვადასხვა ასპექტებს ავითარებენ, უპი-ების სტაბილური ნაკადების მოსაზიდად სქემა 4-ში ასახულია პოლიტიკური ინტერვენციის "ვირტუოზული ციკლი", რომელიც გვიჩვენებს პოლიტიკური სტრუქტურის ძირითადი ასპექტების შიდა კავშირებს, მასპინძელი ქვეყნის მიერ თანმიმდევრული პოლიტიკის გატარებას, გარდა ამისა, სტრუქტურის დომინირებულ ხასიათს, რომელიც მართავს ეკონომიკურ განვითარებასა და მიმღები ქვეყნის კონკრეტულ ქმედებებს იმისათვის, რომ გაიზარდოს უპი-ების ნაკადები, რომელთაც ასტიმულირებს გაერთიანებული ერების ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია (UNDO). აქედან გამომდინარე, ქვეყნებმა, რომელთა ეკონომიკა ძირითადად დამოკიდებულია პირველად სექტორებზე, უნდა ეძიონ შესაძლებლობები, რომლითაც შეძლებენ შეამცირონ ინვესტიციების ხანგრძლივობის პროცესი, ამასთან, აღმოფხვრან ან გააუქმონ ადმინისტრაციული ბარიერები და ამ პროცესთან დაკავშირებული ხარჯები. პირველად სექტორში სასაქონლო რესურსებზე დამოკიდებული ქვეყნებისათვის აუცილებელია, შეიქმნას ისეთი მწარმოებლური სტრუქტურა, რომელიც დაიცავს მესაკუთრის უფლებებს, მიწის შეძენის საერთაშორისო შეთანხმებებს და სრულყოფს საკუთრების უფლებების დაცვის მთელ სისტემას. წარმოებაზე ორიენტირებულ ქვეყნებში ადმინისტრაციული ბარიერების აღმოფხვრის შემდეგ ორიენტაცია ხორციელდება ძირითადად ინსტიტუციურ მშენებლობაზე, ინტელექტუალური საკუთრების დაცვაზე და ა.შ. ინოვაციებზე ორიენტირებულ ეკონომიკაში კი

აქცენტი გადატანილია მწარმოებლურობის ზრდაზე, ინტეგრაციისა და კავშირების გამყარებაზე.



სქემა 4

აღსანიშნავია, რომ განვითარებადი ქვეყნები ახორციელებენ ისეთი უპი-ების პოლიტიკის ინსტრუმენტებს, რომელთაც განაზოგადებენ როგორც ინვესტიციათა სტიმულებს, რაც დაკავშირებულია მათი ქვეყნის საერთო ეკონომიკური განვითარების მიზნებთან. აქედან გამომდინარე, მიმღები ქვეყნები ირჩევენ ინვესტიციათა წახალისების სხვადასხვა ზომებს. ამასთან, ერთი მხრივ, სტიმულები იყოფა ზოგად და კონკრეტულ სტიმულებად, ხოლო მეორე მხრივ, ისინი დროის ხანგრძლივობის მიხედვით იყოფიან მუდმივ და დროებით სტიმულებად. უპი-ების წახალისების ინსტრუმენტები დროის ხანგრძლივობის თვალსაზრისით აუცილებელია შეიცვალოს იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს უპი-ების შემოდინების

პროცესს დროის ხანმოკლე პერიოდში. გარდა ამისა, ინვესტიციათა სტიმულები მიმართულია ადგილობრივ, ეროვნულ და რეგიონულ დონეზე. სტიმულები ადგილობრივ დონეზე გამოიყენება ქვეყნის კონკრეტული რეგიონის ხელშესაწყობად, რომელიც შედარებით ღარიბია ან უფრო მეტად საჭიროებს განვითარებას. სტიმულები ინვესტიციათა მოსაზიდად გამოიყენება მთელი ეკონომიკის მასშტაბით, გარკვეულ სექტორებში ან ქვესექტორებში, ხოლო ფირმის დონეზე სტიმულები ორიენტირებულია, დაწესდეს შეღავათები ყველა ან კონკრეტული სახის უპი-ებზე. უპი-ების პოლიტიკის ინსტრუმენტების პრაქტიკული მოქმედებისთვის ინვესტიციათა ხელშემწყობი სააგენტოები მათ მიერ შემუშავებული პოლიტიკის კონცენტრაციას მიმართავენ იმ ფაქტორებსა და ცვლადებზე, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ უპი-ების შემოდინებაზე და ხასიათდებიან მაღალი ელასტიკურობით.



სქემა 5 უპი-ების პოლიტიკის ინსტრუმენტების პრაქტიკული მოქმედება

აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს ინვესტიციათა ეფექტიანი პოლიტიკის გატარებას, რომელიც ეფუძნება სისტემატიზებულ სწორ ანალიზს. აქედან გამომდინარე, ინვესტიციათა სტიმულირებისათვის ფოკუსირება ხდება სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შექმნაზე, სწორი ტექნოლოგიური პოლიტიკის არჩევა ზრდის ინოვაციურ პროექტებს, საგადასახადო სისტემის ჰარმონიზაცია ეფექტიანი პოლიტიკის რეალიზების საფუძველია რეგიონული

მასშტაბით. უპი-ების პოლიტიკის შემუშავება წარმოადგენს რთულ და მრავალფეროვან პროცესს, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის ზოგადი განვითარების მიზნებსა და ამოცანებს, გარდა ამისა, მოითხოვს მიმდები მთავრობის მიერ პოლიტიკის ინსტრუმენტების თანამიმდევრულად განხორციელებას. სტიმულები, მიმართული ინვესტიციათა მოსაზიდად იყოფა ფისკალურ და არაფისკალურ სტიმულებად. ფისკალური სტიმულები მოიცავს ფინანსურ და არაფინანსურ სტიმულებს.

ცხრილი 2.2

ფისკალური და არაფისკალური სტიმულები

ფისკალური სტიმულები	არაფისკალური სტიმულები
საგადასახადო ამინისტია	ბანკების სასესხო პოლიტიკის განვითარება
იმპორტის გათავისუფლება გადასახადისგან	სამეცნიერო-ტექნიკური კვლევების მხარდაჭერა
საგადასახადო შეღავათები	ეკოლოგიური სტანდარტების დაცვა
	მუშახელი ტრენინგების მხარდაჭერა
	მთავრობის სუბსიდიები

ინდუსტრიული ქვეყნები, როგორც წესი, იყენებენ ფინანსურ სტიმულებს, როგორიცაა, გრანტები, ხოლო განვითარებადი ქვეყნები, ჩვეულებრივ სარგებლობენ ფისკალური სტიმულებით, მაგალითად, კორპორაციებისთვის დაბალი საშემოსავლო გადასახადის დაწესება. ამგვარად, ასეთი ტიპის წახალისებები კონკურენტულ პოლიტიკურ გარემოს ქმნის ტეკ-ების მოსაზიდად. საინვესტიციო პოლიტიკა მიმღებ ქვეყნებს აყენებს ორი პოლიტიკური არჩევანის წინაშე. პირველი მიდგომა მოიცავს ეროვნული ინსტიტუტების ხარისხის გაუმჯობესებას, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებას და ინფრასტრუქტურის განვითარებას, ხოლო საინვესტიციო პოლიტიკის მეორე მიდგომა გულისხმობს უცხოური ინვესტორების მოსაზიდად ფისკალური და ფინანსური სტიმულების აგრესიულ გამოყენებას.

საქართველოში უპი-ების მოზიდვის მიზნით მიღებულ იქნა კანონი "თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ". თავისუფალი ზონების ფუნქციონირება ხელს შეუწყობს თანამედროვე ტექნოლოგიების შემოდინებას, გააჩნდება მოთხოვნა კვალიფიციურ ძალაზე და დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. საქართველოში თავისუფალი ინდუსტრიული

ზონებია თბილისში, ქუთაისში, ფოთსა და ბათუმში. აღნიშნულ ინდუსტრიულ ზონებში სხვადასხვა ტიპის შეღავათები მოქმედებს, მაგალითად, საგარეო სავაჭრო შეღავათები, რომლებიც საბაჟო-სატარიფო ლიბერალიზაციას და არასატარიფო შეზღუდვების (ექსპორტ-იმპორტის აკრძალვა, კვოტირება, ლიცენზირება, რეგისტრირება) არარსებობას ეფუძნება; ასევე ფისკალური შეღავათები, რომლებიც პირდაპირი გადასახადების ლიბერალური სისტემის არსებობასთანაა დაკავშირებული; საფინანსო შეღავათები, რომლებიც სხვადასხვა ფორმის სუბსიდებს, შეღავათიან საკრედიტო სისტემას, მიწითა და შენობებით სარგებლობის საიჯარო გადასახადის შემცირებულ განაკვეთებსა და სხვ. შეიცავს; სავალუტო ოპერაციებზე შეზღუდვების არარსებობა; ადმინისტრაციული შეღავათები, რომელთა მიზანია ეკონომიკური აგენტების რეგისტრაციის, ანგარიშგების სისტემის, სავიზო რეჟიმის გამარტივება და სხვა.

აღნიშნული მიდგომების ცალ-ცალკე განხორციელება მცდარი და ნაკლებად შედეგიანი პოლიტიკაა. ინვესტიციათა რეციპიენტი ქვეყნები ძირითადად იყენებენ ორივე სახის პოლიტიკას შერეული სტრატეგიის სახით. საბოლოოდ კი პოლარული პოლიტიკის ძირითადი ამოცანაა არა დიდი მოცულობით უპი-თა მოზიდვა, არამედ მთლიანად საზოგადოების კეთილდღეობის მაქსიმიზაცია. ეკონომიკურ ლიტერატურაში ჩატარებული ემპირიული კვლევები მოწმობს, რომ უპი-ების მოზიდვის თვალსაზრისით, პერსპექტიულ პოლიტიკას წარმოადგენს ინვესტიციათა მკაცრი რეგულირების შემცირება, კონკრეტულად, კერძო საკუთრების უფლებების დაცვა, ბიუროკრატიისა და კორუფციის დონის შემცირება, ხოლო ნაკლებად ეფექტიანია განათლებასა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული პოლიტიკა. ეს უკანასკნელი კი სავსებით არ გამორიცხავს პოლიტიკის აკრძალვას, რომელიც მიმართულია განათლების დონისა და ინფრასტრუქტურის ამაღლებისკენ, რამდენადაც ზემოაღნიშნული ღონისძიებები ეხმარება მასპინძელ ქვეყნებს მთლიანობაში მოახდინონ საზოგადოებრივი კეთილდღეობის მაქსიმიზება. სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლება დადებითად ზემოქმედებს უპი-თა მიმღებ ქვეყნებზე ორი სხვადასხვა, მაგრამ, ამავდროულად, ურთიერთდაკავშირებული არხის მეშვეობით. 1. კვალიფიციური სამუშაო ძალა გავლენას ახდენს უპი-ების ტიპებზე, რომლებიც შემოედინება რეციპიენტ ქვეყნებში. ჭარბი

არაკვალიფიციური სამუშაო ძალის მქონე ქვეყნები ინვესტიციებს ისეთ დარგებში იზიდავენ, რომელშიც უცხოელი ინვესტორები გაუწევენ ექსპლუატაციას იაფ სამუშაო ძალას. ამ ტიპის ინვესტიციებიდან მიღებული მოგება შედარებით მცირეა, ვიდრე კაპიტალდაბანდება ისეთ მაღალგანვითარებულ დარგებში, სადაც კვალიფიციური სამუშაო ძალა განიხილება წარმოების პროცესის მნიშვნელოვან მასტიმულირებელ ფაქტორად. როდესაც უცხოური ფირმა სამიზნედ ირჩევს მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის მქონე ქვეყნებს, ამავდროულად იგი ხელს უწყობს ქვეყანაში განათლების საერთო დონის ამაღლებას. ამის ნათელი მაგალითია კომპანია "ინტელის" საქმიანობა კოსტა-რიკაში, რამაც განაპირობა ორი წლის განმავლობაში აღნიშნული ქვეყნის საინჟინრო სკოლებში ჩარიცხულთა გაორმაგება. 2. სარგებელი მიღებული მოცემული სახის ინვესტიციებიდან, დაკავშირებულია კვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობასთან. მიმღებ ქვეყანაში არსებული პოტენციური ცოდნა, ცოდნის ათვისების უნარი და ადამიან-კაპიტალის დაგროვება ტრენინგების მეშვეობით, დამოკიდებულია ადამიან-კაპიტალის გარკვეული დონის არსებობასთან. ბორენზსტეინის, დე გრეგორიო და ლის (39,გვ.125) მიერ ჩატარებულ ემპირიულ კვლევაში ხაზგასმულია, რომ უპი-ები დადებით ზეგავლენას ახდენენ იმ ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე, რომლებიც ხასიათდებიან საკმაოდ მაღალი დონის ადამიან-კაპიტალის არსებობით. ავტორთა დასკვნით, მოწინავე ტექნოლოგიებით სარგებლობა დამოკიდებულია მასპინძელი ქვეყნის უნარზე, აითვისოს თანამედროვე ტექნოლოგია, რაც შეუძლებელია ქვეყანაში ადამიან-კაპიტალის არარსებობის შემთხვევაში. მსხვილი უცხოელი ინვესტორები, რომლებიც განათლების დონეს განიხილავენ უპი-ების მოზიდვის განმსაზღვრელ ფაქტორად, მიმღები ქვეყნის მთავრობისგან მოითხოვენ ქვეყანაში განათლების დონის ამაღლებას. ამ გზით უცხოელი ინვესტორი მიმღები ქვეყნის განათლების პროცესის მასტიმულირებელი ძალა ხდება. ინვესტორები, რომლებიც მასპინძელ ქვეყანას მიმზიდველად განიხილავენ ინფრასტრუქტურის განვითარების დონისა და ინსტიტუციური გარემო პირობების მიხედვით, მოითხოვენ, რეციპიენტ ქვეყანაში განვითარდეს ინფრასტრუქტურა და განხორციელდეს ინსტიტუციური რეფორმები. ხოლო, რაც შეეხება იაფ სამუშაო ძალაზე ორიენტირებულ ინვესტორებს, ისინი მოითხოვენ, რომ მასპინძელი ქვეყნის მთავრობამ

უზრუნველყონ ისინი მუდმივად იაფი სამუშაო ძალით. მიგვაჩნია, რომ ზემონახსენები სტრატეგიის ნაკლოვანებაა ის, რომ სამუშაო ძალის კვალიფიკაციის გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურისა და ინსტიტუტების განვითარება გრძელვადიან პროცესს წარმოადგენს. მოკლევადიან პერიოდში კი ალტერნატიული სტრატეგია ეფუძნება აგრესიული ფისკალური და ფინანსური სტიმულების გამოყენებას.

ინფრასტრუქტურის განვითარება, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლება, სავაჭრო ბარიერების გაუქმება, ინვესტიციათა გამარტივებული რეგულირება და ინსტიტუტების გაუმჯობესება მეტად რთული პროცესია და ინვესტიციათა რეციპიენტი ქვეყნების ხანგრძლივ ძალისხმევას საჭიროებს სასურველი შედეგების მისაღებად. აღნიშნული ძალისხმევის შემავსებელი ღონისძიებაა ე.წ. ექსპორტის წარმოების ზონების დაარსება, რომელიც მოიცავს უპი-ების მოზიდვის ორ სტრატეგიას, ერთი მხრივ, ხელს უწყობს ადეკვატური ინფრასტრუქტურის დაარსებას და აბრკოლებს ბიუროკრატიულ პროცესებს, ხოლო მეორე მხრივ, უცხოელ ინვესტორებს სთავაზობს საგადასახადო სტიმულებს და ამცირებს სავაჭრო ბარიერებს. საბოლოო ანგარიშით კი უზრუნველყოფს ყველა იმ ფაქტორის არსებობას, რომელიც მასპინძელ ქვეყნებს მიმზიდველს ხდის უცხოელი ინვესტორებისთვის.. უპი-ების მოზიდვის პროცესში ორი ძირითადი საკითხი რაზეც განვითარებადი ქვეყნები ამახვილებენ ყურადღებას, მოიცავს, ერთი მხრივ, რეგიონული ინტეგრაციული შეთანხმებების ზეგავლენას ინვესტიციათა საერთაშორისო აქტიურობაზე და მეორე მხრივ, კი მიმღები ქვეყნის მთავრობის მიერ თანამიმდევრულ და შესაბამისად სწორი პოლიტიკის გატარებას. თანამედროვე ეტაპზე რეგიონალიზაციის პროცესი სულ უფრო მზარდ და მნიშვნელოვან ხასიათს იძენს. ორ ან მეტ ქვეყანას შორის დადებული რეგიონული ინტეგრაციის შეთანხმებები მძლავრ საშუალებას წარმოადგენს უპი-ების მოსაზიდად. აღნიშნული შეთანხმებები მკვეთრად გაიზარდა XX საუკუნის 80-იანი წლების შემდგომი პერიოდიდან და მათ შორის აღსანიშნავია "ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება", "მერკოსური", სამხრეთ-აღმსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია და ევროკავშირი. რეგიონული შეთანხმებები ამაღლებს უპი-ს კონცენტრაციას დაჯგუფებების წევრ ქვეყნებს შორის, ხელს უწყობს ბაზრების გაფართოებას და დერეგულაციის მაღალ ხარისხს. ამგვარად, რეგიონული შეთანხმებები

სტიმულს აძლევს ინვესტიციათა ნაკადებს არა მარტო რეგიონული შეთანხმებების წევრ ქვეყნებს შორის, არამედ აქტიურად იზიდავს ინვესტიციებს სხვა ქვეყნებიდანაც, ასე მაგალითად, "ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის" შეთანხმებამ სტიმული მისცა ბევრ ტეკ-ს ძრითადად დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან და იაპონიდან, რომლებიც დაინტერესებულნი არიან, დააბანდონ ინვესტიციები მექსიკაში, რათა ამ გზით შეაღწიონ ამერიკისა და კანადის ბაზრებზე. აღსანიშნავია, რომ რეგიონულ შეთანხმებებს გააჩნია უდიდესი მნიშვნელობა გააუმჯობესოს მასპინძელ ქვეყნებს შორის თანამშრომლობა, დაარეგულიროს და შეათანხმოს პოლიტიკის ინსტრუმენტებისა და ზემოაღნიშნული სტიმულების გამოყენება და ამგვარად შეზღუდოს კონკურენციული პოლიტიკის ნეგატიური შედეგები. მდგრადი საინვესტიციო პოლიტიკის ინსტრუმენტები წარმოადგენს უპი-ების ხელშემწყობ საშუალებას, ერთი მხრივ, ასტიმულირებს ინვესტიციათა ნაკადებს, ხოლო, მეორე მხრივ, ზრდის კოორდინაციასა და თანამშრომლობას მიმღები ქვეყნების მთავრობებს შორის.

განვითარებად ქვეყნებში უპი-ების პოლიტიკის ინსტრუმენტების განხორციელების დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასებისას გამოვყოფთ ორ მნიშვნელოვან საკითხს: განახორციელონ თუ არა რეციპიენტმა ქვეყნებმა ლიბერალური პოლიტიკა თუ უპირატესობა მიანიჭონ უპი-თა რეგულირებას. მ. შაფაედინის განმარტებით, "ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეძლებს საკუთარი ინდუსტრიული ბაზის განვითარებას გარკვეული ხარისხით მისი პროტექციის გარეშე. ყველა ინდუსტრიულად განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყანა ეკონომიკის განვითარების პროცესში მოქმედებს საერთო პრინციპებით და იყენებს სხვადასხვა ხერხებს, თუმცა სხვადასხვა ხარისხითა და დოზით". ზოგადად, დარგის დაცულობა უნდა მოიაზრებოდეს, როგორც დროებითი სტადია ეკონომიკური თავისუფლების, თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციათა დაბანდების მისაღწევად. მსოფლიო ეკონომიკაში ქვეყნები ხასიათდებიან ინდუსტრიალიზაციის სხვადასხვა დონით და არასრულყოფილი ბაზრებით. ყოველივე აღნიშნული ხელს უშლის საერთაშორისო კონკურენციის არსებობას, რაც ასტიმულირებს ეფექტიანი ინდუსტრიალიზაციის პროცესს ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. ამ მხრივ მეტად გონივრულია, განვითარებადმა ქვეყნებმა ხელი შეუწყონ "ახალგაზრდა დარგების" საქმიანობის გაფართოებას უცხოური

ინვესტიციების რეგულირების დახმარებით. რეგულირებას უნდა ჰქონდეს არჩევითი ხასიათი და დარგის დაცულობის ხარისხი არ უნდა იყოს გადაჭარბებული, ამასთან უნდა იყოს სუსტად პროტექციონისტური იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს დაბალანსებულ და ორმხრივად მომგებიან უცხოური კონკურენციის არსებობას.

ს. დიანკოვის მტკიცებით (56,გვ.27) ინვესტიციათა რეგულაცია აბრკოლებს განვითარებად ქვეყნებში ტეკ-თა შესვლას, რამდენადაც აღნიშნული ქვეყნების მიერ კაპიტალის შემოდინების ოფიციალური ღირებულება საკმაოდ დიდია და, შესაბამისად, ტეკ-ებს ხანგრძლივი პროცედურების გავლა უწევთ ინვესტიციათა განხორციელებამდე. ღეგულირების პოლიტიკას საფუძვლად უდევს და გამიზნულია, აღმოფხვრას არასრულყოფილი ბაზრები (მონოპოლიები, ნეგატიური გარე ეფექტები). რეალურ პრაქტიკაში კი, აღნიშნული პოლიტიკა ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია კორუფციის მაღალ დონესა და "არაოფიციალური ეკონომიკების" არსებობასთან. მიმღებ ქვეყნებში ტეკ-ების მიერ ხანგრძლივი პროცედურების გავლა და ინვესტიციათა შესვლის მაღალი ოფიციალური ღირებულება ს. დიანკოვის დასკვნით, საბოლოო ჯამში, ზიანს აყენებს მთელ საზოგადოებას. ამრიგად, უცხოური ინვესტიციების გაფართოებული რეგულაცია სცილდება მის პირველსაწყის მიზანს, რამდენადაც დაკავშირებულია საზოგადოების სოციალური შედეგების გაუარესებასთან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლიბერალიზაცია და რეგულაცია წარმოადგენს არა ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკას, არამედ ავსებს ერთიმეორეს იმისათვის, რომ ასტიმულიროს და მოიზიდოს უპი-ები, რაც ხელს უწყობს მასპინძელი ქვეყნის ინდუსტრიულ განვითარებას. საინვესტიციო პოლიტიკის ხელშეწყობა კომპლექსური პროცესია, სადაც პოლიტიკის ინსტრუმენტების ფოკუსირება ხდება მიმღები ქვეყნის სპეციფიკურ გარემო პირობებთან შესაბამისობაში. საინვესტიციო სააგენტოებს პოლიტიკის შემუშავების პროცესში უწევთ იმ დეტერმინანტებისა და ფაქტორების გათვალისწინება, რაც იზიდავთ ტეკ-ებს მასპინძელ ქვეყნებში. შესაბამისად, მას შემდეგ რაც ზემონახსენები სააგენტოები ინვესტიციათა მოზიდვის თვალსაზრისით განსაზღვრავენ რეგიონში კონკურენტ ქვეყნებს, ამის შემდეგ იწყებენ პოლიტიკის ისეთი ინსტრუმენტების შემუშავებას, რომელიც შესაბამისობაში

იქნება ქვეყნის ეკონომიკურ პირობებთან, იმისათვის, რომ ამ გზით ხელი შეუწყონ ქვეყანაში უპი-ების ეფექტიანად მოზიდვას.

საინვესტიციო სააგენტოების საქმიანობის ეფექტიანობა დამოკიდებულია იმ გარემო პირობებზე რომელშიც უწევთ საქმიანობა, შესაბამისად, არასასურველი საინვესტიციო კლიმატის მქონე ქვეყნებში მათი მოქმედება ნაკლებად ეფექტიანია. ბოლო რამდენიმე წლის წინ საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული რეფორმები მიმართულია ქვეყანაში ბიზნესგარემოს გასაუმჯობესებლად. მოცემულ კანონმდებლობაში უმნიშვნელოვანესი კანონია "ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ", რომლის მიზანია ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებითა და დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნით. იგი ვრცელდება ნებისმიერ უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციებზე, რომელიც დაბანდებული და გამოყენებულია საქართველოს ტერიტორიაზე. ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო (GNIA). აღნიშნული სააგენტო სახელმწიფოს წარმომადგენელია ინვესტორებთან ურთიერთობაში და აფასებს საქართველოს ძლიერ და სუსტ მხარეებს ინვესტიციათა დაბანდების ადგილმდებარეობის მიხედვით. მაგალითად, თუ საქართველოში, შავი ზღვის რეგიონში შეიქმნება ექსპორტის გადამამუშავებელი ზონები, მაშინ უნდა განვითარდეს პირდაპირი პარტნიორული ურთიერთობები შესაბამის მუნიციპალიტეტებთან და ფოკუსირება მოხდეს ტიპური მრეწველობის დარგებზე, რომლებიც მიისწრაფიან, გამოიყენონ აღნიშნული ზონები (მაგ.; ელექტრონიკა, ტექსტილი). იმ შემთხვევაში, როცა ტურიზმი აღიარებულია ერთ-ერთ პრიორიტეტად, მაშინ უმეტესწილად მნიშვნელოვანია ახლო თანამშრომლობა ეროვნულ ტურისტულ ორგანიზაციებთან. ინვესტიციათა ხელშემწყობი სააგენტოები სარგებლობენ პარტნიორების დიდი ქსელით, რომელიც შედგება: სავაჭრო პალატების, ბიზნესასოციაციების, კერძო საკონსულტაციო ფირმების, უძრავი ქონების დეველოპერების და დონორი ორგანიზაციებისგან. როგორც სხვა გარდამავალ ქვეყნებში, აუცილებელია საინვესტიციო სააგენტომ საქართველოში გაზარდოს ადგილობრივი და რეგიონული შესაძლებლობები, რომელიც ხელს შეუწყობს ინვესტიციათა დიდი ნაკადების შემოდინებას ქვეყანაში.

განვითარებული ქვეყნების, როგორიცაა უნგრეთი ან ჩეხეთი, შედარებით დიდი ზომის სააგენტოებში დასაქმებულია უამრავი პერსონალი და აქვს რეგიონული ოფისები, რაც ხელს უწყობს ინვესტიციათა მოზიდვის პროცესს. საქართველოს შემთხვევაში უფრო რეალურია, თუ საინვესტიციო სააგენტო საქმიან ურთიერთობებს დაამყარებს შერჩეულ რეგიონებში, რაც დამოკიდებულია ქვეყანაში არჩეულ პრიორიტეტებზე. ბევრი გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში აღნიშნული ურთიერთობები სტრუქტურული და პროფესიულია "რეგიონული აკრედიტაციის სისტემების" განვითარებით, რომლის თანახმადაც, რეგიონულმა პარტნიორმა ორგანიზაციებმა უნდა დააკმაყოფილონ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმები. იმისათვის, რომ გახდეს საინვესტიციო სააგენტოს პარტნიორი ორგანზაცია. საქართველოს საინვესტიციო სააგენტოები საჭიროებენ, საზღვარგარეთ არხები იპოვონ დიპლომატიური წარმომადგენლებისა და სხვა ორგანიზაციების დახმარებით. მაგალითად, ახლადშექმნილი "ევროკავშირ-საქართველოს" ბიზნესსაბჭო დაარსდა ბრიუსელში და მოიცავს საინვესტიციო სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობების საქმიანობას. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ საინვესტიციო შესაძლებლობების აქტიური ხელშეწყობა და უშუალო კონტაქტები შედარებით სარისკო და ძვირადღირებული მეთოდია ინვესტორების მოსაზიდად. პრაქტიკაში საინვესტიციო სააგენტოს უმეტესობას შეზღუდული რესურსები გააჩნია და ფოკუსირებას ახდენს იმ ინვესტორებზე, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ქვეყნითა და მისი ადგილმდებარეობით. მაგალითად, ცნობილი ავსტრიული კომპანია "შინხოფერის" წამომადგენლებმა, რომელთაც წარსულში კაპიტალის დაბანდება ჰქონდათ გადაწყვეტილი საქართველოში, დაადასტურეს, რომ ადმინისტრაციიდან არ მოხდა მათთან დაკავშირება რათა განეხორციელებინათ კაპიტალდაბანდება ან გადაეხედათ მათი გადაწყვეტილებისთვის ინვესტიციათა სხვაგან განხორციელების შესახებ. ინვესტიციათა ხელშემწყობი სააგენტოების მეტად მნიშვნელოვან პასუხისმგებლობას წარმოადგენს ასეთი ტიპის პოტენციურ ინვესტორებთან კომუნიკაცია და მათი სტიმულირება, მოახდინონ კაპიტალდაბანდება საქართველოში.

სხვა გარდამავალი ქვეყნების მსგავსად, საქართველოში საინვესტიციო სააგენტოები ვერ უზრუნველყოფს საკმარის ბიზნეს და ადმინისტრაციულ მომსახურებას, რომელიც სრულად მოიცავს პოტენციური ინვესტორების

მოთხოვნებს. კერძო კონსულტანტები და იურისტები მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებენ დასახულ ამოცანებს. საინვესტიციო სააგენტოების წარმომადგენლები, როგორც წესი, ავსებენ ინფორმაციულ ვაკუუმს და უზრუნველყოფენ ეფექტიან ინფრასტრუქტურას, რომ მოემსახურონ ინვესტორებს. პოტენციური ინვესტორების გარდა, მომსახურება მოიცავს ასევე არსებული ინვესტორების მხარდაჭერას. სააგენტოს საქმიანობა ამ მიმართულებით ხელს უწყობს არსებული კომპანიების მიერ დამატებით კაპიტალდაბანდებას ქვეყანაში. საქართველოს ინვესტიციათა მხარდამჭერი აქტიური სტრატეგიის მიზანია, ქვეყანაში შექმნას სტაბილური საინვესტიციო გარემო, რაც ხელს უწყობს პირდაპირი და სხვა სახის ინვესტიციათა შემოდინებას.

ამდენად, აუცილებელია საქართველოში, ფოკუსირება მოხდეს და მნიშვნელოვნად გამახვილდეს ყურადღება იმ ძირითად პრინციპებზე, რომელიც ინვესტორებისთვის მიმზიდველია, კერძოდ, სასურველ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, სოციალურ ფონსა და მის სტაბილურობზე, კერძო საკუთრების დაცვასა და კანონის უზენაესობაზე, ბიუროკრატიის ხარისხზე, მომუშავეთა კვალიფიკაციაზე, ინფრასტრუქტურის განვითარების დონეზე. აღნიშნული ფაქტორები მიუთითებს რეციპიენტი ქვეყნის სასურველ საინვესტიციო გარემოზე ან, პირიქით, მის არახელსაყრელობაზე

2.2. უცხოური პირდაპირი ინვესტიციები–წარმოების ინტერნაციონალიზაციის მასტიმულირებელი ფაქტორი

მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების შედეგად გარკვეულწილად შეიცვალა ქვეყნების ცალკეული ჯგუფების, აგრეთვე რეგიონების წილი კაპიტალის საერთაშორისო ნაკადებში. უპი-ების ექსპორტში, გარკვეული შემცირების მიუხედავად, დომინირებულ მდგომარეობას კვლავ ინარჩუნებს განვითარებული ქვეყნები, რომელთა წილმა 2010 წელს შეადგინა 82%, ხოლო ამავე წელს განვითარებადი ქვეყნების წილი ამაღლდა 28%-მდე (134,გვ.130).

მრავალრიცხოვანი ეკონომეტრიკული გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ უპი-ების ექსპორტისა და იმპორტის მიზეზები მართალია განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ მათ შორის ბევრი მსგავსებაცაა. კაპიტალის ექსპორტსა და იმპორტზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა:

- ტექნოლოგიური ლიდერობა;
- უპირატესობა მომუშავეთა კვალიფიკაციაში;
- უპირატესობა რეკლამაში, რომელიც საერთაშორისო მარკეტინგის სფეროში დაგროვილ გამოცდილებას ასახავს;
- მასშტაბის ეკონომია;
- კორპორაციის ზომები;
- ახალი წარმოების კონცენტრაციის ხარისხი.

ზოგადად, განვითარებადი ქვეყნებიდან უპი-ების გასვლის ორ მნიშვნელოვან ტალღას გამოყოფენ: კაპიტალის გადინების პირველი ტალღა მოიცავს 1960-1970-იან წლებს, ხოლო მეორე – 1980 წლიდან დღემდე. XX საუკუნის 60-70-იან წლებში ფირმების მიერ საზღვარგარეთ გატანილი წარმოება ძირითადად ორიენტირებული იყო უცხოური ბაზრების მომსახურებაზე. ინვესტიციათა მნიშვნელოვანი ნაკადები მიემართებოდა განვითარებადი ქვეყნების მეზობელ რეგიონებში. აღნიშნულ პერიოდში უმეტესწილად დომინირებდა აზიის ქვეყნები (ინდოეთი, კორეა, ჰონკონგი (ჩინეთი), მალაიზია, სინგაპური) და ფირმები ლათინური ამერიკიდან (არგენტინა, ბრაზილია, მექსიკა). 1980-იანი წლებიდან კი განვითარებადი ქვეყნების ფირმები კაპიტალდაბანდებებს უმეტესად განვითარებულ ქვეყნებში და განვითარებადი ქვეყნების სხვა რეგიონებში ახორციელებენ. ჰონკონგი (ჩინეთი), ტაივანი (ჩინეთის პროვინცია) და ჩრდილოეთ კორეა წარმოადგენს ამ პერიოდში მნიშვნელოვან ინვესტორ ქვეყნებს.

დღეისათვის, ინვესტორების კაპიტალდაბანდებათა გადაწყვეტილებებზე, თითქმის ყველა რეგიონში დიდ გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: გეოგრაფიულ-კულტურული სიახლოვე და ინტეგრაციის პროცესები, მომხმარებელთა გემოვნების გათვალისწინება, იაფი სამუშაო ძალის და ბიზნესის წარმოების შესაძლებლობები (მაგ., უძრავი ქონება, ინფრასტრუქტურა, მომსახურების სფერო და პრივატიზაცია) აღნიშნული ფაქტორები ფირმათა მიერ კაპიტალის საზღვარგარეთ გატანის მნიშვნელოვანი მოტივია. განვითარებადი ქვეყნებიდან უპი-ების ექსპორტის მნიშვნელოვან მასტიმულირებელ ფაქტორებს ყოფენ 3 ძირითად ჯგუფად:

1. "მშობლიურ" ქვეყანაში გარემო პირობები. მოიცავს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებს, ბაზირების ქვეყანაში ვალუტის კურსის მომატებას, კაპიტალის ექსპორტის მარეგულირებელი სისტემის შექმნას, კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაციას, ინვესტიციათა ორმაგი დაბეგვრის შესახებ შეთანხმებებს, ასევე მთავრობის მიერ ბაზირების ქვეყანაში დაწესებულ სტიმულებს (მაგ., უპი-ების ექსპორტის დაზღვევა);
2. შექმნილი გარემო "მასპინძელ" ქვეყანაში. შედგება იმ ფაქტორებისგან, რომელიც ასოცირდება ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობასა და პოტენციურ შესაძლებლობებთან, როგორიცაა, ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა და პრივატიზაცია, პროდუქციის დაბალი დანახარჯები, ხელმისაწვდომობა ბუნებრივ რესურსებზე, მასპინძელი ქვეყნების მიერ დაწესებული სტიმულები და რეგიონული განვითარება.

3. კორპორაციათა კონკრეტული ზეგავლენა. მოიცავს კორპორაციათა ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიას, ცოდნისა და თანამედროვე უნარ-ჩვევების ხელმისაწვდომობას, ასევე უცხოელ მომხმარებელთა მხრიდან მოწვევას პროდუქციის მომარაგების მიზნით.

წარმოების ინტერნაციონალიზაციის მოტივები განვითარებად ქვეყნებში მთლიანობაში ჯგუფდება 4 ძირითად მიმართულებად, კერძოდ:

1. **ბაზარზე ორიენტირებული მოტივი.** დაკავშირებულია საზღვარგარეთ ბაზრების უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან, სავაჭრო არხების ხელშეწყობასა და ახალი ბაზრების დაარსებასთან. მაგალითად, სამხრეთ აფრიკული კომპანიები აქტიურად აბანდებენ კაპიტალს

აფრიკის სხვა რეგიონებში იმისათვის, რომ დაიცვან ბაზრების ისეთი სექტორები, როგორიცაა კვების პროდუქტები, სასმელები, სხვა მსუბუქი წარმოება და მომსახურების სფეროები. რუსული ნავთობკომპანიები ახორციელებე კაპიტალდაბანდებებს სადისტრიბუციო ქსელის გასამყარებლად, მაგალითად საზღვარგარეთ შეიძინეს ბენზინგასამართი სადგურები საწვავი პროდუქციის საცალო დისტრიბუციის უკეთესად კონტროლისათვის;

2. **ეფექტიანობაზე ორიენტირებული მოტივი.** განვითარებადი ქვეყნის საწარმოები პროდუქციის მოცულობის გასაზრდელად ახორციელებენ ინვესტიციებს სხვა იაფი წარმოების ქვეყნებში. მაგალითად, საწარმოები კორეიდან და სინგაპურიდან კაპიტალს აბანდებს ინდონეზიაში, ტაილანდსა და ვიეტნამში, საფეიქრო კომპანიები საქმიანობის გასაფართოებლად და წარმოების დაბალი დანახარჯების უპირატესობის მისაღებად ინვესტირებას ახდენენ კამბოჯაში;
3. **სტრატეგიულ აქტივებზე ორიენტირებული მოტივი**. განვითარებადი ქვეყნების საწარმოებს კაპიტალი საზღვარგარეთ იმისათვის გააქვთ, რომ შეიძინონ ბრენდის სახელი და სტრატეგიული დანიშნულების სამრეწველო საწარმოები. აღნიშნულის მაგალითს წარმოადგენს ინდური კომპანიის "Tata Tea"-ის მიერ ბრიტანული კომპანიის "Tetley Tea"-ს შეძენა. გარდა ამისა, განვითარებადი ქვეყნების ფირმების მიზანია, განახორციელოს კაპიტალდაბანდება უმეტესწილად მოწინავე ტექნოლოგიებისა და ცოდნის მისაღებად. ამ მხრივ უამრავი კომპიუტერული პროგრამის მწარმოებელი ფირმა მალაიზიიდან, კორეის რესპუბლიკიდან, სინგაპურიდან და ტაილანდიდან, ხსნის მეცნიერულ-ტექნიკური კვლევების ცენტრებს ინდოეთში;
4. **რესურსებზე ორიენტირებული მოტივი.** უპი-ების ექსპორტის მნიშვნელოვანი მასტიმულირებელი ფაქტორია ბუნებრივი რესურსების, კერძოდ, ნავთობისა და ბუნებრივი გაზის, რკინის და სხვა მინერალების გრძელვადიანი მიწოდების უზრუნველყოფა. ასე მაგალითად, ჩინურმა კომპანიებმა "Sinopee", "Petrochina" და სხვებმა დააბანდეს კაპიტალი ნავთობში, გაზსა და სამთო-მომპოვებელ მრეწველობაში, კერძოდ აზიაში, შუა აღმოსავლეთსა და აფრიკაში. რუსული "Rusal" და "Lukoil"-ის ტეკ-ების მიერ განხორციელებული

ინვესტიციების მიზანია ხელმისაწვდომობა ბუნებრივ რესურსებსა და საექსპორტო ბაზრებზე.

კაპიტალის საერთაშორისო მიგრაცია იწვევს ერთობლივი მსოფლიო წარმოების ზრდას წარმოების ფაქტორების უფრო ეფექტიანი გადანაწილებისა და გამოყენების საფუძველზე. ამასთან, ინვესტიციათა ექსპორტიორ ქვეყანაში კაპიტალის მფლობელთა შემოსავალი იზრდება, ხოლო წარმოების სხვა ფაქტორების (მიწა, შრომა) მფლობელთა შემოსავალი მცირდება. მაშინ, როდესაც კაპიტალის იმპორტიორ ქვეყნებში საპირისპირო ტენდენციას აქვს ადგილი.

უპი-ების გადინებით განხორციელებული გრძელვადიანი მოგება დამოკიდებულია იმაზე, თუ ბაზირების ქვეყნები რამდენად უზრუნველყოფენ ინვესტიციათა შესაბამის სწორ ნაკადებს, რომლის საფუძველზეც მიიღება ქვეყნისათვის პოტენციური სარგებელი. კერძოდ, განვითარებადი ქვეყნებიდან უპი-ების გადინებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) პირველ ეტაპზე განვითარებადი ქვეყნები უზრუნველყოფენ საკუთრებისა და გეოგრაფიული მდებარეობის ფაქტორთა უპი-ებზე ეფექტიან ზეგავლენას და ხელს უწყობენ ბაზირებისა და მიმღები ქვეყნების მაქსიმალური მოგების მიღებას;

ბ) მეორე ეტაპზე ხორციელდება შიდა საწარმოთა საკუთრების უპირატესობის უზრუნველყობა იმისათვის, რომ მომავალში მათი კონკურენტული პოზიცია გაუმჯობესდეს მსოფლიო ბაზარზე;

გ) მესამე ეტაპზე ხდება:

- ადგილობრივი მიმწოდებლებისა და ინფრასტრუქტურის შესაძლებლობების გაუმჯობესება;
- კვალიფიკაციის დონის, აგრეთვე კაპიტალისა და შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების ამაღლება.

ქვეყნიდან უპი-ების გადინება ძირითადად ასოცირდება ტეკ-ბთან, თუმცა გლობალიზაციისა და რეგიონული ინტეგრაციის პროცესებმა განაპირობა განვითარებადი ქვეყნების მცირე და საშუალო ზომის საწარმოებიდან კაპიტალის აქტიური დაბანდება საზღვარგარეთ. საწარმოთა გაზრდილმა ინტერნაციონალიზაციის პროცესმა ხელი შეუწყო ტეკ-ების აღმოცენებას

განვითარებად ქვეყნებში, რასაც ადასტურებს ვაჭრობისა და განვითარების ორგანიზაციების სხვადასხვა გამოცემები (141,გვ.67).

ზოგადად, განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც წარმოადგენენ ტეკ-ების ბაზირების ქვეყნებს, იყოფიან ორ ძირითად ჯგუფად. პირველი ჯგუფი ე.წ. "გარეთ" ორიენტირებული ქვეყნები, უპი-ებს განიხილავენ, როგორც ძირითად საშუალებას, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკას, გააუმჯობესოს საერთაშორისო კონკურენტული პოზიცია, დაიცვას ნედლეულის მომარაგებლები და მაღალტექნოლოგიურ ინდუსტრიულ ქვეყნებში თანამედროვე ტექნოლოგიებზე იოლი წვდომა ჰქონდეთ. ქვეყნების მეორე ჯგუფში ტეკ-თა საქმიანობა ძირითადად ორიენტირებულია ქვეყნის შიგნით, რათა შეინარჩუნოს არსებული ექსპორტი და ხელი შეუწყოს ახალი კაპიტალისა და შუალედური პროდუქციის ექსპორტს. ზოგიერთი ქვეყანა აღნიშნული ჯგუფიდან, როგორიცაა ინდოეთი, აბანდებს ინვესტიციებს დიდი ზომის განვითარებად ქვეყნებში, სხვები კი, მაგალითად მექსიკა, უმთავრესად შეზღუდული მოცულობის ინვესტიციებს ახორციელებს განვითარებულ ქვეყნებში იმისათვის, რომ მოიძიოს მოწინავე ტექნოლოგიები და ქონდეს წვდომა ახალ ბაზრებზე.

განვითარებადი ქვეყნების ორივე ჯგუფი ახორციელებს იმგვარ პოლიტიკას, რომელიც გარკვეულწილად ასტიმულირებს აღნიშნული ქვეყნებიდან უპი-ების გასვლას. ამგვარად, "გარეთ" ორიენტირებული ქვეყნები სუსტად არეგულირებენ საზღვარგარეთ კაპიტალის გასვლასა და ადგილობრივი ინდუსტრიული ფირმების საქმიანობას. აღმოსავლეთ აზიის ისეთი მცირე ზომის ორი ქვეყანა, როგორიცაა ჰონკონგი და სინგაპური, არც ერთი მიმართულებით არ აწესებს შეზღუდვებს უპი-ებზე, ჩინეთის პროვინცია ტაივანი, რომელიც ხასიათდება მსოფლიოში უმსხვილესი რეზერვებით, ქვეყნის ინდუსტრიული სტრუქტურის სწრაფი განახლების უზრუნველსაყოფად აქტიურად უწყობს ხელს ქვეყნიდან უპი-ების გასვლას. 1980-იანი წლების შუა პერიოდიდან კორეის რესპუბლიკამ, შიდა ფირმებისთვის მოახდინა კაპიტალის დაბანდების ლიბერალიზაცია. მოცემულ ქვეყანაში 1989 წლიდან მოყოლებული, ორ მილიონამდე ინვესტიცია არ საჭიროებს ქვეყნიდან ოფიციალური გასვლის ნებართვას, ხოლო ინვესტორებს ეძლევათ უფლება დაარეზერვონ გატანილი უპი-ების დაახლოებით 15%-ზე მეტი. რაც შეეხება ე.წ. "შიგნით" ორიენტირებულ

ქვეყნებს, ისინი უმეტესწილად მიისწრაფიან, დაუწესონ მოთხოვნები და აკონტროლონ ინვესტიციები, რომლებიც მიემართება საზღვარგარეთ. ბოლო პერიოდამდე, მაგალითად, ინდოეთის მთავრობა მკაცრად მოითხოვდა ინვესტიციათა ყველა ფორმის განხორციელების შეზღუდვას, მათ შორის საწარმოო საშუალებებისა და ნოუ-ჰაუს ფორმით, თუმცა ინდური ტეკ-ების მიერ მთავრობაზე ინტენსიური ზეწოლით აღნიშნული მოთხოვნა გარკვეულწილად შემსუბუქდა. საზღვარგარეთ დაბანდებულ ინვესტიციებზე დანახარჯებისა და რისკების კომპენსაციისთვის ინდოეთი ინვესტორებს სთავაზობს სხვადასხვა სტიმულებს, როგორიცაა სუბსიდირება, შეზღუდული საგადასახადო შეღავათები, ადვილი წვდომა უცხოურ ვალუტაზე უცხოური აღჭურვილობისა და მომსახურების შესასყიდად. ბოლო რამდენიმე წელია ინდური ფირმები გათავისუფლდნენ საექსპორტო გადასახადისაგან.

სახელმწიფო, რომლის კორპორაციები აქტიურად მონაწილეობენ პირდაპირი ინვესტიციების განხორციელებაში, ხშირად = აფორმებენ ხელშეკრულებებს, რომელიც საშუალებას იძლევა, თავიდან აიცილონ ორმაგი დაბეგვრის პრაქტიკა, რაც დაკავშირებულია კორპორაციების მიერ უცხოური პირდაპირი ინვესტიციებიდან მიღებულ მოგებასთან. იმ შემთხვევაში, როცა კორპორაცია რამდენიმე ქვეყანაში ახორციელებს კაპიტალდაბანდებას, თითოეული ამ ქვეყნის მთავრობა მოითხოვს მიღებული მოგების დაბეგვრას, ამის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია არსებული ხელშეკრულებების საფუძველზე, კორპორაციებმა კაპიტალის დაბანდების ქვეყნებში მოგების მხოლოდ იმ ნაწილზე გადაიხადონ გადასახადი, რომელიც არ დაბეგრილა კაპიტალის ექსპორტიორ ქვეყანაში. ინდოეთი ბევრ ქვეყანასთან სარგებლობს ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებით. ბრაზილია, მაგალითად, უკანასკნელ პერიოდამდე მნიშვნელოვნად არეგულირებდა ქვეყნიდან გამავალ კაპიტალს და მცირე ძალისხმევა მიმართა უპი-თა ექსპორტის სტიმულირებისთვის. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები საერთაშორისო კონკურენტული პოზიციის გასამყარებლად უპი-თან მიმართებით ლიბერალურ პოლიტიკას ატარებენ, თუმცა მიღებული შედეგი არ არის აშკარა, რამდენადაც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რთულია ინფორმაციის მიღება. თანამედროვე ბიზნესლიტერატურაში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია უპი-თა მოზიდვაზე, ვიდრე განვითარებადი ქვეყნების საწარმოთა ინტერნაციონალიზაციის პროცესის

გაუმჯობესებაზე, რაც ხაზს უსვამს უპი-ების ქვეყნიდან გასვლის ხელშეწყობის პოლიტიკის პასიურ როლს.

განვითარებადი ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამ ქვეყნებიდან ინვესტიციათა გადინებამ ხელი შეუწყო საწარმოთა შემოსავლების, აქტივების, მოგებისა და ექსპორტის ზრდას. მაგალითად, სინგაპურში გამოკითხული 204 კომპანიიდან 130-მა უპი-ების საზღვარგარეთ დაბნდებით უზრუნველყო საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ზრდა, რაც განაპირობა ახალ ბაზრებზე იოლმა წვდომამ, გააძლიერა ფირმათა საბაზრო პოზიცია, აუმაღლა იმიჯი და საერთაშორისო ბიზნესში საქმიანობის გამოცდილება. ასე მაგ., სამხრეთ აფრიკაში კომპანიებმა, როგორიცაა "Iovo Sugar" და "MWN Group", უპი-ების განხორციელებით მოგების მნიშვნელოვანი ზრდა მიიღო. მალაიზიის შემთხვევაში კომპანიათა გამოკვლევებმა ცხადყო უპი-ების დაბანდების ზეგავლენის დადებითი შედეგები, რამდენადაც მათი დაბანდებით კომპანიებმა უზრუნველყო შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა, ბიზნესის და სავაჭრო არხების გაფართოება. თურქეთში, სლოვენიაში, კორეის რესპუბლიკასა და სამხრეთ აფრიკაში საწარმოთა ინტერნაციონალიზაციის პროცესმა ხელი შეუწყო ფირმათა კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და მათ ინტეგრირებას გლობალურ ბიზნესში. არგენტინული კომპანიების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კომპანიების მიერ უპი-ების დაბანდებამ უზრუნველყო მათი რესურსების გაფართოება, გაზარდა ექსპორტი და გაყიდვები, გააუმჯობესა ფირმათა პროდუქტიულობა და მომსახურების ხარისხის სტანდარტი გლობალური მომხმარებლების მოთხოვნების შესაბამისად, გარდა ამისა, გააიოლა ტექნოლოგიათა ტრანსფერტი და გააძლიერა აქტივების გეოგრაფიული დივერსიფიკაცია. რუსეთიდან უპი-ების დაბანდებამ საზღვარგარეთ გაზარდა შემოსავლები და სტრატეგიული აქტივები, რასაც შედეგად მოჰყვა ფირმათა საბაზრო პოზიციის გაძლიერება. გამავალი უპი-ები დაეხმარა ინდურ საწარმოებს, მიეღწია ექსპორტის კონკურენტუნარიანობის და მეცნიერულ-ტექნიკური კვლევების ინტენსივობისთვის. ინდონეზიური ფირმები აბანდებენ კაპიტალს საზღვარგარეთ, რის შედეგადაც მკვეთრად გაუმჯობესდა მათი მენეჯერული გამოცდილება, ექსპორტი, პროდუქციის ხაარისხი და ღირებული აქტივების ფლობა. ცხრილ 2.3-ში ასახულია უპი-ების გადინებით მიღებული

პოზიტიურ და ნეგატიურ მხარეები განვითარებადი ქვეყნების საწარმოებისთვის.

ცხრილი: 2.3

უპი-ების ექსპორტის: შეღავათები და დანახარჯები

შეღავათები	დანახარჯები
*მოგების,შემოსავლების და აქტივების ზრდა; *ბაზრის გაფართოება და თავისუფალი წვდომა; *სავაჭრო არხების გაფართოება; *მიმწოდებელთა კონტროლი; *ხელმისაწვდომობა ცოდნაზე, მენეჯერულ უნარებსა და ტექნოლოგიებზე; *ბრენდის სახელის შესყიდვა; საწარმოთა კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება; *კორპორაციათა იმიჯის ამაღლება; *საერთაშორისო გამოცდილების მიღება; *ბუნებრივ რესურსებზე ხელმისაწვდომობა	*კაპიტალის დანაკარგი; *ბიზნესის გაკოტრება ან დახურვა; *რისკის გაწევა საბაზრო ქსელის გასაფართოებლად; *რესურსების გავრცელების სიძნელე, რაც ამცირებს ბიზნესოპერაციებს;

Source: United Nations Conference on Trade and Development, Strengthening Enterprise Competitivnes through Outward Investment, 2007, p.6.

აღსანიშნავია, რომ ტეკ-გან განსხვავებით, განვითარებადი ქვეყნების მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის საზღვარგარეთ უპი-ების დაბანდების განხორციელების მიზეზები განსხვავებულია. უცხოური კაპიტალის გატანის ძირითად მიზეზს აღნიშნულ შემთხვევაში სავაჭრო ქსელების გაფართოება წარმოადგენს. ჩვეულებრივ, მცირე და საშუალო ზომის საწარმოები კაპიტალს აბანდებენ მეზობელ ქვეყნებში, ანუ უპირატესობას ანიჭებენ გეოგრაფიულ სიახლოვეს. ისინი ატარებენ ექსპორტგამაფართოებელ პოლიტიკას და ხასიათდებიან საერთაშორისო გამოცდილების უნარით. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს მაღალტექნოლოგიური საწარმოები, რომლებიც, საერთაშორისო გამოცდილების დეფიციტის მიუხედავად, ხშირ შემთხვევაში საზღვარგარეთ გადიან საქმიანობის საწარმოებლად. მცირე ზომა და შეზღუდული ფინანსური რესურსები შემაფერხებელი ფაქტორია საწარმოებისთვის, ჩაებან "შერწყმა-შთანთქმის" სტრატეგიულ გარიგებებში. გარდა ამისა, უცხოურ ბაზრებზე შესვლისას ისინი ეჯახებიან ინფორმაციულ დეფიციტს,

რამდენადაც ყიდიან პროდუქციას უცხოელ მომხმარებლებზე ან აქვთ უშუალო კონტაქტი მხოლოდ განვითარებული ქვეყნების საექსპორტო ბაზრებთან. ინფორმაციული დეფიციტი ნაწილობრივ აღმოიფხვრება, როცა მიმღები ქვეყნები სარეკლამო პროგრამებს იყენებენ ინვესტორთა მოსაზიდად. თანამედროვე პერიოდში უამრავი განვითარებადი ქვეყანა საინვესტიციო სააგენტოების მეშვეობით ზრდის ინფორმაციული მომსახურების ხარისხსა და მასშტაბებს. გარდა ამისა, ბიზნესსკოლები და ასოციაციები ხელს უწყობენ ფირმათა საწარმოო პროცესების შესწავლას, უზრუნველყოფენ კონტაქტებს, აწყობენ ფორუმებს გამოცდილების გაზიარების მიზნით. ინტერნეტი განვითარებადი ქვეყნების საწარმოებს შესაძლებლობას აძლევს, მოიპოვონ მათთვის სასარგებლო ინფორმაცია და ხელი შეუწყოს წარმატებული ინტერნაციონალიზაციის პროცესს. ტეკ-ები განვითარებადი ქვეყნებიდან ახალი ტექნოლოგიების, კვალიფიკაციის და სხვა რესურსების მნიშვნელოვან მიმწოდებელ წყაროს წარმოადგენს ბაზირების ქვეყნებისათვის აღნიშნული არხების ეფექტიანად გამოსაყენებლად ბაზირების ქვეყანა ერთდროულად ზრდის მიღებულ საწარმოო სიმძლავრეებს არა მარტო იმ საქმიანობაში, სადაც მიმდინარე პერიოდში ხდება სპეციალიზაცია, არამედ იმ დარგებშიც, რომელშიც მომავალში მიიღება საკუთრების უპირატესობა.

აღსანიშნავია, რომ ისეთი დაბალშემოსავლიანი ქვეყანა, როგორიც საქართველოა, ადგილობრივი ინვესტიციების დეფიციტს განიცდის. სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციაში მითითებული არ არის უპი-ების რა ნაწილი მოდის, ერთი მხრივ, ახალი ძირითადი კაპიტალის ფორმირებაზე და მეორე მხრივ, მოქმედი კაპიტალის შეძენაზე. შესაბამისად, ინვესტიციების მთლიან მოცულობაში ზუსტად ვერ განვსაზღვრავთ სამამულო ინვესტიციების მოცულობასა და დინამიკას. ამასთან, ადგილობრივი დანაზოგების მნიშვნელოვანი ნაწილი ტრანსფორმირდება არა საწარმოო ინვესტიციებში, არამედ ან უძრავ ქონებაში, ან უცხოურ ვალუტაში და გაედინება საზღვარგარეთ. ასეთი დანაზოგები კი პრაქტიკულად ეროვნულ ეკონომიკას სარგებელს არ მატებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, აუცილებელია, ქვეყანამ ფოკუსირება მოახდინოს კონკურენტული ბიზნესგარემოს შექმნასა და ადგილობრივი წარმოების შესაძლებლობების ზრდაზე. სამამულო წარმოების მდგრადი

განვითარება ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება–განხორციელებაში აუცილებელია, სახელმწიფომ მეტი ყურადღება დაუთმოს შიდა ინვესტიციების მოზიდვას ადგილობრივი მეწარმეებისათვის, ხელისუფლების გრძელვადიანი ეკონომიკური პოლიტიკის მეშვეობით შესაძლებელია შეფარდებითი უპირატესობის მოპოვება. სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად აუცილებელია ზოგიერთი მაღალტექნოლოგიური და ძვირადღირებული პროდუქციის წარმოება. თანამედროვე ეტაპზე საქართველოს კონკურენტუნარიანობის დონე არცთუ ისე სახარბიელოა როგორც ტექნოლოგიური განვითარების, ასევე ეროვნული ბიზნესგარემოს ხარისხის მიხედვით (დეტალურად გაანალიზებულია III თავში). გლობალური ბაზარი საჭიროებს გლობალური პროდუქტების მომსახურებას. აუცილებელია, საქართველოს მონაწილეობა გლობალურ საწარმოო და გასაღების ქსელებში. მიზანშეწონილი იქნებოდა მაღალტექნოლოგიურ და სპეციალიზებულ გლობალურ კომპანიებთან ალიანსების შექმნა. საქართველომ, ისევე, როგორც ნებისმიერმა ეკონომიკურად მზარდმა ქვეყანამ, განვითარებისა და უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია სცადოს სპეციალიზაციის ადაპტირება გარე სამყაროსთან და შეფარდებითი უპირატესობა მოიპოვოს არა მხოლოდ ტრადიციულ დარგებში, არამედ აგრეთვე მაღალხარისხიანი, მაღალტექნოლოგიური და მაღალპროდუქტიული წარმოების სფეროებშიც, ვინაიდან მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი კონკურენტუნარიანობის გრძელვადიანი ზრდა და გლობალურ ბაზრებზე ინტერნაციონალიზაციის პროცესი.

2.3. რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ზეგავლენა უპი-ების განხორციელებაზე

რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო ეკონომიკის განვითრების უმთავრესი დამახასიათებელი თავისებურებაა, რასაც განაპირობებს ვაჭრობის, კაპიტალის და წარმოების ინტერნაციონალიზაცია. ტერმინი რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია, როგორც წესი, გულისხმობს, რეგიონული სავაჭრო ბარიერებისა და კაპიტალის მოძრაობის შეზღუდვების შემცირებას. უცხოურ ინვესტიციათა შესახებ ადრეულ თეორიულ ლიტერატურასა და ემპირიულ კვლევებში (42,გვ.116), ვაჭრობა და კაპიტალი განიხილება, როგორც უცხოური ბაზრის მომსახურების ურთიერთჩანაცვლებადი რეჟიმი. ვაჭრობასა და წარმოების ფაქტორთა მობილობას შორის არსებული ურთიერთკავშირი ხაზს უსვამს სატარიფო ბარიერების მნიშვნელობას იმპორტშემცვლელი უპი-ების განხორციელებაში. ზოგადად კი, ტარიფების მთლიანი შემცირება განაპირობებს უპი-ების მცირე ნაკადებს და ასტიმულირებს ტეკ-თა აქტივების "რეპატრიაციას" ბაზირების ქვეყნებში. ფირმა, რომელიც ეწევა საერთაშორისო საქმიანობას, საჭიროებს ისეთი არამატერიალური აქტივების ფლობას, როგორიცაა, ტექნოლოგიური და მარკეტინგული გამოცდილება, რომელთა მეშვეობითაც ისინი კონკურენტული უპირატესობას იძენენ. აღნიშნული აქტივების ეფექტიანი გამოყენება ზოგჯერ მოითხოვს უცხოური ფილიალების დაარსებას საზღვარგარეთ, რამდენადაც უცხოურ ბაზარზე შესვლის სხვა რეჟიმი, როგორიცაა ექსპორტი და ტექნოლოგიათა ლიცენზირება, დაკავშირებულია ბიზნესგარიგებების შედარებით მაღალ დანახარჯებთან. ამრიგად, უპი-ები ხორციელდება მაშინაც, როდესაც ქვეყნებს შორის არ არსებობს ფორმალური სავაჭრო ბარიერები, თუმცა სავაჭრო შეზღუდვების ლიბერალიზაცია უმეტესწილად მიმზიდველია ექსპორტისთვის, რამდენადაც რეგიონული ბაზრების მომსახურების შედარებით ეკონომიური ფორმაა. ავტორებმა მ. ბლომსტორმისმა და ა. კოკომ (44,გვ.7) გამოიკვლიეს რეგიონული ინტეგრაციის ზეგავლენა უპი-ების შემოდინებაზე. მეცნიერების დასკვნით, არსებობს ინტეგრაციული გაერთიანებების განსხვავებული ზეგავლენა უპი-ების ნაკადებზე, კერძოდ:

* რეგიონული ინტეგრაციის ზეგავლენა უპი-ზე დამოკიდებულია მიმღებ ქვეყანაში განხორციელებულ უცხოურ ინვესტიციათა ფორმებზე;
* რეგიონული ინეგრაციის ზეგავლენა უპი-ებზე განსხვავებულია ბლოკის წევრ ქვეყნებსა და სხვა ქვეყნებს შორის;
* რეგიონული ინტეგრაციის უპი-ებზე ზემოქმედების ანალიზისას მნიშვნელოვანია, განისაზღვროს საგარეო ვაჭრობის და უპი-ების ურთიერთდამოკიდებულება, წარმოადგენენ ისინი სუბსტიტუტებს თუ ავსებენ ერთიმეორეს;
* რეგიონული ინტეგრაციის ზეგავლენა უპი-ებზე დამოკიდებულია საგარეო ვაჭრობის სატარიფო და არასატარიფო ბარიერებზე და ბოლოს
* რეგიონული ინტეგრაციის ზემოქმედება უპი-ებზე დამოკიდებულია ინვესტიციათა მიმღები ქვეყნის რეგიონულ ბლოკში ადგილმდებარეობაზე. კერძოდ, ქვეყანა სად მდებარეობს რეგიონული ბლოკის ცენტრალურ თუ პერიფერიულ ნაწილში.

რეგიონული ინტეგრაციის ზეგავლენა რეგიონის წევრ ქვეყნებზე განისაზღვრება უპი-ების სახეების მიხედვით. აღნიშნული ეხება კერძოდ, ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად ორიენტირებულ უპი-ებს. ჰორიზონტალური უპი-ები ეფუძნება ორი ძირითადი ფაქტორის არსებობას: დადებითი სავაჭრო დანახარჯებისა და ფირმათა დონეზე მასშტაბის ეკონომიას. აღნიშნული სახის ინვესტიციების ძირითადი მიზანია თავიდან აიცილოს სატრანსპორტო დანახარჯები და მიიღოს საგარეო ბაზრებზე იოლი წვდომა. ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი მოდელი, რომელიც ფირმათა დონეზე მასშტაბის ეკონომიას მიიჩნევს ჰორიზონტალური უპი-ების მამოძრავებელ ძალად, ეკუთვნის მარკუსენს. ბეინარდმა (43,გვ.16) 1993 წელს უფრო ზოგად მოდელში მასშტაბის ეკონომიის არსებობა განიხილა ფირმათა და საწარმოთა დონეზე, რომელიც დაკავშირებულია სატრანსპორტო დანახარჯებთან. ბრეინარდის მოდელის მამოძრავებელი ძალაა ალტერნატივის არსებობა ბაზრის სიახლოვეს, რომელიც საშუალებას აძლევს ფირმას, თავიდან აიცილოს სატრანსპორტო დანახარჯები, და მასშტაბის ეკონომიას შორის, თუ წარმოება იქნება კონცენტრირებული ერთ საწარმოში. ახალი საწარმოს მშენებლობისას მასშტაბის ეკონომიას განაპირობებს მუდმივი ხარჯები. მოდელში აღწერილია ორი გარემოება: 1. როდესაც უპი-ები აჭარბებს ექსპორტს ან 2.

გამოდევნის ექსპორტს მთლიანად. პირველ შემთხვევაში სატრანსპორტო ხარჯები აღემატება საწარმოს მუდმივ ხარჯებს, მეორე შემთხვევისას კი მასშტაბის ეკონომია ფირმის დონეზე გაცილებით მეტია, ვიდრე საწარმოს დონეზე. უპი-ების განხორციელებისთვის სტიმული წარმოიშობა, როდესაც სატრანსპორტო დანახარჯები გადააჭარბებს მუდმივ ხარჯებს და შემოსავლის ზრდა მეტი იქნება ფირმის დონეზე დონესთან შედარებით

მარკუსენის და ვენებლსის თანახმად (89,გვ.190), ქვეყნებში, სადაც არსებობს მასშტაბის ეკონომია ფირმათა დონეზე, ხელს უწყობს ჰორიზონტალური ინვესტიციების დაბანდებას და ხაზი გაუსვეს უპი-ების შემდეგ თავისებურებებს: 1. ჰორიზონტალური უპი-ები ამცირებს სავაჭრო ნაკადებს ქვეყნებს შორის, რამდენადაც ბაზარი გაჯერებულია ადგილობრივი პროდუქციით, იმის ნაცვლად, რომ მოხდეს საქონლის ექსპორტი. 2. ჰორიზონტალურ უპი-ებს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც საქონლის იმპორტზე დანახარჯები აღემატება ინვესტიციებზე დანახარჯებს. ჰორიზონტალური ინვესტიციების დაბანდებით მცირდება ფირმის ზღვრული ხარჯები, რამაც შეიძლება წააქეზოს სხვა კომპანიები, შეამცირონ თავისი გაყიდვების მოცულობა. ახალი საწარმოს დაარსება ავალდებულებს ფირმას, საქონლით უზრუნველყოს ადგილობრივი ბაზრები. აღნიშნული ვალდებულება კი ცვლის ბაზარზე კონკურენტი საწარმოს ქცევის წესს. ქვეყნებს შორის რეგიონული სავაჭრო შეთანხმებები ამცირებს შიდა რეგიონულ ჰორიზონტალურ უპი-ებს, რამდენადაც რეგიონის ფარგლებში სხვა ქვეყნების მომსახურება ვაჭრობით შედარებით იაფია, ვიდრე საზღვარგარეთ ფილიალების დაარსება და ხარჯების გაღება. ჰორიზონტალური უპი-ები ძირითადად ორიენტირებულია, გავიდეს საგარეო ბაზრებზე, მაშინ, როდესაც ვერტიკალური უპი-ები ემსახურება ადგილობრივ ბაზრებს და საფუძვლად უდევს განსხვავება ქვეყნებს შორის წარმოების ფაქტორთა მოცულობაში. მცირე სავაჭრო დანახარჯები სტიმულს აძლევს ვერტიკალურ უპი-ებს და, პირიქით, აბრკოლებს ჰორიზონტალურს, რადგანაც მათი შემცირება ნაკლებად აისახება ვერტიკალური უპი-ების წარმოების ფაქტორთა ფასებში. სავაჭრო დანახარჯების შემცირებისას წარმოება გადაადგილდება მდიდარი ქვეყნიდან, მაგალითად, აშშ-დან, ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა, ჩინეთი და მექსიკა, სადაც სამუშაო ძალა შედარებით იაფია, მაგრამ ნაკლებად მწარმოებლური. კვლევების უმრავლესობაში

ხაზგასმულია ჰორიზონტალური უპი-ების უპირატესობებზე ვერტიკალურთან შედარებით. მაგალითად, ნეარიმ (99,გვ.230) 2007 წელს დაასაბუთა, რომ ჰორიზონტალური უპი-ები, რომელიც ხორციელდება სავაჭრო ბლოკებს შორის, ხელს უწყობს ვაჭრობის ლიბერალიზაციას. უცხოური კომპანიები ცდილობენ, დააბანდონ ინვესტიციები სავაჭრო ბლოკის წევრ ქვეყნებში, მაგალითად, ამერიკული ფირმები ცდილობენ, აწარმოონ საქონელი ირლანდიაში, რომ შემდგომ პროდუქცია გაიტანონ მთელ ევროპაში. ან გერმანული ფირმები განათავსებენ საწამოებს კანადაში, რომ განახორციელონ საქონლის ექსპორტი ჩრ. ამერიკის ქვეყნებში.

ჰორიზონტალური უპი-ები მიზნად ისახავს, განახორციელოს საქონლის ექსპორტი, ვიდრე პროდუქციით უზრუნველყოს ადგილობრივი ბაზრები. ბოლო პერიოდში უპი-ები სულ უფრო დიდი მოცულობით მიემართება მესამე სამყაროს ქვეყნებში, სავაჭრო ბარიერების შემცირება სავაჭრო ბლოკის წევრ ქვეყნებს შორის ხელს უწყობს აღნიშნულ ტენდენციას იმის გათვალისწინებით, რომ ინვესტიციათა მასპინძელი ქვეყნის შიდა ბაზრები არცთუ ისე დიდია, პროდუქციის ძირითადი ნაწილი ამ შემთხვევაში ექსპორტირებული იქნება სავაჭრო ბლოკის წევრ სხვა ქვეყნებში. მოტტა და ნორმანი მიიჩნევს (87,გვ.36), რომ უპი-ების დაბანდება ბლოკის წევრ ქვეყნებში მიმზიდველია უცხოური ფირმებისთვის, რამდენადაც ისინი აღნიშნული მეთოდით შედარებით მეტ ბაზრებზე გადიან და საზღვარგარეთ დიდი მოცულობით საქონლის ექსპორტი გააქვთ, ნაცვლად იმისა, რომ დამოკიდებულნი იყვენენ მიმღები ქვეყნის მცირე შიდა ბაზრებზე. მათ ექმნებათ ასევე შესაძლებლობა, განახორციელონ ექსპორტი მთელ რეგიონში, რამდენადაც სავაჭრო ბლოკები ძირითადად იქმნება რეგიონულ დონეზე, რათა თავი აარიდონ ხელოვნურ სავაჭრო (მაგ., ტარიფები) და ბუნებრივ ბარიერებს (მაგ., სატრანსპორტო დანახარჯები).

ეკხოლმი გამოყოფს (65,გვ.15) ექსპორტზე ორიენტირებული უპი-ების სამ ტიპს: 1. ბაზირების ქვეყანაში ექსპორზე ორიენტირებულ უპი-ებს, რომელიც გულისხმობს წარმოებული პროდუქციის ექსპორტირებას ბაზირების ქვეყნებში. 2. მესამე სამყაროს ქვეყნებში ექსპორტზე ორიენტირებული უპი-ები მიზნად ისახავს საქონლის გატანას შედარებით დიდ ქვეყნებში (გარდა ინვესტიციათა მასპინძელი და რეზიდენტი ქვეყნებისა); 3. გლობალურ ექსპორტზე ორიენტირებულ უპი-ებს, რომელიც მოიცავს პროდუქციის

ექსპორტირებას ბაზირებისა და მესამე სამყაროს ქვეყნებში. როდესაც ინვესტიციათა ბაზირების და რეციპიენტი ქვეყანა ქმნის თავისუფალ სავაჭრო ზონებს, შედეგად შიდა ფირმები ატარებენ გლობალურ ან ინვესტიციათა რეზიდენტ ქვეყნებში ექსპორტზე ორიენტირებული უპი-ების ხელშემწყობ პოლიტიკას, ხოლო კომპანიები, რომლებიც არ ეკუთვნის თავისუფალ სავაჭრო ზონას, ირჩევს, აითვისონ მესამე სამყაროს ქვეყნების ბაზრები. ასე მაგალითად, ჩრდ. ამერიკაში, ამერიკულ ტეკ-თა ფილიალები წარმოებული პროდუქციის ექსპორტს ახდენენ ეროვნულ ქვეყნებში, მაშინ, როდესაც ევროპულ ფირმათა ფილიალები ახორციელებენ საქონლის ექსპორტირებას მესამე სამყაროს ქვეყნებში. ამ მხრივ, ირლანდია არის ყველაზე წარმატებული ქვეყანაა ევროკავშირში ექსპორტზე ორიენტირებული უპი-ების მოზიდვის თვალსაზრისით.

შეთანხმებები რეგიონულ ინტეგრაციაზე, როგორც უპი-ების ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი ფაქტორის განვითარებადი ქვეყნებისათვის, მნიშვნელოვანი განხილვის საგანია. ამასთან, რეგიონული ინტეგრაციის შეთანხმებები სხვადასხვაგვარად ახდენს ზეგავლენას ინვესტიციათა დაბანდების ადგილმდებარეობაზე. მაგალითად, ფირმები საზღვარგარეთ ინვესტიციას იმისათვის ახორციელებენ, რომ მათი ფილიალების გაყიდვებით მოემსახურონ დაცულ ბაზრებს. რეგიონული ინტეგრაციის შეთანხმებები დაჯგუფების წევრ ქვეყნებს შორის ბაზარს ნაკლებად დაცულს ხდის და, შესაბამისად, ასუსტებს ფირმების მოტივს, განახორციელონ ინვესტირება. ალტერნატიულად, უცხოური ფირმების მიზანი კაპიტალდაბანდებების განხორციელების დროს, სხვადასხვა ქვეყნების შეფარდებითი უპირატესობებით სარგებლობაა პროდუქციის წარმოების სხვადასხვა სტადიაზე. წარმოების გარკვეული სტადიის შემდეგ, პროდუქცია კვეთს ეროვნულ საზღვარს და ეჯახება სატარიფო ხარჯებს. რეგიონული ინტეგრაციის შეთანხმებები ამცირებს აღნიშნულ ხარჯებს და ასტიმულირებს უცხოური ფირმების მოტივს, განახორციელონ კაპიტალდაბანდება დაჯგუფების წევრ ქვეყნებში. ეკონომიკურ ლიტერატურაში ინტეგრაციულ გაერთიანებებს შემდეგ სამ ძირითად ჯგუფად ყოფენ.

1.1. ჩრდილოეთ – ჩრდილოეთი ინტეგრაცია, გულისხმობს მაღალგანვითარებული ქვეყნების ინტეგრაციულ გაერთიანებას,

რომლებიც ხასიათდებიან უხვი რესურსებით, კაპიტალითა და კვალიფიციური მუშახელით;

1.2. სამხრეთ-სამხრეთი ინტეგრაცია, მოიცავს ჭარბი სამუშაო ძალის მქონე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს შორის ინტეგრაციას;

1.3. ჩრდილოეთ-სამხრეთი ინტეგრაცია, განსხვავებული განვითარების დონის და წარმოების ფაქტორების მქონე ქვეყნების გაერთიანება.

თითოეულ შემთხვევაში რეგიონული ინტეგრაციის ზეგავლენა უპი-ებზე განსხვავებულია. მაგალითად, ჯ. დანნინგი მიიჩნევს, რომ 1985 წელს ევროპის მიერ შიდა ბაზრის შექმნის პროგრამამ ბიძგი მისცა, როგორც ევროკავშირის შიდარეგიონულ, ასევე უპი-ების მოზიდვას გარე რეგიონებიდან. კაპიტალის შემოდინება, ძირთადად, მეცნიერებატევად დარგებში გაიზარდა, ამასთან, უპი-ები გახდა რეგიონში ვაჭრობის შემავსებელი ფაქტორი. სამხრეთ-სამხრეთი ინტეგრაციის გაერთიანების შემთხვევაში, ჩუდნოვსკი და ლოპესი თვლიან, რომ უპი-ების ზრდა "MERCOSUR"-ში მნიშვნელოვან დონეზე განპირობებული იყო რეგიონის ფარგლებს გარედან მოზიდული ინვესტიციებით და განხორციელდა ძირითადად "შერწყმისა და შთანთქმის" გარიგებებით, რომელმაც ჩაანაცვლა შიდა ინვესტიციები და, ამასთან, მიმართული იყო რეგიონის შიდა ბაზრების მომარაგებაზე. ინტეგრაციის შესახებ შეთანხმება ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, რომლის ნათელი მაგალითია "NAFTA", მექსიკაში უპი-ების ზრდის მასტიმულირებელი ფაქტორი გახდა. კანადასა და ამერიკას შორის დადებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება ჩრდილოეთ-ჩრდილოეთი ინტეგრაციის მაგალითია, რომელმაც ორივე ქვეყნისთვის შეამცირა შიდარეგიონული უპი-ების მნიშვნელობა, მაგარმ გაზარდა ინვესტიციები გარე რეგიონებიდან, კერძოდ, კანადაში.

საწარმოო დონეზე ვაჭრობის არასატარიფო ბარიერები ზემოქმედებს რეგიონში კაპიტალის შემოდინებაზე, მაგალითად, ევროკავშირის მიერ კვოტების შემოღებამ და ანტიდემპინგურმა ღონისძიებებმა სტიმული მისცა იაპონურ ტეკ-ებს, დაეწყოთ საქმიანობა ევროკავშირის ქვეყნებში. რეი ბარელმა და ნაიდჯეი ფეინის (114,გვ.78) მიერ ჩატარებულმა კვლევამ აღმოაჩინა, რომ 1980-1991 წწ-ში შრომის დანახარჯებისა და ბაზრის კონტროლის შემდეგ, ევროკავშირის მიერ გატარებული ანტიდემპინგური ღონისძიებები გახდა იაპონურ ინვესტიციათა ზრდის მნიშვნელოვანი

მასტიმულირებელი ფაქტორი ევროკავშირის ფარგლებში. გარდა ამისა, არსებობს სხვადასხვა არხები, რომელთა მეშვეობითაც რეგიონული სავაჭრო შეთანხმებები ზეგავლენას ახდენს უპი-ათა ნაკადებზე, თუმცა მათი კლასიფიკაცია ზოგიერთ ასპექტში არცთუ ისე მარტივია. მაგალითად, სხვადასხვა რეგიონულ დაჯგუფებებს, როგორიცაა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფო ასოციაცია (ASEAN) და სამხრეთამერიკული საერთო ბაზარი (MERCOSUR), გააჩნიათ თანამშრომლობის სქემა, რომელთა მიზანია, დააარსონ რეგიონული საწარმოები და ხელი შეუწყონ ერთობლივ საწარმოებს. ამ სფეროში მოწინავე პოზიციებით გამოირჩევა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ასოციაცია (ASEAN), რომლის ინდუსტრიული თანამშრომლობის სქემა ხელს უწყობს სამრეწველო საწარმოთა საქმიანობას. მაგალითად, 100–ზე მეტი ფირმა შეირჩა ასოციაციის ფარგლებში, რომლებიც სარგებლობენ საგადასახადო და სატარიფო შეღავათებით. ამასთან, არსებობს ინვესტიციათა მოზიდვის ხელშემწყობი სააგენტოები, რომლებიც აუცილებელი ინფორმაციით უზრუნველყოფს უცხოელ ინვესტორებს. რეგიონული სავაჭრო შეთანხმებების უპი-ებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა დინამიური პროცესია კონკურენციასთან დამოკიდებულებაში, ქმნის უფრო ეფექტიან მრეწველობას და ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, რაც შესაბამისად დადებითად აისახება უპი-ათა ნაკადებზე.

ყოფილი საბჭოთა სისტემის დაშლიდან არცთუ ისე დიდი ხნის შემდეგ დაიწყო ინტეგრაციული პროცესების განვითარება ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. საქართველოსთვის, პოსტსოციალისტურ სივრცეში ეკონომიკური კავშირების რღვევის ფონზე, აუცილებელი გახდა ახალი ალტერნატიული გზებისა და საშუალებების გამოძებნა. 1992 წლის 25 ივლისს შავი ზღვის აუზის 11 ქვეყანამ, მათ შორის საქართველომ, საფუძველი ჩაუყარა შავი ზღვის ეკონომიკურ თანამშრომლობას **(BSEC).** საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ ალიანსს და განიხილავს, როგორც ევროკავშირში გაწევრიანებისკენ მიმართულ ერთ-ერთ რეალურად წინ გადადგმულ ნაბიჯს. გარდა ამისა, ინტენსიურად მიმდინარეობს თანამშრომლობის გაღრმავება საქართველოს, უკრაინას, აზერბაიჯანსა და მოლდოვას შორის ე.წ. სუამის ფარგლებში. გაერთიანების ფარგლებში გამოიკვეთა ეკონომიკური თანამშრომლობა, რომელიც გულისხმობს თავისუფალი ვაჭრობის ზონის ამოქმედებს, რაც ხელს შეუწყობს

ეკონომიკური პროცესების გააქტიურებას და ინტეგრაციული პროცესების საწყისიდან სწრაფ გადასვლას ინტეგრაციის უფრო მაღალ საფეხურზე. ამასთან, ცნობილია, რომ საქართველოს უმთავრესი საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტი ევროკავშირში გაწევრიანებაა, ევროკავშირი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონული ინტეგრაციაა, რომელიც წარმათებით ფუნქციონირებს. ევროკავშირის მთავარი მიზანი მის ფარგლებში მცხოვრებ 400 მილიონამდე ადამიანისთვის კეთილდღეობის, სიმშვიდისა და სტაბილურობის უზრუნველყოფაა. შესაბამისად, საუკეთესო რეგიონული ინტეგრაციის – ევროკავშირის ეკონომიკურ სივრცეში გაერთიანება საქართველოსთვის მთავარი მიზანია. ასევე, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქვეყნისთვის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებისქვაკუთხედი – შეთანხმება პარტინორობისა და თანამშრომლობის შესახებ (PCA), რომელიც 1999 წლის 1 ივლისს შევიდა ძალაში. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა განამტკიცებს რეგიონულ თანამშრომლობას და გააძლიერებს ქვეყნის სტაბილურობას.

რეგიონული პროგრამა INOGATE ევროკავშირს, შავი ზღვისა და კასპიის ზღვის აუზის ქვეყნებსა და მეზობელ ქვეყნებს შორის ნავთობის, გაზის, ელექტროენერგიის, განახლებადი ენერგიისა და ენერგოპროდუქტიულობის სფეროში ენერგეტიკული თანამშრომლობის საერთაშორისო პროგრამაა. პროგრამის ძირითადი მიზანი ენერგეტიკული პროექტებისთვის ინვესტიციების მოზიდვაა. TRACECA (სატრანსპორტო კორიდორი ევროპა-კავკასია-აზია) წარმოადგენს სახელმწიფოთაშორის პროგრამას, რომელიც საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემის განვითარების გზით მიზნად ისახავს შავი ზღვის რეგიონში, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ეკონომიკის განვითარებას. პროგრამის მიზანია ისტორიული აბრეშუმის გზის – ევროპიდან შუა აზიამდე აღმოსავლეთ ევროპის, შავი ზღვის, ამიერკავკასიისა და კასპიის ზღვის გავლით. სატრანსპორტო დერეფნის TRACECA-ს პროგრამა უნიკალური ისტორიის, კულტურის, ენის, პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის მქონე 13 ქვეყანას მოიცავს, ესენია: აზერბაიჯანი, ბულგარეთი, თურქეთი,

თურქმენეთი, მოლდავეთი, რუმინეთი, საქართველო, სომხეთი, ტაჯიკეთი, უკრაინა, უზბეკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი

TRACECA-ს ზოგადი მიზნებია:

- რეგიონში ვაჭრობის განვითარებასა და გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მონაწილე ქვეყნებს შორის თანამშრომლობის სტიმულირება;
- ევროპა-კავკასია-აზიის საერთაშორისო სატრანსპორტო კორიდორის ტრანსევროპულ ქსელში (TEN) ინტეგრაციის მხარდაჭერა;
- რეგიონის სავაჭრო და სატრანსპორტო სისტემებში არსებული პრობლემების და დეფიციტების განსაზღვრა;
- ამ დროისთვის საქართველოში TRACECA-ს პროგრამის ფარგლებში ორი პროექტის იმპლემენტაცია მიმდინარეობს;
- TRACECA-ს და TEN-ის კორიდორებს შორის საზღვაო კავშირების გაუმჯობესება;
- TRACECA-ს ქვეყნებისათვის ტრანსპორტის ნაკადისა და რეგიონული სატრანსპორტო ინტეგრაციის ანალიზი და პროგნოზირება, მათ შორის ევროკავშირსა და NIS-ს შორის;
- ENP-ს ფარგლებში სატრანსპორტო დიალოგის ორგანიზება. სამომავლო პროექტები, რომლებშიც საქართველო სრულად მიიღებს მონაწილეობას. სამხრეთ კავკასიაში საზღვრის ინტეგრირებული მართვის სისტემა SCIBM ტრადიციულ "აბრეშუმის გზაზე" მდებარე სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნის – საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მიერ საზღვრის მართვის ეფექტიანობის ზრდის მიზნით ევროკავშირის საზღვრის მართვის სტანდარტებისა და გამოცდილების გაზიარებას ითვალისწინებს.

საქართველოს მიერ პარტნიორ ქვეყნებთან რეგიონულ პროგრამებში აქტიური მონაწილეობა ხელს შეუწყობს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოსვლას. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე საქართველოში შიდა ინვესტიციების სიმცირიდან

და ქვეყნის საგარეო ვაჭრობის დაბალი დონიდა გამომდინარე ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლება უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და პარტნიორ ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის ინტენსიფიკაციის დონეზეა დამოკიდებული

თავი III. ბიზნესსტრატეგიის მდგრადი განვითარება

3.1. ტექნოლოგიური ტრანსფერტი – მასპინძელი ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი

ეროვნული საინოვაციო სისტემის ცნება XX საუკუნის 80-იან წლებში იქნა შემოტანილი ქ.ფრიმენის (72,გვ.7) მიერ და განიმარტა, როგორც, საჯარო და კერძო სექტორების დაწესებულებათა ქსელის საქმიანობა და ურთიერთქმედება ახალი ტექნოლოგიების ინიცირების, იმპორტირების, მოდიფიცირებისა და გავრცელების სფეროში. ტექნოლოგიების ტრანსფერტი პროცესია, რომლითაც სამეცნიერო კვლევები და ტექნოლოგიები გადაეცემა ერთი ორგანიზაციიდან მეორეს. ტექნოლოგიური ტრანსფერტის პროცესში ჩართული პირები აფასებენ ტექნოლოგიებს, აწარმოებენ ლიცენზური ხელშეკრულებისათვის აუცილებელ მოლაპარაკებებს და ა.შ. ამასთან, ტექნოლოგიების ტრანსფერტისათვის ხშირად საჭიროა საპატენტო პროცედურების სათანადოდ შესრულება. ტექნოლოგიის სამეცნიერო ლაბორატორიიდან ბიზნესში გადაცემის ერთ-ერთი მთავარი პირობაა ეფექტიანი სამეწარმეო გარემოს შექმნა.

ტექნოლოგიების ტრანსფერტის ძირითადი კომპონენტებია: გამოგონებების, ინოვაციების, ეკონომიკური მახასიათებლების ობიექტური შეფასება; დაპატენტება (ინტელექტუალური საკუთრების დაცვა), ტექნოლოგიების მარკეტინგი, ლიცენზირება, ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ახალი ბიზნესების შექმნისა და არსებულ ფირმებში ტექნოლოგიის წარმატებით ათვისების ხელშეწყობა. ამ ქმედებების შედეგია ახალი პროდუქტის შექმნა, სადაც გამოიყენება მოწინავე ტექნოლოგიური და ვითარდება ქვეყნის ეკონომიკა.

ნებისმიერი ქვეყნისათვის, განვითარების ხვადასხვა დონის მიუხედავად, ეკონომიკური ზრდისა და კეთილდღეობის ამაღლებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს. განვითარებული ქვეყნები ხასიათდება სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილებებით, ტექნოლოგიურიგანვითარების დონეებს შორის განსხვავებულობის შემცირება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ ამ უკანასკნელმა შეძლოს ეკონომიკის მდგარადი განვითარება და სიღარიბის დაძლევა. მიმდინარე ეტაპზე ტეკ-ები გვევლინება

ახალი და მოწინავე ტექნოლოგიების ძირითად წყაროდ, და აქვთ პოტენციალი, დაძლიონ ის ტექნოლოგიური სხვაობა, რაც არსებობს მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის. ტეკ-ები უპი-ების განხორციელებით, ხელს უწყობს ტექნოლოგიათა და ნოუ-ჰაუს გადაცემას, იმ შესაძლებლობებისა და გამოწვევების ჩათვლით, რომელიც იწვევს ქვეყანაში ტექნოლოგიური ცვლილებების დაჩქარებას და განვითარებად ქვეყნებში კონკურენციის ზრდას. დაბალი შემოსავლების ქვეყნებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტექნოლოგიათა გადაცემისა და გავრცელების პროცესი, რამდენადაც ის ზრდის ქვეყნის მწარმოებლურობას, უზრუნველყოფს ტექნოლოგიური შესაძლებლობების გაძლიერებას და შრომითი რესურსების განვითარებას. ტექნიკური პროგრესი, ძირითადად, მოწინავე ქვეყნებიდან ტექნოლოგიათა მიღებისა და ადაპტაციის პროცესია და არ გულისხმობს განვითარებადი ქვეყნის ფარგლებში უპირატესად ახალი ტექნოლოგიების შექმნას. აქედან გამომდინარე, ტექნოლოგიების გადაცემა და გავრცელება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნულ ტექნოლოგიათა შესაძლებლობების გაძლიერებისთვის. ამასთან, ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება ამ პროცესში მთავრობის მხარდაჭერას, რომელმაც უნდა შექმნას და სრულყოს ეროვნული ინოვაციური სისტემა ქვეყნის დონეზე.

უკანასკნელი ორი ათაწლეულის განმავლობაში ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ტექნიკური პროგრესი, თუმცა ტექნოლოგიური ჩამორჩენა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, ისევ მაღალია. რაც შეეხება მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე გაწეულ დანახარჯებს ის ქვეყნების ორ ჯგუფს შორის, მეტად განსხვავებულია. გარდა ამისა, ტექნოლოგიური მიღწევების დონე მერყეობს თვით განვითარებად ქვეყნებს შორის, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ქვეყნები ცდილობენ მოიპოვონ თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის სატელეკომუნიკაციო და საინფორმაციო მოწყობილობები, როგორიცაა, მობილური ტელეფონები და კომპიუტერები.

ბოლო პერიოდში, თანამედროვე ტექნოლოგიების გავრცელება განახლებად ენერგეტიკასა და ორგანული სოფლის მეურნეობის დარგში, ამავდროულად უწყობს ხელს ტექნიკურ პროგრესს განვითარებად მსოფლიოში. სოფლის მეურნეობაში კერძოდ ორგანული წარმოება უზრუნველყოფს ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და სოციალურ სიკეთეთა ფართო სპექტრს.

უმეტეს განვითარებად და გარდამავალ ქვეყნებში საწარმოები მთლიანობაში ნაკლებად აფინანსებს მეცნიერულ-კვლევით სამუშაოებს, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდება უნივერსიტეტებსა და სახელმწიფო კვლევით ინსტიტუტებში. მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში აღნიშნულ სექტორზე მოდის მთლიანი მეცნიერული კვლევების 63%. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში კერძო სექტორის შეზღუდული როლი ეროვნულ ინოვაციურ სისტემაში ასუსტებს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ზეგავლენას ეფექტიანობაზე, ეკონომიკურ ზრდასა და კონკურენტუნარიანობაზე. მოწინავე ქვეყნებში კი კომერციული საწაროები აფინანსებს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მნიშვნელოვან ნაწილს. უპი-ების მოზიდვა განვითარებად ქვეყნებში ხელს უწყობს ტექნოლოგიურ პროგრესს. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გლობალიზაციამ გამოიწვია კვლევების გააქტიურება ტეკ-ის მიერ ბაზირების ქვეყნებიდან მის ფარგლებს გარეთაც, რომლის შედეგადაც მაღალტექნოლოგიური წარმოება გავრცელდა განვითარებად სამყაროშიც.

ცხრილი: 3.1

მეცნიერულ-ტექნიკურ სამუშაოებზე დანახარჯები ქვეყნების მიხედვით (მლრდ დოლარსა და %-ში)

ქვეყანა	წელი	სულ	ბიზნეს სექტორი	ბიზნესის წილი
ავსტრალია	2011	16.2	-	-
ბრაზილია	2010	10.9		
კანადა	2009	27.6	15.0	54.2
ჩინეთი	2011	48.8	35.3	72.3
ევროკავშირი	2010	313.4	198.5	63.3
საფრანგეთი	2011	57.7	36.4	63.0
გერმანია	2010	84.1	58.9	70.0
გაერთიანებული სამეფო	2009	50.0	32.1	64.2
ინდოეთი	2009	9.1		
ინდონეზია	2010	0.1		
იაპონია	2011	181.9	131.9	72.5
კორეა	2010	33.7	25.7	76.2
მალაიზია	2009	1.0		
მექსიკა	2011	3.8		
ახალი ზელანდია	2010	1.6		

ნორვეგია	2009	7.3		
რუსეთის ფედერაცია	2011	17.3	10.9	62.9
სინგაპური	2010	4.2		
სამხრეთ აფრიკა	2009	2.4		
თაივანი(ჩინეთის პროვინციალ)	2011	10.1		
ტაილანდი	2009	0.5	-	-
აშშ	2010	398.1	289.1	72.6

წყარო: (www.unctad.org/fdistatistics)

განვითარებად ქვეყნებში ტეკ-სა და ადგილობრივ ფირმებს შორის ურთიერთქმედება განაპირობებს ცოდნის დაგროვებასა და ტექნოლოგიათა გავრცელებას ისეთი მექანიზმების გამოყენებით, როგორიცაა: იმიტაცია, გაზრდილი კონკურენცია, ტრენინგები და შრომითი რესურსების მობილობა. თუმცა, აღნიშნული მექანიზმების მოქმედების ხარისხი დამოკიდებულია რთულ, კომპლექსურ პირობებზე, როგორიცაა:

*ტეკ-თა საქმიანობის სექტორები;

*ტეკ-თა ინტეგრირება ეროვნულ ეკონომიკაში;

*ადგილობრივ ფირმათა მიერ სიმძლავრეების გამოყენება;

*ინსტიტუტების, ურთიერთობების და სასურველი პირობების შექმნა, რომელიც ეფუძნება ეროვნულ საინოვაციო სისტემას;

*მიმღები ქვეყნის მხარდამჭერ პოლიტიკაზე, რაც ხელს უწყობს ცოდნის გადაცემის არსებულ ნაკადებს.

ყოველივე აღნიშნულით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტეკ-თა არსებობა მასპინძელ ქვეყანაში განაპირობებს ტექნიკურ პროგრესს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფირმები, რომლებიც ფლობენ ცოდნას, ქმნიან ბარიერებს მათი ცოდნის გავრცელების შესამცირებლად. ტექნოლოგიათა გადაცემა და გავრცელება მოიცავს ფიზიკური კაპიტალისა და ცოდნის იმპორტირებულ ნაკადებს. ეს უკანასკნელი იძენს სულ უფრო მნიშვნელოვან ფუნქციას და მოიცავს ახალი ცოდნისა და მენეჯერული გამოცდილების შეძენასა და შთანთქმას. მოკლევადიან პერიოდში მასპინძელი ქვეყანა ახალი და მოწინავე ტექნოლოგიების მიღებით ქმნის ახალ პროდუქციას და ამცირებს დანახარჯებს, რაც ზრდის ქვეყნის მწარმოებლურობას, ხოლო გრძელვადიან პერიოდში, მოგების მიღება დამოკიდებულია თუ რამდენად შეძლებს მიმღები

ფირმა საკუთარი შესაძლებლობების განვითარებას. მთლიანად ეკონომიკისათვის კი, მოგების მიღება დაკავშირებულია ბევრ გარე ფაქტორთან – ტექნოლოგიების გავრცელება სხვა ეკონომიკურ ერთეულებზე, ტექნოლოგიათა ტრანსფერტი და მიღება, ასევე როიალტისა და ლიცენზიის შემოსავლების დონე და ა.შ. ამ ასპექტით განვითარებული ქვეყნები არიან მთავარი ბაზირების ქვეყნები.

ცხრილი 3.2

როიალტის და ლიცენზიით მიღებული შემოსავლები და გადასახადი რეგიონების მიხედვით (მლნ დოლარი)

რეგიონი	1990	2000	2009	1990	2000	2009
		მიღება			გადახდა	
მსოფლიო	27323	79383	179688	24267	83242	184674
განვითარებული ქვეყნები	27037	77482	172055	21360	66254	136987
ევროკავშირი	10039	20688	55779	17172	32734	85231
ამერიკა	16640	43233	89791	3140	16468	25230
იაპონია	2866	10227	21698	6051	11007	16835
განვითარებადი ქვეყნები	278	1733	6879	2859	16164	42346
აფრიკა	38	193	106	230	840	2279
ლათ.ამერიკა და კარიბის ზღვის ქვეყნები	195	457	1627	984	3371	5305
აზია	41	1080	5146	1646	11953	34761
დას.აზია	0	0	0	0	173	649
სამხ.-აღმ. აზია	41	1080	5146	1846	11780	34112
ოკეანია	3	3	0	0	1	1
გარდამავალი ქვეყნები	8	168	754	48	824	5341

წყარო: UNCTAD,2000, 2009

როიალტისა და ლიცენზიის მეშვეობით, ტექნოლოგიათა გადაცემა განვითარებად ქვეყნებში, განაპირობებს ტექნოლოგიათა განახლებას– საწარმოო სფეროში მოწინავე ტექნოლოგიური პროცესებისა და მენეჯერული უნარ-ჩვევების დანერგვით. ტეკ-ები გადასცემს რეციპიენტ ქვეყნებს ტექნოლოგიებს უპი-სა და არააქციონერული ფორმით. ზოგიერთი ეკონომიკური, სტრატეგიული და პოლიტიკური ფაქტორი განსაზღვრავს

ტექნოლოგიათა გადაცემის ფორმებს. ტექნოლოგიური ცვლილებების სიჩქარე, გადაცემის ხარჯები და რისკები, კორპორაციების აღქმა სარგებელსა და რისკებზე, ასევე სამთავრობო პოლიტიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტექნოლოგიათა გადაცემის პროცესში. ტექნოლოგიათა გავრცელების მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდება ტეკ-თა ქსელის ინტერნაციონალიზაციით. ცხრილი 3.1 ნათლად ასახავს, რომ თანამედროვე ეტაპზე უპი-ები განვითარებად საყაროში ტექნოლოგიათა გადაცემის მნიშვნელოვანი წყაროა. თუმცა, ღირებული ტექნოლოგიების გადაცემის ხარისხი მიმღები ქვეყნებისთვის განსხვავებულია რეგიონებისა და ქვეყნების მიხედვით.

ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში, მაგალითად ჩინეთში უპი-ების განხორციელებით შეიქმნა გარკვეული ტექნოლოგიური სიმძლავრეები, თუმცა, აღსანიშნავია, რომ საერთოდ დაბალი შემოსავლების ქვეყნებში, უპი-ების წვლილი ტექნოლოგიური სიმძლავრეების შექმნის პროცესში არცთუ ისე დიდია. მაგალითად, იაპონური ფირმების მიერ უცხოური ფილიალებისთვის გადაცემული ტექნოლოგიები, კერძოდ, განვითარებად რეგიონში, განსხვავებულია ტექნოლოგიათა ათვისების მიხედვით. მათი გამოყენება აღნიშნული რეგიონის ფილიალებში, მშობელ კომპანიებთან შედარებით, დაბალია. რაც შეეხება აზიის ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში არსებულ ფილიალებს, აქ ტექნოლოგიათა გამოყენების ხარისხი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება განვითარებულ ქვეყნებში მოქმედ ფილიალებთან შედარებით. იაპონიაში მოქმედი უცხოური ფილიალების 4/5-ში გამოიყენება იგივე ტექნოლოგიები, რაც მათ მშობლიურ ფირმებში (ცხრ. 3.2). მშობელი კომპანიებისგან ტექნოლოგიათა შეძენა მხოლოდ რამდენიმე განვითარებად ქვეყნაშია შეზღუდული. რამდენიმე განვითარებადი ქვეყანა, მაგალითად, ჩინეთი, მექსიკა, ბრაზილია, ჩრდ.კორეა, და ინდოეთი წარმოადგენს როიალტისა და ლიცენზიის მთავარ მიმღებ ქვეყნებს აშშ-ის ტეკ-ებისგან. ტეკ-ებს შეუძლია განახორციელოს ტექნოლოგიათა ტრანსფერტი არასააქციო საქმიანობის სხვადასხვა არხის მეშვეობით. მაგალითად, ფრანჩაიზინგის, ლიცენზირების, სუბკონტრაქტების და ა.შ. გარდა ამისა, ტეკ-ები, მნიშვნელოვანად უწყობს ხელს მაღალტექნოლოგიური საქმიანობის განვითარებას და უზრუნველყოფს ცოდნის მთლიანი

კომპლექსის, მაგალითად,, ტექნოლოგიათა გადაცემას მენეჯერულ ნოუ-ჰაუსთან ერთად.

როგორც წესი, ადგილობრივი ფირმები გრძელვადიანი ურთიერთობებით დაკავშორებულია უცხოურ ტეკ-ებთან სუბკონტრაქტების მეშვეობით, რაც ხელს უწყობს იმპორტირებული ტექნოლოგიების გამოყენებას ექსპორტზე ორიენტირებულ წარმოებაში და ამგვარად განაპირობებს ფირმების შიდა საწარმოო შესაძლებლობების განვითარებასა და გაძლიერებას. საერთაშორისო ბაზარზე ფირმის კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად აუცილებელია მან განახორციელოს მოწინავე ტექნოლოგიათა იმპორტი, გარდა ამისა, გამოიყენებული სხვა მექანიზმები, მაგალითად, ფრანჩაიზინგი, ან მიმართოს ინვესტიციები მეცნიერულ-ტექნიკურ კვლევებში. რამდენიმე ფირმა ჩინეთიდან, კორეის რესპუბლიკიდან და ტაივანიდან, მნიშვნელოვანი კორპორაციული ინოვატორი და ინოვაციური ფირმების ინვესტორი გახდა საზღვარგარეთ. ტეკ-ები სოფლის მეურნეობაში მაგალითად, სოფლის მეურნეობის შეთანხმებითი კონტრაქტების საფუძველზე, უზრუნველყოფს ადგილობრივი ფერმერების ტექნოლოგიურ დახმარებებს თესლებით, სასუქებით და სხვა წარმოების ფაქტორებით, სადაც მოწინავე ტექნოლოგია და ნოუ-ჰაუ აქტიურად ინერგება. ისინი დაინტერესებულნი არიან, განახორციელონ ეფექტიანი მომსახურება იმისათვის, რომ მიიღონ მაღალი ხარისხის, ნაკლებდანახარჯიანი პროდუქცია. ჩინეთში ტეკ-ებმა დანერგეს დიდი ოდენობით თანამედროვე და პრაქტიკული ტექნოლოგიები, მაგალითად, ბრინჯის წარმოების მშრალი ტექნოლოგია, ახალი ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი ტექნოლოგია და ა.შ.

ტეკ-ების მიერ ღირებულების შექმნის ჯაჭვში ყველაზე ნაკლებად ინტერნაციონალური სეგმენტია კვლევითი სამუშაოები. ამასთან, ტეკ-ების წარმოების, მარკეტინგისა და სხვა ფუნქციების გადაადგილება საზღვარგარეთ შედარებით სწრაფად ხორციელდება, ხოლო სათავო ოფისები, ფინანსები და კვლევითი სამუშაოები ტეკ-ათა ნაკლებად ინტერნაციონალური საქმიანობაა. მაგალითად, 2007 წელს აშშ-ის კვლევითი სამუშაოების მონაცემები გვიჩვენებს, რომ ამერიკული ტეკ-ების კვლევების მხოლოდ 14% იყო მიმართული საზღვარგარეთ უცხოურ ფილიალებში. ტეკ-ბი მზარდად გადაადგილებს კვლევით საქმიანობებს განვითარებად ქვეყნებში, თუმცა, კვლევითი სამუშაოების ძირითად ცენტრად რჩება განვითარებული ქვეყნები,

რაც იაპონიისა და აშშ მონაცემებით დასტურდება. იაპონური ტეკ-ების მიერ 2007 წელს ჩატარებული კვლევითი საქმიანობების 38% განვითარებად ქვეყნებში იყო განხორციელებული. კერძოდ, ჩინეთი და ინდოეთია გლობალური კვლევითი სამუშაოების საკვანძო ქვეყნები (36,გვ.212).

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესში ტეკ-ები მსოფლიო ეკონომიკის ძირითადი მონაწილე სუბიექტია, რომელთა ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა წარმოებული პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის რეალიზაცია საზღვარგარეთ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტეკ-ების პროდუქციის რეალიზაციის დიდი ნაწილი განვითარებულ ქვეყნებზე მოდის, მოსახლეობის მაღალი მყიდველობითუნარიანობიდან გამომდინარე. ტეკ-ების განვითარების ტენდენცია მოწმობს, რომ ისინი სულ უფრო ცდილობენ, აითვისონ როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნების ბაზრები. მსოფლიო ეკონომიკაში ტეკ-ები აქტიურად მონაწილეობს ექსპორტის, ერთობლივი წარმოების თუ პირდაპირი ინვესტიციების საშუალებით. ასევე აღსანიშნავია ტეკ-ების დაინტერესება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებით, სადაც მათ იზიდავთ მომგებიანი ვაჭრობის და ინვესტორების მზარდი შესაძლებლობები. თანამედროვე ეტაპზე ტეკ-ების როლი და მნიშვნელობა მსოფლიო ეკონომიკაში სულ უფრო მეტად იზრდება. ისინი ითვლებიან გლობალიზაციის პროცესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფენომენად.

ტექნოლოგიური ტრანსფერტი რთული და კომპლექსური პროცესია, რის გამოც ბევრ განვითარებად ქვეყანაში წარმოიშობა სიძნელეები ეფექტიანი პოლიტიკის გატარებასა და განვითარებაში. უპი-ების შემოდინება არ არის საკმარისი პირობა განვითარებადი ქვეყნების ტექნოლოგიური ბაზის გარდასაქმნელად, რამდენადაც ტეკ-ების მიერ ტექნოლოგიებისა და წარმოების ფუნქციების გადაცემა სინამდვილეში დიდადაა დამოკიდებული შესაბამისი სამთავრობო სტრატეგიისა და ადგილობრივი პოტენციალის განვითარებაზე, კერძოდ,აუცილებელია სამთავრობო პოლიტიკამ ხელი შეუწყოს შიდა და უცხოური ინვესტიციების განხორციელებას, პროდუქტიული და შემგუებლური შესაძლებლობების შექმნას, განამტკიცოს საქმიანი კავშირები და განავითაროს ტექნოლოგიური პროცესები. ტექნოლოგიათა გადაცემასთან დაკავშირებით, განვითარებადი ქვეყნების სტრატეგიამ დროთა განმავლობაში განიცადა უპი-თან მიმართებით

არსებული შეზღუდული მიდგომებიდან, ტეკ-ებზე დამოკიდებულ სტრატეგიაზე გადასვლა. ამ უკანასკნელში იგულისხმება უპი-ების მოსაზიდად აქტიური გზების ძიება, ერთი მხრივ, უნარ-ჩვევების დანერგვითა და ინსტიტუციური მშენებლობით, ხოლო, მეორე მხრივ, პასიური პოზიციის დაკავებით და ორიენტაციით ინვესტიციებისთვის სასურველი გარემოს შექმნაზე. პრაქტიკაში განვითარებადი ქვეყნების უმეტესობა არსებულ სტრატეგიათა კომბინაციას იყენებს. აღსანიშნავია, რომ მთავრობის მიერ არჩეული ნებისმიერი სტრატეგია დაკავშირებულია როგორც სარგებლის მიღებასთან, ასევე რისკებთანაც, რისთვისაც აუცილებელია შერჩეული პოლიტიკით მიღებული სარგებელის მაქსიმიზება და შესაბამისად რისკების მინიმიზება.

თანამედროვე პერიოდში, განვითარებადი ქვეყნების უმეტესობა ხასიათდება სუსტი და ფრაგმენტული ინოვაციური სისტემებით. ამ სფეროში მიზანმიმართული პოლიტიკის გატარება აღმოფხვრის ცოდნის მიღებასთან, წარმოების სექტორის განვითარებასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ სირთულეებს. სამთავრობო პოლიტიკის მიზანია, შეამციროს რისკები, რომელიც დაკავშირებულია ინოვაციურ საქმიანობასთან, კერძოდ აღმოფხრას წინააღმდეგობები ინოვატორებს შორის და გადაწყვიტოს საგარეო ინოვაციური საკითხები. სხვა საკითხების გადაწყვეტასთან ერთად, აღნიშნული მიზნების მიღწევა მოითხოვს კარგად სტანდარტიზებული სტიმულების დაწესებას, შესაბამის მონიტორინგსა და შეფასებას, ინოვაციური საქმიანობის მართვის სტრუქტურის არსებობას კომპეტენტური მომსახურე პერსონალით და გამჭვირვალე პოლიტიკის მხარდაჭერას. ადეკვატური სტრუქტურები (ფინანსური გარემო, მეწარმეობა, სტიმულები), მატერიალური და არამატერიალური ინფრასტრუქტურა (ერთობლივი კაპიტალი, ინტელექტუალური საკუთრება, მომსახურების გაფართოება, ნორმები და სტანდარტები, ლაბორატორიები, ფიზიკური ინფრასტრუქტურა, ინტერნეტზე მისაწვდომობა) არსებით ფაქტორებს წარმოადგენს პოლიტიკის შემუშავების პროცესში. ტექნოლოგიათა გავრცელების მაქსიმიზაციისთვის მნიშვნელოვანია, გაიზარდოს ადგილობრივი ფირმების მიერ მოწინავე ტექნოლოგიებთან ადაპტირებისა და ათვისების პოტენციური შესაძლებლობა. ყოველივე აღნიშნული გულისხმობს კვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობას, არა მხოლოდ ტეკ-ების საქმიანობაზე ზემოქმედებისათვის,

არამედ ხელს უწყობს მაღალი ხარისხის, შიდა კონკურენტული საწარმოების საქმიანობას. ტექნოლოგიათა მასობრივი გავრცელებისათვის მნიშვნელოვანია მთავრობის მიერ შემუშავებული პოლიტიკა, რომელიც აუმჯობესებს თანამედროვე ტექნოლოგიათა დატვირთვას და ადგილობრივი ფირმების ადაპტაციის უნარს, რაც მოითხოვს ქვეყანაში კვალიფიციური სამუშაო ძალის ჩამოყალიბებას არა მარტო ტეკ-ებში დასასაქმებლად, არამედ კონკურენტულ ადგილობრივ საწარმოთა განვითარების ხელშესაწყობად.

ქვეყნის საგანმანათლებლო პოლიტიკის განვითარება დროთა განმავლობაში აუცილებელია, რამდენადაც თანამედროვე პერიოდში სწრაფად იზრდება ინდუსტრიული დარგების მოთხოვნები. მთავრობის მიერ გატარებული სწორი პოლიტიკა აძლიერებს მცირე და საშუალო ბიზნესის შესაძლებლობებს მათი გაფართოებითა და ტრენინგმომსახურებით. აუცილებელია, საქართველომ ხელი შეუწყოს სპეციფიკურ ტექნოლოგიათა ტრანსფერტს, რომელიც შესაბამისობაშია ქვეყნის პრიორიტეტულ დარგებსა და ასევე, განვითარების სტრატეგიასთან. მთავრობას, ფისკალური და ფინანსური სტიმულებით, შესაძლებლობა აქვს მოიზიდოს ტეკ-ები კონკრეტულ დარგებში, გარდა ამისა, შექმნას სასურველი კლიმატი საწარმოებში ინოვაციათა დასანერგად მეცნიერულ-ტექნიკური ბაზის შექმნით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში უნივერსიტეტებსა და სხვა კვლევით ცენტრებთან ახლოს მდებარეობს. რეციპიენტ ქვეყანაში ორიენტაციის აღება უკვე ფუნქციონირებად ტეკ-ებისკენ ერთ-ერთი სტრატეგიის ნაწილია, რომელიც ხორციელდება, მაგალითად, სტიმულების შეთავაზებით იმისათვის, რომ გადააადგილოს და ფოკუსირება მოახდინოს შედარებით კომპლექსურ ტექნოლოგიებზე, გაზარდოს და განაახლოს ადგილობრივ დონეზე განხორციელებული მეცნიერულ-ტექნიკური კვლევები. აღნიშნული გულისხმობს წარმოების ყველა ფაქტორის გაუმჯობესებას, რომელიც გამოიყენება ტეკ-თა ფილიალებში (ინფრასტრუქტურა, უნარ-ჩვევები, ინფორმაცია და ა.შ.). საბოლოო ანგარიშით, სახელმწიფოს ხელეწიფება შეაგროვოს და გაავრცელოს რეციპიენტი ქვეყნის ტექნიკური, კვლევითი და საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ ინფორმაცია და გაამარტივოს მოწინავე ტექნოლოგიათა ხელმისაწვდომობა ადგილობრივ საწარმოთათვის. კავშირებისა და ალიანსების შექმნა მსოფლიოში

ტექნოლოგიათა დარგში ლიდერობისთვის ტნკ-ებსა და შიდა ფირმებს შორის, ნოუ-ჰაუს გადაცემის მნიშვნელოვანი საშუალებაა. მაგ., ერთობლივ საწარმოთა შექმნა განაპირობებს ტექნოლოგიათა ეფექტიან ტრანსფერტს, ამ შემთხვევაში მყარდება ორმხრივი ნდობა პარტნიორებსა და შეძენილ საწამოთა შორის. უკუკავშირის არსებობის აღმოსაფხვრელად, რომელიც ასევე შესაძლოა წარმოიშვას ტეკ-სა და შიდა პოტენციურ მიმწოდებლებს შორის, საჭიროა ინტენსიური კონსულტაციები და ტრენინგები. კავშირის განსამტკიცებლად ხდება ადგილობრივი მთავრობის მიერ ფისკალური შეღავათების შეთავაზება ტეკ-ების მიერ ჩატარებულ მეცნიერულ-ტექნიკურ კვლევებზე. გარდა ამისა, ადგილობრივი ტექნოლოგიური და ინდუსტრიული კლასტერების შექმნა ეროვნული ფირმებისა და უცხოური ფილიალების მონაწილეობით ზრდის ნოუ-ჰაუს გაცვლასა და გამოცდილების მიღებას ეროვნული ფირმებისთვის.

ინტელექტუალური საკუთრების კარგად დაცული, დაბალანსებული და განხორციელებადი სისტემა ცოდნის ფორმირებისათვის აუცილებელ სტიმულებს ქმნის და უზრუნველყოფს ტექნოლოგიათა ტრანსასაზღვრო ნაკადების წარმოშობას. ქვეყნებში, რომლებიც ხასიათდებიან საკმაოდ განვითარებული ინოვაციური შესაძლებლობებით, განსაკუთრებით აქტიურია ტეკ-ების მიერ განხორციელებული ტექნოლოგიათა ტრანსფერტი., გარდა ამისა, აღნიშნული კომპანიები იცავენ მასპინძელი ქვეყნების ფირმათა ინტერესებს, რომ ისინი ადეკვატურად არიან სტიმულირებულნი ტეკ-ების თანამშრომლობასთან მეცნიერულ-ტექნიკურ დარგში. მეორე მხრივ, ბევრ განვითარებად ქვეყნაში ფართო ექსკლუზიური უფლებები, დაკავშირებული არაბალანსირებულ ინტელექტუალურ საკუთრებაზე, აბრკოლებს ტექნოლოგიური ცვლილებების ძალისხმევას. ამასთან, ინტელექტუალური საკუთრების რეჟიმი უნდა იყოს განსაზღვრული ფორმის და, ამავდროულად, იძულებითი ხასიათის იმ მხრივ, რომ უზრუნველყოს ფართო ხელმისაწვდომობა შესაბამის ტექნოლოგიებზე. შეთანხმებულობა უპი-სა და სხვა შესაბამის პოლიტიკებს შორის (ინოვაციური, მეცნიერული და ტექნოლოგიური) მეტად მნიშვნელოვანია უპი-სა და ტეკ-ების არააქციონერული ფორმით ეფექტიანი ეროვნული ინოვაციური სისტემების შექმნაში. ღია ინოვაციური სისტემა, სასურველ ბიზნესკლიმატთან ერთად, მნიშვნელოვანია ტექნოლოგიათა გადაცემისა და გავრცელების

დასაჩქარებლად. თუმცა აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ღია ინოვაციური სისტემა არ არის საკმარისი პირობა, რამდენადაც აუცილებელია მთავრობამ ქვეყანაში შექმნას ინსტიტუციური საფუძველი, რომელიც ასტიმულირებს ინოვაციებს, იზიდავს უპი-ებს მაღალტექნოლოგიურ და მეცნიერებატევად დარგებში და ხელს უწყობს კავშირის დამყარებას უცხოურ ფილიალებს, შიდა საწარმოებსა და კვლევით ინსტიტუტებს შორის. ამ თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა კოორდინაცია უპი-სა და სხვა პოლიტიკებს შორის. მთავრობის სწორმა პოლიტიკამ ხაზი უნდა გაუსვას იმ ძირითად ამოცანებს, რომელიც აძლიერებს ეროვნულ ტექნოლოგიურ განვითარებისა და ინოვაციურ შესაძლებლობებს.

სამწუხაროდ, საქართველოს თანამედროვე ეკონომიკისათვის დამახასიათებელია ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა, ინოვაციური სისტემების სტრატეგიული დაგეგმვის არქონა, ეროვნული კვლევა-განვითარების ინფრასტრუქტურის მოშლილობა, სხვადასხვა ინოვაციაზე დაფუძნებული მიდგომების დეფიციტი. ყველა ეს ფაქტორი, ცალ-ცალკე და ერთობლიობაში არსებითად აფერხებს უფრო მაღალი უკუგების, მდგრადი და გრძელვადიანი ეფექტების გენერირების შესაძლებლობებს ადგილობრივ ეკონომიკაში – ფართო მასშტაბის ადგილობრივი ინიციატივების, ინოვაციური სისტემებისა და რეგიონების კონკურენტულ უპირატესობებზე დაფუძნებული პროექტების წახალისება-განხორციელებას. შედეგად, ეკონომიკურ განვითარების დონე საქართველოში შორსაა სასურველისგან და ააშკარავებს მწარმოებლურობისა და შემოსავლების გენერირების დაბალ დონეს, მწირ საწარმოო შესაძლებლობებს და ინფრასტრუქტურას, სუსტ სამეწრმეო აქტივობას. უცხოური ინვესტიციების დადებითი ზეგავლენა ქვეყნისა და მისი რეგიონების პროდუქტიულობის ამაღლებასა და საინვესტიციო სისტემებზე განუზომელია, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, მისი ეფექტიანობა გაცილებით ძლიერია მოწინავე ქვეყნებისათვის, ვიდრე ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის.

უცხოური ინვესტიციებისთვის დამახასიათებელია დამატებითი ფინანსური სარგებელი, ტექნოლოგიური დიფუზია და კავშირების სტიმულირება უცხოურ და ადგილობრივ ფირმებს შორის, ზრდის ინოვაციურ ძალისხმევას. აღსანიშნავია, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციები ეფექტიანია

მხოლოდ მასპინძელი ქვეყნის მიერ ტექნოლოგიის ათვისების მაღალი დონის პირბებში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკის განვითარებაზე უპი-ების ზემოქმედების შესაფასებლად საჭიროა დადგინდეს მის პარალელურად, შესაბამისი მოცულობით იზრდება თუ არა თანამედროვე ტექნოლოგიები და მენეჯერული ჩვევები და, რაც მთავარია, წარმოიქმნება თუ არა ამით ახალი შესაძლებლობები მომიჯნავე დარგებსა და საერთოდ, ბიზნესის განვითარებისათვის. ამგვარად, უპი-ების იმპორტი სასარგებლოა მაშინ, როდესაც ინვესტიციების მთლიანი მოცულობის ზრდა განაპირობებს ახალი ტექნოლოგიებისა და მენეჯერული ჩვევების ათვისებას. საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მნიშვნელოვან მიმართულებაა მოწინავე ტექნოლოგიებისა და მეწარმეობის სტიმულირება. ეკონომიკური განვითარებისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ინოვაციებსა და ახალ ტექნოლოგიებზე ორიენტირებული სტრატეგიის შემუშავება, რაც ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს, განავითაროს პრიორიტეტული დარგები და აამაღლოს მისი კონკურენტუნარიანობა მსოფლიო მასშტაბით.

3.2. უცხოური ფილიალების წვლილი მასპინძელი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში

ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ამაღლება ეკონომიკური ზრდის, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების და ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებელი პირობაა. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (WEF) კონკურენტუნარიანობას განმარტავს, როგორც ქვეყნის პოტენციალს მოახდინოს მდგრადი განვითარება საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში და ამგვარად შეუქმნას კეთილდღეობა ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი ეროვნულ კონკურენტუნარიანობას განიხილავს მიკრო და მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით (88,გვ.4).

ექსპერტების აზრით (117,გვ.2), კონკურენტუნარიანობა არის ინსტიტუტების, პოლიტიკისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყნის პროდუქტიულობის დონეს. პროდუქტიულობის საზღვრები, თავის მხრივ, ადგენს, კეთილდღეობის იმ საზღვრებს, რომელსაც შეიძლება მიაღწიოს ამა თუ იმ ეკონომიკამ. სხვა სიტყვებით, უფრო კონკურენტუნარიან ეკონომიკურ სისტემას შესწევს ძალა, მიაღწიოს უფრო მაღალი შემოსავლიანობის დონეს თავისი მოქალაქეებისათვის. პროდუქტიულობის ზღვარი ასევე ადგენს იმ უკუგების კოეფიციენტს, რომელიც გამოითვლება ეკონომიკაში განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით. აღნიშნული უკუგების კოეფიციენტი ეკონომიკური ზრდის ტემპების ფუნდამენტური მაჩვენებელია. უფრო კონკურენტუნარიანი ეკონომიკა არის ის, რომელიც საშუალოდ უფრო სწრაფად იზრდება გრძელვადიან პერიოდში.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის (GCI) მიხედვით, რომელიც განავითარა კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორმა ხავიერ სალა-ი-მარტმა 2010–2011 მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმთან[11] ერთად, კონკურენტუნარიანობა წარმოადგენს მძლავრ ინსტრუმენტს რომლის მიხედვითაც განისაზღვრება მთელი რიგი კომპლექსური ფაქტორები, პოლიტიკური და ინსტიტუციური, რომელთა მიხედვით განისაზღვრება ქვეყნის ეროვნული პროდუქტიულობა. ეკონომიკას, რომელიც ავლენს

[11] www.welforum.org/documentsGCR09/index.html

კონკურენტუნარიანობის ძლიერ საფუძველს, შეუძლია შექმნას უკეთესი კლიმატი ბიზნესციკლის დაცემის პერიოდში და უზრუნველყოს მექანიზმები, რომელიც ხელს უწყობს მომავალში მყარ ეკონომიკურ ზრდას.

კონკურენტუნარიანობა, რეიგანის ადმინისტრაციის (70,გვ.12) მიერ 1986 წელს, განიმარტა შემდეგი სახით: ქვეყნის კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება იმ ხარისხით, სადაც, თავისუფალ და სამართლიან საბაზრო პირობებში, შესაძლებელია საქონლისა და მომსახურების წარმოება, რომელიც აკმაყოფილებს საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებს და, ამასთანავე, ერთდროულად ზრდის მოსახლეობის რეალურ შემოსავლებს. კონკურენტუნარიანობის ეროვნულ დონეზე განსაზღვრისას, მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს მსგავსი შეფარდებითი უპირატესობის მქონე ქვეყნების შედარება, რომლებიც ერთმანეთს უწევენ კონკურენციას ერთი და იმავე სექტორში. მაგალითად, ყოველგვარ აზრსაა მოკლებული მტკიცება იმის შესახებ, რომ კორეა ზოგადად ნაკლებ კონკურენტუნარიანია ვიდრე აშშ, რამდენადაც ეს ორი ქვეყანა ერთმანეთისგან განსხვავდება შეფარდებითი უპირატესობებით და პირიქით, მიზანშეწონილია იმის მტკიცება, რომ კორეა ტაივანთან შედარებით ნაკლებად კონკურენტუნარიანია, რამდენადაც ორივე ქვეყანა საერთაშორისო ბაზარზე მსგავსი შეფარდებითი უპირატესობებით ხასიათდება. ამდენად, შეფარდებითი კონკურენტული პოზიცია მსგავს ქვეყნებს შორის ეკონომიკის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, მნიშვნელოვანი ელემენტია ქვეყნის ეროვნული კონკურენტუნარიანობის განსაზღვრისას. ცნობილი ამერიკელი მეცნიერ-ეკონომისტის მ. პორტერის თანახმად, ქვეყნის დონეზე კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია შიდა საწარმოო შესაძლებლობებზე, ინოვაციების დანერგვასა და მოდერნიზაციაზე. თავის ფუნდამენტურ ნაშრომში – "ქვეყნების კონკურენტული უპირატესობა" – მან გამოყო ოთხი ძირითადი და ორი დამხმარე დეტერემინანტი, რომელიც, პორტერის თანახმად, განსაზღვრავს ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობას, აღნიშნული ფაქტორებია: ა) ფაქტორული პირობები; ბ) შიდა მოთხოვნის პირობები; გ) მონათესავე დარგების არსებობა; დ) ფირმების სტრუქტურა, სტრატეგია და შიდა დარგობრივი კონკურენცია. აღნიშნული დეტერმინანტები ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილია, როგორც "კონკურენტული რომბი" (111,გვ.32).

პორტერი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საერთაშორისო კონკურენციის შედეგად იზრდება ეროვნული სახელმწიფოს მნიშვნელობა (104,გვ.19). სკოტი და ლოდჯი განმარტავენ კონკურენტუნარიანობას, როგორც ქვეყნის შესაძლებლობას, შექმნას, აწარმოოს, გაანაწილოს ან მოემსახუროს საერთაშორისო ვაჭრობას და მიიღოს გადიდებული მოგება (125,გვ.17). ბლეინის განსაზღვრით, (51,გვ.53) ქვეყნის კონკურენტუნარიანობა გამოხატავს მის შესაძლებლობას, აწარმოოს და გაანაწილოს საქონელი და მომსახურება, რომელსაც შეუძლია კონკურენციის გაწევა საერთაშორისო ბაზრაზე და, ამასთანავე, ძალუძს გაზარდოს რეალური მოგება და გააუმჯობესოს მოსახლეობის ცხოვრების დონე. მსოფლიო მენეჯმენტის განვითარების ინსტიტუტი განმარტავს, რომ კონკურენტუნარიანობა არის ქვეყნის შესაძლებლობა, შექმნას დამატებული ღირებულება და ამ გზით გაზარდოს ეროვნული სიმდიდრე აქტივებისა და პროცესების მართვით, ხელი შეუწყოს ქვეყნის მიმზიდველობას, გლობალურ სიახლოვეს და, შესაბამისად, ამ ურთიერთობების ინტეგრირებას ეკონომიკურ და სოციალურ მოდელში. ზრდადი ინდუსტრიული გლობალიზაციის ფონზე უცხოურ კომპანიათა ფილიალები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეროვნულ ეკონომიკათა კონკურენტუნარიანობის განსაზღვრასა და განვითარებაში. ბიზნესლიტერატურაში გამოყოფენ 2 ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე, კერძოდ:

1.1. უცხოურ კომპანიათა ფილიალების მახასიათებლები, რომლებიც ზემოქმედებს მიმღები ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე და

1.2. ქვეყნის კონკურენტუნარიანობას, რომელიც ზეგავლენას ახდენს უცხოურ ფირმათა ფილიალების ადგილმდებარეობაზე.

ეს უკანასკნელი განხილულია ეკონომისტების მიერ, რომელთაც გამოიკვლიეს განსხვავებები ქვეყნების ინდუსტრიულ საქმიანობებს შორის. მაგალითად, ჯ. დანინგი თავის "ეკლექტიკურ პარადიგმაში" განმარტავს, რომ ქვეყნებს გააჩნიათ სხვადასხვა შესაძლებლობები, რომელიც განაპირობებს ქვეყნის სპეციფიკურ ან ადგილმდებარეობის უპირატესობას, რაც ფირმებს შესაძლებლობებს აძლევს ქვეყნის შიგნით მიაღწიონ კონკურენტულ უპიტრატესობას, რომელიც ძირითადად ეფუძნება რეციპიენტ ქვეყნებში რესურსების არსებობას. პორტერმა ნაშრომმა "ქვეყნის კონკურენტული უპირატესობა" – ხაზი გაუსვა ზოგიერთ ქვეყანაში

განსაზღვრული სექტორების დომინირებულ პოზიციას მსოფლიო ბაზარზე და ქვეყნებს შორის განსხვავებებს, რაც იწვევს სექტორთა წარმატებას ან წარუმატებლობას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არხი, რომლის მეშვეობითაც მიმღებ ქვეყანას შესწევს უნარი, აამაღლოს კონკურენტუნარიანობა, კერძოდ, ხელი შეუწყოს მაღალკვალიფიციური მუშახელის არსებობას და ინოვაციურ შესაძლებლობებს, არის უპი-ის სტიმულირება.

უპი-ების თეორიის თანახმად, ფირმები ახორციელებენ კაპიტალდაბანდებებს სხვადასხვა უცხოურ ბაზრებზე იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი იძლევა მოგების მიღების შესაძლებლობას, რომლის მიღებაც მიუღწევადია მათი ბაზირების ქვეყნებში. უცხოური საინვესტიციო ორგანიზაციები ნერგავენ თანამედროვე პროცესებს, რომელთა მეშვეობითაც ისინი იღებენ მოგებას, ხოლო მიმღები ქვეყნის ინსტიტუტებსა და მოსახლეობას აქვს საშუალება, ისწავლონ და გამოცდილება მიიღონ მათგან. გაზრდილი გლობალიზაციის შედეგად, თანამედროვე პერიოდში "უსაზღვრო სამყაროში" ქვეყნის მუშახელის უდიდესი პროცენტი დასაქმებულია უცხოურ ფირმებში. ამგვარად, უცხოურ კომპანიათა ფილიალები არსებით ხელშემწყობი ფაქტორია ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის, რამდენადაც უზრუნველყოფს ახალი პროდუქციისა და პროცესების დანერგვას, ამასთან, ასტიმულირებს ტექნოლოგიური და მენეჯერული უნარ-ჩვევების გავრცელებას. მიღებული ცოდნა მნიშვნელოვანია ქვეყნის ფარგლებში მუშახელის უნარ-ჩვევებისა და ინოვაციური შესაძლებლობების განვითარებისათვის, რამდენადაც გამოცდილება, რომელსაც ინდივიდუალურად იძენს მუშა, ხელს უწყობს ეროვნული საინოვაციო სისტემის შექმნას. აღსანიშნავია, რომ მომხმარებლები და მიმწოდებლები, რომლებიც თანამშრომლობენ უცხოურ ფილიალებთან, ერთვებიან და სარგებლობენ ზოგიერთ ტექნოლოგიით რომელიც შემოედინება მასპინძელ ქვეყნებში.

ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ უცხოურ ფილიალებს, რომელთაც გააჩნიათ განსაზღვრული მახასიათებლები, შესწევთ უნარი, გაცილებით უკეთ შეუწყონ ხელი ეროვნული კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. აღნიშნული მახასაიათებლებია:

1.1 უცხოური ფილიალების სტრატეგიული როლი;

1.2 საწარმოო პროცესებში გამოყენებული ტექნოლიგიის დონე;

1.3 ტრენინგები დასაქმებულების, მიმწოდებლებლებისა და კლიენტებისთვის;

1.4 უცხოური ფილიალების საერთაშორისო ურთიერთდამოკიდებულების დონე.

საერთაშორისო მენეჯმენტის მკვლევრების დემონსტრირებით, უცხოური კომპანიების ფილიალების როლი განსხვავებულია ზოგიერთ ასპექტში. მაგალითად, ის დამოკიდებულია, თუ რა ხარისხით ერთვება ფილიალი კორპორაციის სტრატეგიის განხორციელებაში და რა ხარისხით გამოიყენება ფირმის შიგნით დაგროვილი ცოდნა. ზოგიერთ უცხოურ შვილობილ კომპანიას მასპინძელ ქვეყნებში ეძლევა უფლებამოსილება, დამოუკიდებლად მიიღოს სტრატეგიული და ოპერატიული გადაწყვეტილება, მაშინ როდესაც სხვა ფილიალები გამოდის სათავო ოფისში მიღებული გადაწყვეტილებების შემსრულებლად. ზოგიერთ შვილობილ კომპანიას აქვს შესაძლებლობა, ხელი შეუწყოს მიმღები ქვეყნის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას გაცილებით ეფექტიანად, ვიდრე სხვებს. ერთ-ერთი სტრატეგიული როლი ამ პროცესში აქვს ე.წ. მსოფლიო წარმოების მანდატს. გლობალური მანდატით უცხოური ფილიალი იღებს პასუხიმგებლობას, დაასრულოს ღირებული საქმიანობების კომპლექტი ასოცირებულ კონკრეტულ პროდუქტთან ან საწარმოო სპეციალიზაციასთან. ამგვარად, სტრატეგიული და ოპერატიული საქმიანობები არის ცენტრალიზებული და კოორდინირებული მსოფლიოში, მაგრამ გადაწყვეტილებები მიიღება ძირითადად ფილიალის დონეზე და არა ტეკ-ების ცენტრალურ შტაბბინაში. ტეკ-ები, როდესაც ფილიალს აძლევს გლობალურ მანდატს, ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა, გლობალურ გადაწყვეტილებებზე გაბნეულია მთელ ორგანიზაციაში, ხოლო პასუხისმგებლობა დაკავშირებული პროდუქციის საწარმოო სპეციალიზაციასთან, ცენტრალიზებულია შვილობილ კომპანიებში, რომლებიც გეოგრაფიულად სხვადასხვა ადგილას მდებარეობს. გარდა ამისა, ფილიალებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ გლობალური მანდატი, გამოირჩევიან საერთაშორისო გაყიდვების მაღალი პროცენტული მაჩვენებლით. ისინი ავითარებენ, აწარმოებენ და ყიდიან პროდუქციას გლობალურ დონეზე. ამასთან, არა მარტო ყიდიან პროდუქციას საერთაშორისო დონეზე, რომელიც თავდაპირველად იწარმოება ადგილობრივი ბაზრისთვის, არამედ იღებენ პროდუქციის დამუშავების

ინიციატივას, რომელიც შექმნის მომენტიდან არის მიმართული მსოფლიო ბაზარზე გასაყიდად. შვილობილ კომპანიებში პროდუქციის წარმოებისა და დამუშავების ყველა ეტაპზე ძირითადი აქცენტი გადატანილია გლობალურ ბაზრებზე და არა უცხოური ფილიალების ბაზირების ქვეყნებზე. უცხოური შვილობილი კომპანიების აღნიშნული ორი ძირითადი მახასიათებელია: ა) ფილიალის დონეზე სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება და ბ) გლობალურ დონეზე პროდუქციის წარმოება, რაც ტეკ-ებს ფილიალებს მასპინძელი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების შესაძლებლობას აძლევს. სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების მაღალი დონე ხელს უწყობს საშუალო დონის მენეჯერებს, მიიღონ გამოცდილება სხვადასხვა ფუნქციონალურ სფეროებში და განავითარონ მენეჯერული უნარები, რომელიც მოიცავს წარმოებას, კვლევასა და განვითარებას, მარკეტინგს და სხვა მხარდამჭერ საქმიანობებს, რაც, საბოლოო ანგარიშით, ქვეყნის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი ელემენტია. ამრიგად, ტეკ-ების უცხოური ფილიალები ასოცირდება სხვადასხვა ფუნქციონალურ სფეროში გაზრდილ ტექნიკურ და მმართველობით გამოცდილებასთან. მაგალითად, კანადაში, უცხოურ შვილობილ კომპანიებში კვლევისა და განვითარების სამუშაოებმა ხელი შეუწყო ინოვაციებსა და ტექნიკურ პროგრესს ადგილობრივი ფირმების იმავე ინდუსტრიალ დარგებში.

ტექნოლოგიური დონე წარმოადგენს მეორე მნიშვნელოვან დეტერმინანტს თუ რა ხარისხით შეუძლია უცხოურ შვილობილ კომპანიას მასპინძელი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება. როგორც აღვნიშნეთ, ფირმის დონეზე არსებული რესურსები, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას, არის ინოვაციური პროდუქციის წარმოება, ტექნოლოგიური პროცესები და ადამიან-კაპიტალი. აშკარაა, რომ მრეწველურად განვითარებულ ქვეყნებში, სადაც ფირმები ახორციელებენ კაპიტალდაბანდებებს ისეთ მეცნიერებატევად დარგებში, როგორიცაა, ელექტრონიკა, ფარმაცია და ბიოტექნოლოგია, ტექნოლოგიური რესურსები ფირმებში გაიზრდება მაღალი ხარისხით იმ ფირმებთან შედარებით, რომლებიც ინვესტიციებს აბანდებენ შრომატევად დარგებში. მეცნიერებატევად დარგებს გააჩნია ცოდნის ისეთი კომპონენტი, რომელიც

არ ვლინდება და არ წარმოადგენს კოდიფიკაციის საგანს და არ ხდება მისი გადაცემა. პირდაპირ. უცხოური ფილიალები ამგვარი ცოდნის გადაცემის მნიშვნელოვანი არხია, ისინი ახდენენ მაღალტექნოლოგიური ცოდნის, მოწინავე პროდუქციის, ტექნოლოგიური პროცესების და ინოვაციური მენეჯერული ტექნიკის დემონსტრირებასა და გამოყენებას, რომელიც შეისწავლება ადგილობრივი ფირმების მიერ და ამგვარად ხდება ეროვნულ დონეზე კონკურენტუნარიანობის ხელშემწყობი ფაქტორი.

ცოდნა და უნარ-ჩვევები უცხოური ფილიალებიდან გადაეცემა რეციპიენტ ქვეყანას როგორც ფორმალური ასევე არაფორმალური ტრენინგ-პროგრამების მეშვეობით. ტრენინგ-პროგრამები უზრუნველყოფს წამოების, ტექნოლოგიური პროცესების და მენეჯერული ჩვევების ტრანსფერტის აუცილებელ მექანიზმს. ოგუტი და ზანდერი განასხვავებენ ცოდნის ორ ტიპს – ინფორმაციასა და ნოუ-ჰაუს. ინფორმაცია გულისხმობს ცოდნას, რომელიც გადაიცემა ფაქტების, აქსიომების და სიმბოლოების მეშვეობით, მაშინ, როდესაც ნოუ-ჰაუ გულისხმობს დაგროვილ ჩვევებსა და გამოცდილებას. ცოდნის ამ ორი კატეგორიის ტრანსფერტი ხორციელდება სხვადასხვა ტიპის ტრენინგებით. ინფორმაციის გადაცემა შედარებით ეფექტიანად ხორციელდება ფორმალური ტრენინგ-პროგრამებით, ხოლო ნოუ-ჰაუ კი – ნაკლებად ფორმალურით. ტრენინგ-პროგრამების ფუნდამენტური მიზანი ინფორმაციის გავრცელებაა. ინფორმაცია კოდირებულია და ვრცელდება ინსტრუქციების, პროექტების და ვერბალური ინსტრუქციების მეშვეობით. ტექნიკური და მენეჯერული ინფორმაციის გავრცელება კომპანიის სათავო ოფისიდან უცხოურ ფილიალებში ფორმალური ტრენინგის მეშვეობით ზრდის ფილიალის ინოვაციური შესაძლებლობის დონეს და ასევე ავითარებს დასაქმებულთა უნარ-ჩვევებს, რაც აისახება მასპინძელი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდაში პროდუქციისა და წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებს ინფორმაციული კომპონენტი გადაეცემა მარტივად – ფორმალური ტრენინგებით. ტრენინგების განხორციელება უცხოურ ფილიალებში ეფექტიანია ნოუ-ჰაუს ტრანსფერტისთვის, გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების მეშვეობით, მშობელი კორპორაციიდან ადგილობრივი დასაქმებულებისთვის. თუმცა, ცოდნის ასეთი ტიპის გადაცემა უმეტესწილად ხორციელდება არაფორმალური ტრენინგებით. ნოუ-ჰაუს შესწავლა მოითხოვს ხშირ ინტეგრაციას მცირე ჯგუფებს შორის,

რომელიც უზრუნველყოფს გამოცდილების გაზიარებას და მთლიანი ცოდნის მარაგის შექმნას. ამგვარად, როგორც ფორმალური ტრენინგ–პროგრამები, ასევე არაფორმალური ინტეგრაცია დასაქმებულებს შორის, მნიშვნელოვანია ინფორმაციული ტრანსფერტის და ნოუ-ჰაუს გადაცემისთვის უცხოურ კომპანიათა ფილიალებიდან მასპინძელ ქვეყანაში დასაქმებული პერსონალისთვის;

უცხოური ფილიალის ერთ-ერთი მახასიათებელი, რომელიც ზეგავლენას ახდენს მასპინძელ ქვეყნაში დასაქმებულთა უნარ-ჩვევებსა და საინოვაციო შესაძლებლობებზე, არის საერთაშორისო ურთიერთდამოკიდებულება, რომლის მიხედვით განისაზრვრება, უცხოური შვილობილი კომპანიის თუ რომელი საქმიანობა ახდენს ზეგავლენას ტეკ-ების სათავო ოფისსა და სხვა ფილიალების საქმიანობაზე. ტეკ-ების კონკურენტულ უპირატესობას მიეკუთვნება საერთაშორისო მასშტაბის არსებობა და უპირატესობა, რომელიც მიიღება კონკრეტული ადგილმდებარეობის ქვეყანაში საქმიანობით. კონკურენტული უპირატესობის რეალიზება განაპირობებს რესურსების ეფექტიან ნაკადებს (კაპიტალის, პროდუქციის, ინფორმაციის, ნოუ-ჰაუს, ტექნოლოგიის) ფირმათა სხვადასხვა ერთეულებს შორის. აღნიშნული რესურსების ნაკადი მნიშვნელოვანი ელემენტია ინტეგრაციული პროცესისთვის, იმისათვის, რომ შეიქმნას და ხელი შეეწყოს კონკურენტულ უპირატესობას. თანამედროვე პერიოდში საერთაშორისო ურთიერთდამოკიდებულება გახდა ზოგადად მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამდენადაც აუცილებელია, ტეკ-ებმა მოახდინოს ცოდნისა და შესაძლებლობების კაპიტალიზება, რომელიც შეძენილია ერთ ბაზარზე იმისათვის, რომ ეფექტიანად გაეწიოს კონკურენცია სხვა ფირმებს საერთაშორისო ბაზარზე.

საქართველოში სახელმწიფო არის ერთადერთი ინსტიტუტი, რომელსაც მიზანმიმართული პოლიტიკით შეუძლია ეკონომიკის განვითარების დონის ამაღლება. უდიდესი დანახარჯები, რომელსაც მოითხოვს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, აუცილებელია დაფინანსდეს სახელმწიფოს მიერ. დარგი, რომლის წარმატებაც უზრუნველყოფს ცალკეული ქვეყნის მდგრად კონკურენტულ უპირატესობას, მეცნიერებატევადი წარმოებაა. მეცნიერებატევადი წარმოების შექმნა ქვეყანას აძლევს

შესაძლებლობას, განავითაროს ახალი ტექნოლოგიები. ჩვენი ყურადღება ძირითადად ფოკუსირდება ქვეყანაში კვალიფიციური ადამიან-კაპიტალის ფორმირებაზე, რამდენადაც ის წარმოადგენს იმ გასაღებ ფაქტორს, რომელიც უზრუნველყოფს სასურველი ეროვნული ბაზის შექმნასა და შრომის მწარმოებლურობის ზრდას, რაც აუცილებელია საერთაშორისო კონკურენციის მისაღწევად. წარმოებლურობის ზრდა ასახავს სამუშაო ძალის განათლების დონეს, ტექნოლოგიური პროგრესის მდგომარეობას და გვევლინება მდგრადი ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ინდიკატორად.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის – 2011-2012 წლების ანგარიშის მიხედვით, საქართველო რამდენიმე კრიტერიუმით არის შეფასებული, კერძოდ, ინსტიტუტების, დაწყებითი განათლების, უმაღლესი განათლების მიხედვით, საქართველო ამ მხრივ 142 ქვეყანას შორის 89-ე ადგილზეა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში დაფიქსირდა შრომის მწარმოებლურობის ზრდა, ეკონომიკის ეფექტიანობა კვლავინდებურად დაბალ დონეზეა. ქვეყანაში მშპ მოსახლეობის ერთ სულზე ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან შედარებით დაბალია და გაცილებით მცირეა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის და ბალტიის ქვეყნებთან შედარებით. შრომის მწარმოებლურობის დაბალი მაჩვენებელი ერთ-ერთი დეტერმინანტია, რომლითაც აიხსნება საქართველოს ეკონომიკის არაკონკურენტუნარიანი პოზიცია. საქართველოში არსებული განათლების დაბალი დონე ზრდის არაკვალიფიციური კადრების რაოდენობას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ქვეყანაში შრომის მწარმოებლურბას. თანამედროვე პერიოდში კონკურენტუნარიანობა სულ უფრო მეტად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენადაა წარმოდგენილი ქვეყანაში გამოცდილი და კვალიფიციური კადრები. ამდენად დასაქმებულთა პროფესიული ხარისხი და ცოდნის დონე, რომელსაც უზრუნველყოფს განათლების სისტემა, სულ უფრო არსებითი ფაქტორი ხდება, რომელსაც ძალუძს ქვეყანაში მწარმოებლურობის ზრდა და დასაქმების მაჩვენებლების გაუმჯობესება. განათლება ასრულებს მნიშვნელოვან როლს ადამიან-კაპიტალის ფორმირების პროცესში, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანობასა და მდგრად ეკონომიკურ ზრდას. საქართველოში ბოლო ათწლეულის განმავლობაში განხორციელებული რეფორმის მიზანი

იყო ისეთი განათლების სისტემის შექმნა, რომელიც შეესაბამებოდა საუკეთესო სტანდარტებს, მართვის ახალ მეთოდებს, დაფინანსებასა და ხარისხის კონტროლს. თუმცა განათლების სფეროში გატარებულმა ამბიციურმა რეფორმებმა სერიოზული დაბრკოლებები გამოიწვია. ზოგიერთ შემთხვევაში ვერ იქნა მიღწეული სასურველი შედეგი. რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი იყო განათლების სისტემის დეცენტრალიზაცია და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომია, მაგრამ პრაქტიკამ ცხადყო, რომ განათლებისა და მეცნიერების ყველა სახელმწიფო სექტორი დღესაც ცენტრალიზებულია.

განათლების სისტემაში განხორციელებული რეფორმის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი იყო სასწავლო პროცესში ტრადიციული მეთოდების, ფორმების, ორგანიზაციისა და სტრუქტურის შეცვლა გაცილებით პროგრესულით, რომელიც უზრუნველყოფს განათლების უფრო მაღალ ხარისხს, თუმცა, ამ მხრივ, განხორციელებულ ცვლილებებს მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა და ხარისხიანი გავლენა ვერ მოახდინა სასწავლო პროცესზე. ამასთან, სასწავლო დაწესებულებებსა და კერძო ბიზნესს შორის სუსტი კავშირია. მთლიანობაში კი, მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანი ძალისხმევა იყო მიმართული რეფორმების განხორციელებაზე, განათლების სისტემას არ ძალუძს კვალიფიციური კადრის ფორმირება, რომელსაც შეუძლია სწრაფი ადაპტირება ცვალებად გარემოსთან, სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ისეთ ხელსაყრელ პირობებს, რომელიც აუცილებელია ა) მდგარდი ეკონომიკური განვითარებისათვის; ბ) ფირმებისა და საწარმოების საქმიანობის აღმავლობისთვის; გ) ინვესტიციების მოზიდვისთვის, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ინოვაციურ პროცესებს და მოწინავე ტექნოლოგიების გადაცემას; დ) სამუშაო ადგილების შექმნისთვის; ე) კვალიფიციურ და კონკურენტუნარიან მუშახელზე მოთხოვნის ზრდისთვის. საქართველოში განხორციელებული მასშტაბური რეფორმების მიზანი იყო ბიზნესგარემოს გაუმჯობესება და ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის მიღწევა. თუმცა ამ თვალსაზრისით, სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობა და ეკონომიკური ზრდის ხარისხი კვლავინდებურად დაბალია, რამდენადაც აღნიშნულის ზრდა არ არის ასოცირებული ქვეყანაში ინოვაციურ პროცესებთან, მაღალტექნოლოგიურ ინდუსტრიულ დარგებში ინვესტიციების დაბანდებასთან, მცირე და

საშუალო საწარმოების საქმიანობების მასშტაბის ზრდასთან, შემოსავლების სამართლიან განაწლებასა და სიღარიბის შემცირებასთან. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ბიზნეს კლიმატის გაუმჯობესებამ საქართველოში გააუმჯობესა უცხოური ინვესტიციების ზრდა, თუმცა ეს უკანასკნელი არ არის მიმართული ექსპორტზე ორიენტირებულ დარგებში და მათი დაბანდება ძირითადად მომსახურების სფეროებში ხდება.

საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ადამიან-კაპიტალის წარმატებული მომზადებისთვის ქვეყანაში აუცილებელია დაინტერესებულ მხარეთა თანამშრომლობა კერძო სექტორს, მთავრობასა და შრომისუნარიან მოსახლეობას შორის, რაც უზრუნველყოფს პროდუქტიულობის მაღალ ხარისხს. თითოეული სუბიექტი ურთიერთქმედებისას დაინტერესებულია მიიღოს მაქსიმალური მოგება. ამიტომაც, კიდევ ერთი შესაძლებლობა, დაჩქარდეს ადამიან-კაპიტალის განვითარება, არის თანამშრომლობის განმტკიცება და გაღრმავება ამ პროცესში დაინტერესებულ მხარეებს შორის იმისათვის, რომ მოხდეს საერთო ღირებულებების და სტრატეგიის ფორმირება, რომელიც მიმართული იქნება გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის მიღწევისკენ. მთავრობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ პროცესში, აუცილებელია, სახელმწიფომ ზემოქმედება მოახდინოს მუშახელის მოთხოვნისა და მიწოდების მახასიათებლებზე, რისთვისაც საჭიროა საქართველოს მთავრობა დინამიურად ჩაერთოს ეკონომიკურ პროცესებში. აღნიშნული ღონისძიებები მნიშვნელოვან მოთხოვნას შექმნის მაღალკვალიფიციურ ადამიან-კაპიტალზე. სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს ძირითადი ინვესტორის ფუნქცია განათლების სექტორში. გარდა ამისა, აუცილებელია კომპანიებს მიეცეს სტიმული, დააბანდონ კაპიტალი განათლებაში და მონაწილეობა მიიღონ ადამიან-კაპიტალის განვითარების პროცესში. კერძო ბიზნესის როლი ასევე მნიშვნელოვანია კონკურენტუნარიანი ადამიან-კაპიტალის ფორმირების პროცესში. ქართულმა კომპანიებმა მნიშვნელოვნად უნდა გაზარდონ ხარჯები საკუთარი პერსონალის განათლებისა და პროფესიული მომზადებისთვის, მოკლევადიანი მოგების მიღებიდან, რომელიც იაფი, არაკვალიფიციური მუშახელის გამოყენებით მიიღება ყურადღება უნდა გადაიტანონ, გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის მიღწევაზე, რომლის მიღებაც შესაძლებელია კარგად მომზადებული, კვალიფიციური, თანამედროვე

სტანდარტების შესაბამისი მაღალმწარმოებლური ადამიანური რესურსებით. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს თანამშრომელთა მუდმივი მოტივაცია, შეიძინონ ახალი ცოდნა, გააუმჯობესონ შრომის მწარმოებლურობა და ხელი შეუწყონ მათ აქტიურ მონაწილეობას ამ პროცესში, ყურადღება უნდა მიექცეს აღნიშნული პრობლემის სოციალურ ასპექტს. ბიზნეს ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ მწარმოებლურობა და ადამიან-კაპიტალის შემოქმედებითი პოტენციალი დამოკიდებულია, თუ როგორ აღიქვამენ ისინი საკუთარ ინტერესს კომპანიის წარმატების მიღწევაში და როგორ აფასებენ სოციალურ სამართლიანობას არსებულ სიტუაციაში. ხელისუფლებას, კომპანიის ხელმძღვანელობას და დასაქმებულებს შორის თანამშრომლობას ხელს უწყობს ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა, მსოფლიო ბანკი, გაეროს განვითარების პროგრამა და სხვა მსგავსი ორგანიზაციები, რომელთაც აქვთ დიდი გამოცდილება მთელი მსოფლიოს მასშტაბით და შეუძლიათ დახმარება გაუწიონ ძირითად დაინტერესებულ მხარეებს საგანმანათლებლო შესაძლებლობების, შრომის მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის პროგრამების მეშვეობით. ამის მაგალითად გამოდგება მსოფლიო ბანკის პროექტი საქართველოში, რომელიც განხორციელდა XX ს-ის 90-იანი წლების შუა ხანებში. აღნიშნულმა პროგრამამ დიდი წვლილი შეიტანა კერძო სექტორის განვითარებაში, რის შემდეგაც ადგილობრივ კომპანიებს გადაეცა საუკეთესო პრაქტიკის, ტექნოლოგიების მენეჯმენტის გამოცდილება და ამ გზით შედარებით გაზარდა კონკურენტუნარიანობა.

გლობალური ეკონომიკის ფორმირების პირობებში საქართველოს ეროვნული ეკონომკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში ერთადერთი რეალური გზაა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ამ მიზნით მეტად მნიშვნელოვანია კონკურენტუნარიანობის შეფასების მექანიზმის შექმნა, ხოლო ამ მექანიზმის შემუშავების პროცესში აუცილებელია მიმდინარე პროცესების შესწავლა, როგორც საქართველოში, ასევე რეგიონში, რაც საფუძვლად დაედება სტრატეგიის შემუშვებასა და უცხოელ ინვესტორთა მოზიდვას. საქართველოს ეკონომიკაში გატარებული რეფორმები ვერ უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანობის ზრდას, მიმდინარე ეტაპზე ქვეყანაში ჩამოუყალიბებელია კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგია, ხოლო ამ უკანასკნელის განსაზღვრა კი ქვეყნის კეთილდღეობის მიღწევის

განმსაზღვრელი დეტერმინანტია, რამდენადაც მცირე და ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში არსებითი მნიშვნელობა აქვს ისეთი სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებას, რომელიც ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს, განავითაროს პრიორიტეტული დარგები და ამ მიმართულებით მოიპოვის კონკურენტული უპირატესობა. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

- განისაზღვროს ის დარგები, რომელიც გახდება ინდუსტრიული განვითარების საფუძველი; ამასთან, იქნება ინოვაციური და ექსპორტზე ორიენტირებული ინდუსტრია, სადაც გამოიყენება მოწინავე ტექნოლოგიები;
- შეიმუშაოს განვითარების სტარტეგია, რომელიც მიმართულია ინვესტიციების ხელშეწყობასა და მოზიდვაზე წარმოების განსაზღვრულ სექტორებში;
- უზრუნველყოს გონივრული და თანმიმდევრული პოლიტიკის განხორციელება, რაც გულისხმობს მკაცრ ზედამხედველობას კომპანიის საქმიანობასა და წარმატებაზე, და შეინარჩუნოს დისციპლინა;
- მთავრობამ უნდა შექმნას ისეთი ბიზნესგარემო, რომელიც უზრუნველყოფს ეფექტიანი საბაზრო მექანიზმების ფორმირებას, რაც ხელს შეუწყობს კონკურენციას და ახალი საწარმოების შექმნას;
- უზრუნველყოს ბაზარზე თავისუფალი დაშვება ანტიმონოპოლიური პოლიტიკის აქტიური განხორციელებით;

საქართველოში გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან მაქსიმალურად დიდი ოდენობით ინვესტიციების განხორციელება ადამიან-კაპიტალის განვითარების მიმართულებით, რაც სტიმულს მიცემს ქვეყნის აღორძინებასა და კეთილდღეობას. აუცილებელია გაძლიერდეს განათლების სისტემა და გაგრძელდეს რეფორმები განათლების, მეცნიერებისა და ტრენინგების სფეროში ადამიან-კაპიტალის მყარი განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

3.3. საქართველოს ბიზნესგარემოს ფორმირების პრობლემები და გაუმჯობესების შესაძლებლობები

ნებისმიერი ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისათვის ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბიზნესგარემოს ფორმირებასა და განვითარებას. აქედან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია, მკაფიო წარმოდგენა გვქონდეს ბიზნესგარემოს კონცეფციის შემუშავებასა და მისი ცალკეული შემადგენელი კომპონენტების თავისებურებებზე. ბიზნესლიტერატურაში ტერმინი "ბიზნესგარემო" ასოცირდება გარე ძალებთან, ფაქტორებთან და ინსტიტუტებთან, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ბიზნესის ფუნქციონირებაზე. აღნიშნული მოიცავს მომხმარებლებს, კონკურენტებს, მიმწოდებლებს, მთავრობას, გარდა ამისა, სოციალურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ, ტექნოლოგიურ და ა.შ ფაქტორებს, რომლებიც, თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენენ ფირმათა ბიზნესგადაწყვეტილებებზე. გამოყოფენ ბიზნესის შიდა და გარე გარემოს. ელემენტები, რომლებიც ორგანულად ეკუთვნის მოცემულ ფირმას და ექვემდებარება შიდა კონტროლს, წარმოადგენს სისტემის შიდა გარემოს, ხოლო ის ელემენტები, რომლებიც ორგანულად არ ეკუთვნის მოცემულ ფირმას, არ ექვემდებარება მისი მხრიდან რეგულირებას, მაგრამ საკმაოდ დიდ ზეგავლენას ახდენს ბიზნესის ფუნქციონირებაზე ამის გამო, ისინი აუცილებლად გასათვალისწინებელია ბიზნესის ფუნქციონირებაში. ბიზნესგარემოს არაკონტროლირებადი გარე ფაქტორები თავის მხრივ კლასიფიცირდება: ეკონომიკურ და არაეკონომიკურ გარემოდ. ეკონომიკური გარემო მოიცავს ეკონომიკურ პირობებს, ეკონომიკურ პოლიტიკას და ქვეყნის ეკონომიკურ სისტემას. არეკონომიკური გარემო გულისხმობს სოციალურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ, ტექნოლოგიურ და ა.შ პირობებს.

ბიზნესსაწარმოების საქმიანობა მთლიანად დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ გარემოზე, რომლის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორებია:

ა) ეკონომიკური პირობები, რომელსაც მიეკუთვნება მშპ, მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავალი, საქონლისა და მომსახურების ბაზარი, კაპიტალზე ხელმისაწვდომობა, სავალუტო რეზერვები, შიდა ვაჭრობის ზრდა, კაპიტალის ბაზრის სიძლიერე და ა.შ.

ბ) ეკონომიკური პოლიტიკა. ქვეყანაში ბიზნესსაქმიანობაზე ზეგავლენას ახდენს და პირდაპირ კავშირშია მთავრობის მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ პოლიტიკასთან. ამ მხრივ მნიშვნელოვან ეკონომიკურ პოლიტიკას მიეკუთვნება ინდუსტრიული, ფისკალური, მონეტარული, უცხოური ინვესტიციებისა და ექსპორტ-იმპორტის პოლიტიკა.

არაეკონომიკური გარემოს ელემენტებია:

გ) **სოციალური გარემო**. ბიზნესის სოციალური გარემო მოიცავს სოციალურ ფაქტორებს, როგორიცაა კულტურა, ჩვევები, ტრადიციები, ღირებულებები, რწმენა, განათლება და ა.შ. გარდა ამისა, სოციალური სტრუქტურა და საზოგადოებრივი ფასეულობები მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ფირმათა წარმატებულ საქმიანობაზე;

დ) **პოლიტიკური გარემო**. გულისხმობს პოლიტიკური სისტემისა და სამთავრობო პოლიტიკის დამოკიდებულებას საქმიან წრეებსა და



სქემა

პროფკავშირებთან. აღნიშნულ ასპექტებს გააჩნია კავშირი ფირმების მიერ განხორციელებულ სტრატეგიებთან. პოლიტიკური სტაბილურობა ასევე დიდწილად ახდენს ზეგავლენას ბიზნესსა და მასთან დაკავშირებულ საქმიანობებთან. ის წარმოადგენს სიძლიერის სიგნალს და ხელს უწყობს

ნდობის ზრდას სხვადასხვა დაინტერესებულ პირებსა და ინვესტორებს შორის;

ე) **სამართლებრივი გარემო.** მიეკუთვნება მთელი რიგი კანონები, ინსტრუქციები, რომლებიც ზემოქმედებს ბიზნესორგანიზაციების საქმიანობაზე. თითოეული ბიზნესსუბიექტი უნდა ექვემდებარებოდეს და საქმიანობდეს კანონის ფარგლებში;

ვ) **ტექნოლოგიური გარემო** მოიცავს მეთოდებს, სხვადასხვა მიდგომებს, რომლებიც გამოიყენება საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და განაწილებისთვის. განსხვავებული ტექნოლოგიური გარემო სხვადასხვა ქვეყნებში, ზეგავლენას ახდენს საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე.

მჭიდრო და უწყვეტი ურთიერთქმედება ბიზნესსა და გარემოს შორის უზრუნველყოფს ფირმის სიძლიერეს და რესურსების ეფექტიან გამოყენებას. ბიზნესგარემო მრავალმხრივი, კომპლექსური და დინამიური ხასიათისაა, რომელიც მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ბიზნესის ზრდასა და განვითარებაზე, უფრო კონკრეტულად კი, სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი და ეკონომიკური გარემო ხელს უწყობს ბიზნესს:

- ბიზნესისა და მისი გარემოს გათვალისწინებით ხდება შესაძლებლობებისა და საფრთხეების იდენტიფიცირება, რაც ეხმარება კომერციულ საწარმოებს პრობლემების სწრაფად გადაწყვეტაში;
- გარემოსთან ურთიერთქმედება განაპირობებს კომპანიის ბიზნესის ახალ ზღვრულ შესაძლებლობებს. ეს საშუალებას აძლევს ბიზნესს, განსაზღვროს ზრდის სფეროები და გააფართოვოს მისი საქმიანობა;
- გარემოს ანალიზი მენეჯერებს ეხმარება მარტივად გადაჭრან ბიზნესის გამოწვევები. მენეჯერები მოტივირებულნი არიან, განაახლონ მათი ცოდნა იმისათვის, რომ დააკმაყოფილონ პროგნოზირებადი ცვლილებები ბიზნესსფეროში;
- გარემოს შესწავლა ხელს უწყობს ბიზნესორგანიზაციებს გააუმჯობესონ მათი იმიჯი, უჩვენონ მათი მგრძნობიარე დამოკიდებულება იმ გარემოს მიმართ, სადაც ისინი საქმიანობენ;
- კონკურენტებთან შეჯახება ეხმარება ფირმებს, გააანალიზონ კონკურენტების სტრატეგია და შესაბამისად ჩამოაყალიბონ საკუთარი;

- ბიზნესგარემო ხელს უწყობს ფირმის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრას ტექნოლოგიური და გლობალური განვითარების თვალსაზრისით.

როგორც ცნობილია, საწარმო საქმიანობს გარკვეულ ბიზნესგარემოში, ეს უკანასკნელი იმ პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობაა, რომლებიც ზემოქმედებს საწარმოს ფუნქციონირებაზე. აქედან გამომდინარე, საწარმომ სისტემურად უნდა მოახდინოს ანალიზი, რომ დაადგინოს ის საშუალებანი, რომელსაც ბიზნესგარემო სთავაზობს. ამდენად, საწარმო და გარემო მუდმივად ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფება. ბიზნესის თავისებურებანი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად განვითარებულია ქვეყანაში გარემო პირობები. საქართველოში 2003 წლის მნიშვნელოვანი რეფორმები ბიზნესგარემოს გაუმჯობესების კუთხით. მიმართული იყო მიმზიდველი სამეწარმეო გარემოს ჩამოყალიბებისკენ. საგადასახადო სისტემაში განხორციელებული რეფორმების შედეგად მნიშვნელოვნად გამარტივდა გადასახადების გადახდა, შემცირდა გადასახადების რაოდენობა 21-დან 2004 წელს 6-მდე 2008 წელს, გადასახადების წილი მშპ-ში გაზარდა 14.7% დან 2000 წელს 25.8%-მდე 2007 წელს. 2007 წელს გაუქმდა სოციალური გადასახადები, რომელსაც დამსაქმებელი იხდიდა 20%-ის ოდენობით, ხოლო საშემოსავლო გადასახადი გაიზრდა 12-დან 25%-მდე. 2009 წლიდან მოგების გადასახადის განაკვეთი შემცირდა 20%-დან 15-%-მდე. გადასახადის განაკვეთი დივიდენდებსა და პროცენტებზე დღეისათვის შეადგენს 5%-ს, აღნიშნული განაკვეთი შედარებისთვის 2005 წელს შეადგენდა 10%-ს. 2011 წლის 1 იანვრიდან ხელისუფლებამ ახალი საგადასახადო კოდექსი შემოიღო, რომლის მთავარი პრიორიტეტია უკეთესი ბიზნესგარემოს ფორმირება. ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით შემოღებულ იქნა "საგადასახადო ომბუდსმენის ინსტიტუტი", რომელიც უზრუნველყოფს წლიურ ანგარიშგებას გადამხდელის უფლებების დაცვის მიზნით საფინანსო და საბიუჯეტო კომიტეტებში.

საბაჟო რეფორმა ერთ-ერთი წარმატებული რეფორმა იყო საქართველოში, რომელმაც მნიშვნელოვნად გაამარტივა საბაჟო პროცედურები. 2007 წელს მიღებულ იქნა ახალი საბაჟო კოდექსი, რომელმაც ადრე არსებული 16 სხვადასხვა ტიპი საბაჟო ტარიფი დაიყვანა სამამდე. საიმპორტო ტარიფების

რაოდენობა გაუქმდა პროდუქციის დაახლოებით 90%-ზე. თანამედროვე პერიოდში ქვეყანაში არ მოქმედებს რაოდენობრივი შეზღუდვები (კვოტები) იმპორტსა და ექსპორტზე.

ბიზნესის ლიცენზირება. 2005 წელს საქართველოში დამტკიცდა ლიცენზირების ახალი კანონი, რომელმაც 950 ლიცენზიიდან მხოლოდ 150 დატოვა. ლიცენზირების და ნებართვების რაოდენობა 84%-ითაა შემცირებული. მნიშვნელოვანად გამარტივდა ლიცენზირებისა და ნებართვების გაცემის პროცედურები. დღეისათვის, ლიცენზიები და ნებართვები დაკავშირებულია მაღალი რისკის შემცველ პროდუქციისა და მომსახურების, ბუნებრივი რესურსების გამოყენების და სპეციფიკური საქმიანობის წარმოებისთვის.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონა. მას შემდეგ, რაც ქვეყანა დაადგა განვითარების საბაზრო ეკონომიკურ გზას, ინვესტიციური აქტივობის სტიმულირების მიზნით გადაიხედა კანონები "ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის" და "უცხოური ინვესტიცების" შესახებ. მოხდა ამ სფეროს სრული ლიბერალიზაცია, რის საფუძველზეც მნიშვნელოვნად გაიზარდა უცხოური ინვესტიციების ხვედრითი წილი ქვეყნის ეკონომიკაში. საქართველოში შეიქმნა 3 თავისუფალი ეკონომიკური ზონა (ქუთაისი, ფოთი და თბილისი), რომელიც იძლევა პროდუქციის წარმოებისა და ექსპორტის შესაძლებლობას მინიმალური საგადასახადო დატვირთვით. ფირმებს შეუძლიათ საზღვარგარეთ პროდუქცია გაიტანონ სავაჭრო ბარიერების გარეშე და მოემსახურონ მომხმარებლებს მსოფლიო ბაზარზე. აღნიშნულმა თეზ-ებმა ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში საინვესტიციო შესაძლებლობებს ისეთ დარგებში, როგორიცაა, მაგალითად:, მეტალურგია, საფეიქრო წარმოება, მძიმე ტექნიკა, ფარმაცია და ა.შ. გარდა ამისა, ქობულეთსა და ანაკლიაში შეიქმნა ორი თავისუფალი ტურისტული ზონა, რომელიც სთავაზობს ინვესტორებს უპრეცედენტო პირობებს, განახორციელონ სასტუმროების მშენებლობა ზღვის სანაპიროებთან ახლოს, ისარგებლონ საუკეთესო კლიმატითა და მიმზიდველი პირობებით. საქარველოს შესაძლებლობები, შეასრულოს სატრანზიტო ქვეყნის როლი, სერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღებას იზიდავს და მისი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური პოზიცია საერთაშორისო ინტერესის საგანს წარმოაგენს. საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა (სიახლოვე

ევროპასთან, ცენტრალურ აზიასთან, თურქეთსა და შუა აღმოსავლეთთან) მიმზიდველს ხდის ქვეყანას ტეკ-თვის, განათავსონ მათი წარმოება და ისარგებლონ იაფი ბუნებრივი რესურსებით. საქართველოში ეკონომიკური რეფორმების სწრაფმა ტემპმა. რომელიც მოიცავს ახალ საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობას, კორუფციის შემცირებამ და აგრესიულმა პრივატიზაციის პროცესმა ქვეყანაში უფრო მიმზიდველი ბიზნესკლიმატი შექმნა გასულ წლებთან შედარებით. ბოლო წლებში ქვეყანაში გარკვეულწილად განხორციელდა ეკონომიკის ლიბერალიზაცია, ძირითადი ყურადღება გამახვილდა შემდეგ სფეროებში:

– შეიქმნა უფრო სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო;
– მოხდა კონტროლის ლიბერალიზაცია უცხოურ გაცვლით ოპერაციებზე;
– სავაჭრო ლიბერალიზაცია;
– საგადასახადო სტრუქტურების რაციონალიზაცია;
– საინვესტიციო კანონებისა და შეზღუდვების ლიბერალიზაცია.

თანამედროვე პერიოდში ქვეყანა გახსნილი ბიზნესგარემოთი ხასიათდება, თუმცა ამ კუთხით ძალიან ბევრი პრობლემა არსებობს. ქვეყნის ბიზნესგარემოზე წარმოდგენას გვაძლევს სამი მნიშვნელოვანი ინდექსი, ესენია: ბიზნესის კეთების სიმარტივე, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი და გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი. საქართველოში ბიზნესის დაწყება და კეთება ძალიან მარტივია, რასაც ადასტურებს 2011-2012 წლებში მსოფლიო ბანკის და მის ჯგუფში შემავალი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის (IFO) ერთობლივი კვლევის შედეგი, რომლის თანახმად, საქართველომ 183 ქვეყნის რეიტინგში მე-11 ადგილი დაიკავა. თუმცა *Doing Business" არ არის შედგენილი ერთი რომელიმე მაჩვენებლის მიხედვით, რეიტინგის დადგენა ხდება 10 ძირითადი მაჩვენებლის საფუძველზე.

ცხრილი 3.1.

საქართველოში ბიზნესი კეთების სიმარტივე

ქვეყანა	ბიზნესის დაწყების სიმარტივე	ბიზნესის დაწყება	სამშენებლო ნებართვა	ელექტროენერგიაზე ხელმისაწვდომობა	საკუთრების რეგისტრაცია	კრედიტების ხელმისაწვდომობა	ინვესტორთა დაცვის დონე	გადასახადების ადმინისტრირება	საგარეო ვაჭრობა	კონტრაქტების არსრულება	ბიზნესის ლიკვიდაცია
საქართველო	12	5	11	9	2	15	20	61	35	41	105

წყარო: Doing of business 2011:Making for Enterpreneurs.

მონაცემებიდან გამომდინარე, საქართველო პირველი ხუთი მაჩვენებლით წამყვან პოზიციაზეა, გამარტივებულია საწარმოთა სარეგისტრაციო წესები, ინვესტორს შეუძლია ერთ დღეში აიღოს მშენებლობის ნებართვა, შედარებისთვის კი, სხვა ქვეყნებში მშენებლობის ნებართვის აღება ზოგჯერ 1 წელიც კი გრძელდება. გადასახადის გადახდის მომზადების პროცედურაზე კომპანიები საშუალოდ 387 საათს კარგავენ, დიდ ბრიტანეთში ეს მაჩვენებელი 3-ჯერ დაბალია. აღნიშნული 4 მაჩვენებელი ადმინისტრირების პროცესს უკავშირდება და, შესაბამისად, ქვეყანაში ამ მიმართულებით გატარებული ლიბერალური რეფორმების შედეგს წარმოადგენს, თუმცა სხვა დანარჩენ მაჩვენებლებში ქვეყნის მდგომარეობა სავალალოა. ბიზნესის დაწყების გაიოლების მიუხედავად სერიოზულად დგას მისი შენარჩუნების პრობლემა. მსოფლიო ბანკის რეიტინგი უარყოფითად აფასებს გაკოტრების პროცედურას და ამ მხრივ 2011 წლის მონაცემებით საქართველო 105-ე ადგილზეა.

ბიზნესგარემოს მეორე დამახასიათებელი მაჩვენებელია ასევე ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, რომლის გაანგარიშებას აწარმოებს ჰერიტეჯის ფონდი და უოლსტრიტ ჟურნალი. ინდექსი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: ბიზნესის, ვაჭრობის, ფისკალურ, მონეტარულ, ინვესტიციების, ფინანსურ, საკუთრების, მუშახელის, ხელისუფლების თავისუფლებას და კორუფციას. ჰერიტეჯის ფონდის მიერ 2011 წელს გამოქვეყნებულ მოხსენებაში, “ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი -2011”, 179 ქვეყანას შორის საქართველო 21-ე ადგილზე განთავსდა

ცხრილი 3.2

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი საქართველოში, 2011წ

ქვეყანა	ბიზნესის თავისუფლება	ვაჭრობის თავისუფლება	ფისკალური თავისუფლება	ხელისუფლებისგან თავისუფლება	მონეტარული თავისუფლება	ინვესტიციების თავისუფლება	ფინანსური თავისუფლება	საკუთრების თავისუფლება	კორუფცია	მუშახელის თავისუფლება
საქართველო	**78.9**	**61.8**	**94.2**	**91.3**	**77.9**	**60**	**70**	**30**	**23**	**99.9**

წყარო: http://www.heritage.org/index/

აღნიშნულ რეიტინგში პირველ ადგილზე ბოლო 16 წელია ჰონკონგი დომინირებს, ხოლო ბოლო ადგილზეა ჩრდილოეთ კორეა. სულ ეკონომიკური თავისუფლების 10 ინდექსიდან, 7-ის მიხედვით, საქართველო ინარჩუნებს მაღალ მაჩვენებლებს, რაც აიხსნება ქვეყანაში სწრაფი ლიბერალიზაციით და გაუმჯობესებული ადმინისტრირებით. მსოფლიო ბანკის "ბიზნესი კეთების" კვლევისგან განსხვავებით ეკონომიკური კრიტერიუმების უფრო ფართო საზომს წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ მომზადებული გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI) შედგება 12 მაჩვენებლისგან. 2011-2012 წლის ანგარიშის "გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის" მიხედვით საქართველომ 142 ქვეყნიდან 88-ე პოზიცია დაიკავა. თუ ქვეყანა ბიზნესის კეთების სიმარტივის და ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით შედარებით მსგავსი მაჩვენებლებით ხასიათდება, კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელით საქართველო არც თუ ისე სახარბიელო პოზიციაზეა.

თანამედროვე პერიოდში საქართველოში არსებული არცთუ ისე სახარბიელო სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობ ა ეჭვქვეშ აყენებს რამდენიმე მნიშვნელოვან ინდექსში ქვეყნის მაღალი პოზიციების დაკავებას, რაც გამოიხატება ამ ინდექსებისადმი დაბალ ნდობაში. ქვეყანაში კვლავინდებურად დაბალია კერძო საკუთრების დაცვის მაჩვენებელი, რაც ინვესტიციების განხორციელების შემაფერხებელი ფაქტორია

ცხრილი3.3

გლობალური კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელი, 2012 წ

ქვეყანა	საკუთრების დაცვა	სასამართლოს თავისუფლება	დაგროვების ინდექსი	ანტიმონოპოლიური რეგულირება	მაკროეკონომიკური გარემო	ფინანსური ბაზრები	ინოვაციები	გზების ხარისხი	ტვინების გადინება	განათლების დონე	ტექნოლოგიური მზადყოფნა	წვრილ აქციონერთა ინტერესი	ინფრასტრუქტურა
საქართველო	120	104	110	135	130	108	121	65	104	90	98	122	86

წყარო:http://www.gfsis.org/index.php/ge/activities/projects/view/86/page/186/id/356/print/true)

. ბიზნეს-გარემოს მიმზიდველობას კი მნიშვნელოვნად განაპირობებს უცხოური ინვესტიციების შემოდინება, რომელიც ეკონომიკური ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამ მხრივ აუცილებელია საქართველოში სამართლის ნორმის გაუმჯობესება სასამართლო სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესებით, რომელიც დაიცავს როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ ინვესტორთა უფლებებს. გარდა ამისა, ინვესტიციების შემოსვლის ერთ-ერთ განსმსაზღვრელი დეტერმინანტად მიჩნეულია ინფრასტრუქტურის განვითარება. ამ მხრივ საქართველოში აუცილებელია ინფრასტრუქტურის უმთავრესი კომპონენტის ადამიან-კაპიტალის დაცვისა და განვითარებისათვის სულ უფრო მეტი ინვესტირება ჯანდაცვასა და განათლებაში. სამწუხაროდ, როგორც მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, აქ სწრაფი და ცალმხრივი გადაწყვეტილებები არ მუშაობს და აუცილებელია კარგად გააზრებული სტრატეგიის შემუშავება.

ბიზნესგარემოს გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია ქვეყანაში თავისუფალი კონკურენციის არსებობა. საქართველოში, სადაც ჯერ კიდევ მიმდინარეობს ბიზნესგარემოს ფორმირება, არსებობს საბაზრო კონკურენციის დაცვასთან დაკავშირებული პრობლემა, რაც შესაბამისად აფერხებს ბიზნესის განვითარებას. 2005 წელს საქართველოს ხელისუფლებამ გააუქმა ანტიმონოპოლიური სამსახური, რომლის ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა კონკურენციის დაცვა და ბაზარზე მონოპოლიური საქმიანობის აღკვეთა. 2005 წელს ევროკავშირის დაჟინებული მოთხოვნით

კონკურენციის სფეროში რეფორმები განხორციელდა და ამავე წელს დაარსდა “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო”, თუმცა აღნიშნულ სააგენტოს არ გააჩნია რეალური ბერკეტები იმისათვის, რომ ბაზარზე შეზღუდოს ანტიმონოპოლიური საქმიანობა. ფაქტობრივად ის წარმოადგენს ფორმალურ, საკონსულტაციო დაწესებულებას. ამდენ**ად,** ქვეყანაში არსებული სამართლებრივი და ინსტიტუციური ვითარება ვერ უზრუნველყოფს სამართლიან და თავისუფალ კონკურენტულ ბიზნესგარემოს, ხოლო ამ მდგომარეობიდან გამოსავალი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მიღებაა, რომელიც შეზღუდავს მონოპოლიურ სტრუქტურებს და შექმნის პირობებს ჯანსაღი კონკურენციისთვის, რაც მნიშვნელოვნად შეუმსუბუქებს მოსახლეობას სამომხმარებლო ბაზარზე არჩევანის გაკეთებას და, შესაბამისად, ხელმისაწვდომი ფასისა და ხარისხის მრავალფეროვნებას.

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და ბიზნესის პროგრესზე დიდ ზეგავლენას ახდენს ასევე პოლიტიკა. მათ შორის დამყარებული ურთიერთობა ორმხრივია. ერთი მხრივ, ბიზნესი მოქმედებს პოლიტიკაზე, ხოლო, მეორე მხრივ, პოლიტიკა განსაზღვრავს ბიზნესის ქცევის წესებს. პოლიტიკა ბიზნესგარემოს ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია ისეთი განვითარებადი ქვეყნისთვის, როგორიცაა საქართველო, სადაც პოლიტიკაში ყოფნა წარმოადგენს საშუალებას, რომლითაც შესაძლებელია ბიზნესის წარმოება. პოლიტიკოსები ბიზნესის მხარდაჭერას ლობიზმის გზით ახდენენ. ლობიზმში იგულისხმება ცალკეული დარგების, ფირმების, სოციალური ჯგუფების მხარდასაჭერად მიმართული სახელმწიფო ორგანოების, სასამართლო, აღმასრულებელი, საკანონმდებლო ორგანოების მოქმედება. ლობისტები არიან ის პოლიტიკური ფიგურები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ მხარდაჭერას. ჩვენს ქვეყანაში წარმატებული ბიზნესის ქონა პირდაპირ კავშირშია პოლიტიკასთან. სახელმწიფომ ბიზნესის კეთებაში დომინანტური როლი აიღო. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ბიზნესსა და პოლიტიკას შორის ურთიერთობა კანონმდებლობით ნაკლებადაა რეგულირებული, რაც ბიზნეს-გარემოს ფორმირების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს.

საბანკო კრედიტებზე არსებული მაღალი საპროცენტო განაკვეთები საქართველოში ბიზნესის განვითარების ხელის შემშლელ ფაქტორთაგანია და ნაკლებად ეფექტიანია მეწარმეებისთვის. ქვეყანაში ბიზნესის დაწყება

საკუთარი სახსრებით ძალიან რთულია. მცირე ბიზნესის მთავარი პრობლემა სწორედ ინვესტიციების მოძიებაა, რომლის წასახალისებლად საჭიროა უფრო მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა. მცირე ბიზნესისათვის უნდა არსებობდეს სესხებზე ხელმისაწვდომი სახელმწიფო პროგრამები, რომელთა დახმარებითაც შეძლებს დაბალპროცენტიანი სესხების მიღებას. თანამედროვე პერიოდში ასეთ პროგრამებზე ხელმისაწვდომობა შეზღუდულია. საბანკო სექტორში საპროცენტო განაკვეთი, რომელთაც მცირე მოცულობის სესხი ესაჭიროებათ, უფრო ძვირია. საბანკო კრედიტი და ზოგადად საბანკო სექტორის როლი მეტად მნიშვნელოვანია ბიზნესის დაფინანსების საქმეში. საქართველოს საბანკო სექტორი ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკის სრულყოფილ დაფინანსებას და შესაბამისად წარმოების პროცესის განვითარებას. ყოველივეს კი განაპირობებს ორი ძირითადი ფაქტორი, მაღალი საპროცენტო განაკვეთი და ამავდროულად სესხის მიღების გართულებული პირობები, რაც მეწარმეებისთვის საბოლოოდ მიუწვდომელს ხდის ფინანსურ რესურსებს. ამ მხრივ აუცილებლად მიგვაჩნია ისეთი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს მინიმალური საბანკო საპროცენტო ტარიფების არსებობას, რათა სტიმული მისცეს ბიზნესის განვითარებას და შესაბამისად ახალი სამუშაო ადგილების შექნას.

ცხრილი3.4

საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები კომერციული ბანკების სესხებზე

	ეროვნული ვალუტით					
წლები	სულ	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	სულ	მოკლევადიანი	გრძელვადიანი
2003	21.5	23.6	18.5	24.0	24.9	18.8
2004	20.2	23.4	17.4	25.4	26.9	20.0
2005	17.9	20.8	16.1	21.3	21.6	20.8
2006	17.3	19.4	16.3	20.3	20.4	20.1
2007	17.7	20.0	16.7	20.9	22.1	19.6.
2008	18.6	21.3	17.6	21.8	22.3	21.4
2009	19.3	23.4	18.1	23.6	25.0	22.8
2010	18.6	22.4	17.3	22.6	24.9	21.0
2011	17.1	21.7	15.6	22.6	26.6	19.5

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები,
http://www.nbg.gov.ge/index.php?m=130

შეიძლება დავასკვნათ, რომ ბიზნესი მუდმივად კავშირშია გარემოსთან, ამიტომ ბიზნესმენი მუდმივად უნდა ითვალისწინებდეს გარე სამყაროში მიმდინარე ცვლილებებს და ცდილობდეს მათდამი ადაპტირებას. ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობისათვის საჭიროა ინვესტიციების მოზიდვა, რასაც სჭირდება შესაბამისად ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნა.

საბოლოო ანგარიშით, ჩვენი ქვეყნის ბიზნესგარემოს განვითარებისათვის ჯერ კიდევ არახელსაყრელი პირობებია შექმნილი. ქვეყნის ბიზნესგარემოს ფორმირების პროცესში ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა და ნაკლოვანებაა გადასაჭრელი. აუცილებელია, სახელმწიფომ შექმნას ისეთი სამართლებრივი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს საბაზრო მექანიზმების ეფექტიან ფორმირებას და უზრუნველყოფს ყველა ეკონომიკური სუბიექტის ზრდის თანაბარ შესაძლებლობებს და შემოსავლების სამართლიან გადანაწილებას. ჩვენ ვფიქრობთ საქართველოში არსებული საკრედიტო რესურსების დიდი დეფიციტი, მაღალი საპროცენტო განაკვეთები ბიზნესის განვითარების ერთერთი მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორია, ამასთან აღსანიშნავია ამჟამად საქართველოში განაკვეთების მაღალი დონე, რაც მეწარმეთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. დაბეგვრის სისტემაში არსებული ნაკლოვანებები სერიოზული დამაბრკოლებელი ფაქტორია ქვეყნაში მეწარმეობის განვითარებისთვის. აღნიშნულის აღმოსაფხვრელად აუცილებელია ისეთი საგადასახადო კანონის შექმნა, რომელიც მსხვილ, საშუალო და მცირე მეწარმეების დიფერენციაციას შეუწყობს ხელს. ამასთანავე აუცილებელია მცირე მეწარმეებისთვის ბიზნესის დაწყების საწყის ეტაპზე დაწესდეს შეღავათიანი პირობები. ბიზნესგარემოს ფორმირების პროცესში არსებული პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური მიზნებისა და ამოცანების გადაწყვეტასა და შეუფერხებელ ეკონომიკურ ზრდას.

დასკვნები და წინადადებები

*უპი-ები ესაა კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ერთ-ერთი ფორმა და ისინი თანამედროვე პერიოდში ეკონომიური გლობალიზაციის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად გვევლინება. ჩვენი აზრით, უპი-ები წარმოადგენს გლობალიზებული ეკონომიკური სისტემის დამახასიათებელ თავისებურებას, რომელიც მთლიანობაში გულისხმობს არარეზიდენტი კომპანიების მიერ კაპიტალდაბანდებას საწარმოებში, უძრავ ქონებასა და სხვა აქტივებში.

*დღეისათვის მსოფლიოს ყველა ქვეყანა ცდილობს მოიზიდოს უპი-ები, რამდენადაც ის ასოცირდება ეკონომიკურ ზრდასა და პროგრესთან. უპი-ები განვითარებად ქვეყნებს აძლევს საშუალებას, დაეუფლონ თანამედროვე ტექნოლოგიებს, რაც, თავის მხრივ, აძლიერებს ადგილობრივი ფირმების შესაძლებლობებსა და მათ უნარს, აწარმოონ მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქცია. სწორედ ახალი ტექნოლოგიათა მიღება წარმოადგენს იმ ძირითადი მიზანს, რის გამოც ქვეყნები აქტიურად ცდილობენ მოიზიდონ უცხოური პირდაპირი ინვესტიციები. ამის გამო უპი-ები ასრულებს მნიშვნელოვან და მზარდ როლს გლობალური ბიზნესის განვითარებაში. ზრუნველყოფენ ადგილობრივ ფირმებს ახალი ბაზრებითა და მარკეტინგული არხებით, იაფი წარმოების საშუალებებით, აძლევენ ხელმისაწვდომობას ახალ ტექნოლოგიებზე, წარმოებასა და ფინანსებზე, ყოველივე აღნიშნული კი შესაბამისად ასტიმულირებს მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

*უპი-ების ძირითადი ფორმები "შერწყმა" და "შთანთქმა" და გრინფილდ ინვესტიციები უზრუნველყოფს ინვესტიციათა მიმღებ ქვეყანას დამატებით ფინანსური რესურსებით. ძირითადი განსხვავება უპი-ების ამ ორ ფორმას შორის შემდეგია - გრინფილდ ინვესტიცები უცხო ქვეყნებში აშენებენ ახალ საწარმოებს, ხოლო "შერწყმა-შთანთქმა" გულისხმობს ადგილობრივი კომპანიების აქტივების გადაცემას უცხოელი ინვესტორის მფლობელობაში.

*საქართველოში გრინფილდ ინვესტიციები, რომლებიც მოიცავს ახალი საწარმოს მართვის მეთოდების დაფუძნებას, ხელს შეუწყობს ახალი ბიზნესის განვითარების შესაძლებლობას, თუმცა საწარმოთა მშენებლობა

ნულიდან საკმაოდ სარისკო საქმეა ისეთ ქვეყანაში, რომელიც ჯერ კიდევ დიდი გამოწვევების წინაშე დგას. დღეისათვის ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციები ძირითადად ხორციელდება "შერწყმა-შთანთქმის" გზით, საქართველოში არსებული საწარმოებისთვის, რომლებიც განიცდიან ფინანსებისა და ნოუ-ჰაუს დეფიციტს, აღნიშნულ ინვესტიციათა გარიგებების ზრდა ხელს შეუწყობს მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვას, საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ზრდას და, საბოლოო ანგარიშით, იქნება ინვესტიციათა დაბანდების ეფექტიანი ხერხი.

5. ეკონომიკურ ლიტერატურაში წარმოდგენილი ემპირიული კვლევები ადასტურებს უპი-სა და ეკონომიკურ ზრდას შორის არაერთგვაროვანი დამოკიდებულების არსებობას. თუმცა უპი-ათა თეორიული მოდელები ხაზს უსვამს რეციპიენტი ქვეყნებისთვის მათ დადებით ზეგავლენას (მაგალითად, მწარმოებლურობის ზრდა, ტექნოლოგიების გადაცემა, ახალი პროცესების დანერგვა, მართვის პრაქტიკის გაუმჯობესება, ნოუ-ჰაუს ხელმისაწვდომობა, დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და ა.შ.). ყველა აღნიშნული ფაქტორი მთთლიანობაში დადებითად ზემოქმედებს მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზაციაზე და ხელს უწყობს მის. ეკონომიკურ ზრდას

*სტატისტიკურ-ეკონომეტრიკული მეთოდის გამოყენების საფუძველზე ჩვენს მიერ ჩატარებული რეგრესული ანალიზი გვიჩვენებს, რომ უპი-ების შემოსვლამ 1997-2010 წწ-ში საქართველოში განაპირობა კაპიტალის ზრდა, რამაც სტიმული მისცა და განაპირობა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდა, რომლის გარეშეც საქართველოში არსებული სიღარიბისა თუ სხვა პრობლემების დაძლევა შეუძლებელი იქნება

*ჩვენ ქვეყანაში, რომელიც ადგილობრივი ბაზრის არასაკმარისი ტევადობით ხასიათდება, უცხოელი ინვესტორების დაინტერესება მცირეა, ასეთ შემთხვევაში ინვესტიციების მოზიდვა შესაძლებელია ქვეყანაში იაფი რესურსების არსებობით. ასეთ დროს გონივრული და მიზანშეწონილია უპი-ების დაბანდება მოხდეს ისეთ დარგებში, რომლებიც საექსპორტო პროდუქციის ფართომასშტაბიან წარმოებაზეა ორიენტირებული და შესაძლებელია ქვეყნის ფარგლებს გარეთ მისი მომგებიანი რეალიზაცია. უპი-ების დაბანდება პრიორიტეტულ დარგებში ხელს შეუწყობს მიმღები ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და ეკონომიკურ ზრდას.

ამდენად, უპი-ების დაბანდების წახალისება ექსპორტზე ორიენტირებულ დარგებში ხელს უწყობს ქვეყანაში უცხოური ვალუტის ზრდას, რაც გრძელვადიან პერიოდში უზრუნველყოფს საგარეო ვაჭრობის ბალანსის დადებით სალდოს.

*უპი-ათა განმსაზღვრელი დეტერმინანტები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: მიწოდების და მოთხოვნის ფაქტორებად. საკუთრებისა და ინტერნაციონალიზაციის უპირატესობა განიხილება, როგორც უპი-ების მიწოდების დეტერმინანტები, ეს უკანასკნელი მოიცავს მასშტაბის ეკონომიას, პროდუქციის სასიცოცხლო ციკლს, არამატერიალურ აქტივებს და ინტერნაციონალიზაციას, მაშინ როდესაც მასპინძელი ქვეყნების ადგილმდებარეობის უპირატესობა, მოიზიდოს მეტი უპი-ების ნაკადები, წარმოადგენს მოთხოვნის დეტერმინანტს.

*გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში პოტენციური ინვესტორების გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მიმღები ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის ფაქტორს. აღნიშნულ ჯგუფში ერთიანდება ისეთ დეტერმინანტები, როგორიცაა:

–მიმღები ქვეყნის ბაზრის სიდიდე: ერთ-ერთი მთავარ მოტივი ტეკ-თვის ახალ ბაზრებში შესვლაა. აქედან გამომდინარე, ბაზრის სიდიდე და მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობა, ასევე ბაზრის განვითარების დინამიკა ტეკ-თვის განმსაზრვრელი ფაქტორია;

–აღნიშნულ ჯგუფში მეორე მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია შრომის ხარჯები. წარმოების პროცესის გადატანა შრომის დაბალი დანახარჯების მქონე გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ტეკ-თვის ინვესტიციათა განხორციელების პროცესში ერთ-ერთი გადამწყვეტი დეტერმინანტია.

*ფართო გაგებით, უპი-ს პოლიტიკის ინსტრუმენტები მოიცავს განვითარების 4 ძირითად სტადიას: უცხოურ ინვესტიციათა სტიმულირების პირველ სტადიაზე მნიშვნელოვანია ეკონომიკის გახსნილობა, მეორე ეტაპზე ქვეყნის შიგნით იქმნება საინვესტიციო საბჭო ან ინვესტიციათა ხელშემწყობი სააგენტოები. განვითარებადი ქვეყნების უმეტესობა ინვესტიციათა სტიმულირების პირველი სტადიიდან გადავიდა მეორე ეტაპზე, ხოლო მესამე ეტაპზე უკვე ხორციელდება მიმღები ქვეყნის ორიენტაცია კონკრეტული ინვესტიციების მოზიდვისკენ. ამ მხრივ საქართველომ გაიარა

I და II სტადია და უნდა დაიწყოს III და IV სტადიის რეალიზება. საინვესტიციო სააგენტოები ვიწროდ ორიენტირებული სტრატეგიიდან გადადიან ექსპორტზე ორიენტირებულ უპი-ს მოზიდვისკენ, მიმღები ქვეყნებისთვის ინვესტიციათა ეფექტიანობის გასაზრდელად

*საინვესტიციო სააგენტოების საქმიანობის ეფექტიანობა დამოკიდებულია იმ გარემო პირობებზე, რომელშიც უწევთ საქმიანობა, შესაბამისად, არასასურველი საინვესტიციო კლიმატის მქონე ქვეყნებში მათი მოქმედება ნაკლებად ეფექტიანია. რამდენიმე წლის წინ საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული რეფორმები მიმართულია ქვეყანაში ბიზნესგარემოს გასაუმჯობესებლად. მოცემულ კანონმდებლობაში უმნიშვნელოვანესია კანონი "ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ", რომლის მიზანია ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებითა და დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნით. იგი ვრცელდება ნებისმიერ უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციებზე, რომელიც დაბანდებული და გამოყენებულია საქართველოს ტერიტორიაზე.

*აუცილებელია, საქართველოში ფოკუსირება მოხდეს და მნიშვნელოვნად გაამახვილდეს ყურადღება იმ ძირითად პრინციპებზე, რომელიც ინვესტორებისთვის მიმზიდველია, კერძოდ, სასურველ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, სოციალურ ფონსა და მის სტაბილურობზე, კერძო საკუთრების დაცვასა და კანონის უზენაესობაზე, ბიუროკრატიის ხარისხზე, მომუშავეთა კვალიფიკაციაზე, ინფრასტრუქტურის განვითარების დონეზე. აღნიშნული ფაქტორები მიუთითებს რეციპიენტი ქვეყნის სასურველ საინვესტიციო გარემოზე ან, პირიქით, მის არახელსაყრელობაზე

*ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია საქართველოს კონკურენტუნარიანობის დონე, ომელიც არცთუ ისე სახარბიელოა. როგორც ტექნოლოგიური განვითარების, ასევე ეროვნული ბიზნესგარემოს ხარისხის მიხედვით. გლობალური ბაზარი საჭიროებს გლობალური პროდუქტებით მომსახურებას. აუცილებელია, საქართველომ გაზარდოს მონაწილეობა გლობალურ საწარმოო და გასაღების ქსელებში. მიზანშეწონილი იქნებოდა, მაღალტექნოლოგიურ და სპეციალიზებულ დარგებში გლობალურ კომპანიებთან ალიანსების შექმნა. საქართველომ, ისევე, როგორც ნებისმიერმა ეკონომიკურად მზარდმა ქვეყანამ, განვითარებისა და უსაფრთხოების

ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია სცადოს სპეციალიზაციის ადაპტირება გარე სამყაროსთან და შეფარდებითი უპირატესობა მოიპოვოს არა მხოლოდ ტრადიციულ დარგებში, არამედ აგრეთვე მაღალხარისხიანი, მაღალტექნოლოგიური და მაღალპროდუქტიული წარმოების სფეროებშიც, ვინაიდან მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი კონკურენტუნარიანობის გრძელვადიანი ზრდა და გლობალურ ბაზრებზე ინტერნაციონალიზაციის პროცესი.

*რეგიონული ინტეგრაციის ზეგავლენა რეგიონის წევრ ქვეყნებზე განისაზღვრება უპი-ების სახეების მიხედვით. აღნიშნული ეხება კერძოდ, ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად ორიენტირებულ უპი-ებს. ჰორიზონტალური უპი-ები ეფუძნება ორი ძირითადი ფაქტორის არსებობას: დადებითი სავაჭრო დანახარჯებისა და ფირმათა დონეზე მასშტაბის ეკონომიას. აღნიშნული სახის ინვესტიციების ძირითადი მიზანია თავიდან აიცილოს სატრანსპორტო დანახარჯები და საგარეო ბაზრებზე იოლი წვდომა მიიღოს. ჰორიზონტალური უპი-ები ძირითადად ორიენტირებულია, გავიდეს საგარეო ბაზრებზე, მაშინ როდესაც ვერტიკალური უპი-ები ემსახურება ადგილობრივ ბაზრებს და საფუძვლად უდევს განსხვავება ქვეყნებს შორის წარმოების ფაქტორთა მოცულობაში. მცირე სავაჭრო დანახარჯები სტიმულს აძლევს ვერტიკალურ უპი-ებს და, პირიქით, აბრკოლებს ჰორიზონტალურს, რადგანაც მათი შემცირება ნაკლებად აისახება ვერტიკალური უპი-ების წარმოების ფაქტორთა ფასებში

*შეთანხმებები რეგიონულ ინტეგრაციაზე, როგორც უპი-ების ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი ფაქტორის განვითარებადი ქვეყნებისათვის, მნიშვნელოვანი განხილვის საგანია. ამასთან, რეგიონული ინტეგრაციის შეთანხმებები სხვადასხვაგვარად ახდენს ზეგავლენას ინვესტიციათა დაბანდების ადგილმდებარეობაზე. მაგალითად, ფირმები საზღვარგარეთ ახორციელებენ ინვესტიციას იმისათვის, რომ მათი ფილიალების გაყიდვებით მოემსახურონ დაცულ ბაზრებს. რეგიონული ინეგრაციის შეთანხმებები დაჯგუფების წევრ ქვეყნებს შორის ბაზარს ნაკლებად დაცულს ხდის და შესაბამისად ასუსტებს ფირმების მოტივს, განახორციელონ ინვესტირება. ალტერნატიულად, უცხოური ფირმების მიზანი კაპიტალდაბანდებების განხორციელების დროს, სხვადასხვა ქვეყნების შეფარდებითი უპირატესობებით სარგებლობაა პროდუქციის წარმოების

სხვადასხვა სტადიაზე. წარმოების გარკვეული სტადიის შემდეგ პროდუქცია კვეთს ეროვნულ საზღვარს და ეჯახება სატარიფო ხარჯებს. რეგიონული ინტეგრაციის შეთანხმებები ამცირებს აღნიშნულ ხარჯებს და ასტიმულირებს უცხოური ფირმების მოტივს, განახორციელონ კაპიტალდაბანდება დაჯგუფების წევრ ქვეყნებში.

*თანამედროვე პერიოდში საქართველოს კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

- განისაზღვროს ის დარგები, რომელიც გახდება ინდუსტრიული განვითარების საფუძველი; ამასთან, იქნება ინოვაციური და ექსპორტზე ორიენტირებული ინდუსტრია, სადაც გამოიყენება მოწინავე ტექნოლოგიები;
- შეიმუშაოს განვითარების სტარტეგია, რომელიც მიმართულია ინვესტიციების ხელშეწყობასა და მოზიდვაზე წარმოების განსაზღვრულ სექტორებში;
- უზრუნველყოს გონივრული და თანმიმდევრული პოლიტიკის განხორციელება, რაც გულისხმობს მკაცრ ზედამხედველობას კომპანიის საქმიანობასა და წარმატებაზე და შეინარჩუნოს დისციპლინა;
- მთავრობამ უნდა შექმნას ისეთი ბიზნესგარემო, რომელიც უზრუნველყოფს ეფექტიანი საბაზრო მექანიზმების ფორმირებას, რაც ხელს შეუწყობს კონკურენციას და ახალი საწარმოების შექმნას;
- უზრუნველყოს ბაზარზე თავისუფალი დაშვება ანტიმონოპოლიური პოლიტიკის აქტიური განხორციელებით.

*საქართველოში გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან მაქსიმალურად დიდი ოდენობით ინვესტიციების განხორციელება ადამიან-კაპიტალის განვითარების მიმართულებით, რაც სტიმულს მიცემს ქვეყნის აღორძინებასა და კეთილდღეობას. აუცილებელია გაძლიერდეს განათლების სისტემა და გაგრძელდეს განათლების, მეცნიერებისა და ტრენინგების სფეროში რეფორმები ადამიან-კაპიტალის მყარი განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

*საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მნიშვნელოვან მიმართულებას მოწინავე ტექნოლოგიებისა და მეწარმეობის

სტიმულირება წარმოადგენს. ეკონომიკური განვითარებისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ინოვაციებსა და ახალ ტექნოლოგიებზე ორიენტირებული სტრატეგიის შემუშავება, რაც ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს, განავითაროს პრიორიტეტული დარგები და აამაღლოს მისი კონკურენტუნარიანობა

*საქართველოს ბიზნესგარემოს ფორმირების პროცესში ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა და ნაკლოვანებაა გადასჭრელი. უცილებელია, სახელმწიფომ შექმნას ისეთი სამართლებრივი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს საბაზრო მექანიზმების ეფექტიან ფორმირებას და უზრუნველყოფს ყველა ეკონომიკური სუბიექტის ზრდის თანაბარ შესაძლებლობებს და შემოსავლების სამართლიან გადანაწილებას. ვფიქრობთ, რომ საქართველოში არსებული საკრედიტო რესურსების დიდი დეფიციტი, მაღალი საპროცენტო განაკვეთები ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელის შემშლელი ფაქტორია, ამასთან, აღსანიშნავია ამჟამად საქართველოში არსებული საგადასახადო განაკვეთების მაღალი დონე, რაც მეწარმეთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. დაბეგვრის სისტემააში არსებული ნაკლოვანებები სერიოზული დამაბრკოლებელი ფაქტორია ქვეყნაში მეწარმეობის განვითარებისთვის. აღნიშნულის აღმოსაფხვრელად აუცილებელია ისეთი საგადასახადო კანონის შექმნა, რომელიც მსხვილი, საშუალო და მცირე მეწარმეების დიფერენციაციას შეუწყობს ხელს. მასტანავე, მცირე მეწარმეებისთვის აუცილებელია ბიზნესის დაწყების საწყის ეტაპზე დაწესდეს შეღავათიანი პირობები. ბიზნესგარემოს ფორმირების პროცესში არსებული პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური მიზნებისა და ამოცანების გადაწყვეტასა და შეუფერხებელ ეკონომიკურ ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე მ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პირობები, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი, 2002
2. გელაშვილი მ. ინვესტიციური გადაწყვეტილების მიღება როგორც სოციალური მოვლენა. იხ. "საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში". შრომების კრებული, V ტომი, თბ., 2000, გვ. 142-151
3. გელაშვილი ს, სტატისტიკა ეკონომიკსა და ბიზნესში, თბილისი, 2009
4. გორგასალიძე მ, "ადამიანისეული კაპიტალი ეროვნული სიმდიდსრის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი, ჟურნალი "ეკონომიკა", №10,20054.
5. გოგიაშვილი შ, კონკურენტული კანონმდებლობა და ბიზნესის გარემო საქართველოში, ჟურნალი "ახალი ეკონომისტი", №1. 2006წ
6. გოგიაშვილი შ, კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და საკანონმდებლო პრაქტიკა საქართველოში, თბ.2009
7. გოგიაშვილი შ, ბიზნესი და ბუნებრივი მონოპოლიები. ჟურნალი, "ბიზნესი და კანონმდებლობა", №6. 2007წ
8. გრეჰემი ე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ვაჭრობა. "ეკონომიკური რეფორმები დღეს". № 1, გვ. 37-42; 1999
9. ეთერია ე,რეგიონული ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, 2005
10. ერქომაიშვილი გ., ბიზნესი – ფირმის ფუნქციონირების ძირითადი ასპექტები. თბილისი, თსუ, 2007
11. ვეშაპიძე შ, საერთაშორისო ტურისტული ბიზნესი, ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა", 4, 2009წ
12. კაკულია ნ, ინსტიტუციური გარემოს სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში, ჟურნალი "ეკონომისტი", №2, 2009
13. კვარაცხელია დ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკაში: ტენდენციები, შედეგები და პერსპექტივები, ჟურნ. "სოციალური ეკონომიკა", №2, 2007

14. კვარაცხელია დ, გლობალიზაცია და ეროვნული წარმოება, საქართველოს გლობალიზაციისა და რეგიონული ინტეგრაციის კვლევის ცენტრი, გამომც. ”უნივერსალი”, თბ., 2008
15. მანველიძე ი, ტრანსნაციონალური კომპანიები ამიერკავკასიის ქვეყნების ეკონომიკასა და პოლიტიკაში, თბ., 2009
16. მიმინოშვილი თ, ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის თანამედროვე ფორმები, საერთაშორისო -პრაქტიკული კონფერენცია:გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვიტარების ტენდენციები, 2012
17. მესხია ი, გლობალური ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის პრობლემები, ჟურნალი “ეკონომისტი”, №2, 2009
18. მესხია ი., გლობალური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკა, ჟურნალი “სოციალური ეკონომიკა”, №2, 2009წ
19. მექვბიშვილი ე. არდამავალი პერიოდის ეკონომიკური პრიორიტეტები თბ. 1998 წ
20. მღებრიშვილი ბ, ბიზნესის მაკროგარემო საქართველოში, ჟურნალი “საქართველოს ეკონომიკა”, 2005
21. პაპავა ვ, პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005
22. პაპაჩაშვილი ნ. პუი სქართველოში ინვესტიციების გლობალური ნაკადების ფონზე, შრომების კრებული “საერთაშორისო ბიზნესი,” თბ., 2007
23. ფუტკარაძე რ,საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების მიმართულებები გლობალიზაციის პირობებში,ჟურნლ. “საქართველოს ეკონომიკა”, №5, 2007
24. შენგელია თ, რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია და უცხოური ინვესტიციების როლი საქართველოში, შრომების კრებული: რეგიონალიზაცია, თანამედროვე რეგიონული ეკონომიკური და სოციალური პროცესები, 2010
25. შენგელია თ, მაკროეკონომიკური ანალიზის ანთოლოგია,თბილისი თსუ, 2008

26. შენგელია თ, ინსტიტუციური რეფორმები და ბიზნესგარემო საქართველოში, ჟურნ. “ეკონომიკა და ბიზნესი, №4, 2008.
27. შენგელია თ, საერთაშორისო ბიზნესის საინვესტიციო გარემო საქართველოში, კრებული: ინოვაციები ბიზნესში, 2010
28. საქართველოს საგარეო ვაჭრობა, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი, 2010
29. ჩაგელიშვილი ლ, საერთაშორისო ბიზნესი, თბილისი, 2003
30. ცეცხლაძე ლ, მცირე ბიზნესის კონკურენტუნარიანობის შესაძლებლობები, საერთაშორისო-პრაქტიკული კონფერენცია: გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები, 2012
31. ჯგერენაია ე, Georgia’s export trends and problems, ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა”, №7, 2006წ
32. ჯოლია გ, გლობალური ბიზნესი: თეორია და პრაქტიკა, ჟურნალი “ეკონომიკა და ბიზნესი, №1, 2011წ
33. **Абалкин** Л. Логика экономического роста.М.:ИЭ РАН,2003.
34. Балацкий Е.,Павличенко Р. Иностранные инвестиции и экономический рост: теория и практика исследования Мировая экономика и международные отношения. №1,2002
35. Дякин Б.Г., М., Иностранные инвестиции мировой опыт. Информ. - учебное пособие. ред., РОСБИ, 1996
36. Портер М. Конкурентная стратегия: Методика анализа отраслей и конкурентов ,2008
37. Понятие инвестиций в современной экономической теори,Вестник БГУ, №2,2009
38. Черковец О. Внешнеэкономическая интеграция — системный аспект,Экономист,№1,2005
39. Abul F.M.,’ Economic determinants of FDI in less developed countries, “ Pakistan development review,pp.41-51,1994
40. Aitken B. J., Harrison A. E., “Do Domestic Firms Benefit from Direct Foreign Investment? Evidence from Venezuela”, American Economic Review, vol. 89, pp. 605-618, 1999

41. Altenburg, T. "Linkages and Spillovers between Transnational Corporations and Small and Medium-Sized Enterprises in Developing Countries ,report and working paper #5, 2000, pp. 1-48,2000
42. Anderson T ,. U.S. affiliates of foreign companies operations in 2008. *Survey ofCurrent Business*. Vol. 90, #.11, pp: 45–58,2010
43. . Asiedu E., "Foreign Direct Investment in Africa: The Role of Natural Resources, Market Size, Government Policy, Institutions and Political Instability" Research Paper #24 2005
44. Blomstrom,M., Kokko, A., Multinational corporations and spillowers, *Journal of economic surveys*,1998
45. Borensztein, E., De Gregorio, J. & LEE, J.W., "How does Foreign Direct Invetment affect Economic Growth?, *Journal of international Economics*,,pp.115-135,1998
46. Bengoa, M. and Sánchez-Robles, B.,. "Foreign Direct Investment, Economic Freedom and Growth: New Evidence for Latin America". *European Journal of Political Economy* Vol. 19, pp. 529-545.,2003
47. . Bevan, Alan A., and Saul Estrin, "The Determinants of Foreign Direct Investment in Transition Economies", CEPR Discussion Paper #. 2638, 2000
48. Buckley,P and M.Casson , The future of Multinational Enterprise, London:Macmillan ,1976
49. Brainard, S. Lael.. "An Empirical Assessment of the Factor Proportions Explanation of Multinational Sales ." NBER Working Paper #. 4583, 993
50. Braconier, H., Norback, P.-J., Urban, D., Multinational enterprises and wage costs: vertical fdi revisited. Journal of International Economics 67,pp 446-470.,2005
51. Blaine, M., Profitability and competitiveness: lessons from Japanese and American firms in the 1980s. CalManage Rev 36(1), 48–74.,1993
52. Blomstrom, M., Kokko, A., "Multinational corporations and spillovers" *Journal of economic Surveys*,12, 247-277,1998
53. Blomström, M., and Kokko A., The economics of foreign direct investment incentives, Working Paper No. 9489, Cambridge, Mass.: National Bureau of Economic Analysis, 2003
54. Blomstrom, M., A. Kokko and M. Zejan : "Host Country Competition and Technology Transfer by Multinationals", Weltwirtschaftliches Archiv, 130, pp. 521-533.,1994
55. Benasek V., "Foreign Direct Invetsment Methodology Approach"., pp. 12-13, 2000

56. Cavusgil, S. T., Knight, G. A., & Riesenberger, J. R. . International business: Strategy, management, and the new realities. Upper saddle River, N.J: Pearson Prentice Hall, 2008
57. .Caves,R.E., ”*Multinational Enterprise and Economic Analysis*”, second edition, Cambriage surveys of Economic literature;1996
58. Christiansen H., *ODA and Investment for Development: What Guidance can be Drawn from Investment Climate Scoreboards?*, OECD, Working Papers on International Investment No 2004/2005, November, pp. 32-37.,2004
59. Chen,k.Y.E ., *Multinational Corporations, Technology, and Employment.* London: the Macmillan Press Ltd. ,1983
60. Caves,R.E., Multinational Enterprise and Economic Analysis, third edition, Cambriage Surveys of economic literature, 2007
61. . Denisia V., Foreign Direct Investment Theories: An Overview of the Main FDI Theories, European Journal of Interdisciplinary Studies, 2010
62. Djankov S., La Porta R., Lopez de Silanes F. and Schleifer A., *The Regulation of Entry*, Washington: World Bank, 2000
63. Dunning J,H, ”Multinational Enterprises and the Global Economy, Oxford,UK,Oxford University press, 1993
64. Dunning,J.H and Mekaig-Berliner A., The geographical sources of competitiveness: the professional business service industry, *Transnational Corporations,11*, 2002
65. Duce M., (2003), “Definition of Foreign Direct Investment(FDI): a methodological note”, Banco de Espana
66. Daisuke Hiratsuka , Outward FDI from and Intraregional FDI in ASEAN: Trends and Drivers”,2006
67. Dunning,J,H., Multinatinational enterprises and the global economy, Harlow, essex:Addison-Wesley publication company; ,p.57, 1993
68. Dunning,J,H., Multinatinational enterprises and the global economy, Harlow, essex:Addison-Wesley publication company, pp.58-59, 1999
69. Dunning John H., Location and the Multinational Enterprise: A Neglected Factor? ,Journal of literivatk , 45-66,1998
70. Dong_Sung Cho and H. Chang Moon, “ A nation’s international competitiveness in different stages of economic development, vol, 6,# 1, pp.5-19,1998
71. Ekholm, Karolina, Forsild, Rikard,Markusen, James R., “Export-platform Foreign Direct Investment “, NBER Working paper # 9517.,2003

72. Freeman, C., “The National System of Innovation in Historical Perspective”, Cambridge Journal of Economics, No. 19, p.19.1995
73. Frindlay, R.,”Relative backwardness, direct foreign Investment and the transfer of technology: a simple dynamic model”, Quarterly Journal of Economics, 92:1-16 ,1978
74. Jensen, C., Foreign Direct Investment and Economic Transition: Panacea or Pain Killer?, *Europe-Asi Studies*, Vol. 58, No. 6, pp. 884-891, 2006
75. Helpman. Krugman, Paul, “Market structure and foreign trade”, Mit press, Cambridge,1985
76. . Hymer,S.H., “The international operations of national firms a study of direct investment”, MITMonograph in Economics, Cambridge, MA, #14, 1976
77. .Imad A. Moose, foreign direct Investment. Theory, Evidence and practice,2002
78. Gross R., “can Latin American firms compete”,Oxford, 2006
79. .International Monetary Fund Statistics Department, Foreign Direct Investment Trends and Statistics, , p.6 ,2003
80. IFC and FIAS , *IFC lessons of Experience 5, Foreign Direct Investment.* Washington D.C ,USA,1997
81. . International Monetary Fund, *Balance of Payment Manual*, 5th edition, 1993
82. KbiltsetskllashiIi, T.,“Attracting Investors: Case of Impact of FDI on the Achievements of Economic Growth in Georgia”, *IBSU Scientific Journal* , pp 35-55,,2010
83. Krugman, Paul R. and Obstfeld, Maurice, *International Economics: Theory and Policy* (6th edition). MA, USA: Pearson Education, Inc.2003
84. Kim, Y.-H., . Impacts of regional economic integration on industrial relocation through fdi in east asia. Journal of Policy Modeling pp.165-180 ,2007
85. . Kekic, L., “Eastern Europe in 2009: The Outlook for Foreign Direct Investment“, Economist Intelligence Unit, London, December 2008. PPT slides, 2008
86. Krkoska L., “Foreign direct investment financing of capital formation in central and eastern Europe”, mimeo EBRD Working Paper 67.pp.1-19, 2001
87. Lall, S. “Industrial strategy and policies on foreign direct investment in East Asia”, *Transnational Corporations*, 4(3), pp. 1 – 26,1995
88. Loewendahl H., “A Framework for FDI Promotion” in *Transnational Corporations*, vol.10, No. 1 . pp.1-42,2001

89. .Lall, Sanjay, *The new Multinationals:The spead of third world enterprises,268pp.*,1983
90. 84.Lall S. Industrial strategy and policies on foreign direct investment in East Asia. *Transnational Corporations*. pp. 1–26.,1995
91. Lewis Dijkstra, Paola Annoni and Kornelia Kozovska , A New European Regional Competitiveness Index: Theory, Methods and Findings , pp.1-51,2010
92. .Lecraw, D.J, Outward Direct Investment by Indonezian firms: Motivation and effects. *Journal of International Business* 24 (3).1993
93. Moran, T.H., *Foreign Direct Investment and Development*, Institute for International Economics, Washington, DC.,1998
94. Montoya C., Carlos Alberto , "La economia politica en la inversion extranjera directa en America Latina (1995 – 2004) – caso Brasil, Chile, Colombia y Venezuela. En: Revista Ciencias Estrategicas. No. 17, 2007
95. Markusen, James R., Venebles, Antonely J., : "multinational firms and New Trade Theory," vol. 46. pp.183-203, 1998
96. Mowery, D.C., Oxley, J.P., . Inward technology transfer and competitiveness: the role of national innovation systems. Cambridge J Econ 19, 67–93,1995
97. Mueller, S.L.,&Goic,S., "Enterpreneurial potential in transition economies; A view from tomorrow's leaders", Journal of Development Entepreneurship,;2002
98. Madura, J.: "International Financial Management. West publishing company, 1989.
99. Magnus Blomström, Ari Kokko, " The Economics of Foreign Direct Investment Incentives", 2003
100. .Mueller, S,L.,&Goic, Enterpreneurial potential in transition economies, journal of Development Enterpreneurship, 2002
101. .MELLO DE , L.R., 'Foreign Direct Investment-led Growth: Evidence from Time Series and PanelData', Oxford Economic Papers, Vol. 51, pp. 133-151.1999
102. **Nanda, N., Growth effects of FDI: Is greenfield greener? *Perspectives on Global Development & Technology, 8*(1), pp.26-46,2003**
103. Nunnenkamp, P., Foreign Direct Investment in Latin America in the Era of Globalised Production. *Transnational Corporations* pp. 51–81,1997
104. Nirupam Bajpai and Nandita Dasgupta, What Constitutes Foreign Direct Investment? Comparison of India and China mCGSD Working Paper #. 1, 2004

105. Narmania D., Murgulia Sh., Zedelashvili O., Nanitashvili M.,. Khutsishvili G., "European Neighbour Policy and Georgia, Centre for Strategic Research and Development", Bulletin #102 ,pp.7-12, 2007

106. Neary, J. Peter. "Trade Costs and Foreign Direct Investment." *International Review of Economic and Finance*, forthcoming. Provides two explanations for how falling trade costs can generate increased FDI, as seen in the data,2008

107. Oman, C.P.. The Perils of Competition for Foreign Direct Investment. In: Inter-American Development Bank and OECD Development Centre, *Foreign Direct Investment versus Other Flows to Latin America*. Development Centre Seminars, Paris: 63–84.,2001

108. Oman C.., Policy Competition and Foreign Direct Investment: A Study of Competition Among Governments to Attract FDI, Paris: OECD.,2000

109. ORGANISATION FOR ECONOMIC CO-OPERATION AND DEVELOPMENT (OECD), "BENCHMARK DEFINITION OF FOREIGN DIRECT INVESTMENT", fourth edition.,p52,2008

110. Poon, D., "Foreign Direct Investment and Economic Growth in East Asia" The University of British Columbia, Department of Economics, Econ 495/499, Honours Essay. 2000

111. Porter, M.E., The competitive advantage of nations. Free Press, New York

112. World Competitiveness Yearbook, 1996

113. Rugman, A.M., Bennett, J., Technology transfer and world product mandating in Canada. Columbia J World Bus Winter, pp.58–62,1982

114. Ray Barrell and Nigel Pain, "Trade restraints and Japanese direct investment Flows",European Economic Review #43,pp.67-89, 1999

115. Resnick, A., Reversal of fortunes: Democratic institutions and foreign direct investment inows to developing countries. International Organization , pp. 175-211.,2003

116. Ragazzi, G., "Theories of the Determinants of Direct Foreign Investment" International Monetary Fund Staff Papers, pp.471-499,1973

117. .Ronald L. Martin, A Study on the Factors of Regional Competitiveness, A draft final report for The European Commission Directorate-General Regional Policy , p.2.,2010

118. Solow, R.,, "A contribution to the Theory of Economic Growth",*Quarterly Journal of Economics, ,pp. 65-94,1956*

119. Saltz, S., The Negative Correlation Between Foreign Direct Investment and Economic Growth in the Third World: Theory and Evidence, *Rivista Internazionale di Scienze Economiche e Commerciali*, pp. 617-633.,1992

120. Singer, H.W., The Distribution of Gains Between Investing and Borrowing Countries, *American Economic Review*, pp. 473-485.,1950

121. Soderstein, Bo. *International Economics* (2nd Edition). London: Macmillan Press Ltd,1992

122. Suliman, A., Mollick, A. V., Human capital development, war and foreign direct investment in sub-saharan africa. Oxford Development Studies ,pp . 47-61, 2009

123. Serven, L. and Solimano A. *Private Investment and Macroeconomic Adjustments*. Observer. Vol.7, no.5, 1992

124. Shafaeddin M., *What did Frederick List actually say? Some Clarifications on the Infant Industry Argument*, UNCTAD Discussion Papers, Geneva: ,2000.

125. .Scott, B.R., Lodge, G.C.. U.S. competitiveness in the world economy. Harvard Business School Press, Boston,1985

126. The newsletter from Synovate Business Consulting. Emerging Markets' Transnational Corporations (TNCs) - The New World Order? , 2011

127. Villela, Annibal , "Multinationals from Brazil", p.220, 1983

128. Yue, LIU , A Comparative Study of Strategies Adopted by Wal-Mart and Carrefour in China: A Resource-Based Perspective September, 2007

129. World Investment Report : Transnational Corporations and the Internationalization of R&D. New York and Geneva: United Nations,2005

130. WORLD Investment Report 2009

131. UNCTAD, 1977b,p.10

132. UNCTAD . *World Investment Report 1998*. United Nations, New York,1998

133. UNCTAD. *World Investment Report 1999: Foreign Direct Investment and theChallenge of Development*. United Nations publication. Sales No. E.99.II.D.3. New York and Geneva,1999

134. UNCTAD, The Competitiveness Challenge: Transnational Corporations and Industrial Restructuring in Developing Countries. United Nations, Geneva, p.p 20.,2000

135. UNCTAD 2000, pp. 164

136. UNCTAD, *World Investment Report 2002: Transnational Corporations and Export Competitiveness*, Geneva:,2002
137. UNCTAD, *World Investment Report 2003: FDI Policies for Development – National and International Perspectives*. New York and Geneva: United Nations,2003
138. UNCTAD,. Linkages, value chains and outward investment: Internationalization patterns of developing countries' SMEs. 2005c
139. UNCTAD . World Investment Report 2006: FDI from Developing and Transition Economies – Implications for Development. United Nations publication. Sales No.E.06.II.D.11. New York and Geneva,2006
140. UNCTAD,, Global players from emerging markets:Strengthening enterprise competitiveness through OFDI. New Yourk and geneva, 2007
141. UNCTAD,. Information Economy Report 2010: ICTs, Enterprises and Poverty Alleviation. United Nations publication. 2010a
142. UNCTAD, 2011, p.. 130
143. http://www.businessdictionary.com/definition/greenfield-site.html
144. . http://financial-dictionary.thefreedictionary.com/Brown+Field+Investment
145. www.businessinfo.ge
146. www.statistics .ge
147. www.welforum.org
148. www.transparency.org
149. www.europe.eu.int
150. www.imf.org
151. .www.wto.org
152. www.worldbank.org

დანართი 1

ცხრილი1.11

უპი-ის, მშპ-სა და საგარეო ვაჭრობის დინამიკა საქართველოში 1997-2010 წლებში (მიმდ, ფასებში, მლნ დოლარი)

წლები	უპი (მლნ აშშ დოლარი)	მშპ (მლნ აშშ დოლარი)	სვ (მლნ აშშ დოლარი)
1997	**242.58**	**3503.78**	**1239.50**
1998	**265.33**	**3487.57**	**1073.80**
1999	**81.23**	**2862.98**	**927.60**
2000	**131.7**	**3083.18**	**1033.40**
2001	**109.93**	**3239.80**	**1069.20**
2002	**156.12**	**3550.48**	**1140.40**
2003	**330.89**	**4020.69**	**1600.30**
2004	**499.80**	**5170.68**	**2461.20**
2005	**449.80**	**6411.00**	**3353.00**
2006	**1190.40**	**7761.70**	**4611.2**
2007	**2014.80**	**10171.90**	**644.30**
2008	**15664.00**	**12800.5**	**7796.9**
2009	**658.40**	**10767.1**	**5633.9**
2010	**814.50**	**11636.5**	**6731.4**

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

ცხრილი 1.13

რეგრესული ანალიზის შედეგი

დამოკიდებული ცვლადი მშპ მიმდინარე ფასებში	კოეფიციენტები			95%	
		სტანდარტული დევიაცია	T-სტატისტიკა	ქვედა ზღვარი	ზედა ზღვარი
მუდმივი კოეფიციენტი	1834.84	454.2633	4.039155	835.0133	2834.667
უპი	3.327037	0.537952	6.184632	2.143012	4.511062
სვ	0.881912	0.130689	6.748174	0.594267	1.169556

ცხრ.1.14-ში მოცემულია ცვლადების მოკლე დახასიათება

ცხრილი 1.14

ცვლადების მოკლე ანალიზი

	მშპ(მლ.აშშ დოლარი)	პუი(მლ.აშშ. დოლარი)	სვ(მლ.აშშ დოლარი)
საშუალო	**5319.13**	**503.48**	**2808.08**
მინიმუმი	**2862.98**	**31.23**	**544.30**
მაქსიმუმი	**12800.50**	**2014.80**	**7796.90**
სტანდარტული გადახრა	**3606.72**	**587.51**	**2418.37**

თუ როგორ არიან ერთმანეთთანდაკავშირებული მშპ, პუი და საგარეო ვაჭრობა შეგვიძლია დავასკვნათ 1.14. ცხრილიდან გამომდინარე

ცხრილი: 1.15

ც ვ ლ ა დ ე ბ ი

მოდელი	არასტანდარტული კოეფიციენტი		სტანდარტული კოეფიციენტი	T-სტატისტიკა	P-მნიშვნელობის კოეფიციენტი
	B	სტან. ცდომილება	Beta		
1. მუდმივიკოეფიციენტი		1834.840		4.039	0.002
2. უპი		3.327	0.542	6.185	0.000
3. სვ		0.882	0.591	6.748	0.000

დამოკიდებული ცვლადი: მშპ

ყოველივე ზემოთარნიშნულის საფუძველზე წარმოვადგენთ მოდელის რეზიუმეს.

ცხრილი 1.16

მოდელის რეზიუმე

დამოკიდებული ცვლადი მშპ				
პროგნოზირება: მუდმივი კოეფიციენტი, უპი (მლნ აშშ დოლარი), სვ (მლ.აშშ. დოლარი)				
1997-2010 წ.წ.				
მოდელი	**R**	**R-კვადრატი**	**დაზუსტებული R-კვადრატი**	**სტანდარტული ცდომილება**
1	.966[a]	.933	.921	1016.82141